

ISSN 2587 - 4861

სამეცნიერო ჟურნალი

**ერუდიტი**

Scientific Journal

**ERUDITE**

**№2**

**თბილისი  
2018**



**უმაღლესი სასწავლო დაწესებულება "განათლების აკადემია"**  
**HIGHER EDUCATION INSTITUTION "ACADEMY OF EDUCATION"**

სამეცნიერო ჟურნალი  
**ე რ უ დ ი ტ ი**

Scientific Journal  
**E R U D I T E**

**№ 2**

თბილისი - Tbilisi  
2018

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ერუდიტი”  
გამოდის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება “განათლების აკადემია” - ს  
გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებით

International Reviewed and Referential Scientific Journal «ERUDITE» -  
published by the decision of Higher Education Institution « Academy of Education» 's  
extended session

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან წელიწადში ორჯერ  
ჟურნალის დამფუძნებელი – მარიამ მესხიშვილი – ეფაძე, სამართლის დოქტორი,  
პროფესორი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება “განათლების აკადემია” - ს  
მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე

The journal is published twice a year since 2018  
Founder of the journal - Mariam Meskhishvili-Efadze, Doctor of Law Sciences, Professor,  
Chairman of the Management Board of Higher Education Institution « Academy of Education »

მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქ. #35  
ვებ-გვერდი: [www.acad.edu.ge](http://www.acad.edu.ge)  
ელ-ფოსტა: [contact@acad.edu.ge](mailto:contact@acad.edu.ge)  
ტელ: +(995 32) 2553333  
მაგთიფიქსი: 7 90 333353  
Address: Tbilisi, Ksani st. №35  
WEB-page: [www.acad.edu.ge](http://www.acad.edu.ge)  
E-mail: [contact@acad.edu.ge](mailto:contact@acad.edu.ge)  
Tel: +(995 32) 2553333  
MagtiFixi: 7 90 333353

# სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

**მარიამ მესხიშვილი-ევაძე** - სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი სასწავლებლის "განათლების აკადემია" დამფუძნებელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ზურაბ ლობჯანიძე** – მთავარი რედაქტორი, უმაღლესი სასწავლებლის "განათლების აკადემია" სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის წევრი (აშშ) (საქართველო)

**გოჩა ოჩიგავა** - პასუხისმგებელი მდივანი, პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უცხო ენებისა და პროფესიული სწავლების ინსტიტუტის (ჩეხეთი), ასევე განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის (გერმანია) ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, სამართლის დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**დიმიტრი ლაგაზიძე** - ფარმაციის დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**მანანა ორჯონიძე** - ფარმაციის დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ნოდარ ჭიჭინაძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ლია ჭელიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ბექა დვალი** - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრი (საქართველო)

**მანანა შელია** - განათლების დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**მანანა სტურუა** - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**გულთაზ ლაბარტყავა** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**მარინე შაქარაშვილი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო)

**ავთანდილ ასათიანი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი (საქართველო)

**ლია მენტეშაშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საქართველო)

**მაია თევზაძე** - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ზურაბ ჩიჩუა** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ზოია ადამია** - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო)

**ვახტანგ სვანაძე** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო)

**ნინო სანაია** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო)

**ტომაშ კუცი** - ლინგვისტიკის უმაღლესი სკოლის ვიცე-რექტორი, სერტიფიცირებული საერთაშორისო ტრენერი (პოლონეთი)

**სტანისლავა ჰიბნეროვა** - სამართლის დოქტორი, პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი (ჩეხეთი)

**ნატალია მიხაილოვა** - დიუსელდორფის განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის დოქტორი (გერმანია)

**ოლივერ პლაცეკი-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრი, საპატიო პროფესორი ( გერმანია)**

**როზმარინა დუბოვსკა** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური განათლების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (მინსკი, ბელარუსი)

**იან ქრომი** -პრადის სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტის ინსტიტუტის პროფესორი

**კატარინა შეეინოვა ჰოესოვა** - პრადის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პრადა, ჩეხეთის რესპუბლიკა)

**იანკა ბეტაკოვა** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დუბნიცას უნივერსიტეტის დოცენტი, (დუბნიცა, სლოვაკეთი)

**რეუნენ ენოხი** - არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, ებრაული მემკვიდრეობის განყოფილება. კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი (ისრაელი)

**ნადეჟდა გრაჟევსკაია** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი (უკრაინა)

**ხათუნა ჩაჩხიანი** - კომპიუტერული უზრუნველყოფა

## Scientific-Editorial Board

**Mariam Meskhishvili-Efadze** – Chairwoman of Scientific-Editorial Board, founder of Higher Education Institution «Ganatlebis Academia», Doctor of Law Sciences, Associate Professor (Georgia)

**Zurab Lobzhanidze** - Deputy Chairman, Head of Study Process Management Department of Higher Education Institution «Ganatlebis Academia», Doctor of Technical Sciences, Professor, Member of the World Academy of Engineering and Technology (USA) (Georgia)

**Gocha Ochigava** - Executive Secretary, Professor of Foreign Languages and Professional Studies (Czech Republic) at Prague State University, as well as an official representative of International Center of Education and Scientific Information (Germany) in Georgia, Doctor of Law, Professor (Georgia)

**Dimitri Lagazidze** – Doctor of Pharmacy, Professor (Georgia)

**Manana Orjonikidze** - Doctor of Pharmacy, Professor (Georgia)

**Nodar Chichinadze** – Doctor of Medical Sciences, Professor (Georgia)

**Lia Chelidze** - Doctor of Medical Sciences, Professor (Georgia)

**Beka Dvali** - Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the Republic of South Africa, Honorary Member of Scientific-Editorial Board (Georgia)

**Manana Shelia** - Doctor of Education, Professor (Georgia)

**Manana Sturua** - Doctor of Chemistry Sciences, Professor (Georgia)

**Gultaz Labartkava** - Doctor of Economics Sciences, Professor (Georgia)

**Marine Shaqarashvili** - Doctor of Medical Sciences, Associate Professor (Georgia)

**Avtandil Asatiani** - Doctor of Pedagogical Sciences, Professor, co - President of Georgian Academy of Education Sciences (Georgia)

**Lia Menteshashvili** - Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Academician of Georgian Academy of Education Sciences (Georgia)

**Maia Tevzadze** - Doctor of Philological Sciences, Professor (Georgia)

**Zurab Chichua** - Doctor of Medical Sciences, Professor (Georgia)

**Zoia Adamia** - Doctor of Philological Sciences, Professor (Georgia)

**Vakhtang Svanadze** - Doctor of Economics Sciences, Professor (Georgia)

**Nino Sanaia** - Academic Doctor of Philology, Associate Professor (Georgia)

**Tomasz Kuk** - Vice-Rector of Linguistics High School, Certified International Trainer (Poland)

**Stanislava Hibnerova** - Doctor of Law, Professor of Prague State University, Docent (Czech Republic)

**Natalia Mikhailova** - Head of Düsseldorf International Center of Education and Science Information, Diederdorf, Doctor of Psychology (Germany)

**Oliver Platsek** - FOM - Head of Financial Department, Master of Business Administration, Honorary Professor (Germany)

**Rozmarina Dubovska** - Dr Sc, Prof. Member of International Academy of Technical Education IATE (Minsk, Belarus)

**Jan Chromy** – professor of Prague Institute of Hospitality Management, Department of Management (Prague, Czech Republic)

**Katarína Švejnová Hoesová** - Prof.Ing. University of Economics in Prague, Faculty of Economics – (Prague, Czech Republic)

**Janka Betáková** - Doc. Ing. Arch. PhD., DTI University, (Dubnica nad Váhom, Slovak Republic)

**Reuven Enoch** - Professor of Ariel University, Jewish Heritage Department, Director of Research Institute of the Jewish Communities of the Caucasus and Central Asia (Israel)

**Nadezhda Grazhevskaya** - Doctor of Economic Sciences, Professor of Taras Shevchenko State University, Head of the Theoretical Economy Chair (Ukraine)

**Khatuna Chachkhiani** – Computer Service

## **უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“**

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა სასწავლებელს საქართველოში, რომელიც პირუთვნელად ატარებს ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემია“ მიზანია ევროპული დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება. სასწავლებელში ხორციელდება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მოქალაქეებისათვის. სასწავლებელს აქვს სასწავლო და სამეცნიერო კავშირები ევროპისა და აზიის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან, გააჩნია მდიდარი მატერიალური-ტექნიკური ბაზა.

### **Higher Education Institution «Education Academy»**

Higher Education Institution “Education Academy” is one of the youngest higher schools in Georgia, which pursues our country's educational policy within its competence. The goal of Higher Education Institution “Education Academy” is to establish a European level higher education institution. In the Academy bachelor's degree educational programs are implemented for both local and foreign citizens. The Academy has close partnership relations with the leading European and Asian higher education institutions. It has a rich material-technical base.

# სარჩევი

## აგრარული მეცნიერებანი

ლალი ზაიდაური, ოლა ხარაიშვილი - "ახალქალაქის ცერცველა", როგორც მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საიმედო ღონისძიება .....	10
მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, ნათია ოსიაშვილი - ვირის რძე და მისი განუმეორებელი თვისებები .....	13
მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი, ნაილი ორჯანელი - ცხოველთა კლონირება .....	15

## ბიზნესის ადმინისტრირება

ავთანდილ ლაფაჩი - ბიზნესის შეფასებისა და საწარმოს გადახდისუნარიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური მიდგომა .....	18
მაია თეთრუაშვილი - საპენსიო რეფორმა და მისი მოსალოდნელი შედეგები .....	21
თამარ ზირაქაშვილი - ბანკის ადგილისა და ფუნქციების ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	24
ლია ოტიაშვილი - ფინანსური ბიუჯეტირების როლი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში .....	26

## განათლება

მარიამ მესხიშვილი-ევაძე - განათლების ხარისხის მონიტორინგი საგამოცდო პროცესების მიხედვით ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მოწინავე ქვეყნების გამოცდილება). II ნაწილი .....	32
მარიამ მესხიშვილი-ევაძე - საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სრულყოფა თანამედროვე პირობებში. II ნაწილი .....	38
როზმარინა დუბოვსკა - განათლების ხარისხის შეფასება უნივერსიტეტებში .....	48
იმერი ბასილაძე, მანონ ბერუჩაშვილი - პედაგოგიკის პარადიგმა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების ტენდენციები საქართველოში .....	53
იან ქრომი, ლენკა ტურნეროვა, ევა ოტოვა - უცხოური პრაქტიკის გამოცდილება მენეჯერების მომზადებისთვის .....	60
იანკა ბეტაკოვა, იან დვორსკი - უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ აღქმის უპირატესობების და მეწარმეობის ნაკლოვანებების შედარება .....	64
იაგორ ბალანჩივაძე - დიფერენცირებული მიდგომების შედეგები დაწყებით კლასებში .....	69
ნატო ყრუაშვილი - ივანე როსტომაშვილის პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა .....	73
ნატო ყრუაშვილი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება .....	77
მანანა შელია, ქეთო გალობერი, რუსუდან გოგობია - უცხო ენის სწავლების თავისებურებები .....	81
ნატო შეროზია - უსაფრთხო სკოლა-უსაფრთხო ბავშვობა .....	86

## ინჟინერია

ზურაბ ლობჯანიძე, თამარ კვარაცხელია - ზედაპირული ჩამონადენის გავლენა ეროზიულ პროცესების ფორმირებაზე .....	90
გოგა ჩახაია, ზურაბ ლობჯანიძე, რობერტ დიაკონიძე, ჯუმბერ ფანჩულიძე, ირინა ხუბულავა, სოფიო გოგილავა, თამარ კვარაცხელია - ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩების გამოყენებით მოწყვლად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის შესაძლებლობების ვალიდურობის შეფასება .....	95

## სამართალი

კატარინა შვეინოვა ჰოესოვა - გენდერული უთანასწორობა სლოვაკეთის რესპუბლიკის საპენსიო სისტემაში .....	102
ჯემალ გახოკიძე, დარეჯან ლეკიაშვილი - ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები .....	105
გოჩა ოჩიგავა - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლო ორგანოებში. II ნაწილი .....	110
ნანა ხარაძე - რეფერენდუმის განხორციელების ნაკლოვანებები საქართველოში .....	118
ეკატერინე ნინუა - ქორწინების ცნება და მისი ძირითადი თავისებურებები .....	120
შალვა ყიფშიძე - უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში .....	124
თინა ქაჩიბაია - ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის უფლების დაცვის პრობლემატიკა .....	128

## სოციალური მეცნიერებანი

ინგა ცინცვილაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევები	134
------------------------------------------------------------------------------	-----

## ჯანდაცვა

ელიზა მარქარაშვილი, ნარგიზ მეგრელიძე - ვახტანგ VI -- ქიმიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი .....	141
--------------------------------------------------------------------------------------------------	-----

## ჰუმანიტარული მეცნიერებანი

მია თევზაძე - კულტურული დისტანციის გავლენა ემოციურ დამაბულობაზე ინტერკულტურული ენობრივი კომუნიკაციის ფარგლებში .....	148
ზოია ადამია - ბიბლიური სახელების თარგმანების შედარებითი ანალიზი .....	151
მანანა შელია - ომონიმური სუფიქსები თანამედროვე ინგლისურ ენაში .....	156
თამარ მამარდაშვილი - სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობების პარალელურ ფორმათა წარმოება ახალ ქართულში .....	168
დალი ბეთხოშვილი - მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის „ანბანთ-ქება“ .....	171
ირინე არჯევანიძე - ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადება .....	176
ეკატერინე გოგიაშვილი - სიყვარულის საკითხის ინტერპრეტაციისათვის „ვეფხისტყაოსანში“ .....	178



# Contents

## Agrarian Sciences

Lali Baidauri, Olga Kharashvili - “Akhalkalaki Tsertsvela” as Reliable Measure of Increase for Food Base of Livestock and Improvement of Soil Fertility .....	10
Manana Tsintsadze, Natia Natroshvili , Natia Osiashvili - Donkey Milk and its Unique Properties .....	13
Manana Tsintsadze, Natia Natroshvili , Naili Orjaneli - Cloning of Animals .....	15

## Business Administration

Avtandil Lapachi - Business Valuation and Methodology Approach for Determination of Enterprise Solvency .....	18
Maia Tetrushvili - Pension Reform and its Expected Results .....	21
Tamar Ziraqashvili - Methodological Basics of the Bank Place and Functioning Analysis .....	24
Lia Otiashvili - The Role of Budgeting in the Management System of Georgia's Higher Educational Institution .....	26

## Education

Mariam Meskhishvili-Efadze - Monitoring of Education Quality According to Examination Processes in Innovative Educational Institutions (Experience of advanced countries) Part 2 .....	32
Mariam Meskhishvili-Efadze - Perfection of Educational Institution Management in Modern Conditions. Part 2 .....	38
Rozmarina Dubovska - Assessing the Quality of Universities Study .....	48
Imeri Basiladze, Manon Beruachashvili - Paradigm of Pedagogy and Trends in Development of Pedagogical Science in Georgia .....	53
Jan Chromy, Lenka Turnerova, Eva Ottova - Experience for Education Managers from Foreign Practice .....	60
Janka Betáková, Ján Dvorský - Comparison of Perception of Advantages and Disadvantages of Entrepreneurship by University Students .....	64
Iagor Balanchivadze - The Results of Differentiated Approaches in Primary Classes .....	69
Nato Kruashvili - Pedagogical – Educational Work of Ivane Rostomashvili .....	73
Nato Kruashvili - Akhaltsikhe Department Society for the Spreading of Literacy among Georgians .....	77
Manana Shelia, Keto Galoberi, Rusadan Gogokhia - Features of Teaching Foreign Language .....	81
Nato Sherozia - Safe School – Safe Childhood .....	86

## Engineering

Zurab Lobjanidze, Tamar Kvaratskhelia - The Influence of Surface Runoff in the Formation of Erosion Processes .....	90
Goga Chakhaia, Zurab Lobjanidze, Robert Diakonidze, Jumber Fanchulidze, Irina Khubulava Sofio Gogilava, Tamar Kvaratskhelia - Validity Assessment of the Restoration Possibility of a Bio-diversity on a Vulnerable Slope with Use of Anti-erosive Geo-mats Soil .....	95

## Law

Katarína Švejnová Hoesová - Gender Inequality in the Slovak Republic Pension System .....	102
Jemal Gakhokidze, Darejan Lekiasvili - Legal Aspects on Fight against Terrorism .....	105
Gocha Ochigava - Georgia in International Judiciary against Russia .....	110
Nana Kharadze - Defects of Referendum Fulfilment in Georgia .....	118
Ekaterina Ninua - Concept of Marriage and its Basic Features .....	120
Shalva Kipshidze - Forms of Direct and Representative Democracy in Constitutions of Georgia and Other Foreign Countries .....	124
Tina Kachibaia - Problems Related to the Rights of Inheritance of Children Born to Unmarried Parents .....	128

## Social Sciences

Inga Tsintskiladze - Security Challenges of Eastern Partnership States .....	134
------------------------------------------------------------------------------	-----

## Healthcare

Eliza Markarashvili, Nargiz Megrelidze - Vakhtang VI - the Author of the First Georgian Textbook of Chemistry .....	141
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

## Humanitarian sciences

Maya Tevzadze - The Effect of Cultural Distance on Emotional Distress within Intercultural Language Communication .....	148
Zoia Adamia - Comparative Analysis of Biblical Names Translations .....	151
Manana Shelia - Homonymous Suffixes in Modern English .....	156
Tamar Mamardashvili - Formation of Parallel Forms of Subject and Object Participles in Modern Georgian .....	168
Dali Betkoshvili - "Alphabet of Praise" by King-poet Teimuraz I .....	171
Irine Arjevanidze - Preparation of Epistolary Heritage for Publishing .....	176
Ekaterine Gogiasvili - Interpretation of the Love Issue in „The Knight in the Panther's Skin" ...	178

## 01 აგრარული მეცნიერებანი - Agrarian Sciences

0103

ლალი ბაიდაური

Lali Baidauri

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

ოლღა ხარაიშვილი

Olga Kharashvili

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

### “Akhalkalaki Tsertsvela” as Reliable Measure of Increase for Food Base of Livestock and Improvement of Soil Fertility

„ახალქალაქის ცერცველა“, როგორც მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საიმედო ღონისძიება

**რეზიუმე:** ახალქალაქის ცერცველა ერთ-ერთი პერსპექტიული კულტურაა გამოყენების მრავალფეროვნებისა და ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა „ახალქალაქის ცერცველას“ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდება. ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი ფართოდ უნდა დაინერგოს მეურნეობებში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო წინამორბედი კულტურა და მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პროგრესული საშუალება.

**საკვანძო სიტყვები:** ცერცველა, პარკოსანი, თესლბრუნვა, ნიადაგი.

**Abstract:** Akhalkalaki Tsertsvela (*Vicia*, commonly known as **vetches**) is one of the perspective cultures due to its diversity and biological features. The aim of the research was to improve the fertility of the "Akhalkalaki Tsertsvela" soil and increase the livestock food base. Based on the results of the experiment, it was determined that it should be widely implemented in farming as one of the best previous culture and progressive means for increase of the livestock food base, improvement of its quality, intensive use of arable land.

**Keywords:** vetch, legumes, crop rotation, soil.

ცერცველა პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელია. კულტურაში ცნობილია 12 სახეობა, უფრო გავრცელებულია სათესი ანუ საგაზაფხულო ცერცველა და ბანჯგვლიანი ანუ საშემოდგომო ცერცველა. ცერცველა საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. აღსანიშნავია ახალქალაქის ცერცველა, რომელიც მეტწილად საკვებად ფერმის პირა თესლბრუნვებში ითესება, მაგრამ გამორიცხული არ არის მინდვრის თესლბრუნვაში, განსაკუთრებით შუალედი ნათესის სახით. მისი კარგი წინამორბედი სათესი კულტურები, პურეულები და სხვ.

ახალქალაქის ცერცველა საუკეთესო წინამორბედი მინდვრის ყველა კულტურის, განსაკუთრებით კი თავთავიანებისათვის. თესვის წინ ხნულის ზედაპირი უნდა მოსწორდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარება, თანაბარი და ერთდროული აღმოცენების მიღება და მოსავლის უდანაკარგოდ აღება. თესვის წინ საჭიროების მიხედვით ტარდება ერთი ან ორი კულტივაცია თესლის ჩათესვის სიღრმეზე, თანმიყოლებული ფარცხვით, ნასიმინდარის შემთხვევაში კულტივაციის წინ საჭიროა ნაკვეთის დადისკვა.



ფოსფორი და კალიუმი ნიადაგში უნდა შევიტანოთ ძირითადი ხვნის წინ აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით. ფოსფორი და კალიუმი ხელს უწყობენ აგრეთვე კოჟრის ბაქტერიების მოქმედებას, მის ცხოველმყოფელობას და ამის შედეგად ჰაერის თავისუფალი აზოტის ფიქსაციას. ერთწლიანი პარკოსანი კულტურის - საგაზაფხულო ცერცველას თესვა შეიძლება წლის ყველა დროს წმინდად, ერთწლიანი მარცვლოვანების – შვრიის, ქერის ან ჭვავის ნარევში.

თესვის ვადები და წესი დამოკიდებულია სამეურნეო გამოყენების მიზანზე. საკვებად გამოსაყენებლად უნდა დაითესოს ბალახნარების სახით, ხოლო სათესლედ – წმინდად. თესლის სწრაფი განვითარებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფართომწკრივიანი ნათესები. მოსავალს თივისათვის იღებენ პარკების გამონასკვის ფაზაში, რადგანაც ამ დროისათვის იგი აღწევს სრულ განვითარებას და შეიცავს მეტი რაოდენობის ცილებს, ვიტამინებსა და სხვა ნივთიერებებს .

ცერცველას პარკი ადვილად სკდება, ამიტომ თესლი ქვედა და შუა ნაწილის პარკების მურად შეფერვის შემდეგ უნდა იქნეს აღებული. საგაზაფხულო ახალქალაქის ცერცველა ტენისადმი მომთხოვნი მცენარეა. ტენიანობის უკმარისობის შემთხვევაში ზრდა შეფერხებულია და მოსავალიც მკვეთრად ეცემა. განსაკუთრებით გაზრდილია ტენზე მოთხოვნილება ყვავილობის ფაზაში.



მაგრამ, სავეგეტაციო პერიოდის მეორე ნახევარში ხშირი წვიმები მნიშვნელოვნად ამცირებენ თესლის მოსავალს. ცერცველა სითბოსადმი დიდი მოთხოვნილების არაა. საკვები მასის მოსაცემად საკმარისია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 900°, ხოლო თესლის მისაღებად – 1300-1900°. ცერცველას თესლი გაღვივებას იწყებს ნიადაგის 1-2° ტემპერატურის დროს. ნიადაგისადმი მოთხოვნილება დიდი არა აქვს, გრძელი დღის მცენარეა. აღმოცენებიდან პირველ პერიოდში ძალიან ნელა იზრდება. ინტენსიურ ზრდას იწყებს ყვავილობის დასაწყისში. ამ დროს მცენარე დღე-ღამეში საშუალოდ 3 სმ 15 ით იზრდება და 2-3-ჯერ მეტი ინტენსივობით ივითარებს მასას ყვავილობამდე პერიოდთან შედარებით. დაბლობ ზონაში მარტის პირველ დეკადაში დათესილი ახალქალაქის ცერცველა აღმოცენებიდან ყვავილობას იწყებს 45-46 დღის შემდეგ, ხოლო თესლის მომწიფებისათვის საჭიროა 95-100 დღე. ჯავის პირობებში აპრილის მესამე ნახევარში დათესილი ცერცველა, ამინდის პირობების მიხედვით, აღმოცენებას იწყებს 10-15 დღის შემდეგ, აღმოცენებიდან ყვავილობამდე სჭირდება 50-60 დღე, ხოლო თესლის მომწიფებამდე – 105-120 დღე. ახალქალაქის მთიანი ზონისათვის აღმოცენებას იწყებს 12-16 დღის შემდეგ, აღმოცენებიდან ყვავილობამდე სჭირდება 55-65 დღეს, ხოლო თესლის მომწიფებამდე – 110-125 დღეს.

ახალქალაქის ცერცველას როლი დიდია, როგორც მინდვრის, ასევე საკვებ თესლბრუნვის დაპროექტებაში, აქედან გამომდინარე, მიწათმოქმედების სისტემაში აგრონომიულ ღონისძიებათა შო-

რის თესლბრუნვას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის როგორც მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მინდვრის კულტურების მოსავლიანობის ზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ საშუალებას. ამიტომ, რომ ცალკეული რეგიონების მიხედვით სწორი თესლბრუნვის შემოღებასა და წარმოების პირობებში მის რეალიზაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

თესლბრუნვამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის განუხრელი ზრდა, მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის გაფართოება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან ერთად, უნდა შეიქმნას საფუძველი ნიადაგის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

ადამიანი მიწათმოქმედების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსაკუთრებულ ღონისძიებებს იყენებდა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის, მაგრამ თესლბრუნვა ყველაზე უფრო სრულყოფილი საშუალება გამოდგა ამ მიზნის მისაღწევად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეცნიერულად დასაბუთებულმა მორიგეობამ დაამტკიცა, რომ იგი ხელს უწყობს მცენარეთა მიერ საკვებ ნივთიერებათა უკეთ გამოყენებას, ვინაიდან ამ მხრივ ყველა კულტურას განსხვავებული მოთხოვნილება აქვს: უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მცირდება ეროზიული პროცესები, ხელს უშლის მავნებლებისა და ავადმყოფობების გავრცელებას, ნიადაგის სტრუქტურა და ორგანული ნივთიერებების დაგროვება ზრდის ნაყოფიერებას, რაც ქმნის საშუალო მოსავლიანობის ამაღლებისათვის მტკიცე საფუძველს.

თესლბრუნვა მეურნეობის გეგმიურად მართვის საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან ვიცით, რომელი კულტურა რა ფართობზე ითესება და წინასწარ შეგვიძლია ვიანგარიშოთ, რა რაოდენობით გვჭირდება სათესლე მასალა, სასუქები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, სასაწყობო მეურნეობა, მუშახელი და სხვ. ასევე დიდია თესლბრუნვის როლი შუალედური კულტურების საშუალებით მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში, ვინაიდან წინასწარ ვიცით, რომელი მინდორი როდის ათავისუფლებს ფართობს .

თესლბრუნვაში საგაზაფხულო ცერცველა ითესება მინდვრის კულტურების აღების შემდეგ. საგაზაფხულო ცერცველა თესლბრუნვის მინდორს მთელი წლის განმავლობაში არ იკავებს, ვინაიდან ადრე ათავისუფლებს ფართობს (მისი სავეგეტაციო პერიოდი 80-100 დღეა), ამიტომ ცერცველასაგან განთავისუფლებული ფართობი იმავე წელს სხვა კულტურისათვის მეორე მოსავლის მისაღებად გამოიყენება. ცერცველასაგან განთავისუფლებული ფართობი ყველა კულტურისათვის საუკეთესო წინამორბედაა ანულის შემდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგაზაფხულო ცერცველას თესვა წმინდა სახით არაა გამართლებული. ამიტომ როგორც მწვანე საკვებად და თივად, ასევე სათესლედ გათვალისწინებული ცერცველა მარცვლოვნებთან ნარევაში უნდა დაითესოს .

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**References:**

1. აფხაზავა, ა. კობეშავიძე, ვ. მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები, რეკომენდაცია. თბილისი, 1999. Abkhazava, A. Kobeshavidze, V. 1999. Cereal and legume, plants, Tbilisi.
2. გიორგბერიძე, ი. სიახლენი მემცენარეობაში, თბილისი, 1982-1983. Giorgberidze, I. 1980-83. Innovations in plantsmanship, Page 15, Tbilisi.
3. გედევანიშვილი, დ. ტარასაშვილი, გ. ლატარია, ვ. მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება, თბილისი, 1951. Gedevanishvili, D. Tarasashvili, G. Lataria, V. 1951, Agroproductive characterization of Mukhrani teaching-research farm cropping soil, Tbilisi.
4. თედორაძე, ს. მახარობლიძე, ა. მინდიაშვილი, პ. ლობიოს ახალი ჯიშის შექმნა ბუნებრივი მუტაციის გზით. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIII, თბილისი, 1975. Tedoradze, S. Makharoblidze, A. Mindiashvili, P. 1975 . Growing new species of bean with natural mutation. Works of Georgian scientific-research institute . Volume XXIII, p.34, Tbilisi.
5. თედორაძე, ს. სამარცვლე-პარკოსანი კულტურები და მისი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებები, თბილისი, 1998. Tedoradze, S. 1980, Beans and their crop increasing measures Editorial office, p.6 . Tbilisi.
6. ცაგურიშვილი, გ. უმთავრესი ერთწლოვანი საკვები კულტურების თესვა-მოყვანის მეცნიერული საფუძველები და მათი როლი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში აღმოსავლეთ საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1975. Tsagurishvili, G. 1975. Scientific foundations for sowing and growing one year feading species and their role in the intensive application of the ground in East Georgia. Doctoral thesis. p.10, Tbilisi. Tsagurishvili, G. Umtavresi ertwlovani sakvebi kulturebis Tesvamoyvanis mecnieruli

safuZvlebi da maTi roli miwis intensiurad gamoYenebis saqmeSi aRmosavleT saqarTveloSi, sadoqtoro disertacia, Tbilisi, 1975

7. Жгенти, А.И. О некоторых вопросах увеличения производства сои на вновь осушенных землях Колхидской низменности. Автореферат на соискание ученой степени доктора сельскохозяйственных наук. Тбилиси, 1968. Zhghenty, A. Some problems of increasing soya production on drained land of Kolkheti plain, p.8. Abstract for the Scientific Degree - Doctor of Agricultural Sciences, Tbilisi, 1968,

0103

მანანა ცინცაძე

Manana Tsintsadze

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor

ნათია ნატროშვილი

Natia Natroshvili

ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
Doctor of Veterinary, Associate Professor

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

Tbilisi Teaching University

ნათია ოსიაშვილი, დოქტორანტი

Natia Osiashvili, Student of Ph.D

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

### ვირის რძე და მისი განუმეორებელი თვისებები Donkey Milk and its Unique Properties

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატია ვირის რძე და მისი განუმეორებელი თვისებები რეფერატულ-შემეცნებითი ხასიათისაა. აღნიშნულ პრობლემაზე ჩვენს მიერ ყურადღების გამახვილება განაპირობა ბოლო პერიოდში საზოგადოების დაინტერესებამ ვირის რძის სამკურნალო თვისებებით, რომელიც არაერთი მედია საშუალებით არის გაშუქებული. ბუნებრივია, მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებიც დაინტერესდნენ აღნიშნული თემით. მოიძიეს ინტერნეტ სივრცეში ის მასალები, რომელიც აშუქებს ვირის თვისებურ ბიოლოგიას, მსოფლიოში მისი განვითარების არეალს და ასევე რძის სამკურნალო თვისებებს, რომელიც საუკუნეებს ითვლის. სტატიის ავტორების მიზანია მკითხველს მიაწოდოს ვირის რძეზე საინტერესო მასალა, რომელმაც ასეთი გამოხმაურება პოვა დღევანდელ საზოგადოებაში. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შედეგად გაირკვევა თუ როგორ მოხდეს რძის მიღება, შენახვა და ადამიანის მიერ მიღება.

**საკვანძო სიტყვები:** ვირის რძე, ქოლესტერინი, კაზეინი, გლობულინი, იმუნიტეტი

**Abstract:** The present paper “Donkey Milk and its Unique Properties” has a tendency of an abstract cognitive nature. Publication of this problem has been conditioned by huge public interest focusing attention to its medicinal properties in the recent period which have been highlighted through mass-media. Naturally, the animal husbandry field specialists are also interested in this topic. They have found materials in Internet space which covers peculiar biology of donkey, the area of its development in the world and curative properties of the milk which counts for centuries. The paper also aims at presenting readers the materials about donkey milk which have got so many comments in modern society. It also contains recommendations how to milk, keep and take milk.

**Key Words:** donkey milk, cholesterol, cazerine, globuline, immunity

ვირის რძეს საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. მისი სამკურნალო თვისებების შესახებ წერდნენ ფილოსოფოსი არისტოტელე, ისტორიკოსი ქსენოფონტე, ექიმი ჰიპოკრატე და იბნ სენა. ვირის რძეს იყენებდნენ ძველი რომაელები, ბერძნები, ინგლისელები და ფრანგები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კლეოპატრას ფერმაში 700 ვირი ჰყავდა და მის რძეში ბანაობდა. ვირის რძეს რომის პაპი ფრანცისკე სვამდა.

XIX საუკუნეში ბელგიასა და საფრანგეთში შეიქმნა ფერმები, რომლებიც ბავშვების გამოსაკვებად ჰოსპიტალს ვირის რძით ამარაგებდა.

ცნობისათვის თუ ვირს ჩოჩორი არ ჰყავს, რძეს არ მოგვცემს. მშობიარობაზე ჩოჩორის დაღუპვის შემთხვევაში, რძე შრება. გვერდზე უნდა ჰყავდეს ჩოჩორი, რომ მისგან რძე მიიღონ. ვირს მაკეობის პერიოდი აქვს 12 თვე, მე-13 თვეს მშობიარობს და 9 თვე აწოვებს. ამ 9 თვის განმავლობაში არის შესაძლებელი რძის აღება. ამის წინაპირობა ისიცაა, რომ აუცილებლად ჩოჩორმა უნდა მოწოვოს, ისე არ მოიწველის.

უხსოვარი დროიდან ჩვენი წინაპრები ამ რძეს გამოიყენებდნენ სხვადასხვა დაავადებების დროს. ვირის რძეს აქვს განსაკუთრებული სამკურნალო და სასარგებლო თვისებები. მასში რძის ცხიმინიანობა დაბალია და შეადგენს 0,5%-ს, მაშინ, როცა ძროხის რძეს აქვს 6-7%.

ვირის რძე ყველაზე ახლოს დგას დედის რძესთან და მოდუღების გარეშე შეიძლება ბავშვებისათვის მიცემა. ასევე მისგან ამზადებენ წამლებს და კოსმეტიკას უცხოეთში. მას უკურეაქცია არა აქვს, მდიდარია ვიტამინებით. 300 სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. ევროპაში ყველაზე ძვირად ღირებული ბავშვის საკვები სწორედ ვირის რძეზეა დამზადებული. ჩინეთსა და შვეიცარიაში ბავშვთა კვების პროდუქტები - შოკოლადი მზადდება ვირის რძისგან.

ნეაპოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ვირის რძეში აღმოაჩინეს ცხიმის მჟავა ომეგა - 3 და ომეგა - 6, ის დატვირთულია ლაქტოზით და შეიცავს მინიმალურ ცხიმებს. ვირის რძე ძალიან ადვილად იყინება.

რაც შეეხება სიმსივნეს, დასაწყის სტადიაში ვირის რძე არის მარგებელი, ქიმიოთერაპიის დროს კი უფრო უადვილდება ადამიანს მისი გადატანა.

კლეოპატრადან დაწყებული, დღემდე ვირის რძისაგან ამზადებენ კოსმეტიკურ საშუალებებს. ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი რაც მას აქვს, ეს გლობულინია, რომელიც ხელს უშლის დაბერებას.

ვირის რძე მდიდარია A,B,C,D,E ვიტამინებით, მაგნიუმით, კალიუმით, კალციუმით, ცინკით, იმუნოგლობულინებით. ვირის რძე შეიცავს ასევე ანტი-ალერგენებს და ანტიბაქტერიულ ფერმენტებს. მასში ხდება კოლაგენის სინთეზი, რაც ხელს უშლის უჯრედის დაბერებას და მდიდარია ანტიოქსიდანტებით.

ჩვენ შედარებისათვის, ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ადამიანის რძისა და ვირის რძის ქიმიურ შედგენილობას.

**ვირის და ადამიანის რძის შედარება (ქიმიური შედგენილობა)**

ჩამონათვალი	ვირი	ადამიანი
P H	7.0-7,2	7,0-7,5
პროტეინი (გ/100 გ)	1,5-1,8	0,9-1,7
ცხიმი (გ/100გ)	0,3-1,8	3,5-4,0
ლაქტოზა (გ/100გ)	5,8-7,4	6, 3-7,0
ნახშირწყლები (გ/100გ)	8,8-11,7	1,7-12,9
კაზეინი (გ/100გ)	0.64-1,03	0,32-0,42
სხვა პროტეინები(გ/100გ)	0,49-0,80	0,68-0,83

რადგან ვირის რძე შემცველობით ყველაზე ახლოს დგას დედის რძესთან, კაზეინისა და ცხიმების დაბალი შემცველობის გამო საუკეთესო ალტერნატივაა იმ ახალშობილებისა თუ ბავშვებისათვის, რომლებსაც აქვთ ალერგია ძროხის, თხის ან სხვა რძეზე. ასევე საუკეთესო ალტერნატივაა იმ ახალშობილებისათვის, რომლებიც მოკლებულნი არიან ძუძუთა კვებას. ვირის რძე აძლიერებს ბავშვის იმუნურ სისტემას. ძროხის რძესთან შედარებით C ვიტამინს შეიცავს 60-ჯერ მეტს.

ვირის რძე ებრძვის ბრონქიალურ ასთმას, ხველას, ყვიანახველას, ალერგიებს, კანის დაავადებებს, კიბოს, ტუბერკულოზს, წითელას, ეპილეფსიას და ციებ-ცხელებას, ბავშვებში ამალღებს იმუნიტეტს. ამალღებს მამაკაცის პოტენციას. ამარაგებს გულსისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს, ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, ამალღებს იმუნიტეტს, იცავს ნაწლავებს ინფექცი-

საგან, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, შესანიშნავი ეფექტი აქვს დიეტის დროს, ხელს უწყობს ღვიძლის დეტოქსიკაციას, ებრძვის ოსტეოპოროზს, ვირუსულ ინფექციებს, კანის დაავადებებს, ეგზემას, ფსორიაზს, მეჭეჭებს. ასევე ებრძვის ზოგად გადაღლილობას, სტრესულ სიტუაციებს, სათანადოდ კვებას კანს, თმასა და ფრჩხილებს.

ლიტერატურული წყაროები ასევე გვთავაზობენ, რომ რძის მიღება უნდა მოხდეს დილით უზმოზე 50-70 გრამის ოდენობით, საღამოს იგივე რაოდენობით ძილის წინ, უკეთესი ეფექტია, თუ შუადღისითაც მიიღებთ იგივე რაოდენობის რძეს ჭამამდე 1 საათით ადრე.

მისი აუცილებელი პირობაა – არ შეიძლება ადუღება, გაცხელება. მაცივარში ინახება მცირე დროით დაახლოებით 7-10 დღე, ხოლო დიდი ხნით საყინულეში დაახლოებით 2 წელი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ, პლანეტის მოსახლეობას მოუწოდა გამოიყენოს საკვებად აქლემის, ლამას, ლოსის, ირმის და მათ შორის ვირისა და თხის რძე. ეს რეკომენდაციები მოცემულია წიგნში, სადაც ხაზგასმულია, ვირის რძის სასარგებლო თვისებები, ხოლო ირმისა და ლოსის რძე გამოირჩევა მაღალი ცხიმინობით.

ამრიგად, დღევანდელი მეცხოველეების წინაშე დგას საკმაოდ მნიშვნელოვანი ამოცანა, მოხდეს მეცხოველეობის შედარებით მივიწყებული დარგის აღორძინება და მიღებულ იქნეს პროდუქცია, რომელიც ესოდენ აუცილებელია ადამიანისათვის თავის სამკურნალო თვისებებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. <https://imednew.ge>
2. <https://www.shin.ge>
3. [www.info9.ge](http://www.info9.ge)

0103

მანანა ცინცაძე

Manana Tsintsadze

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

Tbilisi Teaching University

ნათია ნატროშვილი

Natia Natroshvili

ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Academic Doctor of Veterinary, Associate Professor

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

Tbilisi Teaching University

ნაილი ორჯანელი

Naili Orjaneli

მეცხოველეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Academic Doctor of Animal Husbandry, Associate Professor

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

#### ცხოველთა კლონირება

##### Cloning of Animals

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატია ცხოველთა კლონირება არის რეფერატული შინარსის სტატია, რადგან დღევანდელი გადასახედიდან ესოდენ დიდ დაინტერესებას იწვევს არა მარტო სპეციალისტებში, არამედ ფართო საზოგადოებაში, ზოგადად გენური ინჟინერიის მიღწევა - კლონირება. სტატიაში შეძლებისდაგვარად არის წარმოდგენილი კლონირების ისტორია, მისი განვითარების ეტაპები და ამჟამად მეცხოველეობაში მიღებული კლონირებული ცხოველების ზოგადი დახასიათება. ასევე ავტორთა



ჯგუფს ხაზი აქვს გასული მომავალში მისი განვითარების პერსპექტიულ დანიშნულებაზე, როგორც მედიცინის თვალსაზრისით, ისე პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** კლონი, დნმ, ტრანსპლანტაცია, მუტაცია, ინჯაზი, პრიმატი, რეზუსმაკაკა.

**Abstract:** The present paper “Cloning of Animals” has an abstract nature and from today's standpoint this problem causes great interest not only among specialists but also the broader society generally focusing on genetic engineering achievement - cloning. As far as possible the paper presents the history of cloning, stages of its development and general characteristic of cloned animals adopted in animal husbandry nowadays. Furthermore the group of authors highlights the perspective assignment of its development in terms of medicine as well as increase of its productivity.

**Key Words:** clone, DNA, transplantation, mutation, injaz, rhesus macaque, primate

კლონი - ეს არის ორგანიზმი ან ორგანიზმთა ჯგუფი, რომლებიც მიიღება სხვა ორგანიზმიდან უსქესო გამრავლების გზით. ჩვეულებრივ, კლონის წევრები, მუტაციით გამოწვეული განსხვავებების გამოკლებით, იდენტურნი არიან მემკვიდრეობითი მახასიათებლების ანუ მათი გენების მიხედვით, მაგალითად ერთი კვერცხუჯრედის გაყოფით გაჩენილი ტყუპები კლონის წევრებს წარმოადგენენ. კლონირების გზით მრავლდება ერთუჯრედიანი ორგანიზმების უმრავლესობა, ბევრი წყალმცენარე, ზოგიერთი საფუარი სოკო, ასევე ცხოველური ორგანიზმები (ბრტყელი ჭიები) და მცენარეები (ბაბუაწვერა).

კლონირება ხორციელდება ჩანასახის ადრეულ სტადიაზე. 1997 წელს წარმოიშვა ხმაური კლონირების შესახებ. ამ დროს მეცნიერებს საშუალება მიეცათ მოეხდინათ ზრდასრული ძუძუმწოვარა ცხოველების კლონირება. შოტლანდიაში, როსლანის ინსტიტუტში მეცნიერთა ჯგუფმა დაამუშავა მეთოდიკა, რის საფუძველზეც დედა ცხვრის ცურიდან ამოიღეს მთელი მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი ქრომოსომების შემცველი ბირთვი, შემდეგ იგი ჩაანაცვლეს სხვა ცხვრის უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ბირთვით. შემდეგ მოახდინეს ამ კვერცხუჯრედის იმპლანტაცია დედობილის ორგანიზმში. ამის შედეგად ქვეყანას მოველინა დონორი ცხვრის ზუსტი ასლი. პირველი ცხვარი (და ზოგადად პირველი ძუძუმწოვარი), რომელიც კლონირების შედეგად დაიბადა, დაიღუპა 6 წლის ასაკში ფილტვების ინფექციის შედეგად. კლონირების საფუძველები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. არსებობდა ჰიპოთეზა, რომ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ანუ ზიგოტის გაყოფის შედეგად წარმოქმნილ უჯრედებს შორის ხდება მემკვიდრული ინფორმაციის დანაწევრება. ამ ჰიპოთეზის თანახმად, უჯრედის სპეციალიზაცია (ანუ მათი დიფერენციაცია) განისაზღვრება მემკვიდრეობითი ინფორმაციის იმ ნაწილით, რომელიც მათ გადაეცათ საწყისი უჯრედიდან.

XIX საუკუნეშივე ამფიბიების ჩანასახებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა უარყო ჰიპოთეზა და აჩვენა, რომ მემკვიდრეობითი ინფორმაცია არ მცირდებოდა და განიყოფოდა ზიგოტიდან წარმოქმნილ უჯრედებში, არამედ უცვლელი სახით გადაეცემოდა თითოეულ შვილეულ უჯრედს.

1894 წელს ჟაკ ლობმა აღმოაჩინა, რომ შესაძლებელი იყო განაყოფიერებული კვერცხუჯრედის „გადანასკვა“ იმგვარად, რომ ბირთვი კვერცხუჯრედის ერთ ნაწილში მოექცეოდა. „ბირთვიანი“ ნაწილის რამდენიმე გაყოფის შემდეგ წარმოქმნილი ერთ-ერთი უჯრედის ბირთვი ზოგჯერ უბრუნდებოდა „უბირთვო“ ნაწილს. ამის შედეგად ეს ნაწილიც გაყოფას იწყებდა და ნორმალურ ჩანასახს წარმოქმნიდა.

1914 წელს მსგავსი ცდა ჩაატარა ჰანს სპემანმა. ტრავს ექსპერიმენტი, შესაძლოა ბირთვის ტრანსპლანტაციის (ერთი უჯრედიდან მეორეში გადატანა) და მამასადამე, კლონირების პირველ წარმატებულ ცდად ჩაითვალოს.

ამფიბიებზე მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო ბირთვის ტრანსპლანტაციის ექსპერიმენტებს სხვა ორგანიზმებში: 1960-იან წლებში უკვე ჩატარდა მწერებისა და თევზების კლონირების რამდენიმე წარმატებული ცდა, 1980 წელს კი ცდა თავგებზეც ჩატარდა. სხვა ძუძუმწოვრების კლონირების ცდებიც წარმატებით სრულდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბირთვი ჩანასახის ადრეულ სტადიაზე იყო მიღებული. ორგანიზმის განვითარების გვიან სტადიაზე კლონირების ეფექტურობა საგრძნობლად კლებულობს. წარმატებული ტრანსპლანტაცი-

სათვის აუცილებელი იყო, რომ ამ პროცესში მონაწილე ორივე უჯრედი (როგორც უბირთვო, ასევე ის, რომელიც ბირთვის მისაღებად იყო არჩეული) ერთსა და იმავე სტადიაში ყოფილიყო.

2003 წელს მოხდა ცხენისებრთა ოჯახის წარმომადგენლის პირველი კლონირება. კლონირებული იყო ჯორი, რაც ასევე ბუნებრივად სტერილური ცხოველის კლონირების პირველი შემთხვევაა. ამ ექსპერიმენტში ბირთვი 45 დღის ასაკის ჩანასახიდან იყო მიღებული.

პრიმატების კლონირებას უდიდესი სამედიცინო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად გენეტიკურად იდენტური მამულების მისაღებად, რაც შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის მისაღებად შესანიშნავი შენაძენი იქნებოდა. ჯერჯერობით ორი კლონირებული რეზუს-მაკაკას გენეტიკური მასალა ჩანასახის განვითარების ადრეულ ეტაპზეა მიღებული.

ინჯაზი უწოდეს (რაც ქართულად ნიშნავს „მიღწევას“) მსოფლიოში პირველ კლონირებულ ერთკუხიან აქლემს, რომელიც მიიღეს არაბეთის გაერთიანებულ საემიროში 2009 წლის 8 აპრილს.

ინჯაზი წარმოიშვა ზრდასრული, 2005 წელს სახორცედ დაკლული აქლემის საკვერცხის უჯრედებიდან. უჯრედებს ამრავლებდნენ ქსოვილოვან კულტურაში და შემდეგ ყინავდნენ თხევად აზოტში. ამის შემდეგ ერთ-ერთი უჯრედი მიკროინფექციის მეთოდით შეიყვანეს სუროგატი აქლემის კვერცხუჯრედის ბირთვში. სუროგატი აქლემი ჯერ ალაგზნეს ელექტროდენით და შემდეგ უჯრედის დაყოფის სტიმულირება მოახდინეს ქიმიურად. ერთი კვირის კულტურიდან მიღებული ემბრიონის იმპლანტაცია მოხდა სუროგატი დედალი აქლემის საშვილოსნოში. 12 დღის შემდეგ ულტრა ბგერითი დიაგნოსტიკის საშუალებით დადასტურდა სუროგატი აქლემის ორსულობა, რომლის მონიტორინგი მთელი მაკეობის პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინჯაზის დაბადების შემდეგ, მისი დნმ გამოიკვლიეს დუბაის მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის ლაბორატორიაში. დნმ-ის ტესტმა აჩვენა, რომ ინჯაზის დნმ და საკვერცხის საექსპერიმენტო უჯრედები დნმ-ის იდენტურია, რითაც დადასტურდა, რომ ინჯაზი სწორედ ამ საექსპერიმენტო კვერცხუჯრედებიდან წარმოშობილი კლონია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. ლოღობერიძე, მ. ჭელიძე, ნ. ბიოქტენოლოგიის საფუძვლები, ინ ვიტო კულტივირების მეთოდები, თბილისი, 2018. Gogoberidze, M. Chelidze, N. 2018, Principles of Biotechnology, Method of Cultivation in vivo, Tbilisi.  
Gogoberidze, M. Chelidze Biotechnology safeZvlebi, in vitro kultivirebis meTodebi, Tbilisi, 2018.

## 02 ბიზნესის ადმინისტრირება - Business Administration

0203

ავთანდილ ლაფაჩი

Avtandil Lapachi

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

Doctor of Economics, Professor

ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი სასწავლებელი “განათლების აკადემია”

Ltd. Euroregional Teaching University

Ltd. Higher Education Institution “Education Academy”

ბიზნესის შეფასებისა და საწარმოს გადახდისუნარიანობის  
განსაზღვრის მეთოდოლოგიური მიდგომა

**Business Valuation and Methodology Approach for Determination of Enterprise Solvency**

**რეზიუმე:** ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების არსებული მეთოდოლოგია სათანადო სისრულით ვერ ავლენს რეალურ ვითარებას. ამდენად, ეს საკითხი საჭიროებს ღრმა მეცნიერულ შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. აგრობიზნესის ეფექტიანობის სრულად განსაზღვრასთან ერთად საჭიროა საწარმოს გადახდისუნარიანობის შეფასებაც. აგრობიზნესის საწარმოთა გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის არსებულ მრავალ მაჩვენებელთა შორის უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სამ ძირითად მაჩვენებელს: გრძელვადიან ვალდებულებათა ლიკვიდაციის კოეფიციენტს, მიმდინარე ლიკვიდაციის კოეფიციენტს და შუალედური ლიკვიდაციის კოეფიციენტს. რენტაბელური საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის ვალდებულების საერთო თანხასთან შეფარდებით, ხოლო დაბალრენტაბელურ ან ზარალიან საწარმოში კი მიმდინარე აქტივების ყველა ვალდებულებების თანხასთან შეფარდებით.

ამდენად, ბიზნესის შეფასება შეიძლება ჩავატაროთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საწარმოს ქონების ღირებულების განსაზღვრა;
2. რენტაბელობის, გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა სისტემის გაანგარიშება და ანალიზი პერსპექტივაში.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა, ვალდებულებები, მეთოდოლოგია

**Abstract:** The existing methodology for evaluating business efficiency can not reveal properly the real situation. Thus, this issue requires a deep scientific study and elaboration of appropriate recommendations. Along with defining the efficiency of agrobusiness, it is necessary to evaluate the efficiency of the **enterprise solvency**.

Among a set of indicators for the full estimation of manufactures of agrobusiness, an advantage should be given to three basic indicators, in particular, liquidation of long-term obligation, current liquidation and intermediate liquidation rates. The factor of solvency of highly profitable enterprise is calculated by a parity of own capital with a total sum of obligations and unprofitable enterprise by a parity of current assets with the sum of all obligations.

Thus, business evaluation can be conducted in the following sequence:

1. Determination of the enterprise property value;
2. Calculation and the analysis of indicators of profitability, solvency, financial stability, efficiency and economic growth on prospect.

**Keywords:** Business, efficiency, solvency, liabilities, methodology

ბიზნესი არის სამეწარმეო, სამომსახურეო და ინტელექტუალური საქმიანობის სისტემა, მიმართული გარანტირებული მოგების (შემოსავლის) მისაღებად, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

ბიზნესის ეკონომიკური შეფასებისათვის აუცილებელია მთელი რიგი მეთოდებისა და

მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინება.

უკანასკნელ წლებში, სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად გვხვდება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და მისი ჩატარების ხერხების მიმოხილვა, მაგრამ ისინი შემოიფარგლება ცალკეული მაჩვენებლების, კრიტერიუმების, კოეფიციენტების გაანგარიშებით, რომლებიც ძირითადად აღებულია საზღვარგარეთული ლიტერატურიდან.

ბიზნესის შეფასებისათვის, ხშირად გამოიყენება მხოლოდ მოგებისა და ზარალის მაჩვენებლები, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრულყოფილ მეთოდურ მიდგომად.

ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების დროს აუცილებელია გამოვიყენოთ წმინდა ეკონომიკური მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ და იგი უნდა შევიდეს მხოლოდ დამატებით ღირებულებაში, ამიტომაც წმინდა მოგება ითვლება ბიზნესმენის ნამდვილ მოგებად.

ამრიგად, ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- წარმოადგენს თუ არა ბიზნესი გარკვეულწილად მომგებიანს; რამდენად საკმარისია ლიკვიდურობის მაჩვენებელი; ანაზღაურდება და გაიზრდება თუ არა საკმარისი მოცულობით აქტივები; არსებობს თუ არა ეკონომიკური ზრდის ალბათობა მომავალში და ა.შ.

- საწყისი მონაცემების შეგროვება და მაჩვენებლების გაანგარიშება აუცილებელია იმ მიზნით, რომ ბიზნესმენმა მიიღოს ესა თუ ის ალტერნატიული მმართველობითი გადაწყვეტილება, რომლებიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ გაყიდვების მოცულობაზე კონკურენტებსა და მეორე მხრივ, საქონლისა და მომსახურების მოგებას შორის.

მოგების განსაზღვრასთან ერთად საჭიროა საწარმოს გადახდისუნარიანობის შეფასება. იგი წარმოადგენს ბიზნესმენის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულებანი, რომლებიც ეხება სავაჭრო, საკრედიტო და სხვა ფულად ხელშეკრულებებს.

გადახდისუნარიანობის შეფასების ტრადიციული მეთოდიკა ემყარება მრავალ ეკონომიკურ მაჩვენებელს. ისინი გაიანგარიშება აქტივების ლიკვიდაციის საფუძველზე. ზოგიერთი იყენებს კაპიტალის სტრუქტურის ყველა მაჩვენებლის შეფარდებას, საკუთარი კაპიტალის მთლიან ვალდებულებებთან (მოკლევადიანი, გრძელვადიანი) და საბალანსო მოგების შეფარდებას მოკლევადიან ვალდებულებათა მიხედვით შესრულებულ პროცენტთან.

ერთი მხრივ, მეცნიერთა მიდგომებში შეიმჩნევა ერთი და იგივე გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების განსხვავებულად გამოყენება. ასე მაგალითად: ზოგიერთის აზრით გადახდისუნარიანობის საერთო კოეფიციენტი გაანგარიშებული უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ვალდებულებათა მთლიან თანხასთან.

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}}$$

ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოების ფინანსურ-სამეურნეო ანალიზის ჩატარების მეთოდიკით, გათვალისწინებულია გაანგარიშებულ იქნეს საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გაანგარიშება, როგორც მიმდინარე აქტივების შეფარდება ვალდებულებათა მთლიან თანხასთან:

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}}$$

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა აბსოლუტურ მნიშვნელობებში. დასავლეთის ეკონომისტები რეკომენდაციას უწევენ იმ მიდგომას, როცა მიმდინარე (საერთო) ლიკვიდურობის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია 2-ის, ხოლო შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.

ჩვენი ქვეყნის ეკონომისტები რამდენადმე უფრო დაბალი მნიშვნელობის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა გამოყენებას ემხრობიან. კერძოდ, გადახდისუნარიანობის მნიშვნელობა ტოლი უნდა იყოს 1-ის; აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.25-0.30-ის; შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0-1-ის; მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ის.

ზოგიერთ ქვეყანაში, გადახდისუნარიანობის ასეთმა გაანგარიშებამ ვერ გაამართლა იმ

მიზეზით, რომ დასავლეთის ქვეყნებში ბიზნესი ფუნქციონირებს შედარებით უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში (არ არსებობს ინფლაცია, გადახდა ხდება დროულად, ნედლეულს გააჩნია სტაბილური ფასი და ა.შ.). ამიტომ, ჩვენი ეკონომიკის პირობებში მიზანშეწონილია საწარმოს პოტენციური გადახდისუნარიანობისადმი გაცილებით მაღალი მომთხოვნელობა.

ჩვენი აზრით, რეკომენდაცია უნდა მიეცეს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელს, რომელიც გაიანგარიშება აქტივების შეფარდებით გრძელვადიან ვალდებულებებთან.

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

**თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ მაგალითები:**

მაგალითი 1: გავიანგარიშოთ ნორმალურად მომუშავე საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.

დავუშვათ, რომ საკუთარი კაპიტალის მოცულობა წლის ბოლოს 688.4 ათასი ლარის ტოლია; ყველა ვალდებულებათა თანხა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 368.2 ათას ლარს.

გადაწყვეტა: საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი საანგარიშო წელს გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებების საერთო თანხასთან შეფარდების გზით:

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{688,4}{368,2} = 1,90$$

მოცემული მაჩვენებელი მოწმობს საწარმოს წარმატებული მუშაობის სტაბილურობას.

მაგალითი 2: გავიანგარიშოთ საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი დაბალრენტაბელურ (ზარალიან) საწარმოში.

დავუშვათ, რომ საწარმოს მიმდინარე აქტივები წლის ბოლოს შეადგენს 482.2 ათას ლარს, ხოლო ყველა ვალდებულებათა თანხის ჯამი 688.0 ათას ლარს.

გადაწყვეტა: საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი საანგარიშო წელს გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების, ყველა ვალდებულებების თანხასთან შეფარდების გზით:

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{482,2}{688,0} = 0,70$$

ეს მაჩვენებელი მიგვანიშნებს საწარმოს არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**References:**

1. საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი: "შეფასების საერთაშორისო სტანდარტები 2007" ქართულენოვანი გამოცემა, #12(120), თბილისი, 2009. The Institute of Experts, Assessing the Property of Georgia: "International Standards for Evaluation 2007" Georgian edition, # 12 (120), Tbilisi, 2009.
2. საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი: „სამეურნეო სუბიექტის (ბიზნესის) შეფასება“, თბილისი, 2009. The Institute of Experts, Assessing the Property of Georgia: "Assessment of Business Entity (Business)", Tbilisi, 2009.
3. <http://www.shefaseba.ge>

0204

მაია თეთრუაშვილი

Maia Tetrushvili

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

Academic Doctor of Economics

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მოწვეული პროფესორი

Invited Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## საპენსიო რეფორმა და მისი მოსალოდნელი შედეგები

## Pension Reform and its Expected Results

**რეზიუმე:** საპენსიო რეფორმის ძირითადი ამოცანებია სოციალური პენსიის შექმნის ძალაუფლების შენარჩუნება და გაუმჯობესება, საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის გაზრდა ხელფასთან და საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

რეფორმის წარმატებისათვის ამ საკითხზე შემდგომი სამუშაო შეხვედრები უნდა ჩატარდეს, რადგან სოციალური დაზღვევა და პენსია, რეფორმების გააქტიურება რთულ საკითხებს წარმოადგენს. მათ შორის უამრავი კომპონენტი და ყველა დეტალი უნდა განიხილებოდეს, რათა შეიქმნას სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს პენსიონერებისათვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

**საკვანძო სიტყვები:** საპენსიო რეფორმა, საპენსიო აქტივები, საინვესტიციო რესურსი.

**Abstract:** The primary tasks of pension reform are to maintain and improve purchasing power of the social pension, to increase ratio of pension income with the salary and provision of financial sustainability. For further success of the reform, further working meetings shall be held on the issue as social insurance and pension reform are complicated matters, containing lots of components and all the details shall be thoroughly discussed to create the system enabling dignified life for the pensioners.

**Keywords:** pension reform, pension assets, investment resource.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში საპენსიო უზრუნველყოფის სხვადასხვა მოდელები მოქმედებს. მიუხედავად მათ შორის ნიუანსური სხვაობებისა, უპირატესად ყველა ეს მოდელი სამ მსხვილ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

**1. საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი.** ამ მოდელის მოქმედების პირობებში საპენსიო გასაცემლები ფინანსდება შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მობილიზებული გადასახდელების (გადასახადები, სადაზღვევო შენატანები) მეშვეობით. აღნიშნული მოდელის ნაირსახეობად შეგვიძლია ჩავთვალოთ, როდესაც სახელმწიფო პირდაპირ აფინანსებს საპენსიო გასაცემლებს ბიუჯეტის სახსრებიდან (6).

**2. საპენსიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი.** ეს მოდელი გულისხმობს პენსიის დაგროვების ინდივიდუალურ ხასიათს, პენსიის სიდიდე კი დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე (7).

**3. საპენსიო უზრუნველყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი.** ეს მოდელი გულისხმობს გარკვეული ელემენტების შეჯერებას როგორც სოლიდარული, ასევე დაგროვებითი საპენსიო სქემების მოდელებიდან. ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ ამცირებს რისკებს და ზრდის მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობის განსაზღვრისას (1).

საქართველოში პარლამენტმა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტი თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, მესამე მოსმენით მიიღო.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულ კანონთა პაკეტი საპენსიო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარ მიზანსაც საქართველოში არსებული სოციალური სისტემის სრულყოფა წარმოადგენს.

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, გარდა დასაქმებულისათვის, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი), შესაბამისად ნებაყოფლობითია ყველა დასაქმებულისათვის, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი).

თითოეული დასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ხელფასის მიღებისთანავე.

თითოეული თვითდასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე კანონის ამოქმედებიდან მის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე. თითოეული თვითდასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში წევრიანდება ნებაყოფლობით.

კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა რეგულაციებსაც იმ პირთათვის, ვისაც არ სურს ამ სქემაში ჩართვა ან იყო ჩართული და აღარ სურს მისი გაგრძელება.

დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი და არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლება აქვს გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გაწევრიანებიდან ხუთი თვის განმავლობაში, მაგრამ არანაკლებ სამი თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაქმებული რჩება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილედ.

ამ კანონის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება საპენსიო შენატანების განხორციელება. ის მორგებულია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის რეალურ სურათზე და ემსახურება ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური აღმავლობის სტიმულების შექმნას, კერძოდ: დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებული და თვითდასაქმებული პირებისთვის საპენსიო შენატანების დაფინანსება განხორციელდება დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის შენატანების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი სახით:

ხელფასის გაცემისას თითოეული დამსაქმებელი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით განახორციელებს შენატანს მასზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის **2%-ის** ოდენობით (2).

დამსაქმებელი ასევე დასაქმებულის სახელით, მის საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით გასაცემი დასაბეგრი ხელფასის **2%-ს** გადარიცხავს. დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თვითდასაქმებული განახორციელებს შენატანს თავისი წლიური შემოსავლის **4%-ის** ოდენობით.

სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს **2%-ს** დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ **24 000** ლარს, ხოლო **1%-ს** მონაწილის მიერ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე **24 000** ლარიდან **60 000** ლარამდე.

სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს მონაწილის მიერ წლიურად დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება **60 000** ლარს.

საინტერესოა, რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე დასაქმებულისათვის.

როგორ და როდის განკარგავს დასაქმებული საპენსიო ანგარიშზე დაგროვილ თანხებს? საპენსიო აქტივები, რომლებიც დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე იქნება, წარმოადგენს მონაწილის საკუთრებას. აღნიშნულ საკუთრებაზე განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას (3).

მონაწილე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ უფლებამოსილია, მიიღოს საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივის ღირებულების შესაბამისი მოცულობის თანხა მთლიანი თანხის ერთიანი გადახდის ან პროგრამული ყოველთვიური გატანის (პროგრამულად გასაცემი თანხის ოდენობა გამოითვლება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისათვის რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე გაყოფით) ფორმით.

კანონი ითვალისწინებს უამრავ სხვა რეგულაციასაც, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სიტუაციებში თანხის გატანის და გადახდის სხვა პირობებსაც. ამ კანონის მიხედვით, მარეგულირებელი ორგანო -საპენსიო სააგენტო, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მოექცევა, ეს კი ნიშნავს იმას, რომ საპენსიო სისტემაში აკუმულირებული თანხები, ეკონომიკაში შევა ქვეყნის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში.

გამომდინარე იქედან, რომ საპენსიო სისტემაში ნებაყოფლობით ჩართულ მონაწილეს ეძლევა საშუალება, თავად აირჩიოს აქტივების მმართველი კომპანია, სადაზღვევო ბაზარზე კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ამ ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განმარტებით, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ელემენტს დანაზოგები წარმოადგენს, რომელთა ზრდა ინვესტიციების წახალისებასა და ეკონომიკური აქტივობის მატებაზე აისახება. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დანაზოგების დონე ზრდის დინამიკით ხასიათდება და ამ ტენდენციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია (4).

საპენსიო რეფორმა წარმოადგენს იმ ერთ-ერთ ფაქტორს, რაც ქვეყანაში დანაზოგების ზრდას შეუწყობს ხელს. ამას სხვა თანმდევი დადებითი ეფექტიც ექნება. ეს, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში გრძელვადიანი ლარის რესურსის ზრდასა და ფინანსური ბაზრების გააქტიურებას.

კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინსტიტუციური ინვესტიორებისა და გრძელვადიანი ინვესტიციების არსებობა.

საპენსიო რეფორმა ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. კერძოდ, ქვეყანაში გაჩნდება გრძელვადიანი ინვესტირების შესაძლებლობა ეროვნულ ვალუტაში. საპენსიო რეფორმის წარმატება დამოკიდებულია მოზიდული საპენსიო დანაზოგის სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში სწორად დაბანდებასა და მართვაზე. შესაბამისად, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს სახსრების მოსაზიდად ახალი შესაძლებლობა გაეხსნებათ.

თუმცა, საპენსიო რეფორმით სარგებლობა არ იქნება ყველა ემიტენტის უპირობო შესაძლებლობა. საპენსიო აქტივების მმართველებს, როდესაც ისინი ინვესტირებას ფასიან ქაღალდებში ახორციელებენ, შეფასების საკმაოდ მკაცრი სისტემა გააჩნიათ.

იმისთვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ბაზრის მონაწილეებისა და პოტენციური ემიტენტების მიერ საპენსიო ფონდების გამოყენების შესაძლებლობა, ამისათვის მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა ზოგადი სტანდარტების ამაღლებაზე. ამაში იგულისხმება კომპანიებში მეტი გამჭვირვალობა და სანდოობა, გაუმჯობესებული კორპორატიული მართვის სტანდარტები და ა.შ. აღნიშნული მიმართულებით ეროვნულ ბანკს მრავალი პროექტი აქვს დაგეგმილი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. ბარბაქაძე, ხ. ჩუთლაშვილი, ა. სახელმძღვანელო ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, თბილისი, 2016. Barbaqadze, Kh. Chutlashvili, A. 2016. Textbook Financial Institutions and Markets, Tbilisi.
2. ბიზნესპრესნიუსი -bpn -01.08. 2018. Business pressnews
3. ბიზნესპრესნიუსი -bpn -44.06. 2018. Business pressnews
4. საქართველოს პარლამენტის ახალი ამბები - News – Parliament of Georgia, 16.07.2018.
5. ყველა სიახლე - allnews 06.08.2018.
6. <http://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/usa/122>
7. European parliament –Briefing. November 2015.



0204

თამარ ზირაქაშვილი

Tamar Ziraqashvili

ინფორმატიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი

Doctor of Informatics, Invited Specialist

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

Tbilisi Teaching University

**ბანკის ადგილისა და ფუნქციების ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები**  
**Methodological Basics of the Bank Place and Functioning Analysis**

**რეზიუმე:** კომერციული ბანკების საქმიანობამ მნიშვნელოვანი რეფორმირება განიცადა, როგორც საგადასახადო ინსტიტუტმა (აგენტმა). ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, საბანკო სექტორში საგადასახადო რეფორმები ხშირად გვაძლევდნენ საპირისპირო შედეგებს, მაგრამ გვექონდა აგრეთვე დადებითი შედეგებიც, რომელიც ეკონომიკის აღმავლობის შედეგად კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური, კომერციული, ბანკი, ფინანსები, საბანკო ოპერაცია.

**Abstract:** The activities of commercial banks have undergone significant reforming as a tax institution (agent). Due to the economical specifics, taxing reforms in banking field often give opposite results, although there have also been positive results which should be made even stronger due to economical progress.

**Keywords:** Economic, commercial, bank, finances, banking operations.

საბანკო სისტემის პირველხარისხოვან საბაზრო ელემენტად საბანკო მომსახურების საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა იურიდიულ პირებთან, გვევლინება თვითონ ბანკი, რომელიც მათ უწევს მომსახურებას.

ბანკის, როგორც კომერციული დაწესებულების განმარტება გულისხმობს მის საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას აქვს უფლება განახორციელოს საბანკო ოპერაციები, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით ეროვნული ბანკის შესახებ კანონით. ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეროვნულ და კომერციულ ბანკებთან ერთად ცალკე უნდა გამოეყოთ საბანკო სისტემის მესამე რგოლი—სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები. ძალიან ხშირად ნორმატიული აქტები არ ასახავენ მოვლენათა ფუნქციონალურ როლს და მათ არსს, რომელსაც განსაზღვრავენ და ამკვიდრებენ ისინი.

საერთაშორისო ეკონომიკური ლიტერატურა ამ საკითხზე არაერთმნიშვნელოვანია. აღნიშნულთან მიმართებაში გვაქვს ორი განსხვავებული მიდგომა და აზრი. პირველი, ბანკებს ახასიათებენ როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს ანდა ორგანიზაციებს – სპეციალიზებულ საბანკო-საფინანსო დაწესებულებებს. აღნიშნულის მაგალითად გვევლინება „ეკონომიკურ ენციკლოპედიაში“ მოცემული განმარტება სადაც აღნიშნულია, რომ „ფუნქციების განვითარებასთან ერთად იზრდება ბანკების, როგორც განსაკუთრებული კაპიტალისტური საწარმოების ზომები...“ მაგრამ, ამასთან ერთად: „ბანკები არის განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტები, რომელთა მთავარი ფუნქციაა ფულადი სახსრების აკუმულაცია, კრედიტების გაცემა, ანგარიშსწორების განხორციელება, მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების ემისია, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ა.შ.“ ანუ, ბანკის განსაზღვრება მოცემულია საკრედიტო სფეროში მისი ფუნქციის მეშვეობით. აქ იგულისხმება მისი სპეციალიზებული დაწესებულების ხასიათი.

საბანკო საქმიანობის სისტემური ორგანიზაციის თვალთახედვით, რომელიც ბანკს განსაზღვრავს როგორც დაწესებულებას ანდა ორგანიზაციას, ჩვენი მოსაზრებით მიუღებელია, რადგანაც მხედველობაშია მისაღები ბანკების მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის განვითარება-

ში და უპირველეს ყოვლისა მათი საქმიანობის საბოლოო შედეგები. ასევე გარკვეულწილად შეზღუდულად გვეჩვენება ბანკის დახასიათება, როგორც საკრედიტო დაწესებულება ანდა საკრედიტო ორგანიზაცია. ასეთ შეხედულებებს მივყავართ იქამდე რომ ბანკის საქმიანობა გავუთანაბროთ ძირითადად საკრედიტო ოპერაციების განხორციელებას. ბანკი სინამდვილეში ასრულებს სხვადასხვა ოპერაციების ფართო წრეს, მითუმეტეს ეს წრე თანდათან ფართოვდება. საბანკო საქმიანობის თანდათან გაფართოებას მივყავართ საკრედიტო ოპერაციების წილის შემცირებასთან და სხვა ოპერაციების წილის გადიდებასთან.

ფორმულირებანი, რომელიც მოცემულია ბანკების შესახებ კანონებში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ბანკი ეს არის დაწესებულება, რომელიც დაკავებულია სახსრების გადანაწილებით. ასეთ განმარტებაში კი არ ჩანს იმაზე მინიშნება, რომ ბანკები აკმაყოფილებენ საგადაამდელო საშუალებებზე მიმოქცევის მოთხოვნილებას და აგრეთვე ისიც, რომ ბანკები ახორციელებენ საანგარიშსწორებო და სხვა ფულად ოპერაციებს. აქცენტის გაკეთება საშუალებების გადანაწილებაზე – ანუ თანხების მობილიზაცია იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან და მათი განთავსება სესხებში, არ გვაძლევს პასუხს კითხვაზე, თუ როგორი სახით და საიდან განკარგავენ იურიდიული და ფიზიკური პირები იმ სახსრებს, რომლებიც შემდგომში ექვემდებარება ბანკების მიერ გადანაწილებას.

ამგვარად, მხედველობაში თუ მივიღებთ ბანკების მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის განვითარებაში, მათ მიერ მრავალრიცხოვანი სახეობის ოპერაციების შესრულებაში, თუნდაც უბრალოდ სახეობის გადარიცხვებმა შეიძლება მოგვცეს წარმოდგენა მათი მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ და დავახასიათოთ ის, როგორც საწარმო. მით უმეტეს ამგვარი მიდგომა ბანკისადმი ფართოდაა მიღებული მსოფლიო პრაქტიკაში და საკმაოდ ფართო აღიარება ჰპოვა „საბანკო მრეწველობის“ ცნებამ, რომლითაც ხაზი აქვს გასმული საბანკო საქმიანობის მწარმოებლურ ხასიათს.

საბაზრო მეურნეობის განვითარების შესაბამისად აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც ავტომატურად არ შეიძლებოდა აღმოფხვრილიყო. დარგობრივმა და საერთო-სამეურნეო კრიზისებმა, უმუშევრობამ, ფულის მიმოქცევაში გარკვეულმა დარღვევებმა, საერთაშორისო ბაზარზე გაცხოველებულმა კონკურენციამ, მოითხოვა ამ პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო რეგულირება ემსახურება სხვადასხვა ამოცანების ამოხსნას, რომლებიც წინა პლანზე გადმოიწევენ პრობლემის სიმწვავის პარალელურად და წარმოიშობა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ეს არის, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, დასაქმების რეგულირება, პროგრესული ძვრების წახალისება ამა თუ იმ დარგებში, სოციალური პოლიტიკა და საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება. სახელმწიფო ზემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მეთოდად გვევლინება გადასახადები, საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედება საწარმოებზე და საბანკო სისტემაზე.

გადასახადები – ეს არის საზოგადოებრივ წარმოებაზე, მის სტრუქტურაზე, დინამიკაზე ეკონომიკური ზემოქმედების მექანიზმი. მათი დახმარებით შესაძლებელია სტიმული მივცეთ, ანდა პირიქით შევზღუდოთ მათი საქმიანი აქტივობა. მამასადამე ხელი შევუწყოთ ამა თუ იმ დარგის სამეწარმეო საქმიანობის აღმავლობას, და წარმოების დანახარჯების შემცირებას, ეროვნული საწარმოებისა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მსოფლიო ბაზარზე. გადასახადები ქმნიან სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითად ნაწილს. საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ ეკონომიკაზე ფინანსური ზემოქმედების გაუმჯობესებას, მისი ხარჯვითი ნაწილის მეშვეობით. სავალდებულო გადასახდელების დაწესება და კონტროლი მათ სრულ და თავისდროულ გადახდაზე ბიუჯეტში, კანონით ევალება საგადასახადო სისტემას მისი ორგანოების სახით.

ამრიგად, საგადასახადო ურთიერთობებში, სპეციფიკურ დამოუკიდებელ მონაწილეთა შორის ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები პირდაპირ ცალკე არ არიან გამოყოფილნი, მაგრამ საგადასახადო კოდექსის ცალკეულ მუხლებში მითითებულია კომერციული ბანკების უფლებანი და მოვალეობანი, რაც ფაქტობრივად განსაზღვრავს მათ მნიშვნელოვან როლს საგადასახადო სისტემაში.

ბანკებისა და საგადასახადო ორგანოების ურთიერთობის თემა ყოველთვის აქტუალურია და ის ეხება არა მარტო ბანკების, არამედ მათი კლიენტის - გადასახადის გადამხდელის ინტერესებს. გადასახადის გადამხდელის საბანკო ოპერაციებში – ბანკების საიდუმლოებებისა და სახელმწიფო კონტროლს ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა სათანადო კანონმდებლობის შემუშავება და მისი გამოყენება.

სამწუხაროდ საგადასახადო კანონმდებლობა, როგორც წესი, ვერ პასუხობდა მათ წინაშე მდგომ საგადასახადო პრობლემებს, რომლებიც მთლიანად ვერ პასუხობდა ბანკების დაბეგვრაში არსებულ ნეგატიურ მომენტებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**References:**

1. კაკულია, მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2001. Kakulia, M. Problems of Development in Monetary system in Georgia, Tbilisi, 2001.
2. ზირაქაშვილი, თ. საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2009. The Ways of Improvements between Georgian Commercial Banks and Taxing System. Master's thesis, T. Ziraqashvili for acquiring academic degree, Tbilisi, 2009.
3. ცაავა, გ. საბანკო საქმე, თბილისი, 2005. Tsaava, G. Banking, Tbilisi, 2005. ხელაია, გ. ფული, ბანკები და ბირჟები, თბილისი, 1996. Khelaia, G. Money, Banks and Stock Markets, 1996.

0204

ლია ოტიაშვილი

Lia Otiashvili

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

Ph.D. Student of Business Administration

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტი

Tbilisi Teaching University, Assistant

**ფინანსური ბიუჯეტირების როლი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში**

**The Role of Budgeting in the Management System of Georgia's Higher Educational Institution**

**რეზიუმე:** ნაშრომში გაანალიზებულია ფინანსური ბიუჯეტირების როლი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში. ნაშრომში გაანალიზებული არის რა ინოვაციური გზა გავლელ საგანმანათლებლო სფერომ. ჩემი მიზანი იყო ფინანსური ბიუჯეტირების როლის შესწავლა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის სისტემაში. ნაშრომში განხილულია რა ცვლილებები განხორციელდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების კუთხით როგორც საქართველოში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში, აგრეთვე განხილული და გაანალიზებულია ის, თუ როგორ გაიზარდა გამოწვევები საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც მოითხოვს უფრო ეფექტურ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრებს და სხვადასხვა არასახელმწიფო წყაროების მოზიდვას.

**საკვანძო სიტყვები:** საბიუჯეტო პროცესი, საბიუჯეტო სახსრები, ოპტიმიზაცია, მოდერნიზება, ფინანსური მენეჯმენტი.

**Abstract:** The paper analyzes the role of budgeting in the management system of Georgia's higher education institution and what an innovative way has undergone the educational sphere. The aim of the paper is to study

the role of financial budgeting in the management system of the higher education institution of Georgia. The paper discusses the changes that have been made by the state funding of higher education both in Georgia and in the different countries, and also reviews and analyzes the problem that concerns the increasing challenges in the educational sphere, which requires more effective state (budgetary) opportunities and attraction of various non-governmental sources.

**Keywords:** budgetary process, budgetary opportunities, optimization, modernization, financial management

განვითარების ინოვაციურმა გზამ, რომელიც ორიენტირებული არის ეკონომიკის განვითარებაზე, გამოიწვია განსაკუთრებული ცვლილებები საგანმანათლებლო სფეროში.

არსებობს ფართო აღიარება იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანური უნარები და ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური კეთილდღეობისა და სოციალური კეთილდღეობის ხერხემალია. ინდივიდუალური და სოციალური პროგრესი, თანამედროვე ცოდნა ეკონომიკასა და საზოგადოებაში ტექნოლოგიურად მიღწეული პროგრესია (14, 16).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნები ცდილობენ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა მაღალკვალიფიციური სამუშაო კადრის შექმნით, სწორედ ამ კონტექსტში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ კრიტიკულ ფაქტორს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში.

მასიური გაფართოებით ხასიათდება დღეს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე, ჩნდება ახალი ე.წ. „მოთამაშეები“ ბაზარზე ანუ იქმნება ახალი ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც ემატებათ ახალი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს უფრო მრავალფეროვან და მრავალასპექტიან პროფილებს სთავაზობენ.

1970 წელს იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის (UIS) მონაცემებით, დაახლოებით 32.5 მილიონი სტუდენტი სწავლობდა მთელ მსოფლიოში, ხოლო 2010 წელს ეს მონაცემები გაიზარდა 100 მილიონამდე და 2010 წელს კი 178 მილიონამდე, რაც დაახლოებით 4.3 % საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელს უტოლდება.

სტუდენტთა რიცხოვნობის ზრდასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი ფაქტორი. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არის განათლებული სამუშაო ძალის აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების კუთხით როგორც საქართველოში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში. გაიზარდა გამოწვევები საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც მოითხოვს უფრო ეფექტურ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სახსრებს და სხვადასხვა არასახელმწიფო წყაროების მოზიდვას.

უმაღლესი განათლების საბიუჯეტო პროცესი მიზნად ისახავს სახელმწიფო საგანმანათლებლო მიზნების დაკმაყოფილებას დაფინანსების უზრუნველყოფით, რომელიც გარკვეულწილად უნდა იყოს მოქნილი. ზოგადად სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი თანხები (დაფინანსება) იშვიათად არის საკმარისი იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეძლონ ყველა არსებული ხარჯების დაფარვა, ეს იქნება თანამშრომელთა ხელფასები, კომუნალური გადასახადები, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ბაზარზე, ახალი პრიორიტეტებისა და გამოწვევების დაკმაყოფილება. პარალელურად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევებში თავს იჩენს ხოლმე აგრეთვე ინფლაციური პროცესებიც.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძირითადი ამოცანა არის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე ფინანსური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ამისათვის ისინი მუდმივად ისწრაფვიან, რომ იყვნენ ეკონომიურად დამოუკიდებლები და შეინარჩუნონ ფინანსური მდგრადობა, რომლისთვისაც ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ბერკეტი არის საბიუჯეტო სახსრები. დღეისათვის მწვავე საკითხად დგას უნივერსიტეტების ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები, რომელთა საქმიანობის ეფექტურობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას. აუცილებელია უნივერსიტეტებში უფრო ეფექტური ფინანსური მართვის სისტემა არსებობდეს. საბა-

ზრო ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტების განვითარების მთავარი ფაქტორი არის მისი საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის ოპტიმიზაცია. ფინანსური დაგეგმვის ძირითადი საფუძველი არის მისი ბიუჯეტირება. ამავდროულად, ბიუჯეტის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა, რისკების იდენტიფიცირება და მათი დონის შემცირება, ასევე მისი დაფინანსების მოქნილობის გაზრდა.

გასათვალისწინებელი არის ის გარემოება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2018 წლისათვის მოსთხოვა ავტორიზაციის 3 სტანდარტის ნაცვლად 7 სტანდარტის დაკმაყოფილება, სადაც მკაცრად და მკაფიოდ არის განსაზღვრული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების საკითხი, თვითონ ფინანსური რესურსები. კერძოდ ავტორიზაციის მეექვსე სტანდარტის თანახმად:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უნდა უწყობდეს ისეთ სამეცნიერო-კვლევით-შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საკვლევ პრობლემასთან/შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებას;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები. აღნიშნული სტანდარტი დასტურდება ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევების, განვითარებისა და შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების დინამიკით ბოლო 5 წლის განმავლობაში, ანუ უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა და კვლევების დაფინანსების პროცედურები უნდა იყოს საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი.

რაც შეეხება ავტორიზაციის მეშვიდე სტანდარტს იგი გულისხმობს:


- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო კვლევების მუდმივად განხორციელებისათვის არსებობს შესაბამისი და საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის თანაბარ პირობებში;
- ბიუჯეტიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ადეკვატური ფინანსური სახსრები სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, პოსტდოქტორანტების ისეთი აქტივობების დასაფინანსებლად, როგორებიცაა: კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაცია და სხვ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტის ჩატარებას, რომლის შედეგად შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ვინაიდან სტანდარტი გვეუბნება, რომ კვლევების დაფინანსება უნდა იყოს საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი, აგრეთვე აუდიტორის დასკვნა უნდა იყოს საჯარო და უნივერსიტეტის ბიუჯეტი უნდა იყოს ყველასათვის ცნობილი, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარებული კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ არ იცნობენ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს (სქემა 1; სქემა 2).

ა) 52 გამოკითხული სტუდენტიდან გამოიკვეთა შემდეგი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს არ იცნობს - 98 %.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის დაგეგმვაში არ იღებს მონაწილეობას -100 %.
3. არ ფლობს ინფორმაციას თუ რამდენად რაციონალურად იხარჯება თანხები - 100 %.
4. არ არის ინფორმირებული თანხის რა ნაწილს ხარჯავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტური აქტივობებისათვის - 100 %.
5. არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თანხის რა ნაწილი არის გამოყოფილი სტუდენტური თვითმმართველობისათვის - 100 %.
6. არ არის ინფორმირებული თანხის რა ნაწილი იხარჯება სტუდენტთა წახალისებისათვის - 100 %.


სქემა N1.



ბ) ხოლო გამოკითხული პროფესორებიდან გამოიკვეთა შემდეგი:

1. არ იცნობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს - 99.
2. არ ფლობს ინფორმაციას თუ რა თანხები იხარჯება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ კვლევით საქმიანობაში - 99.
3. არ იღებს მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის დაგეგმვაში - 100.
4. არ ფლობს ინფორმაციას თუ რამდენად რაციონალურად იხარჯება თანხები - 99.
5. არ ფლობს ინფორმაციას თანხის რა ნაწილი იხარჯება პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებებზე - 99.
6. არ ფლობს ინფორმაციას თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანხის რა ნაწილს გამოყოფენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაგეგმილი ტრენინგებისა და სიმპოზიუმებისათვის - 99.
7. არ არის ინფორმირებული თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დამტკიცებული ბიუჯეტიდან თანხის რა ნაწილს გამოყოფს გრანტის სახით - 99.
8. არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ თუ თანხის რა ნაწილს ხარჯავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შრომით ანაზღაურებაზე - 99.

სქემა N2



საბიუჯეტო სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა საქმიანობის კოორდინაციას, აუმჯობესებს კონტროლირებას და შიდა და გარე ფაქტორების ცვლილებების ადაპტაციას.

ფინანსური რესურსების მართვის მოდელი საშუალებას იძლევა უნივერსიტეტის ბიუჯეტი სწორად და მიზნობრივად იყოს განაწილებული, ხოლო თავისუფალი ფინანსური რესურსები უნდა იყოს გადანაწილებული უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართუ-

ლებებზე, რომლებიც გაზრდიან უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას (სქემა 2).

$$V^t = V^t + N^t_k = U^t(N^t_k) - R^t(N^t_k)$$

სადაც:

$V^t$  - არის ინვესტიციების ოდენობა დროში

$U^t$  - უნივერსიტეტის შემოსავლები

$U^t_o$  - უნივერსიტეტის ფინანსური შემოსავლები

$R^t$  - უნივერსიტეტის ხარჯები

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტში ბიუჯეტის შესრულების მექანიზმის განხორციელება, როგორც წესი, ხელს უშლის ბევრ გადაუჭრელ პრობლემას. უნივერსიტეტის საბიუჯეტო სისტემის შექმნის, განხორციელებისა და შენარჩუნების მექანიზმმა უნივერსიტეტებს საშუალება მისცა სტრატეგიული გეგმისა და მიზნების განხორციელებისათვის მათი ფინანსური რესურსები სწორად და მიზნობრივად იქნეს მობილიზებული.

უნივერსიტეტების ბიუჯეტირების უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების განაწილება.

საუნივერსიტეტო ბიუჯეტების განვითარება უზრუნველყოფს მისთვის მისაღები ვარიანტების შერჩევას, რომელიც გულისხმობს ხარჯების შემცირებას და დაფინანსების ეფექტურ განაწილებას.

ბიუჯეტის შემუშავებისას მათემატიკური მოდელირების გამოყენება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტიულ პროგნოზირებას, რომელიც საშუალებას მისცემს მის ხელთ არსებული თანხებიდან ხარჯები ეფექტურად იქნეს გამოყენებული უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. საბიუჯეტო მექანიზმები საშუალებას იძლევა მოახდინოს ინტეგრირება მართვის სფეროში თანმიმდევრობით დაგეგმვა, ანალიზი და კონტროლი. ბიუჯეტის ანალიზი და მოდელირება უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის ფულადი ნაკადების შესწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტის საქმიანობის წარმართვა ბიუჯეტირების მათემატიკური მოდელის საფუძველზე უზრუნველყოფს დროული და ინფორმაციული გადაწყვეტილებების მიღების მთავარ წყაროს.

ბიუჯეტის პროცესის მოდელირებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია მისი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მოდელირებული სისტემის სტრუქტურას, მისი ელემენტების თვისებებს და მათ შორის ურთიერთობების მოდელირების მიზნების მიღწევას (15, 4).

ზოგადად, როდესაც საგანმანათლებლო სისტემა განიცდის მოდერნიზებას, დაფინანსების სისტემაც საჭიროებს ადეკვატურ ცვლილებებს და მოითხოვს საბიუჯეტო სახსრების გაზრდას.

როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს ბიუჯეტს ღირებულებების თვალსაზრისით, განსაზღვრავს შემოსავლებს, ხარჯებს და ფინანსურ საქმიანობას, შემდგომ უკვე ბიუჯეტის ფორმირების გზით ხორციელდება მისი ფინანსური რესურსების მართვის პროცესი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

#### References:

1. ბოლონიის დეკლარაცია - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე - თბილისი, 1999. Bologna Declaration - European Higher Education Area - Tbilisi, 1999. <http://eqe.ge/res/docs/Boloniisdeklaracia1999.pdf>
2. ბერგენის კომუნიკე - 2005. Bergen Communiqué – 2005.
3. დობორჯგინიძე, რ. განათლების მენეჯმენტი, თბილისი, 2005. Dobotjginidze, R. Education management, Tbilisi, 2005

4. სართანია, ვ. ინტერნაციონალური ტენდენციები უმაღლესი განათლების სისტემაში, საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 2016, N2, გვ.44. Sartania, V. International trends in the higher education system, international-scientific practical journal, „globalizacia da biznesi“ (‘Globalization and Business’), 2016,N, gv. 44
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, (2017 წლის მდგომარეობით). Law of Georgia on Higher Education, (as of 2017) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23>
6. საქართველოს კანონი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი - Georgian Law - Budgetary Code of Georgia <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>
7. საქართველოს კონსტიტუცია. Constitution of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689>,
8. საქართველოს განათლების სისტემა და ევროკავშირის როლი. სამოქალაქო ჩართულების ცენტრი, 2014 Georgian education system and the role of the EU. Civic Engagement Center,2014.
9. The Financing methods of higher Education system - Birutė Pranevičienė, Aurelija Pūraitė; 2010.
10. Assessment of Higher Education Learning Outcomes; Karine Tremblay Diane Lalancette Deborah Roseveare Volume 1 – Design and Implementation, 2012.
11. Л.Л. Холод, Е.Ю. Хрусталеv, Модели процессов бюджетирования деятельности высшего учебного заведения, 2008. L.L. Xolod, E.J. Xrustalev, Models of budgeting processes of higher education institutions, 2008.
12. Арефкина Ю.А., Харламова Е.Е., МОНИТОРИНГ КАЧЕСТВА ФИНАНСОВОГО МЕНЕДЖМЕНТА ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ Волгоградский государственный технический университет Волгоград, 2015. Arefkina Y. Harlamova E.E. MONITORING THE QUALITY OF FINANCIAL MANAGEMENT EDUCATIONAL ORGANIZATIONS. Volgograd State University, Volgograd, 2015.

#### ინტერნეტრესურსები

##### Internet Sources

1. mes.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.07.2018; Last checked, 12.07.2018;
2. mof.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.07.2018; Last checked, 12.07.2018;
3. [www.eqe.ge](http://www.eqe.ge) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.07.2018; Last checked, 12.07.2018;



## 03 განათლება - Education

0301

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე

Mariam Meskhishvili-Efadze

სამართლის დოქტორი, პროფესორი

Doctor of Law, Professor

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Higher Education Institution “Education Academy”

განათლების ხარისხის მონიტორინგი საგამოცდო პროცესების მიხედვით  
ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში  
(მოწინავე ქვეყნების გამოცდილება)

Monitoring of Education Quality Accordance to Examination Processes  
in Innovative Educational Institutions  
(Experience of advanced countries)

II ნაწილი  
დასაწყისი იხილეთ „ერუდიტი“  
2018, №1  
Part II

**რეზიუმე:** სტატიაში საუბარია განათლების ხარისხის მონიტორინგის მნიშვნელობაზე. მითითებულია, რომ ის საშუალებას იძლევა სისტემატურად შეიკრიბოს, დამუშავდეს და დოკუმენტურად დალაგდეს შედეგები, პროცესები და გამოცდილება გადაწყვეტილების მიღების, სწავლების პროცესის, ცივილიზაციათა მართვისა და განმეორებითი მოდელირების დანერგვის პროცესში. მონიტორინგის ობიექტებად წარმოდგებიან როგორც განათლების ცალკეული ქვესისტემები, ასევე სხვადასხვა პროცესები, განათლების დონეები, მმართველობები, საქმიანობის ცალკეული ასპექტები. მონიტორინგი იძლევა ცოდნის დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას.

**საკვანძო სიტყვები:** მონიტორინგი, ცოდნა, საგანმანათლებლო დაწესებულება, განათლება.

**Abstract:** The paper focuses on the importance of **education quality monitoring**, points to an opportunity systematically collecting, processing and documentarily sorting the results, processes and experiences in the course of decision-making, teaching process, management of civilizations and introduction of repeat modeling. The objects of monitoring represent separate subsystems of education as well as different processes, education levels, boards of administration, individual aspects of the activity. Monitoring gives opportunity of observing the dynamics of knowledge.

**Key words:** Monitoring, knowledge, educational institution, education

განათლების მონიტორინგის ჩატარება ასტიმულირებს პოზიტიურ ცვლილებებს, ხოლო სასწავლო-აღმზრდელიობითი პროცესის მონაწილეებს მოტივირებულს ხდის ხარისხობრივი გარდაქმნებისათვის. შედეგად ხდება პროცესის ყველა მონაწილის საქმიანობის კორექტირება და კოორდინაცია.

განათლების ხარისხის მონიტორინგი წარმოადგენს განათლების სისტემის მართვის ეფექტურობის ამაღლების და სასწავლო პროცესების სრულყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას. სასწავლო პროცესის ხარისხისა და მოსწავლეთა სწავლების გამუდმებული მონიტორინგი განსაკუთრებულად აქტუალური ხდება განათლების რეფორმის პირობებში, როდესაც მიმდინარეობს განათლების შინაარსის განახლება, განათლების სტანდარტების შემოღება, მოსწავლეთა სასწავლო დატვირთვის ნორმალიზაცია.

განათლების ხარისხის მონიტორინგი აგებულია სწავლების პროცესის მიმართულების დიდაქტიკურ პრინციპებზე და ზრუნავს პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებაზე, პროფესიული საქმიანობის მოდელირებაზე, სისტემატიზებულიობასა და თანმიმდევრულობაზე, მოსალოდნელი შედეგების დიაგნოსტიკურობისა და პროგნოზირების შესაძლებლობაზე.

სამონიტორინგო კვლევებში, ინფორმაციის მიღება განათლების ხარისხის შეფასებისა და დიაგნოსტიკისათვის ხდება სრულიად სხვადასხვა საშუალებებითა და საინფორმაციო არხებით: სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, ანკეტირებით, საექსპერტო შეფასებით, კვალიმეტრული მეთოდებიტა და პროცედურებით.

მონიტორინგი საშუალებას იძლევა სისტემატურად შეიკრიბოს, დამუშავდეს და დოკუმენტურად დალაგდეს შედეგები, პროცესები და გამოცდილება გადაწყვეტილების მიღების, სწავლების პროცესის, ცვლილებათა მართვისა და განმეორებითი მოდელირების დანერგვის პროცესში. მონიტორინგი, როგორც ასეთი, აფასებს პროგრესს გეგმებთან დაკავშირებით და მიმდინარეობს რეალიზაციის ეტაპზე.

მონიტორინგის ობიექტებად წარმოდგებიან როგორც განათლების ცალკეული ქვესისტემები, ასევე სხვადასხვა პროცესები, განათლების დონეები, მმართველობები, საქმიანობის ცალკეული ასპექტები და სხვ. მონიტორინგს შეიძლება გააჩნდეს სახეობრივი დატვირთვა, მაგალითად, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური. ხოლო მის საკვლევ სფეროებს განეკუთვნება: საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობა; შიდასასკოლო მმართველობის ქმედითუნარიანობა; ინოვაციური საქმიანობის მდგომარეობა; მეთოდური მუშაობის შედეგიანობა; მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლაში წარმატებულობის დონეები; ცოდნის, უნარებისა და ჩვევების დაუფლება; საგნის სწავლების ხარისხი; სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირების საბოლოო შედეგების ანალიზი.

განათლების ხარისხის შეფასების ასახვის საგანგებო მცდელობები XV საუკუნეს უკავშირდება, როდესაც ევროპულ კულტურაში გადაიდგა ცოდნის ხარისხის შეფასებისათვის დისკრეტული შკალის შემოღების და მისი დოკუმენტირების პირველი ნაბიჯები. ამასთან ერთადვე ჩაისახა ცოდნის ხარისხის მონიტორინგის პრიმიტიული სისტემა, რომელიც დამყარებული იყო საშუალო მაჩვენებლების რაოდენობრივ განსაზღვრაზე ჯგუფების, ფაკულტეტების და სასწავლო დაწესებულებების მიხედვით.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან განვითარდა განათლების ხარისხის ტესტური სისტემა და ჩატარდა მისი სტანდარტიზაციის და საგანმანათლებლო პროცესების დინამიკაზე დაკვირვების პირველი ცდები. ამ ახალი მიმართულების გზის გამკვალავი იყო აშშ, სადაც ცოდნის შეფასების ეს ფორმა მიიღეს 1840 წელს.

XX საუკუნე განსაკუთრებულად მრავალმხრივი დაინტერესებით ხასიათდება განათლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების და მეთოდების მიებაში. საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც გაიმართა გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში, მანამდე არსებული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები რიგი მეცნიერების მიერ კრიტიკულად იქნა გადაფასებული. მაშინ პირველად დაისვა ცოდნის შეფასების ობიექტური ტექნოლოგიების დანერგვის და ცოდნის ხარისხის დინამიკის შესწავლის საკითხი მათ საფუძველზე.

XX საუკუნის შუა ხანებისათვის ინტენსიური პროგრესირება განიცადეს ტესტურმა ტექნოლოგიებმა. მსოფლიოში შეიქმნა განსაკუთრებულად ცნობილი ტესტირების ცენტრები: 1947 წელს აშშ-ში - ETS (en: Educational Testing Service - განათლების ტესტირების სამსახური), ხოლო 1958 წელს - CITO (Central Institute for Test Development - ტესტების შემუშავების ცენტრალური ინსტიტუტი) ნიდერლანდებში. სხვათა შორის, რევოლუციურმა აღტყინებამ რუსეთში ცოდნის შეფასებაზეც იმოქმედა და გასაბჭოების პირველ წლებში სცადეს ნიშნების გაუქმება, მაგრამ 1935 წელს კვლავ დაუბრუნეს პედაგოგიურ პრაქტიკას.

ამდენად, დღეისათვის „მონიტორინგის“ ცნება უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და განათლების ხარისხის მონიტორინგი სრულყოფილი განათლების ძირითადი, უმნიშვნელოვანესი და განუყრელი ნაწილია. თანამედროვე საზოგადოების ინტენსიურმა განვითარებამ და, უპირველეს ყოვლისა, მისმა ეკონომიკურმა შე-

მადგენელმა განსაზღვრა განათლების დინამიკის გამოკვლევა პედაგოგიკური მეცნიერების ცალკე განყოფილების ნიშნით. თვით განათლების ხარისხი წარმოდგება, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც ასახავს განათლების პროცესის მდგომარეობასა და შედეგიანობას საზოგადოებაში, მის შესატყვისობას საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მოთხოვნებთან და მოლოდინებთან პიროვნების სამოქალაქო, ყოფითი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და ფორმირებაში.

განათლების ხარისხი განისაზღვრება იმ მაჩვენებელთა ერთობით, რომლებიც ახასიათებენ განათლების დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს: სწავლების შინაარსს, სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საკადრო შემადგენლობას - რაც განაპირობებს მოსწავლე ახალგაზრდობის კომპეტენციის განვითარებას. ამდენად, განათლების ხარისხის მონიტორინგის ქვეშ იგულისხმება ყველა ამ ფაქტორების და პროცესების კვლევა დინამიკაში.

მონიტორინგის ორგანიზება ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეებზე, განათლების სისტემაში ობიექტური და სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად - განათლების ხარისხის კონტროლის, ანალიზისა და მართვისათვის. ეს, რაც შეეხება მიზანს, ხოლო განათლების მონიტორინგის უშუალო ამოცანებს წარმოადგენს:

1. განათლების პროცესის მიმდინარეობაზე განუწყვეტელი დაკვირვება;
2. განათლების პროცესში მიმდინარე ცვლილებების და მათი გამომწვევი ფაქტორების დროული გამოვლენა;
3. განათლების პროცესის ორგანიზაციაში ნეგატიური ტენდენციების თავიდან აცილება;
4. უმნიშვნელოვანესი პროცესების განვითარების მოკლევადიანი პროგნოზირება;
5. განათლების პროცესის ეფექტურობისა და სრულყოფილების შეფასება.

მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს როგორც განათლების პროცესი და მისი შედეგები, ასევე განათლების პროცესის ყველა მონაწილის პიროვნული მახასიათებლები, განათლების დაწესებულების მიმართ მათი მოთხოვნები და დამოკიდებულებანი.

სწავლების მონიტორინგი მოიცავს: 1. წარმატებებს სასწავლო დისციპლინებში, 2. ფსიქოლოგიურ განვითარებას, 3. პიროვნების სოციალიზაციას და ადაპტაციას. 4. ფიზიკურ განვითარებას და ჯანმრთელობას. 5. სწავლების მოტივაციას.

მონიტორინგის დახმარებით ხდება მოსწავლეთა მოსწრებისა და მათი ცხოვრების სოციალური პირობების კავშირის შესწავლა, რაც არა მარტო სწავლების პროცესის ხარისხის გარკვევას ემსახურება - არამედ მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და ჩვევებისაც, რაც მთელი სასწავლებლის, კლასის, ცალკეული მოსწავლის და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე დაკვირვების და საქმიანობის სრულყოფისათვის სამომავლო მიზანდასახულებების საწინდარია.

მონიტორინგი იძლევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების და გაუარესების დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას; როგორც სემესტრული, ისე თემატური და საკონტროლო შედეგების შედარების საშუალებას - რაც მასწავლებელთა და მშობლების შეფასებათა ობიექტურობისათვის დადებით ველს ქმნის. თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის ზრდაზე დაკვირვება ყოველ საგანში უზრუნველყოფს პირობებს პიროვნულად ორიენტირებული მიდგომისათვის და იმ სიტუაციის შესაქმნელად, როდესაც მოსწავლე მიისწრაფვის თვითსრულყოფისა და თვითორგანიზებულობისაკენ.

მონიტორინგის მთავარი ამოცანაა - სასწავლო პროცესის მდგომარეობაზე განუწყვეტელი დაკვირვება. მონიტორინგის პროცესში იჭრება შემდეგი საკითხები: მიიღწევა თუ არა განათლების პროცესში დასახული მიზნები; არის თუ არა დადებითი დინამიკა მოსწავლეთა განვითარების მხრივ, დიაგნოსტიკის წინა შედეგებთან შედარებით; შეესატყვისება თუ არა მოთხოვნათა დონე და სასწავლო მასალის სირთულე მოსწავლეთა მიერ ათვისების უნარს, არსებობს თუ არა წანამძღვრები მასწავლებლის საქმიანობის სრულყოფისათვის.

განათლების მონიტორინგის სისტემაში განსაზღვრავენ რამდენიმე დონეს. შიდა დონეზე მონიტორინგს ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია. აქ უნდა გამოიყოს მუშაობის ალგორითმი: ადმინისტრაცია - პედაგოგი - მოსწავლე - შედეგი - ჯგუფის შე-

დეგი - პედაგოგის ანალიზი - შედეგები საგანში ცოდნის საერთო შემოწმების კონტექსტში - პედაგოგის მუშაობის ანალიზი სხვადასხვა პარამეტრებით - მეთოდური დახმარების გაწევა პედაგოგისთვის - სასწავლო პროცესის კორექცია.

მონიტორინგის სისტემა საშუალებას იძლევა კომპლექსურად გაირკვეს ყველა ცვლილების ზემოქმედება, რომლებიც ხორციელდება სასწავლებელში. რამდენადაც მონიტორინგი წარმოადგენს ფუნქციონირების გარკვეულ სისტემას, მისი ორგანიზაცია დაკავშირებულია ანალიზისა და დიაგნოსტიკის სხვადასხვა ფორმების, სახეობების, მეთოდების იდეალური შეთანხმების გარკვევასა და ამორჩევასთან და ამის შედეგად ხდება კონკრეტული პედაგოგიური სიტუაციის სპეციფიკის გამოკვლევა. პედაგოგიური მონიტორინგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ხარისხიანი განათლების სამსახურის თაობაზე ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ორგანიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ქმედითუნარიანობაზე განუწყვეტელ დაკვირვებას, შემდგომი განვითარების პროგნოზირებას და აგრეთვე ინოვაციური გამოცდილების დაგროვების სისტემას.

მონიტორინგის ორგანიზაცია მოწოდებულია მონიტორინგის ობიექტების - მოსწავლეების, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის საქმიანობის სტიმულირებისათვის.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის მაჩვენებლების მეცნიერულად დასაბუთებული რეიტინგებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო განათლების დონეზე არ არსებობს განათლების ხარისხის შეფასების სახელმწიფო ცენტრალიზებული სისტემა. აშშ-ს კონსტიტუციაში არ არის ჩაწერილი ქვეყანაში განათლების ხარისხზე ფედერალური მმართველობის პასუხისმგებლობის საკითხი. ქვეყანას ისტორიულად მოსდგამს, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა დევს შტატების ადმინისტრაციებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, რელიგიურ თემებზე, კერძო პირებზე.

მოწინავე საზღვარგარეთული ქვეყნების განათლების ხარისხის მონიტორინგის სისტემების კვლევის შედეგები იძლევა მათი განვითარების ტენდენციების ასახვის საშუალებას თანამედროვე მსოფლიოს საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

ყველა ამ ქვეყანაში განათლების ხარისხის შეფასების სისტემებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქვთ კონკრეტული ფორმები, ითვალისწინებენ პრაქტიკულ საორგანიზაციო პროცესების შეფასებას და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ჩატარების დროს. გამოკვლევების შედეგად იკვეთება ტენდენციები, რომლებიც შეიძლება შემდეგ პუნქტებად ჩამოყალიბდეს:

1. უმრავლეს ქვეყნებში წარმოქმნილია განათლების დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო სისტემის მმართველი ორგანოებისაგან დამოუკიდებელი ან განათლების ხარისხის ნაწილობრივ დამოუკიდებელი შემფასებელი სტრუქტურები;

2. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები მიიღტვიან მმართველობის პროცესებისა და შეფასების პროცედურების ცენტრალიზაციისაკენ;

3. პრაქტიკაში ინერგება საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებელი ორგანოების მიერ გარე შეფასებისა და შიდა შეფასების მონაცემების შეჯერება საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების ობიექტური სურათის მისაღებად;

4. უკანასკნელ წლებში, შეფასების პროცესების შედეგების მიხედვით განათლების ხარისხის მდგომარეობის კონსტატაციის შემცვლელად გვევლინება განათლების ხარისხის შესწავლის ტენდენციებისა და გრძელვადიანი პროგნოზირების ინოვაციური მეთოდები. შეფასების პროცესების შედეგები იძლევა საგანმანათლებლო პროცესების მიმართულების კორექციის საშუალებას განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხდება განათლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების გამოყენება საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე;

5. აქტივიზებულია განათლების ხარისხის მართვისა და პედაგოგიური მონიტორინგის მიზანმიმართული სისტემატური გამოკვლევები;

6. საზღვარგარეთის ქვეყნებში განათლების ხარისხის შეფასება ღია სამოქალაქო ინსტიტუტების წარმომადგენელთათვის, პროფესიონალური გაერთიანებებისათვის, ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

განათლების ხარისხის საერთაშორისო მასშტაბის შედარებით გამოკვლევებში მონაწილეობა იქცა განათლების ხარისხის ასამაღლებელ მძლავრ ინსტრუმენტად ევროკავშირის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის იდეების გავრცელების პირობებში. თუკი ადრე განათლების ხარისხი განისაზღვრებოდა, უპირველეს ყოვლისა, განათლებაში ჩადებული რესურსების შემადგენლით, ამჟამად აქცენტი გადატანილია შედეგების შემადგენელზე, უპირველესად, მოსწავლეთა ცოდნაზე საბაზო სასწავლო დისციპლინებში, მათი კრიტიკული აზროვნების უნარზე და პრობლემათა გადაჭრის კრეატიულ გზებსა და საშუალებებზე.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის განსაკუთრებულად პერსპექტიული საშუალებაა პედაგოგიური მონიტორინგი. ეს არის საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების მდგომარეობისა და ხარისხის სადიაგნოსტიკო საშუალება.

პედაგოგიური მონიტორინგის უმთავრესი საგანია თვით პედაგოგიური სისტემა მთლიანობაში, სადაც გამოიყოფა რამდენიმე მსხვილი ბლოკი:

პირველ ბლოკს განეკუთვნება საკითხები, რომლებიც მოსწავლის პიროვნებას ეხება: განვითარების დონე, სწავლაში წარმატება, ზნეობრიობა, ჯანმრთელობა და სხვ.;

მეორე ბლოკი მოიცავს უშუალოდ საგანმანათლებლო სისტემას: სასწავლო გეგმებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, რეალიზებულ პედაგოგიურ ტექნოლოგიებს, საგანმანათლებლო პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, სასწავლებლის საქმიანობის სასწავლო მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

მესამე ბლოკს განეკუთვნება ინფორმაცია პედაგოგიური კოლექტივის შესახებ. ეს არის მისი ხარისხობრივი დახასიათება: პედაგოგიური კადრების პროფესიული კომპეტენციის დონე, კვალიფიკაციის ამაღლების სასკოლო სისტემის ეფექტურობა

პედაგოგიური მონიტორინგის სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას იძლევა სასწავლებლის ცხოვრების ყველა მოვლენის განხილვა მოხდეს პედაგოგიური ანალიზის პრიზმაში. წარმოებს დასახული ამოცანების განუწყვეტელი შეჯერება მიღებულ შედეგებთან, კორექტირებას განიცდის მმართველობითი საქმიანობის ყველა სახეობა და ხდება ერთიანი პედაგოგიური პროცესის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების გზებისა და საშუალებების გამოვლენა.

პედაგოგიური მონიტორინგის წარმატებისათვის, იგი უნდა ხორციელდებოდეს სამ ეტაპად: პირველი, მოსამზადებელი ეტაპის ღონისძიებებია - მიზნის დასახვა, ობიექტის განსაზღვრა, ჩატარების ვადების დადგენა, სათანადო ლიტერატურის გაცნობა, არსებული პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა, მონიტორინგის ჩასატარებელი ინსტრუმენტების შემუშავება.

მეორე ეტაპზე, რომელიც მონიტორინგის პრაქტიკულ ნაწილს მოიცავს, ხდება ინფორმაციის შეკრება - დამუშავება და დაგროვება (ექსპერტ-გამოკითხვა, დაკვირვება, დოკუმენტაციის ანალიზი, გაკვეთილებზე დასწრება, კონტროლი, ანკეტირება, ტესტირება).

მესამე ეტაპზე სრულდება მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური სისტემატიზაცია, არსებულ მონაცემთა ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო პერიოდისათვის.

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტენდენციებია დასახული მსოფლიო განათლების სფეროში, ანალიზისათვის არჩეულ იქნა ხუთი ქვეყანა, რომელთაც მაღალი შედეგები აჩვენეს ისეთ ავტორიტეტულ მონიტორინგულ გამოკვლევებში, როგორცაა PISA და TIMSS (დიდი ბრიტანეთი, ჰონკონგი, კანადა, ფინეთი და საფრანგეთი).

ეს ქვეყნები ფრიად წარმატებულნი არიან და მათში გადამწყვეტი ცვლილებებისათვის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. მაგრამ, გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სიტუაცია განათლების ხარისხის შეფასების სფეროში ამ ქვეყნებში იცვლება ელვის სისწრაფით: უკანასკნელ წლებში მოხდა განახლებები სტანდარტების ფორმულირებებში, გამუდმებით ხდება სერ-

ტიფიკაციის განახლება საშუალო განათლების შედეგების მიხედვით, ჩნდება, აპრობირდება და აქტიურად გამოიყენება გარე ატესტაციისა და ტესტების ახალი თაობების ახალი ფორმატები. უცილობლად წარმოიქმნება თვალსაზრისი, რომ ინტენსიური ცვლილებები - ეს არის სწორედ ქმედითი, ანუ განახლებადი სისტემა, რისი მახასიათებლების გარკვევაც საინტერესო და სასარგებლოა.

საზღვარგარეთის საგანმანათლებლო სისტემების ანალიზი უჩვენებს, რომ დღეს პირდაპირი გაგებით არ არსებობს „საშუალო“ სკოლის ცნება: ერთსა და იმავე კედლებში ბავშვებმა შეიძლება მიიღონ განათლება, რომელიც მკვეთრად იქნება განსხვავებული, როგორც სასწავლო საგნების ერთობლიობით, ასევე ათვისების დონით, იბადება კითხვა: რაგვარად შეიძლება დადგინდეს განათლების ხარისხის ერთიანი შეფასება, თუ თვით განათლება გახდა რადიკალურად ინდივიდუალიზებული? როგორ იცვლება ამ პირობებში ხარისხის სისტემის შეფასების ფუნქციონირების მიზნები და საშუალებები.

განათლების მიღწევების შეფასების პარამეტრები ყალიბდება ყოველ ქვეყანაში მიღებული სტანდარტების სისტემის მიხედვით, რამდენადაც სტანდარტები ფორმულირებულია როგორც საგანმანათლებლო შედეგები. პარამეტრები განირჩევიან დონეების მიხედვით: ფასდება მასალის ცოდნაც და ამოცანების გადაწყვეტისას ამ ცოდნის გამოყენების უნარიც. კანადაში, სახელდობრ, დამამთავრებელ კლასების შეფასებათა სისტემაში წარმოდგენილია ანგარიში შემდეგი უნარების მიხედვით: ა) დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ბ) გუნდური მუშაობის უნარი, გ) საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარი, დ) ინიციატივიანობა, ე) საშინაო დავალების შესრულება (Work Habits).

უახლოეს პერიოდში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით დაგეგმილია მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ამოქმედება, რაც საჯარო სკოლების მონიტორინგს კიდევ უფრო სრულყოფილს და ეფექტურს გახდის. ასევე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 დეკემბრის N199/ნ ბრძანების მე-12 მუხლის "ა,გ,ვ,ი,ო" ქვეპუნქტების საფუძველზე, ახორციელებს მონიტორინგს შემდეგი მიმართულებებით:

\*პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების განხორციელების მონიტორინგი;

\*სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;

\*სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

\*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის კოორდინაცია და მონიტორინგი;

\*მონიტორინგისა და შეფასების გეგმების შედგენა და განხორციელება”.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014. Strategic Directions for Development of Education and Science System (Reviewed Version) Ministry of Education and Science of Georgia, <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia.pdf>
2. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2005. Law of Georgia on General Education. 2005. <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>
3. ს. ჯანაშია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში S. JanaSia – General Education Quality Assurance System in Georgia [https://www.files.ethz.ch/isn/113655/45\\_475\\_821174\\_CIPDDeducationqualityassuranceGeo.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/113655/45_475_821174_CIPDDeducationqualityassuranceGeo.pdf)

4. Accreditation and the Role of the Council on Post-secondary Accreditation – Washington, 1990- 143p.
5. Akkreditierungsrat: Work Report 2000/2001/ Bonn: Head Office of the Akkreditierungsrat, 2002. – 73 p.
6. Arcago J.S. Quality in Education: An Implementation Handbook. — Abington: St.Lucie Press, 1995. — 192
7. Bottani N. Tuijnman A. – The design of indicator systems – pp 47 – 78. Oxford: Pergamon.
8. Bradley S., Taylor J. The report card on competition in schools. [Adam Smith Institute]. London, 2002. Available at: <http://www.adamsmith.org/sites/default/files/images/uploads/publications/bradley-taylor-final.pdf>.
9. *Campbell C., Rossnyai C. - Handbook on Quality Assurance and the Design of Study Programmes.* - Bucharest: UNESCO / CEPES, 2002. - 76 p.
10. Comité national d'évaluation — <https://www.cne-evaluation.fr/>
11. Crea T. M., Reynolds, A. D., Degnan, E. Parent Engagement at a Cristo Rey High School: Building Home-School Partnerships in a Multicultural Immigrant Community // Journal of Catholic Education. 2015. Vol. 19. № 1. Available at: <http://dx.doi.org/10.15365/joce.1901112015>
12. Crocker L/ Algina J/ Introduction to Classical and Modern Test Theory. Univ.Of Florida. HBICP. 1986. 64 p.
13. Education in the Netherlands - [https://en.wikipedia.org/wiki/Education\\_in\\_the\\_Netherlands](https://en.wikipedia.org/wiki/Education_in_the_Netherlands)
14. *Educational Testing Service (1992). "The Origins of Educational Testing Service."* Princeton, NJ:ETS.
15. Fitz-Gibbon C.T. - Monitoring the Quality of Education - 1996, p. 3.
16. Gordon G Approaches to effective internal processes to quality management: an initial analysis // Tertiary Education and Management/ Vol.4 No.4. 1998. p. 295-301.

0301

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე

Mariam Meskhishvili-Efadze

სამართლის დოქტორი, პროფესორი

Doctor of Law, Professor

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Higher Education Institution “Education Academy”

საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის

სრულყოფა თანამედროვე პირობებში

Perfection of Educational Institution Management in Modern Conditions

II ნაწილი

დასაწყისი იხილეთ „ერუდიტი“

2018, №1

Part II

**რეზიუმე:** საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სრულყოფისათვის თანამედროვე პირობებში დაწესებულებების ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ სტრატეგიული პროექტირების, დაწესებულებაში მიმდინარე სისტემური მოდელირების, პედაგოგიურ კოლექტივში ეფექტური პროვენებათმორისი და პროფესიული კომუნიკაციების ორგანიზების უნარებს. ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ კოლექტივში დადებითი შედეგების მისაღწევად საერთო საქმიანობის მიზანმიმართულებასა და ორგანიზებულობას, ჰქონდეთ მენეჯმენტის გარკვეული გამოცდილება, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების და განათლების სფეროში არსებული საკანონმდებლო ვითარებათა ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანია მმართველობითი კულტურაც სამუშაო კოლექტივში საჭირო მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.

**საკვანძო სიტყვები:** საგანმანათლებლო დაწესებულება, დაწესებულებების ხელმძღვანელი, განათლება, განათლების ხარისხი.

**Abstract:** In modern conditions for the perfection of educational institutions, the heads of institutions should possess strategic design, systemic modeling in the institution, effective interpersonal and professional communications organizing skills in the teaching staff.

They should ensure the purposefulness and organization of common activities to achieve positive results in a team, have a certain experience in management, the changes in the state and society and knowledge of legislative situations in the field of education. It is also important managing culture to create and maintain a moral-psychological atmosphere.

**Key words:** Educational Institution, Head of Institutions, Education, Quality of Education.

XXI საუკუნის განათლება წარმოადგენს სუბსტანცს თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად, თუმცა იმ ისტორიული ფაქტების მოყვანაც შეიძლება, რომლებიც გვამცნობენ საზოგადოებაში განათლების სფეროს მნიშვნელობას, განურჩევლად დროისა და სოციალური წყობილებისა.

განათლების როლი საზოგადოების ცხოვრებაში დიდწილად განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც ასრულებენ საზოგადოებრივ განვითარებაში ადამიანების ცოდნა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, საკუთარი პროფესიული და პიროვნული თვისებების განვითარების შესაძლებლობები. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს აქტიური, მიზანმიმართული და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც ხელეწიფება წარმატებით შეასრულოს სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვალეობანი დღევანდელ ცვალებად პლურალისტურ სამყაროში (14).

განათლების სისტემაში მთავარი მიზანი გულისხმობს ადამიანის, როგორც პიროვნების და მოქალაქის ჩამოყალიბებას. მთავარ სოციალურ ფასეულობას წარმოადგენს არა სახელმწიფო, არა საზოგადოება, არა სოციალური ჯგუფი, არამედ ცალკეული ინდივიდუმი - იზრდება ინდივიდუალური შრომისა და განათლების როლი. საინფორმაციო პროცესების ინტენსიფიკაციის პირობებში, საზოგადოების წევრების მიერ მიღებული ცოდნა სწრაფად ძველდება. ამდენად, იზრდება საზოგადოების ყველა წევრის განათლების მოთხოვნა, რაც უნდა გახდეს უწყვეტი, მისაწვდომი, განვითარებადი და წინმსწრები.

განათლების სისტემაში ნიშანდობლივი ფაქტორია სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების მაღალი ხარისხის დონეს. მათ შორის არის: კომპიუტერისა და საინფორმაციო ტექნოლოგიები; კავშირგაბმულობის თანამგზავრული სისტემა; სასწავლო ტელევიზია და ვიდეოკასეტები; მასობრივი ტელეფონიზაცია; გლობალური და რეგიონალური ქსელები (ინტერნეტი და მისთ.).

თანამედროვე განათლების მნიშვნელობა მოითხოვს განათლების არსებული სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, რომელიც უკვე ვეღარ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს და არ ძალუძს მომავლისათვის ადამიანების დროული უზრუნველყოფა, რაც სულ ახალსა და ახალ პრობლემებს აყენებს კაცობრიობის წინაშე.

განათლების განვითარების მსოფლიო ტენდენციები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. განათლების ფუნდამენტალიზაცია;
2. განათლების ინდივიდუალიზაცია;
3. განათლების თეორეტიზაცია;
4. პლურალიზმი განათლებაში;
5. განათლების აქსელერაცია.

განათლების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორცაა იუნესკო, ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი და მისთ. ეს ორგანიზაციები ატარებენ საერთაშორისო კონფერენციებს განათლების პრობლემებზე, აფორმებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს დიპლომების ურთიერთცნობაზე, შეიმუშავებენ სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც ეხმარებიან აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების მოსწავლეებს უკვე ჩამოყალიბებულ განათლების სისტემებში ჩასართველად (3).

უკანასკნელ წლებში მსოფლიო სამეცნიერო გაერთიანებაში სულ უფრო ნათლად იკვეთება განათლების როლის ზრდა ცივილიზაციის შემდგომი განვითარების პროცესში. ამასთანავე, განათლების სისტემა უკვე აღიქმება არა მარტო როგორც ამა თუ იმ ქვეყნის ტექნოლოგიურ და



სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, არამედ როგორც ცივილიზაციის გადარჩენის სტრატეგიულ ფაქტორადაც (1).

განათლების განვითარება აგებულია სტრატეგიულ ორიენტირებზე, რომლებიც ტექსტუალურად გაფორმებულია სორბონის, ლისაბონისა და ბოლონიის კონვენციებში. განათლების ეროვნული სისტემებისთვის კონვენციის დებულებებზე დაყრდნობა იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მრეწველობისა და ეკონომიკისთვის არის აუცილებელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების დაცვა. უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სისტემის განვითარება ხელმძღვანელობს ბოლონიის კონვენციის დებულებებით, რომლებიც შემდეგ საკვანძო პოზიციებს ემყარება:

1. ორციკლიანი სწავლების შემოღება. 2. საკრედიტო სისტემის შემოღება. 3. განათლების ხარისხის კონტროლი. 4. მობილურობის გაფართოება. 5. კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა. 6. განათლების ევროპული სისტემის მომხიბლაობის უზრუნველყოფა (19).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განათლების მართვის სფეროში გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი პრობლემები: განათლების მართვის სხვადასხვა დონეებზე ფუნქციების, უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობების კოორდინაცია; განათლების მართვის საზოგადოებრივი შემადგენლის განვითარების უზრუნველყოფა - განათლების მართვის სისტემაში უწყებრიობის გადალახვა; განათლების მართვის ორგანოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებრიობისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის შეიქმნას სრულფასოვანი საინფორმაციო-სტატისტიკური უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით განათლების მართვის სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებად წარმოადგენენ: განათლების დაწესებულებების ავტონომიების შემდგომ გაფართოებას, ერთდროულად მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზრდით; განათლების მართვის ყველა დონის ორგანოთა კომპეტენციის, უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობის დაზუსტებას და მათი ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველყოფას; გადასვლას განათლების სისტემის გამანაწილებელი და დირექტიულიდან - რეგულირებად მართვაზე; განათლების მართვის საზოგადოებრივი ფორმების განვითარებას (5,6).

განათლების მართვის სრულყოფის ძირითად მიმართულებათა განხილვა მოითხოვს განათლების მოდერნიზაციისა და რეფორმირების განსაკუთრებულ თავისებურებებში წვდომას. ეს კი გულისხმობს განათლების საკითხებისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას. ხოლო სახელმწიფო წარმოადგენს რესურსების ძირითადს, თუმცა არა ერთადერთ რესურსების წყაროს განათლებისათვის. ასეთ პირობებში სახელმწიფო განიხილება, როგორც ცვლილებათა წყარო და მოდერნიზებული პროცესების ინიციატორი.

განათლების მართვის გაუმჯობესებისა და სრულყოფის გეგმებში მოიაზრება პროგრამები და სტანდარტები, რომელთაც ახორციელებენ საგანმანათლებლო დაწესებულებანი, განათლების მართვის ორგანოები, ქვემდებარე უწყებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი. მართვის ორგანოები განათლების სისტემის მხოლოდ ერთი ელემენტია და თუ ისინი გამოვლენ ცვლილებათა ინიციატორებად, ასეთივე ინიციატორებად შეუძლიათ თავის წარმოჩენა განათლების სისტემის სხვა ელემენტებსაც.

განათლების მართვის ორგანოების განსაკუთრებული სტატუსი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ისინი, ერთი მხრივ, თავისი არსით წარმოადგენენ განათლების სისტემის ელემენტს და ამიტომ ჩართულნი არიან ელემენტებს შორის ურთიერთობებში, რითაც სხვებთან ერთად განსაზღვრავენ სისტემის მდგომარეობას. მეორე მხრივ, ისინი იმყოფებიან ეგრეთ წოდებული „დამკვირვებლის“ როლში, განათლების სისტემას იხილავენ, როგორც ობიექტს ზემოქმედებისათვის, ანალიზებენ ამ ობიექტის მდგომარეობას და შეაქვთ ცვლილებები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ამ ობიექტის ვითარებაზე, ამ შემთხვევაში - განათლების სისტემაზე (15).

„დამკვირვებლის” ზემოქმედებათა ერთობლიობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განათლების მართვა. მართვის ორგანოს მოეთხოვება ის მმართველობითი მოქმედებანი, რომლებიც მის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ წაყენებული მოთხოვნები სასწავლო დაწესებულებების მიმართ თავსდება შემდეგ პარამეტრებში:

1. სისტემაში თვითგანვითარების პროცესებისათვის ხელშეწყობა,
2. განათლების ხარისხის კონტროლი,
3. სასწავლო დაწესებულებების საქმიანობაში ჩარევის მინიმუმიზაციამდე დაყვანა.

ეს უნდა იქცეს საგანმანათლებლო პოლიტიკის ქვაკუთხედად. სხვა საკითხია, ამ პოლიტიკის რეალიზაციის გზებისა და საშუალებების მიგნება (10).

სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად, მწიფდება თეორიული იდეებისა და პრაქტიკული მოქმედებების განახლების მოთხოვნილება მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების სფეროში.

ახალგაზრდობის ჰუმანურ იდეალებსა და დემოკრატიული სულისკვეთებით აღზრდილობის დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა არა მხოლოდ მოსწავლეებთან მუშაობის შინაარსობრივ ცვლილებას, მიზნების განახლებას, მეთოდების დახვეწასა და აღზრდა-განვითარების ტექნოლოგიის მოდიფიცირებას გულისხმობს, არამედ საგანმანათლებლო სისტემაში მმართველობითი საქმიანობის სრულ გადახალისებას ყველა დონეზე (56).

ხოლო, თუ რად არის აუცილებელი განათლების მმართველობითი სისტემების გარდაქმნა, ამაზე პასუხს გვაძლევს წარსულში არსებული ნაკლოვანებანი, რაც უპირველეს ყოვლისა, დამყარებული გახლდათ:

- ახალ სიტუაციაში ძველ, დრომოჭმულ საქმიანობისა და მოქმედების მაგალითების გამოუსადეგარობაზე;
- იძულებითი დიდი ძალისხმევების კონცენტრაციაზე განათლების სისტემის მიმდინარე ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რაც აფერხებდა და ანელებდა მართვის ორიენტირების შეცვლას განვითარების პრიორიტეტების მიმართულებით;
- ადგილობრივი ადმინისტრაციების არასათანადო კომპეტენტურობაზე განათლების მართვის სფეროში, მათი მხრიდან განათლების სფეროს მნიშვნელობის შეუფასებლობაზე საკუთარი ტერიტორიების საერთო განვითარებაში;
- განათლების მართვის კადრების სოციალური დაცვის, მათი პროფესიონალიზმის ამაღლების, პრესტიჟულობის მომატების გადაუწყვეტელ საკითხებზე;
- საშემსრულებლო დისციპლინის დაქვეითებაზე საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის - მმართველობით სისტემებში, საერთო შრომითი მოტივაციის დაქვეითების გამო.
- შეუთანხმებლობაზე მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის, მარკეტინგული პოლიტიკის ჩამოუყალიბებლობაზე (12).

აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის გაუმჯობესების მისაღწევად გადაუდებელ ამოცანად დგება თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისა და სასკოლო პრაქტიკის მიღწევათა ათვისება და გათავისება. ამასთანავე, აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მართვის სისტემა ასახავს თანამედროვე პედაგოგიური საზოგადოების საგანგებოდ დამახასიათებელ თვისებებს და პასუხობს მოსახლეობის სხვადასხვა დაჯგუფებების სოციალურ მოთხოვნებს.

განათლების დაწესებულების თანამედროვე ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ: სტრატეგიული პროექტირების, დაწესებულებაში მიმდინარე სისტემური მოდელირების, პედაგოგიურ კოლექტივში ეფექტური პიროვნებათაშორისი და პროფესიული კომუნიკაციების ორგანიზების უნარებს. ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ კოლექტივში დადებითი შედეგების მისაღწევად საერთო საქმიანობის მიზანმიმართულებასა და ორგანიზებულობას, ჰქონდეთ მენეჯმენტის გარკვეული გამოცდილება, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების და განათლების სფეროში არსებული საკანონმდებლო ვითარებათა ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანია მმართველობითი კულტურის ქონაც, სამუშაო კოლექტივში საჭირო მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად (8).

საგანმანათლებლო დაწესებულების თანამედროვე ხელმძღვანელი უნდა იყოს შორსმჭვრეტელი - მას უნდა შეეძლოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პოტენციალის გამოვლენა, იგი გამუდმებით უნდა სრულყოფდეს საკუთარ განათლებას, ჰქონდეს ინფორმაციის ზღვა ნაკადიდან სარწმუნო ფაქტების გამოყოფის უნარი: უტყუარი უნდა გაარჩიოს სავარაუდოსაგან, ჭეშმარიტი - მოგონილისგან; იგი უნდა იყოს თანმიმდევრული - უნდა შეეძლოს მის წინაშე მდგარ ამოცანათა გადაჭრა ისე, რომ არ გადაუხვიოს მიზანს და ყოველთვის ითვალისწინებდეს სამართლებრივ, მმართველობით და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ პირობებს; ის უნდა იყოს გერგილიანი - იყენებდეს კრეატიულ მიდგომას პროფესიულ საქმიანობაში, რაც პირობადებულია დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით; უნდა იყოს მობილური - დაგროვილი გამოცდილება უნდა გადაჰქონდეს საქმიანობის ინოვაციურ სფეროებზე, მათი თავისებურებების ითვალისწინებით... უნდა იყოს ნამდვილი ლიდერი - შეეძლოს ძირითადის გამოყოფა დეტალების გადახარისხებით, ნაკლოვანებათა მიზეზების აღმოჩენა და პროფესიული ამოცანების რაციონალურად გადაწყვეტა.

თავის პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები, რომელთა შორისაც შეგვიძლია გამოვყოთ სოციალური სტიმულირება, დარწმუნება და მორალური და მატერიალური წახალისება. ყოველივე ამის საფუძველზე ყალიბდება ხელმძღვანელის კოლექტივთან ურთიერთობის სისტემა (ხელმძღვანელობის სტილი და მისი ეფექტურობა, ქვეშევრდომების დამოკიდებულება ხელმძღვანელის პიროვნებასთან და ხელმძღვანელობის პროცესთან).

ამრიგად, საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ჩახედული უნდა იყოს საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა წვრილმანში და თავისი საქმიანობით ის უნდა ეხებოდეს კოლექტივის დასაქმების ყველა სფეროს.

მიზეზები, რატომაც შეიძლება არ იყოს სასურველ დონეზე მოგვარებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პრობლემები, მრავალსახოვანია: დაფინანსების მოცულობის შემცირება, მასწავლებლის სოციალური სტატუსის დაქვეითება, მაღალხარისხოვანი განათლების მიმართ საზოგადოების დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მოტივაცია, სასწავლებლების არადამაკმაყოფილებელი მატერიალური უზრუნველყოფა, განათლების მართვის სისტემის ბიუროკრატიზაცია.

სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია ის, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების იგნორირებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალში პროფესიული საქმიანობის შეგნებულად არჩევაში. გარკვეულ ნაბიჯებს ამ ტენდენციათა დასაძლევად წარმოადგენს მაღალ კლასებში მაპროფილებელი სწავლების დანერგვა. ამავე დროს, განათლების ექსპერტთა აზრით, მაპროფილებელი განათლების სისტემა არასათანადოდ ეფექტურია თანამედროვე პირობებში (11).

უმადლესი განათლებისაგან განსხვავებით, რომლის სტანდარტებსაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი (ბოლონიის პროცესი), ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მომზადებისა და სასწავლო პროგრამების სტანდარტები - ყალიბდება სახელმწიფო დონეზე თითოეულ ცალკეულ ქვეყანაში.

ერთიანი საერთაშორისო სტანდარტიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო განათლების პრაქტიკაში არ არსებობს - არის ოდენ საერთო მოთხოვნები სასკოლო სწავლების არაუმცირეს 12 წელთან დაკავშირებით და სახელმწიფო გამოცდების შემოღებისა სკოლადამთავრებულთათვის. განათლება - სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამიტომ, მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტების არარსებობისა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში, საერთაშორისო ორგანიზაციები (იუნესკო, გაერო, ეთგო და სხვ.) უმნიშვნელოვანესად მიჩნევენ იმ ცვლილებებისადმი თვალყურის დევნებას, რომლებიც ხდება ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში, როგორც მსოფლიო დონეზე, ისე ეროვნულ დონეებზეც, რისთვისაც მიმართავენ საკუთარ გამოკვლევებს (18).

რეფორმა მოითხოვს ახალ საზომებს განათლების ნორმატიულ-სამართლებრივი მიდგომებისათვის, რაც ბაზირებული უნდა იყოს სამართლის უზენაესობის პრინციპებზე. განათ-

ლების სისტემაში სირთულეების გადაწყვეტის აღმოსავლეთ ევროპული გამოცდილება (პოლონეთი, ჩეხეთი) მოწმობს საგანმანათლებლო რეფორმების მნიშვნელოვან ზემოქმედებას განათლებაზე და განათლების გარდაქმნის შესაძლებლობას საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიან ეკონომიკის დარგად (7).

სიტუაციის დაძლევის გეგმა ითავსებს:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
2. ტერიტორიული განსხვავების დაძლევის განათლების ხარისხში;
3. პროფესიული განათლების მომხიბვლელობის ზრდას ზოგადსაგანმანათლებლო ბაზაზე;
4. უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდას საშულო სკოლაში უკეთ მომზადებისა და უკეთესთა საკონკურსო შერჩევის მეოხებით (17).

განათლების თანამედროვე რეფორმა ითვალისწინებს ეროვნული საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნას სკოლის ასაკის ყველა ბავშვისათვის, თანამედროვე სასწავლო რესურსებზე ერთნაირი წვდომისათვის, ხოლო მასწავლებლებისა და მშობლებისათვის - ხარისხიან პედაგოგიურ, სასწავლო-მეთოდურ, დიდაქტიკურ და ფსიქოლოგიურ რესურსებზე წვდომისათვის (2).

გასული საუკუნის პედაგოგიკიდან თანდათანობით ხდება გადასვლა პედაგოგიკურ პარტნიორობამდე: მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, სკოლასა და მშობლებს შორის. საჭირო ხდება პედაგოგების ახლებური მომზადება, სწავლების ახალი მეთოდები და ტექნოლოგიებით. მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

როდესაც იზრდება პედაგოგის სოციალური სტატუსი, იგი ხდება უფრო მეტად მოტივირებული. მას ეძლევა შემოქმედების თავისუფლება და განვითარების შესაძლებლობანი. დეცენტრალიზაცია და დებიუროკრატიზაცია, რეფორმის შედეგად საზოგადოებრივი რესურსების სამართლიან განაწილებას უზრუნველყოფს, ანუ: ხარისხიანი განათლების მიმართ თანაბარ მისაწვდომობას, ქალაქსა და სოფელს შორის საგანმანათლებლო განსხვავების გადალახვას.

რეფორმების შემდეგ ახალ სასიცოცხლო ძალას იძენს პროფესიულ-ტექნიკური განათლება. 12-წლიანი სწავლების შემოდების შემდეგ ბავშვებს ეძლევათ საშუალება მე-10 - მე-12 კლასებში აირჩიონ სწავლების პროფესიული ან აკადემიური პროფილი. ხოლო პროფესიული სასწავლებლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეები სკოლას დაამთავრებენ თანამედროვეობისათვის მოთხოვნადი პროფესიებით და მზად იქნებიან შრომით ბაზარზე გასასვლელად (9).

ამ თვალსაზრისით, საგანმანათლებლო სისტემაში დადებითი ცვლილებების საუკეთესო მოდელს წარმოადგენენ პროფესიული სასწავლებლები. თვით შეთანხმებული მოქმედება საგანმანათლებლო მოდელსა და მისი მართვის სტრუქტურას შორის არის პირობა საორგანიზაციო და საგანმანათლებლო პროცესების ჰარმონიული განვითარებისათვის. რეალური საშუალება - პედაგოგიურ პროცესს მიეცეს მთლიანობისა და ოპტიმალურობის სახე, დაკავშირებულია არა მარტო მის სრულყოფასთან, არამედ პრინციპულად ახალი სისტემის გამოყენებასთან, რომელიც იგება პროგნოზირებად მიზნებთან შესაბამისობით. ეს სისტემა ითვალისწინებს შინაარსის, საშუალებების, სწავლების ფორმებისა და მეთოდების ვარიაციულობასა და ოპტიმალურ ტექნოლოგიურობას, სადაც მართვაში აქტიურად არის დასაქმებული არა მარტო დირექტორი, მისი მოადგილეები და მასწავლებლები, არამედ თვით მოსწავლეებიცა და მშობლებიც.

პროფესიული სასწავლებლის სისტემის დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს შინაარსობრივი და მმართველობითი საქმიანობის ჰარმონიზაციას, თანაც ყოველი ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნები, ფასდება მართვის ობიექტის სირთულე და არაორდინარულობა.

განათლების სისტემის მოდერნიზაციის ძირითად პრინციპებად უნდა მოიაზრებოდეს შემდეგი სამი სახის ამალგება: განათლების ხარისხის, განათლების მისაწვდომობის და საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობის. შესაბამისად, განათლების მართვის სისტემის მოდერნიზაციის მთავარი მიმართულებებია შემდეგი: ხარისხის მართვა, მისაწვდომობის მართვა, ეფექტურობის მართვა. ეს სამი საკვანძო მიმართულება წარმოადგენს მართვის ქვაკუთხედს.

განათლების რეფორმა ზრდის საშუალებას აძლევს ყველას, ვინც კი არის ჩაბმული განათლების პროცესში: მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს.

მასწავლებლები იღებენ მეტ თავისუფლებას - მეტ საშუალებას წარმატებით თვითრეალიზაციისთვის და გადაჭარბებული ბიუროკრატისაგან თავისდასახსნელად; იღებენ მაღალ ანაზღაურებას და აქვთ შრომის უკეთესი პირობები. არსებობს რისკი, რომ ყველა მათგანი ვერ დაეუფლება ახლებურ მიდგომას დისციპლინებისადმი და მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის საკითხში. ისინი გააკრიტიკებენ ცვლილებებს და სამინისტროებს. საჭირო გახდება ახსნა-განმარტებითი სამუშაოები, ახალი სამუშაო ადგილების და კალიფიკაციის შეცვლის საშუალებების ძიება.

მშობლები იღებენ შვილებისათვის განათლების საუკეთესო ხარისხს. ბავშვები - ცხოვრებისათვის მზადყოფნას თანამედროვე სამყაროში და საუკეთესო შანსებს შრომითი მოწყობისათვის. მათ შეეძლება აირჩიონ სწავლების სხვადასხვა ფორმები, რასაც გავლენა ექნება საგანმანათლებლო ტრექტორიის ჩამოყალიბებაზე. გამჭვირვალე დაფინანსების მექანიზმების დანერგვით მცირდება კორუფციის, უნდობლობის, კონფლიქტების და მღელვარებათა დონე. იზრდება გახსნილობის ხარისხი სკოლასთან ურთიერთობაში, პარტნიორობაში და პასუხისმგებლობაში - წარმატებული და გაღალატებული ბავშვების აღზრდისათვის. აქაც არის რისკი, რომ რიგი მშობლებისა შეეწინააღმდეგება ცვლილებებს. ეს კი მოითხოვს დამატებით განმარტებით მუშაობას.

მოსწავლეები იღებენ საუკეთესო განათლებას. სკოლაში სწავლა ხდება უფრო იოლი და უფრო საინტერესო. კომპეტენტურ სწავლებაზე გადასვლა მოსწავლეებს და კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ უნარ-ჩვევები ცხოვრებისეული პრობლემების დასაძლევად, სხვებთან საურთიერთობოდ, მიზნების დასასახად და მათ წარმატებით გადასალახავად. ისინი ხდებიან უფრო ბედნიერნი და საზოგადოებრივი, იღებენ მეტ შანსებს საკუთარი ტალანტისა და თვითშეცნობის უნარის განვითარებისათვის, არიან უფრო ჯანმრთელები და ადაპტირებულები 21-ე საუკუნეში საცხოვრებლად; მცირდება მათი კონფლიქტები მშობლებთან და მასწავლებლებთან, სწავლის მოტივაციისა და მასწავლებლის დომინირებული როლის შეცვლით პარტნიორულ როლზე. პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემთხვევაში მოსწავლეებს უკვე სკოლის შემდეგ აქვთ პირველი პროფესია.

XXI საუკუნეში სასკოლო განათლება ვითარდება შედეგიანობისა და სამართლიანობის იდეებზე, ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ზრდისა და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფისათვის ცოდნის საზოგადოების განვითარების პირობებში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იკვეთება საგანმანათლებლო სისტემების მართვის დემოკრატიზაციის ტენდენცია. მრავალ ქვეყანაში იზრდება საშუალო სასწავლებლების თვითმმართველობის, სასწავლო დაწესებულებების მართვაში ჩართვისადმი მშობლების, მოსწავლეების და საზოგადოებრიობის მისწრაფება. ამით საფუძველი ეყრება სამოქალაქო საზოგადოების მომავალი აქტიური წევრების ფორმირებას, ხოლო სწორედ ასეთ საზოგადოებას შესწევს თავისი მოქალაქეების, მათ შორის მოზარდი თაობის უფლებების, საუკეთესოდ დაცვის უნარი.

უკანასკნელი ათწლეულები მთელ მსოფლიოში აღინიშნება განათლების ხარისხის მაჩვენებლებისადმი მომეტებული ყურადღებით. ყველა ქვეყანაში დამკვიდრდა საერთო ეროვნული სტატისტიკური სამსახურები, რომლებიც კრებენ ინფორმაციას განათლების სფეროდან. ამ სამსახურების კარგად დაყენებული საქმიანობა საშუალებას იძლევა დროულად გამოავლინოს სუსტი რგოლები და მიიღოს ზომები ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისათვის. ამავე დროს, სახსრების მუდმივი დეფიციტისა და განათლების სფეროში ფინანსური მოთხოვნების ზრდის პირობებში, უმრავლეს ქვეყნებში მმართველობითი ორგანოები მოითხოვენ მყარ გარანტიებს, რომ სახსრები უქმად არ იხარჯება (13).

ამ სფეროში ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანაა ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლის ადეკვატური განსაზღვრა.

ეს პრობლემა, ასე თუ ისე, დგას თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის წინაშე. განათლების სისტემის ეროვნული მოდელების მთელი სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, საბოლოო

ჯამში ისინი შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ისტორიულად ჩამოყალიბებულ - ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სისტემებამდე.

ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე დასავლეთში განათლების მკაცრად ცენტრალიზებული და ადმინისტრაციულად ერთსახოვანი სისტემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა საფრანგეთი. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა დაფუძნება; მათი დაფინანსება; სასწავლო გეგმები და პროგრამები; სასკოლო ცხოვრების განაწესი; პედაგოგიური პერსონალის დანიშვნა, გადანიშნა და დათხოვნა - ყველაფერი დეტალურად იყო რეგლამენტირებული კანონებით, სამთავრობო დეკრეტებით, განათლების ცენტრალური უწყების ცირკულარებით და კონტროლდებოდა მრავალრიცხოვანი მოხელეების მიერ, რომლებიც, ამასთანავე, ახორციელებდნენ მეთვალყურეობას კერძო სასწავლო დაწესებულებებზეც.

„ზემოდან“ მომდინარე დავალებების შესრულებით ამოიწურებოდა ასეთი სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ჩამოყალიბდა, გამართლებული ჩანდა, ვიდრე საშუალო სასწავლებლების რიცხვი შედარებით მცირერიცხოვანი იყო. ხოლო, როდესაც მათმა რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა, მათი ხელმძღვანელობა ერთი ცენტრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ უფრო ნაკლებად ეფექტიანი ხდებოდა. ის, რაც თავის დროზე განათლების ფრანგული სისტემის უპირატესობად ითვლებოდა, მის შემაფერხებლად იქცა.

1980-იანი წლებიდან საფრანგეთში დაიწყო ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის პროცესი. რეგიონებსა და დეპარტამენტებს მიეცათ უფლება, თავიანთ ტერიტორიებზე დამოუკიდებლად განესაზღვრათ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიმართულებანი, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ მათი გადაწყვეტილებანი არ დაპირისპირებოდნენ იმ აქტებს, რომლებიც მიღებული იყო საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით. სპეციალურად იყო ხაზგასმული, რომ ცენტრისა და რეგიონების სახელისუფლო ფუნქციების გადანაწილებას არ უნდა მოეტანა ანარქიული გათიშულობა და სხვადასხვა რეგიონებისა და დეპარტამენტების განვითარების უთანაბრობის გაღრმავება.

განათლების დეცენტრალიზებულმა სისტემამ და მართვის შესაბამისმა ორგანიზაციამ თავისი ნათელი გამოვლინება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

50 ამერიკული შტატიდან თითოეულში მოქმედებს თავისი საკუთარი საკანონმდებლო აქტი განათლების სფეროში. შტატის დონეზე დგინდება სწავლების აუცილებელი ვადები, სასწავლო დაწესებულებაში მიღების პირობები, მასწავლებელთა კვალიფიკაციისადმი მოთხოვნები, მათი ხელფასის მინიმალური ოდენობა, დებულება სასწავლო დაწესებულების დაფინანსებისა და მოცულობის შესახებ.

შტატის მასშტაბით საგანმანათლებლო პოლიტიკას განსაზღვრავს 7-9 კაცისგან შედგენილი განათლების საბჭო, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა, ან ნიშნავს გუბერნატორი: საქმიანი წრეების, პროფესიული ასოციაციების, სამეცნიერო საზოგადოებებისა და კონფესიებისაგან. საბჭოების დაკომპლექტების ასეთი წესრიგი მიმართულია უწყებრივი შეზღუდულობის და ეგოისტური კორპორაციული ინტერესების წინააღმდეგ. ის მოწოდებული უნდა იქნას განათლების სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა ჩასართავად.

განათლების მართვის დეცენტრალიზებული სისტემა გერმანიაში განპირობებულია მისი ფედერაციული მოწყობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ აღადგინა და დააკანონა ცალკეული გერმანული სახელმწიფოების კულტურული ავტონომიურობის ტრადიციები. ამჟამად, გერმანულ მიწებს, რომლებიც ერთად შეადგენენ ფედერაციას, ჰყავთ თავიანთი მთავრობა და საკანონმდებლო საკრებულო (ლანდტაგი). განათლების მართვა ხორციელდება სათანადო სამინისტროებით. მიწების სამინისტროებში განისაზღვრება ყველა სკოლისათვის სავალდებულო ადმინისტრაციული წესები და განათლების პროგრამის ძირითადი მიმართულებანი.

ევროპაში ქვეყანას მკაცრად დეცენტრალიზებული განათლების სისტემით წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, რაც განპირობებულია მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული დაყოფით: ინგლისად, უელსად, შოტლანდიად და ჩრდილოეთ ირლანდიად. ყოველ ამ რეგიონში განათლების სისტემას გააჩნია თავისი საკუთარი სპეციფიკა. ამასთანავე, ყველა მათგანს მრავალი კო-

ნკრეტული პრობლემის გადაჭრა ხელეწიფება - როგორც განათლების მართვის ადგილობრივ ორგანოებს, ისევე - თვით სკოლებს.

დიდ ბრიტანეთში მხოლოდ 1945 წელს შეიქმნა განათლების სამინისტრო, რომელიც ამჟამად იწოდება განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტად. ის განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს საგანმანათლებლო პოლიტიკის ყველაზე უფრო ზოგადი ხასიათის მიმართულების ფორმირებებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ სკოლების საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობა აკისრიათ განათლების მართვის ადგილობრივ ორგანოებს. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ ცენტრის პოლიტიკის რეალიზება თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულთა ტერიტორიებზე. დიდი ხნის განმავლობაში, ცენტრალურსა და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შორის მიმდინარეობს ფარული მეტოქეობა, ხან დაფარული, ხანაც ღია ფორმით. დღევანდელ ვითარებაში, ბრიტანეთის ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე სეპარატისტულ ტენდენციებს მიჰყავს ვითარება რეგიონალური ორგანოების გაძლიერებისაკენ, რომლებიც ცდილობენ სულ უფრო ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ლონდონისაგან.

გამოკვლევები განათლების მართვის სისტემების შესახებ თანამეგობრობის ქვეყნებში - დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და კანადაში - ამ სისტემებში საერთო მიდგომისა და კანონზომიერებების დადგენის საშუალებას იძლევიან, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მონაცემებზე დაყრდნობით (4).

არც ცენტრალიზებულისა და არც დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემების შეფასება არ შეიძლება ხელაღებით მოხდეს დადებითად ან უარყოფითად. პოლემიკა ამ თემაზე მიმდინარეობს დიდი ხანია, როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ისე - საერთაშორისო მასშტაბით.

ცენტრალიზებული სისტემა ხელს უწყობს ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნას, მთელი ქვეყნის მოსახლეობის კულტურული ერთიანობის გრძნობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ამავე დროს ის ხელს უწყობს განათლების მართვაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებას, ზღუდავს სკოლისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების მუშაკთა ინიციატივებს, აფერხებს ახალი გზების ძიებას, პედაგოგიურ საქმიანობას თავს ახვევს ფორმებისა და მეთოდების ზედმეტ ერთფეროვნებას, ბოლომდე ვერ აფასებს რეგიონალური სპეციფიკის მნიშვნელობას, ან სულაც მის იგნორირებას ახდენს.

მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვეს გარკვეულმა პროგნოზებმაც, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება განათლების სფეროს. თავისი შინაარსით ისინი მეტად მრავალსახოვანნი არიან: ერთნი - გათვლილნი შედარებით არცთუ შორეულ მომავალზე და ფაქტობრივად ეთანადებიან პერსპექტიულ დაგეგმარებას, სხვები - ხატავენ განათლების სურათს მრავალი ათეული წლის პერსპექტივაში და ფუტუროლოგიური ხასიათით გამოირჩევიან; ნაწილი ეძღვნება განათლების რაოდენობრივ ევოლუციას, ნაწილი - ყურადღების ცენტრში აქცევს განათლების ხარისხობრივ ცვლილებებს.

რიგი პროგნოზებისა გამოიყურება კაბინეტის თეორეტიკოსების ფანტასტიკურ წარმოდგენებად, მათ პროგნოზად, ვინც შორს დგას განათლების მართვის აქტუალური პრობლემებისა და მიმდინარე მოთხოვნებისაგან. რიგ შემთხვევებში, თვით ფუტუროლოგიურ საკითხებთან შეჭიდება გამოიყურება, როგორც მცდელობა, ამოეფარონ რეალობის უსიამოვნო პრობლემებს („გაქცევა მომავალში“).

მაგრამ თვით ამ სცენარებსაც შეუძლიათ რეალური მნიშვნელობის შექმნა, თუკი ისინი უპასუხებენ საზოგადოების განწყობილებას და პასუხს გასცემენ მის მიერ დასმულ კითხვებს. ცნობილია, რომ უკუკავშირის მექანიზმის მოქმედების შედეგად, პროგნოზი, მისი რეალური ფასეულობისაგან დამოუკიდებლად, ან აძლიერებს ინტერესს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ან ასუსტებს მას; ეხმარება ან აფერხებს საპროგნოზოდ მოწოდებული პროცესის განვითარებას.

ამიტომ, პროგნოზების მეთოდოლოგიური დონის და სარწმუნოობის ხარისხის გამოსავლენად მიზანშეწონილია იმ პროგნოზების შესწავლა, რომლებიც დგებოდა ათწლეულების წინ. მათ დასახელებაში ძალიან ხშირად იყო ნახსენები 2000 წელი. ცხადია, ამაში დიდ როლს თამაშობდა „მრავალი თარიღების მაგია“ და ეს „მაგია“ მით მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ, რაც

უფრო „მრგვალი” იყო თარიღი. ამდენად, სრულიადაც არ იყო გასაკვირი დაინტერესება დიდი „საუკუნოვანი ათწლეულის” დასასრულით.

განვითარებად საზოგადოებას სჭირდება თანამედროვე განათლება, ზნეობრივი, უნარ-ჩვევებიანი ადამიანები, რომელთაც ხელეწიფებათ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება გამამწყვეტ სიტუაციაში, შესწევთ თანამშრომლობისა და გუნდური მოქმედების უნარი, აქვთ ქვეყნის ბედ-იღბლის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

იმისათვის, რათა მსგავსი მიზანდასახულებანი რეალიზებულ იქნას სწავლების პრაქტიკით, აუცილებელია განათლების, როგორც ღია სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სისტემის განვითარება, საგანმანათლებლო პოლიტიკის სუბიექტებსა და საგანმანათლებლო პროცესების მონაწილეთა - მოსწავლეების, პედაგოგების, მშობლების, საგანმანათლებლო დაწესებულების - როლის გაზრდით, მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილების საფუძველზე.

აუცილებელია საზოგადოების ჩართვის განუხრელი გაფართოება განათლების სფეროში პოლიტიკურ-სამართლებრივი და მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებასა, მიღებასა და რეალიზაციაში, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას როგორც შესაბამისი ნორმატიული-სამართლებრივი ბაზით, ასევე განათლების განვითარებაში ქმედითი საზოგადოებრივი მონაწილეობის რეალური მექანიზმებით.

ამასთანავე, განათლების სისტემის მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს ამ სისტემის მართვის თვით არსებული დარგობრივი მოდელის მოდერნიზაცია. თანამედროვე პირობებში განათლების მართვა - ეს არის უპირველეს ყოვლისა, მისი განვითარების პროცესის მართვა, არათუ მხოლოდ დაწესებულებებისა და ადამიანების.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. *Bologna Follow-Up Group (2007). "Applications for Accession to the Bologna Process"*
2. Bring your own device [https://en.wikipedia.org/wiki/Bring\\_your\\_own\\_device](https://en.wikipedia.org/wiki/Bring_your_own_device)
3. Denisa Manea Adriana - Innovation in the Management of Educational Institutions - <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S187704281505586X>
4. History - [http://schools.keldysh.ru/school1413/eng/egorova\\_ks/str6.html](http://schools.keldysh.ru/school1413/eng/egorova_ks/str6.html)
5. „Sorbonne Joint Declaration: Joint declaration on harmonisation of the architecture of the European higher education system" (PDF). DAAD. 25 May 1998. Archived from the original (PDF) on 14 April 2009. Retrieved 28 April 2010.
6. "The framework of qualifications for the European Higher Education Area"(PDF). EHEA. May 2005. Retrieved 18 March 2016.
7. Алисов Евгений Анатольевич Подымова Людмила Степановна - ИННОВАЦИОННАЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНАЯ СРЕДА КАК ФАКТОР САМОРЕАЛИЗАЦИИ ЛИЧНОСТИ. INNOVATIVE EDUCATIONAL ENVIRONMENT AS A FACTOR OF SELF-REALIZATION OF PERSONALITY HTTP://CYBERLENINKA.RU/ARTICLE/N/INNOVATIONNAYA-OBRAZOVATELNAYA-SREDA-KAK-FAKTOR-SAMOREALIZATSII-LICHNOSTI
8. Бабкин Н. И., Иванов Д. Е., Толстой Н.Е. Проблемы управления образованием. Учебное пособие. Чебоксары, 1993. – 120 с. Babkin N. I. Ivanov D. E. Tolstoe N. E. Education management problems Cheboksari, 1993 – p. 120
9. Все о реформе среднего образования: 12-летка в школах и профильные лицеи, как в США (инфографика) <http://www.segodnya.ua/ukraine/vse-o-reforme-srednego-obrazovaniya-12-letka-v-shkolah-i-profilnye-licei-kak-v-ssha-infografika-712051.html> All about secondary education reform: 12-year school and specialized lyceums, as in the USA
10. Кирдянкина С. В. - Совершенствование системы управления образовательным учреждением в контексте компетентностного подхода - / Kirdiakina S. V. Improving the educational institution management system in the context of the competence approach.
11. Назарова О.С. Проект "Профильное обучение в старшей ступени школы" <http://festival.1september.ru/articles/310305/> Nazarova O.S. Project "Profile education in the senior school"
12. Новиков Д.А. Теория управления образовательными системами. – М.: Народное образование, 2009. – 452 с. Novikov D.A. Theory of Education Systems Management.-M. Narodnoe obrazovanie. 2009 -452 str.
13. Образование: сокрытое сокровище (Learning: The Treasure Within)- Издательство ЮНЕСКО 1996 <http://www.ifap.ru/library/book201.pdf> Obrazovanie: sokritoe sokrovoSe- (Learning: The Treasure Within)- Izdatelstvo UNESCO



14. Основы сетевого обучения. Под ред. Л.Г. Титарева –М.:МЭСИ, 2006 Basics of network education. Edited by. Titareva L. G. 2006
15. О совершенствовании управления системой образования - <http://www.ug.ru/archive/19635> On improving the management of the education system
16. Поташник М.М., Моисеев А.М. Управление современной школой (В вопросах и ответах). М.: Новая школа, 1997. - 352 с. Potashnik M.M. Moiseev A.M. Management of a modern school (in questions and answers).M., 1997 - 352 str.
17. Соколов Д.В. - Реформирование национальных систем науки и образования: восточноевропейский опыт - <http://cyberleninka.ru> Sokolov D.V. – Reforming National Science and Education Systems: Eastern European Experience
18. Среднее образование [https://ru.wikipedia.org/wiki/ Secondary education](https://ru.wikipedia.org/wiki/Secondary_education)
19. Черноморова Т.В. Глобализация образования: роль международных организаций Глобализация и образование Сб. обзоров Отв. ред. Зарецкая С.Л. –М.: ИНИОН  
Chernomorova T.V. The globalization of education: the role of international organizations Globalization and education Sb. Obzorov. Otv. Redak. Zareckaia S.L. M., INION

0301

როზმარინა დუბოვსკა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური განათლების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (მინსკი, ბელორუსი)

Розмарина Дубовска, Доктор технических наук, профессор, Член – корресподент Академии Технического Образования (Минск, Беларусь))

Rozmarina Dubovska, DrSc, Prof.

Member of International Academy of Technical Education IATE (Minsk, Belarus)

Учреждение высшего образования «Академия образования» Тбилиси

Institution of Higher Education Instutution“Education Academy” Tbilisi

**Оценка качества образования вуниверситетах**  
**Исследование**  
**განათლების ხარისხის შეფასება უნივერსიტეტებში**  
**კვლევა**  
**Assessing the Quality of Universities**  
**Study**

**რეზიუმე:** მსოფლიოს უნივერსიტეტებში განათლების ხარისხს დიდი ყურადღება ეთმობა. დღესდღეობით არ არსებობს განათლების ხარისხის განსაზღვრებისადმი ერთიანი მიდგომა. როგორ დავადგინოთ უნივერსიტეტის ხარისხი, როგორ განვაფასოთ ან გავზომოთ უნივერსიტეტების შეფასების ეფექტიანი პროცედურები რეგიონალურ, ევროპულ და მსოფლიო დონეზე შესულია ვებ-რეიტინგში The Webometrics Ranking of World Universities, რომელიც ასახავს მეთოდთა ეფექტიანობას ამ მიმართულების კვლევებში.

**საკვანძო სიტყვები:** შეფასება, უმაღლესი უნივერსიტეტის ხარისხი, უმაღლესი განათლება, რეიტინგი.

**Резюме:** Во всём мире качеству образования в университетах уделяют большое внимание. В настоящее время нет единого подхода к определению качества университета, как установить, как развить и измерять. Эффективные процедуры оценки университетов на региональном, европейском и мировом уровне включены в веб-рейтинг The Webometrics Ranking of World Universities, который отражает их эффективность в области исследований и разработок.

**Ключевые слова:** оценка, качество университетов, высшее образование, рейтинг.

**Abstract:** The quality of education at universities in the world is being paid a lot of attention. At present, there is no single approach to determining the quality of the university, how to search for the quality of the university, how to develop it and measure it. Effective procedures for evaluating universities at the regional, European and global levels include the Webometrics Ranking of World Universities web rating, which reflects their effectiveness in research and development.

**Keywords:** assessment, quality of universities, higher education, rating.

Качеству образования в университетах в Европе начали уделять большое внимание с первой конференции европейского министерства, которая была посвящена университетам и науке и, которая была проведена в Болони в 1999 году. Было создано совместное европейское пространство для высшего образования. Особое значение для обеспечения качества университетов и науки имело совещание европейских министров высшего образования в 2003 году в Берлине, где министры взяли на себя обязательство содействовать обеспечению качества в области университетов (Komunike Berlin, 2003).

Себкова (2005) цитирует следующие выводы оценки и оценки качества университетов:

- Безопасная ответственность за использование государственных финансовых ресурсов.
- Улучшение качества продуктов университетов.
- Предоставление информации о решениях о финансировании.
- Информирование студентов и работодателей.
- Стимулирование солидарности в университетах и между университетами.
- Выполнение контроля над новыми (часто частными) университетами.
- Утверждение статуса университета.
- Поддержание передачи полномочий от государства к университетам.
- Помочь студенческой мобильности.
- Разрешение на международное сопоставление университетов.

#### **Качество вузов может быть установлено и оценено многими различными типами:**

аккредитацией (путем предоставления государственного согласия - гранта для обучения студентов в определенных областях обучения); внешние эксперты (агентства) - аудит, внешняя оценка; собственные (внутренние) ценности (самооценка).

Анализ образования и сопоставление отдельных показателей систем образования также рассматривается EU - Европейским союзом и OECD (ОЭСР) - Организацией экономического сотрудничества и развития, которая объединяет самые экономически развитые страны мира.

Ежегодно ОЭСР издает многостраничную публикацию **Education at Glance** (Образование посмотрим). Эксперты в области образования создали широкий диапазон индикаторов образования, включая университеты. Индикаторы показывают, кто участвует в процессе образования, какие финансовые расходы на систему образования, и её отдельных элементов, как работает система образования, результаты студентов в международном масштабе, влияние образования на прибыль зарплаты и на занятость. Каждому государству позволяет анализировать свою систему образования и сравнивать ее с системами образования других государств. Издание доступно также в Интернете: <http://www.oecd.org/dataoecd/61/2/48631582.pdf>.

Аналогичная публикация, озаглавленная **Key Data on Education in Europe** (Основные данные об образовании в Европе), издаётся Европейским союзом – EU - который доступен [http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/documents/key\\_data\\_series/134EN.PDF](http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/documents/key_data_series/134EN.PDF).

В мире существует несколько международных организаций, занимающихся качеством высшего образования. Наиболее важными являются:

**ENQA** (The European Association for Quality Assurance in Higher Education)- Европейская ассоциация по обеспечению качества в высшем образовании.

**INQAANE** (The International Network for Quality Assurance Agencies in Higher Education) – Международная сеть агентств по обеспечению качества в высшем образовании (<http://inqaane.org/index.php>).

В мире существует также несколько журналов, посвященных качеству высшего образования, например **Quality in Higher Education** - Качество в высшем образовании.

[www.tandf.co.uk/journals/titles/13538322.asp:oaches](http://www.tandf.co.uk/journals/titles/13538322.asp:oaches)).

**Quality Approaches in Higher Education** - Подходы к качеству в высшем образовании <http://asq.org/edu/quality-information/journals/>

**Quality Assurance in Education** - Обеспечение качества в образовании (<http://www.emeraldinsight.com/journals.htm?issn=0968-4883>).

Существует несколько международных сравнений некоторых индикаторов - показателей успеваемости университетов. Ни одно из этих измерений не основано на системах оценки качества TQM (Total Quality Management - Общее управление качеством), EFQM (European Foundation for Quality Management - Европейский фонд управления качеством), ISO (International Organization for Standardization - Международная организация по стандартизации), или других системах оценки ка-

чества, которые обычно используются в промышленности, торговле и обслуживании, и ни один из индикаторов не участвует в качестве образования. Наиболее заметным является **Academic Ranking of World Universities** ( Академический рейтинг мировых университетов ) **ARWU** ( Academic Ranking of World Universities ), проводимый Университетом Цзяо Тун в Шанхае.

Уровень успеваемости университетов на международном уровне находится в журнале **The Times Higher Education** ( Период высшего образования ). Электронная версия журнала доступна на <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/>.

Чтобы определить уровень успеваемости университетов в мире на 2010-2011 годы, использовались 13 показателей деятельности университетов из пяти областей:

**Обучение и учебная среда** - вес этого показателя составляет 30%.

Престижность университета в области обучения оценивается на основе оценки 13 388 признанных академических институтов и личностей – 15 %.

Соотношение числа выпускников аспирантуры к числу учителей университета - 6%.

Соотношение общего числа студентов университета к числу учителей университета - 4,5%.

Доход университета на одного учителя университета - 2,25%.

Соотношение выпускников бакалавриата и аспирантов - 2,25%.

**Исследование - вес 30%.**

Престиж университета оценивается на основе оценки общепризнанных академических институтов и личностей - 19,5%.

Расходы университета, посвященные исследованию одного академического работника (преподавателя и научного работника) - 5,25%.

Соотношение доходов университета для исследований из общедоступных источников к общему доходу университета для исследований - 0,75%.

**Цитаты** - 32,5 %

Исследовательский потенциал университета. Среднее количество цитат, опубликованных в одном из 11 600 престижных “кагент” журналов из 251 научных отделов, принадлежащих на одну научную публикацию коллег работающих на университете.

**Доходы университета из практики (промышленности) за инновации, патенты и изобретения, принадлежащие одному академическому работнику** - 2,5%

**Международная среда университета** - 5%.

Соотношение количества иностранных и отечественных академических кадров - 3%.

Соотношение количества иностранных и отечественных студентов университета - 2%.

В мире университеты пользуются популярностью и оцениваются в **QS World university rankings** ( <http://www.iu.qs.com/university-rankings/world-university/rankings/>.

(QS - Quacquarelli Symonds -признанное общество ориентированное на образование в глобальном контексте). Источником оценки является академическое сообщество и работодатели выпускников университетов.

В качестве критерия университета используются:

Рейтинг университета в академическом сообществе в глобальном контексте - 40%.

Рейтинг университета между работодателями и выпускниками университетов - 10%.

Количество цитат, зарегистрированных Sciverse Scopus на одного учителя - 20%.

Количество студентов на одного преподавателя университета - 20%.

Относительное представительство иностранных студентов в университете - 5%.

Относительное представительство иностранных преподавателей в университете.

Важнейшее научное учреждение в Испании CSIC (Национальный совет по исследованиям) создаёт на основе данных из 20 3650 в мире рейтинг мировых университетов.

**The Webometrics Ranking of World Universities** ( <http://www.webometrics.info/>).

Цель состоит в том, чтобы порядок университетов отражал их результаты в области обучения и исследований и передачи знаний другим, заинтересованным в Интернете. Объем информации, предоставляемой университетом, разделяется на 25% по рейтингам университетов, 25% - по результатам исследований и влияние университета ( impact ) - 50%.

**Оцениваются такие индикаторы, как:**

количество веб-страниц университета, качество и количество содержания предоставляемого университетом в интернете, количество посещений веб-страниц университета, оценка университета на веб-страницах других университетов, количество университетских ссылок, количество и качество материалов ( информационных, учебных... ) предоставленных университетом в ин-

тернете, количество ссылок и статей членов университета, зарегистрированных в базе Scholar Database, количество и качество гипертекстовых ссылок, языковые страницы в интернете (предпочитаются мировые языки).

В международных измерениях успехов университетов определяются количественные данные, такие как отношение числа профессоров к числу всех учителей или к числу студентов, доля количества участников в запланированном числе мест. Ни один из этих показателей не узнаёт наиболее важные характеристики процесса образования - что студент изучает в ходе обучения, как знания применять, если студенты довольны со студией, как они учатся, какое качество их студентческой жизни, какое их применение на рынке труда, как они удовлетворены своими работодателями и т. д.

### **Методология ранжирования - Webometrics**

Рейтинг Web или Webometrics является крупнейшим академическим рейтингом университетов.

#### **Цель**

Цель состоит в том, чтобы оценить веб сайты, их дизайн или удобство использования или популярность их содержимого в зависимости от количества посещений и посетителей.

Веб-метрический ранг - это рейтинг всех университетов мира более чем 27 000.

#### **Мотивация**

Университетские власти должны пересмотреть свою политику веб, способствуя значительному увеличению объема и качества их электронных публикаций.

#### **Показатели**

**Presence Rank** – Присутствие – 5 %.

Размер ( количество веб-страниц ) основного веб-домена учреждения, включая в себя все поддомены и все типы файлов.

**Impact Rank** – Прозрачность - 50 %.

Количество внешних сетей (подсети).

**Openness Rank** - Прозрачность или открытость – 10 %.

Количество цитат от лучших авторов в зависимости цт источника.

**Excellence Rank** – Совершенств ( или учённый )35 %.

Количество статей среди 10 лучших наиболее цитируемых в 26 дисциплинах за 5-летний период ( 2011 – 2015 ).

**(Примечание. Актуализация - январь – июль охватывая более 27 000 университетов.**

Рейтинги университетов также подвергаются критике. Особенно:

оценка университета не может быть упрощена по нескольким индикаторам и также показывать их ранг, что результаты университетов в области образования практически не оцениваются и переоцениваются результаты исследования, что преимущество имеют университеты в англоговорящих государствах, что приоритеты имеют богатые университеты, у которых достаточно денег для исследования, что успешный ученый не всегда лучший учитель.

В международных измерениях успехов университетов мы можем найти различные количественные данные, такие как отношение числа профессоров к числу всех учителей или числу студентов, доля кандидатов - студентов, допущенных к запланированному числу мест. Однако ни один из этих показателей не определяет наиболее важные характеристики учебного процесса - то, что студенты приобретают в ходе учёбы, и как их применять, насколько довольны с учёбой, как они учатся, какое качество их студентческой жизни и как они используются на рынке труда, как они удовлетворены своими работодателями.

В области университетов нет международных измерений успеваемости студентов. Для широкого круга учебных программ это очень сложно. Вопрос о качестве образования во всем мире актуальный, и до сих пор нет прямой оценки результатов обучения студентов на международном уровне.

Оценка качества университетов сегодня почти исключительно осуществляется на основе их репутации и результатов исследований. Информация о качестве высшего образования, которая в настоящее время отсутствует, имеет важное значение как для формирования политики в области высшего образования, так и для индивидуального принятия решений учащимися.

Оценка качества университетов сегодня проводится только на основе их репутации и эффективности в исследованиях. Организация экономического сотрудничества и развития (OECD) реализовала проект **Оценка результатов обучения в высшем образовании** - исследование гибкости (Assessment of Higher Education Learning Outcomes – Flexibility Study, далее только проект AHELO).

Проект AHELO, направленный на оценку качества высшего образования, и его цель заключалась в том, чтобы выяснить, можно ли оценить и сравнить результаты обучения в высшей школе между разными странами с различными культурами и языками.

Целью проекта AHELO было разработать инструменты для оценки результатов высшего образования, которые могли бы применяться в различных культурных и языковых средах и для различных типов высших учебных заведений и университетов.

Европейская ассоциация университетов (EUA) и Европейская комиссия провели экспериментальный проект по оценке высших школ **U - Multirank** в 2010-2011 годах, представляя новые многомерные и многоцелевые инструменты оценки университетов в области образования и исследований (U – Multirank: a multi-dimensional global university ranking. 2012. <http://www.u-multirank.eu/>). Согласно методологии U-Multirank, университеты оцениваются по этим категориям индикаторов (Vaught, Ziegele, 2011): Обучение и учёба/ Исследования. Передача знаний. Международная ориентация. Региональное обязательство.

Оценка качества университетов также будет зависеть от региональных условий. Например, в Чешской Республике эти основные группы критерии:

**Достижение в науке:** измеряется в базе данных RIV (регистр информации о результатах) в соответствии с научным направлением, также и цитат в международных журналах - например. база данных Scopus, Web of Science.

**Оценка передачи результатов на практике:** стоит выяснить, сколько денег получают высшие школы из частных источников.

**Способность к трудоустройству и трудоустройство выпускников на рынке труда:** можно помочь несколько упущенным высшим школам в регионах, на которые им приходится полагаться.

**Интернационализация высших школ:** речь идет о поездке студентов в мир, а также о сотрудничестве школьного персонала с коллегами за рубежом.

**Доля профессоров и преподавателей:** вес этих критериев будет уменьшаться.

**Участие бакалавра и мобильность между школами:** чувство поддержки мобильности в рамках Болонского процесса (создание Европейского пространства образования).

Мы можем заключить, что даже нет договоренности о том, как определить качество университета, как искать качество университета, как ее развивать и измерять. В результате двусмысленного незаметного нащупывания качества существует состояние, в котором качество университета часто приближается и часто с хорошим волеванием и со значительными усилиями, но часто несущественными, с помощью неэффективных процедур с низким эффектом (Turek, 2014).

#### Список библиографических ссылок

AHELO: Assessment of higher education learning outcomes. [online]. Dostupne na internete: [www.oecd.org/edu/ahelo](http://www.oecd.org/edu/ahelo)

Education at a Glance 2010: OECD Indicators. Paris: OECD, 2010. ISBN 978-92-64-05598-8. Dostupne aj na: <http://www.oecd.org/dataoecd/45/39/45926093.pdf>.

Key Data on Education in Europe 2009. Brussels: Education, Audiovisual and Culture Executive Agency, 2009. ISBN 978-92-9201-033-1.

The Webometrics Ranking of World Universities. [on line]. Dostupne na: <http://www.webometrics.info>.

TUREK, I. 2009. Kvalita vzdelavania. Bratislava: IURA. ISBN 978-80-8078-243-6.

2010 Academic Ranking of World Universities. [on line]. Dostupne na: [http://www.arwu.org/ARWU2010\\_3.jsp](http://www.arwu.org/ARWU2010_3.jsp).

U-Multirank: a multi/dimensional global university ranking. 2012. <http://www.u-multirank.eu/>

TUREK, I. 2014. Management kvality vysokoskolske vyuky. Hradec Kralove: Gaudeamus. ISBN 978-80-7435-516-5.

0301

იმერი ბასილაძე

Imeri Basiladze

განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი

Academic Doctor of Education, Professor

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

მანონ ბერუჩაშვილი

Manon Beruchashvili

ბაგა-ბაღის აღმზრდელი, ქუთაისის №31 ბაგა-ბაღი

Mistress of Pre-Kindergarten, Kutaisi, DayCare and Kindergarten №31

**პედაგოგიკის პარადიგმა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების  
ტენდენციები საქართველოში  
Paradigm of Pedagogy and Trends in Development of Pedagogical Science in Georgia**

**რეზიუმე:** საქართველოში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა შესაბამისი ასახვა პოვა განათლების სფეროში. განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ცვლილებას თან ახლავს აღზრდისა და განათლების სფეროს შესატყვისი გარდაქმნა, რაც იწვევდა პედაგოგიკის პარადიგმის ცვლილებას. ამ თვალსაზრისით საქართველოში პედაგოგიკის პარადიგმამ და პედაგოგიური მეცნიერების განვითარებამ აღზრდის, სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან დაკავშირებით რამდენიმე ეტაპი გაიარა. ცოდნის დაგროვებასა და შესწავლა დამახსოვრებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მოდელი მოძველდა და საჭიროებს განახლებას, მიებასა და აღმოჩენებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მოდელით.

**საკვანძო სიტყვები:** პარადიგმა, პედაგოგიკის დეფინიცია, ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, თანამშრომლობით-ჰუმანური პედაგოგიკა.

**Abstract:** Social, political and economic processes occurring in Georgia have been reflected in the field of education. Changes at the state level have been accompanied by relevant transformations in the field of education and upbringing which led to a change **paradigm of pedagogy**. In this regard, in Georgia paradigm of pedagogy and development of pedagogical science have undergone several stages related to upbringing, teaching and learning approaches. Model of education that is based on accumulation of knowledge and learning through memorization has become outdated and it needs to be replaced the educational model based on search and discovery.

**KeyWords:** Paradigm, definition of pedagogy, experimental pedagogy, cooperative and humanistic pedagogy.

საქართველოში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა შესაბამისი ასახვა პოვა განათლების სფეროში. პედაგოგიკის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ყოველ ახალ, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ცვლილებას თან ახლავს აღზრდისა და განათლების სფეროს შესატყვისი გარდაქმნა, რაც იწვევდა პედაგოგიკის პარადიგმის ცვლილებას.

პარადიგმა ნიშნავს საზოგადოდ აღიარებულ ნიმუშს, პრობლემის გადაჭრის მოდელს. მას იყენებენ სინამდვილის სხვადასხვა მხარის განმარტებისათვის. პედაგოგიკის სფეროში პარადიგმა ნიშნავს სწავლების შინაარსის, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შერჩევას, სწავლებისა და აღზრდისადმი ახლებურ მიდგომას.

საზოგადოების განვითარებამ, ცოდნის მარაგის დაგროვებამ და სხვადასხვა მიზეზებმა განაპირობა დაგროვილი ცოდნის განზოგადების აუცილებლობა, რამაც განაპირობა ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების აღმოცენება. მასში განსაკუთრებული ადგილი აღზრდისა და სწავლების პრობლემებმა დაიჭირა. მის დასტურად შეიძლება დავასახელოთ არისტოტელეს, პლატონის, სოკრატეს, კვინტილიანეს შრომები, რომელშიც ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდის საკითხებია გაანალიზებული.

აღორძინების ეპოქის მოაზროვნეების მიერ სწავლა-აღზრდის პროცესში შემოტანილი იქნა ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორცაა რეალური მეცნიერული ცოდნის სწავლება, შემოქმედებითი აზროვნების, სამყაროს შემეცნების უნარის განვითარება (მ. მონტენი, ფ. რაბლე და სხვ.) თვალსაჩინოებით, უშუალო დაკვირვებით სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობის, სწავლის უნარის განვითარება, თვითმოქმედებისა და აქტიური უნარის განვითარება, სწავლის მშობლიურ ენაზე დაწყება, ესთეტიკური გრძნობების განვითარება ხატვის, მუსიკისა და ძერწვის საშუალებით.

შუა საუკუნეებში დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, წარმოებაში ახალი მიღწევების დანერგვამ, აღზრდისა და სწავლების პროცესში დაგროვილმა დიდმა გამოცდილებამ და ცოდნამ განაპირობა ის, რომ 1623 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრენსის ბეკონმა თავის ნაშრომში „მეცნიერებათა ზრდისა და ღირსების შესახებ“ პედაგოგიკა ფილოსოფიიდან გამოყო როგორც მეცნიერების ცალკე დარგი, ხოლო იმავე საუკუნეში იან ამოს კომენსკიმ პედაგოგიკა ჩამოაყალიბა, როგორც მეცნიერება. მის პარადიგმად განისაზღვრა, რომ პედაგოგიკა არის სწავლების უნივერსალური ხელოვნება(5, 1). ჩამოყალიბდა სწავლების ახალი შინაარსი, სწავლების მეთოდები, სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, სწავლების ორგანიზაციის ფორმა(გაკვეთილი), ცოდნის შემოწმება - შეფასების ფორმები და მეთოდები.

საინტერესოა გზა განვლო საქართველოში აღზრდისა და განათლების სისტემამ. „საქართველოში, ასევე მის გარეთ არსებულ საგანმანათლებლო ცენტრებში წარმოებული შემოქმედებითი მოღვაწეობა საფუძვლად დაედო არა მხოლოდ იქ მყოფ ქართველთა დიდ მოაზროვნეებად ჩამოყალიბებას, არამედ, ზოგადად, ქართული გენის, ქართული აზროვნების, განათლებისა და კულტურის საერთო აღმავლობას. საუკუნეების მანძილზე ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის აღზრდა, განათლება და მათი განვითარება და აღმავლობა ითვლებოდა ქვეყნის მართვის აუცილებელ პირობად” (8, 180).

საქართველოში პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, დეფინიცია პირველად ილია ჭავჭავაძემ მოგვცა. მან 1863 წელს დაწერა წინასიტყვაობა გერმანელი პედაგოგის ქრისტიან ჰოტგილფ ზალცმანის (1744-1811 წ.წ.) „კონრადციფერის“ ქართული გამოცემისათვის. ამ წინასიტყვაობაში ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად არკვევს პედაგოგიკის (პედაგოგიის) საგანს: „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა ნიშნავს ყმაწვილების აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ..., არსებობს მეცნიერება - პედაგოგია რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“. ილია ჭავჭავაძის შემდეგ პირველმა გიორგი წერეთელმა მოგვცა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განსაზღვრება. „პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ“; ეს მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ რა რიგად უნდა აღზრდა ყმაწვილს, ან რა თვისებების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს”, - წერს იგი(2, 7). ილია ჭავჭავაძემ და გიორგი წერეთელმა არა მხოლოდ განმარტეს ტერმინი პედაგოგიკის წარმოშობა, არამედ ამცნეს საქართველოში მოღვაწე განათლების დარგით დაინტერესებულ მკვლევარებს, რომ არსებობს ასეთი მეცნიერება. „ქართველმა განამანათლებლებმა არა მხოლოდ გაითავისეს ილიასეული მიდგომა მომავალი თაობის აღზრდის, სწავლებისა და განვითარების მეცნიერულ დონეზე წარმართვის აუცილებლობის შესახებ, არამედ უდიდესი ღვაწლი დასდეს ამ საქმეს”(8, 181).

პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე. მეოცე საუკუნის მიჯნაზე საქართველოში რამდენიმე ახალი პედაგოგიური თეორია გამოჩნდა: პრაგმატიზმი, პოზიტივიზმი, ექსპერიმენტული პედაგოგიკა, შრომის სკოლა, ბიჰევიორიზმი, კონსტრუქტივიზმი და სხვ. ეს არის ეტაპი პედაგოგიკური მეცნიერებისადმი დამოკიდებულების, მრავალი თეორიის, კამათისა და ჭეშმარიტების დადგენის ხანა. ახალმა პედაგოგიურმა ტექნოლოგიებმა და დანერგილმა სიახლეებმა გამოავლინა კლასიკური პედაგოგიური თეორიების და მის მიხედვით აგებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ნაკლოვანი მხარეები. ტრადიციული პედაგოგიკის პარადიგმა ვეღარ უზრუნველყოფდა ტექნოლოგიური რევოლუციის შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის აგებასა და მისი სასურველი მიმართულებით განვითარებას. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ საკუთრივ აღზრდა აღმოცენებისთანავე ავტორიტარული ხასიათის იყო. რაც

განპირობებულია იმით, რომ აღზრდა იშვიათად ემთხვევა ბავშვის მოთხოვნებს. ბავშვის მიერ მცირეოდენი პროტესტის გამოხატვაც კი, აღმზრდელს იძულებულს ხდის ეძიოს ახალი გზები, მეთოდები მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. უმეტეს შემთხვევაში ეს ძიება დასჯის სახეს ღებულობდა.

მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებს ფეხი აუწყო ქართულ-მა პედაგოგიკურმა აზროვნებამ. გასაკუთრებით უნდა აღინიშნოს ექსპერიმენტული პედაგოგიკის აღმოცენებისა და განვითარების ეტაპი. საქართველოში მას საფუძვლად დაედო დიმიტრი უზნაძის მიერ 1912 წელს შექმნილი უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“. დიმიტრი უზნაძის მიერ პრაქტიკული კვლევის საფუძველზე მეცნიერულად იქნა დამტკიცებული მოზარდის აღზრდისათვის აუცილებელი ის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ ბავშვის სულიერი ცხოვრების ცოდნას. „ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ეს არის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ფილოსოფია ურთიერთკავშირში აყალიბებენ თავიანთ მეცნიერულ პოზიციებს. დიმიტრი უზნაძე იყო ის მეცნიერი, რომელმაც საქართველოში პედაგოგიკას თავისი ადგილი, როლი და კონკრეტული დანიშნულება მიუჩინა“ (8, 183). მის პედაგოგიურ ნააზრევში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ, ხოლო პედაგოგიკისა და აღზრდის კანონების და კანონზომიერებების დადგენა-აღმოჩენა შეადგენს პედაგოგიკის კვლევის ძირითად მიზანს და ამოცანას. მისი ღრმა რწმენით პედაგოგიკა არის მეცნიერება, ხელოვნება და პრაქტიკა. დიმიტრი უზნაძე ითვლება ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად და ახალი პედაგოგიური პარადიგმის განმსაზღვრელად.

1921 წლიდან ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში იწყება ახალი, რთული ეტაპი. რაც გამოწვეული იყო ქვეყნის საბჭოთა რუსეთის ანექსიით. მიუხედავად ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარების მთავარ სამიზნედ ევროპული სკოლა იქნა მიჩნეული. ამდენად, 1921-1930-იანი წლების ქართული საბჭოთა განათლების სისტემა გამოირჩეოდა პროგრესული განათლების ხაზით. ქართველი განმანათლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ უცხოელ კოლეგებთან. დაიწყო ზრუნვა სწავლებისა და აღზრდის პროცესის გადახალისებისათვის. ცდილობდნენ დაენერგათ სწავლებაში ისეთი ევროპული სიახლეები, როგორებიც იყო: მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლება ყოფილიყო არა მხოლოდ მასწავლებლის ახსნისა და წიგნის საშუალებით, არამედ ბუნებასთან უშუალო კავშირითა და რეალურ მოვლენებზე დაკვირვებით. დაიწყო ძიება სწავლების ორგანიზაციის ახალი ფორმებისა (დალტონ-გეგმა) და სწავლების ახალი მეთოდების (კომპლექსური მეთოდი, პროექტული მეთოდი, შრომის მეთოდი) ლაბორატორიული მეთოდი, სწავლება კეთებით) დასაწერად.

დიმიტრი უზნაძეს, მარიამ ორახელაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, კ. ბერიძეს, მ. ზანდუკელს, გ. კონიაშვილს, დ. დონდუას, პ. ჭანიშვილს, დ. გურგენიძეს აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ქართული პედაგოგიკური მეცნიერების პარადიგმა უნდა დაფუძნებოდა კლასიკური პედაგოგიკისა და თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებს, პედაგოგიკა უნდა განვითარებულიყო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი მეცნიერება.

მეოცე საუკუნის 30-50-იან წლებში ქართული საბჭოთა პედაგოგიკაში იცვლება პედაგოგიკის პარადიგმა, რამაც განაპირობა სწავლების შინაარსის, სწავლების ორგანიზაციის, სწავლების მეთოდების, ცოდნის შემოწმება - შეფასების, სწავლების პრინციპების სწავლების მეთოდების სხვაგვარად წარმოჩენა-კერძოდ, იგი დაემორჩილა საბჭოთა პოლიტიკას. საბჭოური აღზრდის პოლიტიკა, მისი განხორციელების გზები და მეთოდები იყო უმთავრესი ამოცანა იმ დროის პედაგოგიკური მეცნიერებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ პედოლოგიის განვითარების პერიოდი. „პედოლოგები ანკეტებისა და ტესტების მეთოდებით აწარმოებდნენ მოსწავლეთა და მათი მშობლების კვლევას და მიზნად ისახავდნენ დაესაბუთებინათ, რომ სწავლაში მოწაფეთა წარუმატებლობა, მათი ქცევის ცალკეული დეფექტები განპირობებულია მემკვიდრეობითი და სოციალური ფაქტორებით“ (12, 68). 1936 წელს პედოლოგიის თეორია და პრაქტიკა გაუქმდა საბჭოთა საქართველოში.



ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი წლის განმავლობაში პედაგოგიკის სასწავლო კურსი ისწავლებოდა რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოებით. დამკვიდრდა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ასეთი განმარტება: პედაგოგიკა არის მეცნიერება პიროვნების კომუნისტურად აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ დავით ლორთქიფანიძის მთავარი რედაქციით 1956 და 1969 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „პედაგოგიკა“. მასში პედაგოგიკა განმარტებულია, როგორც მეცნიერება „მოზარდის აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ“, ხოლო „საბჭოთა პედაგოგიკა განმარტებულია, როგორც მეცნიერება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ“ (6, 6). ეს განმარტება წითელ ხაზად გასდევს საქართველოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პედაგოგიკაში გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნებს.

მე-20 საუკუნის 60 -იანი წლებიდან პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების მიერ საბჭოთა კავშირში, ჩამოყალიბდა რამდენიმე ექსპერიმენტული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება სწავლების პროცესში უმცროსკლასელთა შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. 1964 წელს ქართველმა მეცნიერებმა და პედაგოგებმა ჩამოაყალიბეს ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია. მოგვიანებით ლაბორატორიის ხელმძღვანელი გახდა შალვა ამონაშვილი. მეცნიერმა აღმოაჩინა **ბავშვი**, როგორც პიროვნება, სწავლების თანასწორუფლებიანი წევრი, როგორც განუმეორებელი ინდივიდი. დაიწყო მცდელობა პედაგოგიკის პარადიგმაში შესულიყო გარკვეული ცვლილება. აქედან ეყრება საფუძველი პიროვნულ თანამშრომლობით ჰუმანურ პედაგოგიკას, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია ქართველი პედაგოგი და მეცნიერი **შალვა ამონაშვილი**. მაგრამ უშედეგოდ.

1986 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა გარდაქმნის კურსმა განათლებაზეც მოახდინა გავლენა. მოხდა სკოლის დე იდეოლოგია. რეფორმა მიზნად ისახავდა განათლების ჰუმანიზაციას, შინაარსის, ფორმების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების შეცვლას. მოხდა განათლების დეცენტრალიზაცია.

ამრიგად, 1921 წელს გასაბჭოებიდან 1991 წლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, განათლება საქართველოში გახდა საბჭოთა განათლების სისტემის ნაწილი, ყველა რეფორმა და ცვლილება ბუნებრივად აისახებოდა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე და პედაგოგიკურ აზროვნებაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებამ, მისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებამ შესაძლებელი გახადა განათლების სისტემის მეცნიერული მართვის ისეთი უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტა, როგორებიცაა სასწავლო გეგმების, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, სწავლების შინაარსისა და ორგანიზაციული ფორმების, მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების სრულყოფა, სკოლისა და ოჯახის ურთიერთკავშირის რეგულირება, მოზრდილთა შორის განათლების პრობლემების მოგვარება, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა და სხვ.

1990-2000 წლებში გამოიცა ქართულ რეალობაზე დაფუძნებული პედაგოგიკის სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორები არიან: ვ. გაგუა, ზ. ცუცქირიძე, ა. გობრონიძე, შ. მალაზონია, ნ. ვასაძე. აღნიშნული სახელმძღვანელოები განთავისუფლებულია საბჭოური იდეოლოგიიდან და პედაგოგიკის მეცნიერებას განსაზღვრავენ მეცნიერებას, როგორც „მოზარდის აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ“.

კაცობრიობის განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გააფართოვა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ჩარჩოები. იგი არ არის მეცნიერება მხოლოდ ბავშვის/ მოზარდის აღზრდისა და განათლების შესახებ. არამედ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში წამოიჭრა სრულიად ახლებური პრობლემები პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში. ისინი თავისი არსით გასცდნენ ტრადიციული პედაგოგიკის კვლევის სფეროს. სამოქმედო დევიზად იქცა სწავლებისადმი სხვაგვარი მიდგომა - „სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე“. პედაგოგიკური მეცნიერების ფუნქცია და დანიშნულება შეეხო არა მხოლოდ ბავშვს ან მოზარდს, არამედ პიროვნებას მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე. პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, დანიშნულება არის არა მხოლოდ მოზარდი თაობის, არამედ, საერთოდ, ადამიანის პიროვნების აღზრდა. ვხვდეთ

ბით კიდევ შესაბამის განმარტებებს. მაგ., ი.კ. ბაბანსკის აზრით, „პედაგოგიკის საგანი არის ადამიანის აღზრდა, როგორც საზოგადოების განსაკუთრებული ფუნქცია“. ხოლო ი.კ. პოდლა-სის განმარტებით, „პედაგოგიკა ეს არის მეცნიერება ადამიანის აღზრდის შესახებ, და ა.შ. აღზრდაში აქ ფართო მნიშვნელობით იგულისხმება განათლება, სწავლება და განვითარება. ამის გამო, მსოფლიო პედაგოგიურ ლექსიკონში ხშირად გამოიყენება ახალი ტერმინები - „ანდროგოგიკა“ (წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „ანდროს“ - მამაკაცი, „აგო“ - აღზრდა) და „ანთროპოგოგიკა“ (წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „ანთროპოს“ - ადამიანი და „აგო“ - აღზრდა)“(2, 8).

ჩვენს მიერ გაანალიზებული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში პედაგოგიკის პარადიგმამ და პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებამ აღზრდის, სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან დაკავშირებით რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომელიც გამოირჩეოდა განვითარების სპეციფიკური მახასიათებლებით:

- მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი-საქართველოში პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია. ქართული ეროვნული სკოლისა და ქართული ეროვნული პედაგოგიკის საფუძვლების ჩაყრა;
- 1910-1920 წლები თავისუფალი აღზრდისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის დამკვიდრების პერიოდი. პედაგოგიკური მეცნიერებისადმი დამოკიდებულების, მრავალი თეორიის, კამათისა და ჭეშმარიტების დადგენის ხანა;
- 1920-1930 წლები - პროგრესული განათლების დამკვიდრების პერიოდი. „შრომის სკოლა“;
- 1931-1960 წლები - ტრადიციული, ავტორიტარული სწავლება „სწავლების სკოლა“. მასწავლებელი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმმართველი.
- 1960-1990 წლები - განმავითარებელი სწავლების, ჰუმანური პედაგოგიკისა და რეფორმის პერიოდი;
- 1990 წლიდან დღემდე-აქტიური ცვლილებებისა და რეფორმის პერიოდი;

საბჭოთა კავშირის დაშლამ ხელი შეუწყო საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას, რამაც ასახვა ჰპოვა პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში. როგორც იკვეთება პედაგოგიკური მეცნიერების სიახლეები არა მხოლოდ ახალ თეორიებსა და მიმართულებებს სთავაზობენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, არამედ ღრმად იჭრებიან მისი განვითარების რთულ და მრავალწახნაგოვან სივრცეში.

ამ რთული პროცესების შედეგად ჰუმანისტურმა-პედაგოგიკურმა აზრმა თანამედროვე სამყაროს შესთავაზა ახალი ტიპის პარადიგმული მოდელები, რომელთა მიხედვითაც სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის მთავარი მიზანი არ უნდა იყოს მზა ცოდნის ათვისება-დამახსოვრებაზე ორიენტირებული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება, არამედ პიროვნებას სკოლის კედლებიდანვე უნდა ჩამოეყალიბოთ აზროვნების ისეთი წესი, რომელიც ორიენტირებულია მუდმივად განახლებად ცოდნის ძიებაზე და მისი მოპოვებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

დღეს მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, რომელი მიმართულება ავტორიტარული, თუ ჰუმანისტური მოიტანს უკეთეს შედეგს. უფრო მეტიც, მკვლევართა გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ ავტორიტარულმა პედაგოგიკამ ამოწურა თავისი თავი.

როგორც აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ თვალსაზრისით მრავალი თეორია და მიმართულება ჩამოყალიბდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა პედაგოგიკა საქართველოში როგორც მეცნიერება. მაგრამ კამათი კვლავ გრძელდებოდა. ასეა დღესაც. მეცნიერთა ნაწილი პედაგოგიკის ვიწრო ჩარჩოებში (მხოლოდ ბავშვის, მოზარდის აღზრდა) მოქცევას ცდილობს. ვფიქრობთ, რომ ეს დიდი შეცდომაა, რადგან პედაგოგიკას თავის კვლევის საგნად მთლიანად პიროვნება მიაჩნია. პიროვნების ფორმირება-ჩამოყალიბებაში სოციალურ გარემოსთან ერთად აღზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნაწილი კი პედაგოგიკას არ მიიჩნევს მეცნიერებად. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი (რ. ბალანჩივაძე, ი. ბასილაძე, ჯ. ჯინჯიხაძე), კი ფიქრობს, რომ პედაგოგიკის პოზიციების შესუსტება გამოიწვია, იმან რომ ის მოწყდა ფილოსოფიას, ფსიქოლოგია მალალი დოზით შეიჭრა პედაგოგიკაში, რეალური პედაგო-

გიური პროცესი, რეალური პრაქტიკა, როგორც წესი იმართება არა ზოგადპედაგოგიკური იდეებით და პრინციპებით, არამედ მეთოდოლოგიური იდეებით და პრინციპებით.

საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუქმდა პედაგოგიური ფაკულტეტები და მას განათლების ფაკულტეტი ეწოდა, მასწავლებლის მომზადების პროგრამებში ამოღებული იქნა ისეთი საგნები, როგორებიცაა „აღზრდის თეორია“ და „პედაგოგიკის ისტორია“.

საქართველოში სწავლება-აღზრდის პროცესში მიმდინარე ოცდახუთწლიანმა რეფორმებმა და პრაქტიკულმა ცვლილებებმა უარყო ავტორიტარული პედაგოგიკისათვის დამახასიათებელი გარემო. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი ცვლილება მექანიკურად იქნა გადმოღებული დასავლეთის საგანმანათლებლო პრაქტიკიდან და სათანადოდ არ იქნა გააზრებული და შეჯერებული სწავლა-აღზრდის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან.

დღეს ინტერნეტ საიტებზე, პერიოდულ ჟურნალებში დაისვა კითხვები, რომელი ტერმინები უნდა გამოვიყენოთ ადრეული „აღზრდა“ თუ „განათლება“? მიაჩნიათ, რომ მიზანშეწონილია „აღზრდის“ ჩანაცვლება ახალი ტერმინით – „განათლება“. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ განათლების ჰოლისტური განმარტება მოიცავს „აღზრდის“ ტრადიციულ გააზრებას. მეორე: ვინაიდან ქვეყანაში დამკვიდრებულია ტერმინი „განათლების სისტემა“ (რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების სისტემას და სოციალური პედაგოგიკის ასპექტებსაც მოიაზრებს) და სკოლამდელი განათლება მისი განუყოფელი ნაწილია, მართებული იქნება სწორედ ტერმინ „განათლების“ გამოყენება. ხშირად, სამწუხაროდ, სკოლამდელი განათლების სფეროში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობას თავს არიდებენ მისთვის „აღზრდის“ ფუნქციის მინიჭებით, რითაც ხდება სკოლამდელი განათლების დაკნინება და მისი წარმოჩენა, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ნაკლებ მნიშვნელოვანი საფეხურისა“ (10).

„იმდენად, რამდენადაც აღზრდა აღმზრდელ-აღსაზრდელის ურთიერთობას გულისხმობს და ამ ურთიერთობაში აღმზრდელის აღსაზრდელზე ზემოქმედებას გულისხმობს, თანამედროვე ლიბერალური აზროვნების წარმომადგენლები, ყოველნაირად გაურბიან „აღზრდის“ ცნების ხსენებას და მას საჭიროა თუ არ არის საჭირო „განათლების“ ცნებით ცვლიან. პედაგოგიკა განმარტებულია არა როგორც მეცნიერება აღზრდის შესახებ, არამედ როგორც ცოდნის მნიშვნელოვანი სფერო. უფრო მეტიც აღზრდასთან ერთად „სწავლებისა“ და „განათლების“ ცნებებიც არაპირველხარისხოვან ცნებებად არიან მიჩნეული“ (1, 223).

როგორც პროფ. რ. ბალანჩივაძე წერს – „საქმე ის არის, რომ აღზრდა აუცილებლად გულისხმობს აღმზრდელს, რომელსაც საკუთარი სააღმზრდელო სისტემა გააჩნია, აქვს აღზრდის საგანგებო მეთოდები /წახალისების, დასჯის/, რომლებიც გულისხმობს ზემოქმედებას აღსაზრდელზე. მთელი ეს სააღმზრდელო სისტემა კი მთლიანად ართმევს ადამიანს თავისუფლებას, ან საგრძნობლად ზღუდავს მას. დღევანდელი დემოკრატიის პირობებში ასეთი შეზღუდვები მიუღებელია და ამიტომ დღეს მთელი აქცენტი კეთდება განათლებაზე და არა აღზრდაზე“ (1, 367).

საინტერესოა პესტალოცისეული „განათლების“ ცნების გაგება. „თუ სწავლებაცა და აღზრდაც პროცესია, განათლება არის მათგან მიღებული შედეგი“ (1,85-86). სწავლების პროცესში ადამიანი იღებს ცოდნას, იწრთობს აზროვნებას, იმტკიცებს მეხსიერებას და ნებისყოფას, ივითარებს საჭირო უნარ-ჩვევებს, ახდენს საკუთარი იდეების პრაქტიკულ რეალიზებას. აღზრდის პროცესში კი ყალიბდება მოქალაქედ, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური, რელიგიური, შრომითი და ა.შ. თვალსაზრისით. განათლება კი არის მათი გზით. განათლება არის მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს სწავლებისა და აღზრდის გზით. ჩვენ ვეთანხმებით პროფ. რევაზ ბალანჩივაძის აზრს, რომ „განათლების“ ცნების შინაარსის ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტი არის სწორედ პესტალოცისეული ვარიანტი“ (1, 86).

ჩვენ დავაზუსტებთ და შემოგთავაზებთ „განათლების“ ცნების ჩვენეულ ვარიანტს. განათლება არის ადამიანის მიერ ცოდნის განსაზღვრული სისტემის ძიებისა და ათვისების მიზანმიმართული აქტივობა, რომელიც აუცილებლად კულტურულ გარემოში ხორციელდება აღზრ-

დისა და სწავლების პროცესის გზით და ადამიანის პიროვნების ფორმირებას, სრულყოფას ისახავს მიზნად.

მიგვაჩნია, რომ ტერმინების დემისტიფიკაციას კი არა აქვს ამ ეტაპზე მნიშვნელობა, არამედ აუცილებელია პედაგოგიურ პარადიგმათა მუდმივი ცვლილება. რასაც ადასტურებს ისტორიულად დამკვიდრებული, განათლების წიაღში აღმოცენებული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების განვითარების გზა, თანამედროვე მეცნიერულ-თეორიული დისკუსიები და პრაქტიკის შედეგების ანალიზი. ადამიანის პიროვნების აღზრდის, სწავლების, მისი პიროვნებად ფორმირების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების განვითარება.

ცოდნის დაგროვებასა და შესწავლა-დამახსოვრებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მოდელი მოძველდა და საჭიროებს განახლებას, ძიებასა და აღმოჩენებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მოდელით. ვფიქრობთ, რომ ქართული საგანმანათლებლო სივრცე მოითხოვს ქმედით ჩარევას, არა მხოლოდ ტრადიციული ხალხური პედაგოგიკით ნასაზრდოები პრობლემების წვდომას, არამედ თანამედროვე პედაგოგიკისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების განათლების სისტემის საფუძვლიან ცოდნასაც, ქართულ რეალობასთან მის მისადაგებას.

ამ თვალსაზრისით გთავაზობთ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ჩვენეულ განმარტებას: პედაგოგიკა არის ინტერდ მეცნიერება, კულტურულ გარემოში ადამიანის აღზრდის, სწავლების, განათლების და პიროვნებად ფორმირების, შემოქმედებით ძიებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული თეორიისა და პრაქტიკის კვლევის პროცესი, პიროვნების განვითარების ბუნებრივ მონაცემთა და სოციალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, მისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. ბალანჩივაძე, რ. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, როგორც განათლების მეცნიერება, თბილისი, 2011. Balanchivadze, R. 2011, Anthropological Pedagogy as an Educational Science, Tbilisi.
2. ბასილაძე, ი. კობრიძე ქ. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004. Basiladze I. Kokhraidze K. 2004, General Foundations of Pedagogics, Kutaisi.
3. ბასილაძე, ი. ჭოხონელიძე ნ. კოსტავა ნ. ქობულაძე ნ. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016. Basiladze I. Chokhonelidze N. Kostava N. Kobuladze N. 2016, Teaching Methods, Strategies, Pedagogical Technologies and Issues of Knowledge Assessment, Kutaisi.
4. ვასაძე, ნ. პედაგოგიკა, თბილისი, 2000. Vasadze, N. 2000, Pedagogics, Tbilisi.
5. კომენსკი, ი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, თბილისი. 1949. Komenski, I. 1949, Selected Works in Pedagogy, V. 1. Tbilisi.
6. პედაგოგიკა, მთავარი რედაქტორი დ. ლორთქიფანიძე, თბილისი, 1969. Pedagogics 1969, Edited by Lordkipanidze, D., Tbilisi.
7. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე, თბილისი, 2004. History of Pedagogy 2004, Edited by Vasadze, N., Tbilisi.
8. საქართველოს განათლების მატიანე, მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, თბილისი, 2015. Chronicles of Education in Georgia, 2015, Edited by Academician Natela Vasadze, Tbilisi.
9. უზნაძე, დ. ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ქუთაისი, 1912. Uznadze, D. 1912, Experimental Pedagogy, Kutaisi.
10. ჯანელიძე, ა. ადრეული აღზრდა თუ განათლება? ტერმინთა დემისტიფიკაცია დიალოგისათვის, თბილისი, 2017. matstavlebeli. ge. Janelidze, A. 2017, Early Upbringing or Education? Demystifying Terms for Dialogue, Tbilisi.matstavlebeli.ge
11. ჯინჯიხაძე, ჯ. პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდის თანამედროვე ურთიერთობები, სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ № 20, 2006. Jinjikhadze, J. 2006, Current Relations between Pedagogy and Teaching Methodology, Journal “Intellect” № 20.
12. ჭკუასელი, ქ. ჭკუასელი, ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012. Chkuaseli K. Chkuaseli I. 2012, General Foundations of Pedagogy, Tbilisi.

0301

იან ქრომი , ლენკა ტურნეროვა, ევა ოტოვა

პრაღის სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტის ინსტიტუტი, მენეჯმენტის დეპარტამენტი

Jan Chromy , Lenka Turnerova , Eva Ottova

Prague Institute of Hospitality Management, Department of Management

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატია განიხილავს შვეიცარიაში გურმანი კომპანიების მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, რომლებმაც გამოავლინეს მენეჯერების საკვალიფიკაციო უნარ-ჩვევები და მართვის ხერხები და მიანიჭეს მათ უმაღლესი კატეგორია. აქვე მიმოხილულია ის უნარები, რომლებიც შეიძინეს მათ პრაქტიკაში ხშირი გამოყენების შედეგად. აქედან გამომდინარე, ჩეხეთის რესპუბლიკაში წარადგინეს რეკომენდაციები მენეჯმენტის სწავლების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** უნარ-ჩვევები, მენეჯერები, პრაქტიკა, განათლება.

**Abstract:** This paper discusses the significant skills and tools of managers who have been identified by the research of gourmet companies in Switzerland and can be labeled as top. Here is an overview of these skills acquired on the basis of their frequency of use in practice. The recommendations on this basis are made for teaching management in the Czech Republic.

**Key words:** skills, managers, practice, education

### Experience for Education Managers from Foreign Practice

#### უცხოური პრაქტიკის გამოცდილება მენეჯერების მომზადებისთვის

#### Introduction

The aim of the research was to analyze whether the teaching of different managerial skills corresponds to the frequency of their use in top gastronomic firms. Swiss companies were selected as reference. This was due to the well-known quality of tourism services, the interest of the country in tourism and the high level of Swiss education. Switzerland has a long-standing tradition in the tourism industry and **concentrates on qualitative tourism growth bringing profits** not only for companies, but also for the state budget.

Schools are taught here in a good way and with an emphasis on the usability of the knowledge and skills they have achieved in practice. As an example, we can introduce schools (Tatar, 2015):

- Ecole Hôtelière de Lausanne,
- Glion Institute of Higher Education,
- Les Roches International School,
- Swiss Hotel Management School.

Information was gathered through a questionnaire survey with respondents, including senior executives, senior and middle managers, and first-line managers in the area of restaurants, bars and catering companies in the Swiss canton of Zurich. 107 questionnaires were evaluated.

#### Questionnaire survey

The submitted questionnaire contained three sets of questions.

- general data - age, gender, job position, business type.
- the importance of skills - 14 management skills were mentioned, to which the respondents had to write the order of importance of their use.
- management tools used by managers - the purpose was to find out what tools the managers use and in what frequency.

#### Collected data

##### a) General data

Leaders, top and middle managers, and first-line managers in restaurants, bars and catering companies in the Swiss Canton of Zurich are from 62% female (66 women, 41 men). The age of these workers exceeds in 66% of cases 39 years (ratio of 71 elders, 36 younger).


##### b) The importance of skills

Each of these managers, based on their experience and opinions, set the ranking of the skills of a quality manager. The results are shown in table 1, where the average ranking represents a rating that is somewhat equivalent to a 1 to 5 grade. In this case, however, the average ranking scale is between 1-14.

**Table 1. - Overview of the importance of managerial skills (Source – own research)**

Managerial skills	Rank	Sum of rank	Average rank
Organizational skills	1	362	3,4
Communication skills	2	445	4,2
Quick decision	3	561	5,2
Problem solving	4	661	6,2
Setting goals	5	678	6,3
Staff management	6	736	6,9
Time analysis	7	796	7,4
Motivation	8	924	8,6
Delegation	9	929	8,7
Change management	10	1029	9,6
Coaching	11	1036	9,7
Rating performance	12	1040	9,7
Negotiation skills	13	1046	9,8
Conducting meetings	14	1168	10,9

In Graph 1, the average rank of importance of managerial skills is shown more clearly.




Graph 1 - Overview of the average rank of importance of managerial skills (source - own research)

Interestingly, men and women think slightly about the importance of some skills. In table 2 is an overview of the data. Only the average ranking is shown for a group of 66 women and for a group of 31 men.

Table 2 - Overview of the order of importance of managerial skills by respondent tender (own res.)

Managerial skills	Men		Women	
	Rank	Average rank	Rank	Average rank
Organizational skills	1	3,2	1	3,1
Communication skills	4	6,0	2	3,7
Quick decision	2	4,7	3	5,7
Problem solving	5	6,6	4	5,8
Setting goals	3	5,4	6	6,8
Staff management	7	7,2	5	6,4
Time analysis	6	7,1	7	8,1
Motivation	11	8,9	9	8,4
Delegation	9	8,4	12	9,2
Change management	8	8,1	8	8,3
Coaching	13	9,5	13	9,4
Rating performance	12	9,1	11	9,1
Negotiation skills	10	8,6	10	9,0
Conducting meetings	14	11,9	14	10,9

In graph 2, the order of importance of managerial skills is shown more clearly.



Graph 2 - Overview of the order of importance of managerial skills with respect to respondents' gender (source - own research)

**c) Management tools used by managers**

Managers spoke about driving tools. They had a choice of three options given by the scale:

- I use it normally,
- I use occasionally,
- I do not use.


From the questionnaires, the data were presented, the parts of which are shown in tab. 3 and 4. Here are the opinions of experienced managers aged under 39 (Table 3) and over 39 years (Table 4). Bold figures can be considered as reliable.

**Table 3- Using management tools (up to 39 years)**

Tool	Uses			standard error [%]	Interval of 95% reliability [%]
	Normally [%]	Occasionally [%]	Not use [%]		
<b>Charisma</b>	<b>77,4</b>	14,3	8,3	4,6	68,4 – 86,3
<b>Promise of reward</b>	<b>76,2</b>	11,9	11,9	4,6	67,1 – 85,3
<b>Threat of punishment</b>	<b>60,7</b>	26,9	12,4	5,2	50,5 – 70,8
<b>Personal respect</b>	<b>75,0</b>	14,3	10,7	4,7	65,7 – 84,3
<b>Self-enforcement</b>	40,5	23,8	35,7	5,4	30,0 – 51,0
<b>Encouragement</b>	<b>88,1</b>	4,8	7,1	3,5	81,2 – 95,0

(Jonášová, 2017)

Graphic processing of the table is in Graph 3.




Graph 3 - Using management tools (up to 39 years) (Jonášová, 2017).

Table 4 - Using management tools (over 39 years)

Tool	Uses			standard error [%]	Interval of 95% reliability [%]
	Normally [%]	Occasionally [%]	Not use [%]		
Charisma	72,4	26,7	0,9	4,1	64,3 - 80,5
Promise of reward	69,8	9,5	20,7	4,3	61,5 - 78,2
Threat of punishment	52,6	25,9	21,5	4,6	43,5 - 61,7
Personal respect	60,4	25,9	13,8	4,5	51,4 - 69,2
Self-enforcement	29,3	39,7	31,0	4,5	30,8 - 48,6
Encouragement	59,5	38,0	2,5	4,6	50,5 - 68,4

(Jonášová, 2017)

Graphic processing of the table is in Graph 4



Graph 4 - Using management tools (over 39 years) (Jonášová, 2017). Frequency of use of different tools differs in both groups.



Younger managers usually use the encouragement (88.1%), charisma (77.4%), the promise of a reward (76.2%).

Older managers typically use their charisma (72.4%), a promise of reward (69.8%), personal account (60.4%).

### Conclusion

The results of exploring the importance of skills did not bring anything surprising. The views of men and women differ only slightly. The importance of essential skills has been confirmed. The most important five skills are for both groups:

- organizational skills,
- communication skills,
- quick decision making,
- problem solving,
- setting targets.

Managers of both age categories most often use:

- charisma,
- encouragement,
- a promise of reward,
- personal respect.

It is recommended to orientate practical training on organizational and communication skills, to set goals correctly and solve various problems. It is advisable to include assertive skill training - the art of defending your rights or others without it at the expense of others.

### Resources

1. TATAR, S. (2015) Swiss factor stands out in the hospitality industry In *ShanghaiDaily.com* Dostupné z: <http://www.shanghaidaily.com/supplement/switzerland/Swiss-factor-stands-out-in-the-hospitality-industry/shdaily.shtml>.

2. JONÁŠOVÁ, D. (2017) *Manažerské dovednosti a jejich využívání v praxi manažera*. Praha, VŠH, 2016. Diplomová práce. Dostupné z WWW: [https://is.vsh.cz/auth/th/15089/vsh\\_b/](https://is.vsh.cz/auth/th/15089/vsh_b/)

### 0301

იანკა ბეტაკოვა,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი  
დუბნიცას უნივერსიტეტი, (დუბნიცა, სლოვაკეთი)

Janka Betáková,

Doc. Ing. Arch. Janka Betáková, PhD.,

DTI University, (Dubnica nad Váhom, Slovak Republic )

იან დვორსკი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

ზლინის ტომას ბატას უნივერსიტეტი

Ján Dvorský,

Doc . Ing.

Zlín Tomas Bata University, Faculty of Management and Economics (Zlín, Czech Republic)

### Comparison of Perception of Advantages and Disadvantages of Entrepreneurship by University Students

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ აღქმის უპირატესობების და მეწარმეობის  
ნაკლოვანებების შედარება

**რეზიუმე:** სტატისტიკის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის აღქმის უპირატესობების და მეწარმეობის ნაკლოვანებების შედარება. კითხვარის კვლევაში ჩართული იყო 1352 სტუდენტი ჩეხეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის 25 უნივერსიტეტიდან. აღწერილობითი სტატისტიკის ინსტრუმენტები, Z - ქულა, კონტინგენტის ცხრილები, ჰიპოთეზების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა კი-კვადრატული კრიტერიუმები. მეწარმეობაში ყველაზე განსაკუთრებული პროცენტი ნაჩვენებია იყო სტუდენტების მი-

ერ პოლონეთიდან (38.1%), შემდეგ მოჰყვება სლოვაკეთი (35.7%) და ჩეხეთის რესპუბლიკა (26.9%). გავარკვეთ, რომ უპირატესობები პოზიტიურ გავლენას ახდენს და პოლონეთის სტუდენტებს შორის მეწარმეობისადმი მიდრეკილებას მეტი უპირატესობა ენიჭება (50.1%), ვიდრე სლოვაკეთსა (42.3%) და ჩეხეთის რესპუბლიკაში (35.5%), "მეწარმეს გააჩნია უფრო მეტი ფინანსური რესურსები და უკეთესი პოზიცია საზოგადოებაში". აღმოვაჩინეთ, რომ ნაკლი "მეწარმეს დრო არა აქვს თავისი ოჯახისთვის" უარყოფით გავლენას ახდენს მეწარმეობისადმი პოლონელი სტუდენტების მიდრეკილებაზე, ვიდრე ჩეხეთსა და სლოვაკეთის რესპუბლიკებში.

**საკვანძო სიტყვები:** კოლეჯის სტუდენტი, მეწარმეობის უპირატესობები, მეწარმეობის ნაკლოვანებები, მეწარმეობისადმი მიდრეკილება.

**Abstract:** The aim of the paper is the comparison of the perception of advantages and disadvantages of entrepreneurship among the university students. 1352 students from 25 Czech, Slovak and Poland universities were involved in the questionnaire survey. Tools of descriptive statistics, Z-score, contingency tables, Chi-square test were used for the evaluation of the hypotheses. The most exceptional interest in entrepreneurship was shown by students from Poland (38.1%), followed by Slovakia (35.7%), and the Czech Republic (26.9%). We found out that the advantages "the entrepreneur has more financial resources and a better position in society" positively influences propensity for entrepreneurship for students in Poland (50.1%) than the Slovak (42.3%) and Czech Republic (35.5%). We found out that the disadvantages "the entrepreneur has no time for his family" negatively influences propensity for entrepreneurship for students in Poland than the Czech and Slovak Republic.

**Keywords:** college student, advantages of entrepreneurship, disadvantages of entrepreneurship, propensity for entrepreneurship

## Introduction

Entrepreneurship is a significant part of the economic system of every country, having important effects on the growth of the entire society. Therefore, many authors put emphasis on the role of small and medium-sized enterprises (SMEs) in the effective functioning of an economic system (Cepel et al., 2018; Czarniewski, 2016).

The graduating students are potentially entrepreneurs in each country. At a present a career choice for a young person finishing a college studies is very difficult. The advantages and disadvantages of entrepreneurship play a key position for next life of students. The propensity for the entrepreneurship is influenced by multiple determinants, among which we can include working occupancy, social status, salary, realization of their own abilities.

## Theoretical background

Papayannakis et al. (2006) stated that entrepreneurship has emerged as an important mechanism for economic growth and job creation. Entrepreneurship education is something new in Europe, and the debate about the need and the way of introduction of specific entrepreneurship courses in higher education institutions is ongoing.

College education creates conditions for the student to become a good entrepreneur. This statement was confirmed by many studies. Lafuente et al. (2013) reported that people with a college degree are more interested in entrepreneurship and owning a business in comparison with people who do not have a college degree. Plotnikova et al. (2016) found that the individuals who had a university degree chose to be entrepreneurs as they believe that they have decent knowledge for business management.

Ahmedova (2015) states that access to finance is the most important factor for SMEs to be competitive on the market. Business with sufficient external sources can innovate and invest, which enables them to be more successful in the competitive environment. Ahmedova states too that the economic benefits are most important for start of businesses.

Most important advantages are: the entrepreneur has more financial resources and a better position in society (Preisendörfer et al., 2012), the entrepreneurship offers better career growth and interesting job possibilities (Winkel et al., 2013) and the entrepreneurship offers to fully utilize self-abilities (Sorenson, 2018).

Most important advantages are: the entrepreneur does not have a steady income (Pica et al., 2011), the entrepreneur has no time for his family (Robertson et al., 2000) and the entrepreneur does not have a positive image in the society (Fraser & Simkins, 2016).

## Aim, methodology and data

The main aim of the paper is to compare the advantages and disadvantages of entrepreneurship among students operating in the Czech Republic, Slovak Republic and Poland. The secondary aim of the paper is to assess the factors that influence students' attitude to the entrepreneurship in selected countries.

The results presented in this paper are a part of extensive research: „*Comparison of the preferences of university students between the Czech Republic (CR), Slovak Republic (SR) and Poland (PL) in their professional lives and propensity for the entrepreneurship*“. The research was conducted at Tomas Bata University in Zlín in the year 2017. 1352 students were interviewed by method of random selection. The questionnaire consisting of 43 questions was formulated to investigate the attitudes of students in the Czech Republic, Slovak Republic and Poland. Following statistic hypotheses were evaluated to fulfill the main objective of the paper:

- H1A: There are statistically significant differences in the assessment of access to advantages among students by nationality. H1B: There are statistically significant differences between the nationalities of students who agree (I agree completely and I agree) that the entrepreneur has more financial resources and a better position in society.
- H2A: There are statistically significant differences in the assessment of access to disadvantages among students by nationality. H2B: There are statistically significant differences between the nationalities of students who agree (I agree completely and I agree) that the entrepreneur has no time for his family.
- H3A: There are statistically significant differences in the students' propensity to start a business after university graduation by nationality. H3B: There are statistically significant differences between students who agree to start a business after graduation by nationality.

The goal was to determine whether the students' nationality influences the assessment of the following factors (F): It is assumed that the formulated statements for factor F1 (F11, F12, F13, F14) and F2 (F21, F22, F23 and F24) are the most significant.

***F1: The advantages of entrepreneurship.***

F11: Advantages of entrepreneurship outweigh the disadvantages.

F12: Entrepreneur has more financial resources and a better position in society.

F13: Entrepreneurship offers better career growth and interesting job possibilities.

F14: Entrepreneurship offers to fully utilize self-abilities.

***F2: The disadvantages of entrepreneurship.***

F21: Disadvantages of entrepreneurship outweigh its advantages.

F22: Disadvantages of entrepreneurship is that the entrepreneur does not have a steady income.

F23: Disadvantages of entrepreneurship is that the entrepreneur has no time for his family.

F24: Disadvantages of entrepreneurship is that the entrepreneur does not have a positive image in the society.

**Students were able to express their opinion about their interest in doing business after graduating from university, stated as:**

**Y: "I am convinced that I will be doing business after graduating from college."**

For the above statement, students could reply with one of the following answers: (A1) "I completely agree", (A2) "I agree", (A3) "No attitude", (A4) "I disagree" or (A5) "I do not agree at all". Following statistical tools of descriptive statistics (tables, descriptive characteristics - sum) were used in addressing formulated hypotheses of partial research. We applied methods as absolute frequency and method of sorting the responses in evaluating statements. The number of variations of each statement was 5 (A1, ..., A5). **Method of simple sorting was used to express the relative frequency of positive responses of statement. Another used method was the relationship between qualitative variable of statistical characteristics (statement, type of country) utilizing contingency table and contingency intensity. Contingency intensity was measured using Pearson coefficient of contingency, which is based on the square contingency. Z-score was used to determine significant statistical differences in the evaluation of statements of students' answers by country of study.**

**In this research we addressed 409 students from 14 universities in the Czech Republic, 568 students from 8 universities in Slovak Republic and 375 students from 3 universities in Poland. Structure of students by gender studying at universities:**

- **in the Slovak Republic: 216 males (38.03%), 352 females (61.97%). Students from the Slovak Republic are studying at universities in the following cities: Bratislava, Trenčín, Žilina, Prešov, Banská Bystrica, Zvolen, Košice.**

- in Czech Republic: 156 males (38.14%), 253 females (61.86%). Students from the Czech Republic are studying at universities in the following cities: Liberec, Brno, Praha, Olomouc, Pardubice, Ostrava, Zlín.
- in Poland: 145 males (38.7%), 230 females (61.3%). Students from the Czech Republic are studying at universities in the following cities: Nicolaus Copernicus University in Toruń, University of Gdańsk, University of Szczecin.

### Results and discussion

In the following tables (see Table 1 and Table 2), we present the absolute values of evaluation of advantages and disadvantages of entrepreneurship among students Czech Republic, Slovak Republic and Poland.

**Table 1. Evaluation of advantages of entrepreneurship by students from CR, SR and PL**

<b>F11</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>	<b>F12</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>
A1	23	56	41	A1	16	50	25
A2	195	176	253	A2	129	138	215
Proportion A1+A2 [%]	53.3	61.9	51.8	Proportion A1+A2 [%]	35.5	50.1	42.3
A3	105	81	114	A3	83	91	107
A4	83	50	146	A4	173	73	206
A5	3	12	14	A5	8	23	15
Chi-square	<b>48.954</b>			Chi-square	<b>84.377</b>		
P- value*	<b>&lt; 0.00001</b>			P- value*	<b>&lt;0.00001</b>		
<b>F13</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>	<b>F14</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>
A1	39	72	73	A1	88	80	123
A2	210	200	369	A2	267	205	371
Proportion A1+A2 [%]	60.9	72.5	77.8	Proportion A1+A2 [%]	86.8	0.76	87
A3	87	48	73	A3	23	54	45
A4	69	46	52	A4	30	25	25
A5	4	9	1	A5	1	11	4
Chi-square	<b>52.332</b>			Chi-square	<b>34.746</b>		
P- value*	<b>&lt; 0.00001</b>			P- value*	<b>0.00003</b>		

Note: CR – Czech Republic, SR – Slovak Republic, PL - Poland. Source: own calculations.

The results presented in Table 1 show that there are statistically significant differences in the students' assessment of the claims related to access to advantages among students by nationality (F11, F12, F13 and F14: p-value < the level of significance). The H1A hypothesis is accepted.

**Table 2. Evaluation of disadvantages of entrepreneurship by students from CR, SR and PL**

<b>F21</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>	<b>F22</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>
A1	3	9	16	A1	30	67	47
A2	85	48	161	A2	207	170	303
Proportion A1+A2 [%]	21.5	15.2	31.2	Proportion A1+A2 [%]	57.9	63.2	61.6
A3	102	80	109	A3	55	41	78
A4	199	181	253	A4	113	79	134
A5	20	57	29	A5	4	18	6
Chi-square	<b>71.222</b>			Chi-square	<b>52.258</b>		
P- value*	<b>&lt;0.00001</b>			P- value*	<b>&lt;0.00001</b>		
<b>F23</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>	<b>F24</b>	<b>CR</b>	<b>PL</b>	<b>SR</b>
A1	43	56	58	A1	7	26	9
A2	153	138	214	A2	42	64	85
Proportion A1+A2 [%]	47.9	51.7	47.8	Proportion A1+A2 [%]	12.0	24.0	16.5
A3	64	52	86	A3	80	69	144
A4	130	100	191	A4	254	136	295
A5	19	29	19	A5	26	80	35
Chi-square	<b>17.919</b>			Chi-square	<b>122.865</b>		
P- value*	<b>0.021</b>			P- value*	<b>&lt;0.00001</b>		

Note: CR – Czech Republic, SR – Slovak Republic, PL - Poland. Source: own calculations.

The results presented in Table 2 show that there are statistically significant differences in the students' assessment of the claims related to access to disadvantages among students by nationality (F21, F22, F23 and F24: p-value < the level of significance). The H2A hypothesis is accepted.

**Table 3. Comparison of Positive Response by students between CR, PL, and SR**

F12	CR/PL	PL/SR	CR/SR	F23	CR/PL	PL/SR	CR/SR
Proportion A1+A2 [%]	35.5/ 50.1	50.1/ 42.3	35.5/ 42.3	Proportion A1+A2 [%]	47.9/ 51.7	51.7/ 47.8	47.9/ 47.8
Z- score	-4.154	2.379	-2.096	Z- score	-1.066	1.156	1.316
P – value*	0.000	0.017	0.027	P – value*	0.285	0.246	0.187

Notes: \* P- value on level of significance 0.05; CR – Czech Republic; PL – Poland; SR – Slovak Republic. Source: own calculations.

From Table 3, it is apparent that there are significant differences between the CR and PL (p-value = 0.000), between PL and SR students (p-value = 0.017). Also, there are significant differences between students from CR and SR in the agreed attitudes for F12 (p-value = 0.027). The hypothesis H1B is accepted. By pairwise comparison (CR/PL; PL/SR; CR/SR) of students' attitudes according to their nationality on disadvantage (F23: the entrepreneur has no time for his family), there are no statistically significant differences, as all the achieved p values are higher than the level of set significance, by comparison. The hypothesis H2B is rejected

**Table 4. Evaluation of students' interest to be an entrepreneur after graduation**

Y	CR	PL	SR	Y	CR/PL	PL/SR	CR/SR
A1	33	50	46	Proportion A1+A2 [%]	26.9/38.1	38.1/35.7	26.9/35.7
A2	77	93	157	Z- score	-3.362	-0.747	2.923
A3	108	117	168	P – value*	<0.001	0.453	0.004
A4	145	74	148				
A5	46	41	49				
Chi-square	37.426						
P- value*	<0.001						

Notes: \* P- value on level of significance 0.05; CR – Czech Republic, SR – Slovak Republic, PL - Poland. Source: own calculations.

The results summarised in Table 4 show that there are statistically significant differences in the students' assessment of the mentioned claim (Y). Students' nationality affects the evaluation of interest in entrepreneurship after graduation. Hypothesis H3A is accepted. Students from Poland (38.1%) and Slovakia (35.7%) are more interested in entrepreneurship after graduation than students from the Czech Republic (26.9%). There are no differences between students according to the nationality of the PL and the SR in the agreed attitudes towards entrepreneurship (p-value = 0.453). Hypothesis H3B is partially accepted because between: a) the CR and PL; b) the CR and SR are significant differences in the agreed attitudes towards entrepreneurship.

**Conclusion**

The aim of paper was to compare the advantages and disadvantages of entrepreneurship among students in the Czech Republic, Slovak Republic and Poland as well as to define the advantages (disadvantages) that determine the propensity of students for entrepreneurship in selected countries. The results confirmed that the perception of the mentioned advantages and disadvantages that affect the decisions of pre-productive population in the countries (Czech Republic, Slovak Republic and Poland) are different.

This research was conducted on the sample of 1352 students in the Czech Republic, Slovak Republic, Poland and is of a local character. Identifying other factors such as government support, social environment, family, education and their statistical evaluation leaves room for further research of the factors that determine the propensity of students for the entrepreneurship.

## Acknowledgement

*Academic Alliance of Grant Agency 1\_2/2018* “A comparison of the preferences of university students between the Czech Republic and Slovakia in their professional life and propensity to entrepreneurship”.

## References:

1. Ahmedova, S. (2015). Factors for increasing competitiveness of small and medium-sized enterprises (SMEs) in Bulgaria. *Procedia-Social and Behavioral Sciences*, 195 (1), 1104–1112.
2. Celep, M., Stasiukynas, A., Kotaskova, A., & Dvorsky, J. (2018). Business environment quality index in the SME segment. *Journal of Competitiveness*, 10(2). doi: 10.7441/joc.2018.02.02.
3. Czarniewski, S. (2016). Small and medium-sized enterprises in the context of innovation and entrepreneurship in the economy. *Polish Journal of Management Studies*, 13(1), 30-39. doi:10.17512/pjms.2016.13.1.03.
4. Fraser, J.R. S. & Simkins, B. J. (2016). The challenges of and solutions for implementing enterprise risk management. *Business horizons*, 59(6). doi: 10.1016/j.bushor.2016.06.007.
5. Lafuente, E. M. and Vaillant, Y. (2013). Age Driven Influence of Role-Models on Entrepreneurship in a Transition Economy. *Journal of Small Business and Enterprise Development*, Vol. 20(1). doi: http://dx.doi.org/10.1108/14626001311298475.
6. Papayannakis, L., Mavrotas, G., & Damigos, D. (2006). Fostering entrepreneurship in Polytechnic Universities: The Greek Experience. In *University Entrepreneurship - Incubating Processes Conference Proceedings* (pp. 187-193). Lahti: Lahti University.
7. Pica, G., & Rodríguez Mora, J. V. (2011). Who's afraid of a globalized world? foreign direct investments, local knowledge and allocation of talents. *Journal of International Economics*, 85(1), 86-101. doi:10.1016/j.jinteco.2011.04.002 .
8. Plotnikova, M., Romero, I., Martinez-Roman, J. A. (2016). Process innovation in small business: the self-employed as entrepreneurs. *Small Business Economics*. 47 (4). doi: http://dx.doi.org/10.1007/s11187-016-9743-8.
9. Preisendörfer, P., Bitz, A., & Bezuidenhout, F. J. (2012). Business start-ups and their prospects of success in south african townships. *South African Review of Sociology*, 43(3), 3-23. doi:10.1080/21528586.2012.727542.
10. Robertson, M., Line, M., Jones, S., Thomas, S. (2000). International students, learning environments and perceptions: A case study using the Delphi technique. *Higher Education Research & Development*, 19(1) 89-102.
11. Sorenson, O. (2018). Social networks and the geography of entrepreneurship. *Small Business Economics*, 51(3), 527-537. doi:10.1007/s11187-018-0076-7.
12. Winkel, D., Vanevenhoven, J., Drago, W. A., & Clements, C. (2013). The structure and scope of entrepreneurship programs in higher education around the world. *Journal of Entrepreneurship Education*, 16, 15-29. Retrieved from www.scopus.com.

0301

იაგორ ბალანჩივაძე

Iagor Balanchivadze

განათლების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Academic Doctor of Education, Associate Professor

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

## დიფერენცირებული მიდგომების შედეგები დაწყებით კლასებში The Results of Differentiated Approaches in Primary Classes

**რეზიუმე.** სტატიაში საუბარია დიფერენცირებულ სწავლებაზე, რომელიც გვთავაზობს მოსწავლის ნიჭის, მიდრეკილებისა და ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინებას. დიფერენცირებული სწავლება წარმოადგენს სკოლის მოდერნიზაციის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას. სწავლების დიფერენციაცია თანამედროვე ეტაპზე არის განათლების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი. დიფერენციაცია არის სასწავლო პროცესის ორგანიზება მოსწავლეთა ჯგუფების დომინირებადი მახასიათებლების გათვალისწინებით, ხოლო ინდივიდუალიზაცია გულისხმობს ყოველი მოსწავლის განსაკუთრებულობის გათვალისწინებას. დიფერენცირებული სწავლება გამოდის, როგორც ინდივიდუალიზაციის პირობა და საშუალება, ხოლო მისი მიზანია ყოველი მოსწავლის მისი შესაძლებლობებისა და ნიჭიერების დონეზე სწავლება, სწავლების მისადაგება მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** დიფერენცირებული სწავლება, განშრევება, დიაგნოსტიკა, მზაობა, კვლევა.

**Abstract.** The paper deals with differential teaching, which offers the thorough consideration of student's gift, inclination and interests. Differential teaching is one of the leading directions of school modernization. The differentiation of teaching at the modern stage is the determining factor of democratization and humanization of education. Differentiation is to organize the learning process means dominant characteristics of students' groups, and individualization considers each student's peculiarities. Differential teaching is considered as a condition and means of individualization, and its objective is to teach each student at the level of his / her ability and talent, to adapt the teaching to the peculiarities of different groups of pupils. For research we used diagnostic tests developed by the Georgian Primary Education Program and aimed to reveal in which competence the student has a problem. By means of such an approach the students were able to correct existing problems and enroll better prepared into the next grade

**Key words:** differentiated teaching, split, diagnostics, readiness, survey.

დიფერენცირებული სწავლება გვთავაზობს მოსწავლის ნიჭის, მიდრეკილებისა და ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინებას. დიფერენცირებული სწავლება წარმოადგენს სკოლის მოდერნიზაციის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას. სწავლების დიფერენციაცია თანამრდროვე ეტაპზე არის განათლების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი.

დიფერენციაცია არის სასწავლო პროცესის ორგანიზება მოსწავლეთა ჯგუფების დომინირებადი მახასიათებლების გათვალისწინებით, ხოლო ინდივიდუალიზაცია გულისხმობს ყოველი მოსწავლის განსაკუთრებულობის გათვალისწინებას. დიფერენცირებული სწავლება გამოდის, როგორც ინდივიდუალიზაციის პირობა და საშუალება, ხოლო მისი მიზანია ყოველი მოსწავლის შესაძლებლობებისა და ნიჭიერების დონეზე სწავლება, სწავლების მისადაგება მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებებზე.

დიფერენცირებული სწავლების დანერგვა ნიშნავს: ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლეების მზაობის, ინტერესებისა და სასწავლო პროფილის შესახებ; ამ ინფორმაციის გამოყენებას, სწავლების პროცესისა და შეფასების დიფერენცირებისთვის; სასწავლო სტრატეგიების ფართო სპექტრიდან ისეთი მიდგომების შერჩევას, რომლებიც მოსწავლეების კონკრეტულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს ყველაზე კარგად მიესადაგება.

დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა (განშრევა, სასწავლო კონტრაქტები, კუბურები) მეთოდები პედაგოგს საშუალებას აძლევს, რომ ამოცანების სირთულე და ფორმატი მოსწავლეების განსხვავებულ საჭიროებებს მიუსადაგოს. ჩვენ განვიხილავთ განშრევების მეთოდს. განშრევა - როდესაც დავალების განშრევებას ვახორციელებთ, ჩვენ მის რამდენიმე ვარიანტს ვქმნით, რაც საშუალებას გვაძლევს დავალება მოსწავლეებს მათი მზაობის მიხედვით მივუსადაგოთ. ამ დროს უნდა მოვიძიოთ ან შევიმუშავოთ ისეთი აქტივობა, რომელშიც ჩვეულებრივ პირობებში მოსწავლეების ამა თუ იმ ასაკობრივ ჯგუფს ჩავაბამდით. შემდეგ კი ამავე აქტივობის დამატებითი ვარიანტები უნდა მოვამზადოთ, რომელიც მოსწავლეთა წინასწარი შეფასებისას ჩვენს მიერ აღმოჩენილ საჭიროებებს პასუხობს. გახსოვდეთ, რომ ყველა ამოცანა გულისყურით უნდა იყოს შერჩეული, რათა ბავშვებს უხერხულობა არ შეუქმნას; ამასთანავე უნდა იყოს მიმზიდველი, საინტერესო და პატარებისთვის ნამდვილ გამოწვევას შეიცავდეს.

დიფერენცირებულ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაჯგუფება და გადაჯგუფება ხშირად და მოქნილად ხდება. იგი ემყარება: მოსწავლის მზაობას; მოსწავლის ინტერესს ამა თუ იმ მათემატიკური სასწავლო მასალის მიმართ; მოსწავლის სასწავლო პროფილს კონკრეტულ მათემატიკურ სასწავლო მასალაზე მუშაობის კუთხით; გარემო პირობებსა და სხვადასხვა სოციალურ ასპექტს. მოქნილი, მოკლევადიანი დაჯგუფება, დავალების მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეების ან თავად მოსწავლეების მიერ ხორციელდება; ზოგჯერ კი დაჯგუფებას შემთხვევითი ხასიათი აქვს. როდესაც ბავშვებს მრავალ ასეთ მოკლევადიან ჯგუფში უწევთ მეცადინეობა, ისინი ყველა თანაკლასელთან მუშაობას ეჩვევიან, რაც განაპირობებს თანამშრომლობითი საკლასო გარემოს ჩამოყალიბებას.

განშრევებული გაკვეთილი დიფერენცირების მეთოდია, რომელიც კონკრეტულ სტანდარტზე, საბაზისო იდეასა და ცნებებზეა ორიენტირებული. ის მოსწავლეებს სთავაზობს ცოდნის

შემდგომი რამდენიმე გზას, რომელიც მათ ინტერესებზე, მზაობის ხარისხსა და სასწავლო პროფილზეა მორგებული.

თუ გაკვეთილების განშრევებას განვახორციელებთ, უზრუნველყოფილი იქნება წარჩინებული მოსწავლეების საჭიროებების დაკმაყოფილება? ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ განშრევებული გაკვეთილი კონკრეტულ საკითხთან/უნართან მიმართებაში მოსწავლის მზაობაზეა მორგებული, მაღალი ალბათობით ამ დროს წარჩინებული მოსწავლეების საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება. როდესაც მზაობაზე დაყრდნობით ხდება გაკვეთილის განშრევება, ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი კარგად აცნობიერებს სასწავლო საკითხის მიმართ მოსწავლეების განსხვავებულ მზაობას და ამ განსხვავებულ საჭიროებებზე რეაგირებს გაკვეთილის განშრევებით.

მზაობაზე დაყრდნობით სწავლების განშრევებისას ხშირად გამოყოფენ სამ შრეს – მათთვის, ვისი მზაობაც აღემატება მოლოდინებს, შეესაბამება მოლოდინებს და ჯერ ვერ აკმაყოფილებს მოლოდინებს. თუმცა, სწავლების სამ შრედ დაყოფა სავალდებულო სულაც არ არის. რეალურად შრეების რაოდენობა დამოკიდებულია კლასში მზაობის არსებულ დიაპაზონზე. გახსოვდეთ: თქვენს მიერ მოსწავლეთა მზაობის შეფასების საფუძველზე განშრევებას ერთი კონკრეტული საკითხის სწავლებისას ვახორციელებთ. როდესაც სხვა საკითხზე გადახვალთ, აუცილებელია მოსწავლეთა გადაჯგუფება შეიცვალოს.

თითოეულ შრეზე მორგებული ჯგუფების რაოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს, ისევე როგორც ჯგუფებში ბავშვების რიცხვი. ჩვენი მიზანი ხომ მოზარდების მზაობის მიხედვით დაჯგუფებაა და არაერთი ზომის ჯგუფების შედგენა. მაგალითად, პირველი შრე შეიძლება მოიცავდეს ორ სამკაცრიან ჯგუფს, მეორე შრე - ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შედგენილ ხუთ ჯგუფს, მესამე კი ერთ ჯგუფს ორი ბავშვის შემადგენლობით.

კლასში განშრევების განხორციელებამდე მასწავლებლებს უკვე უნდა გქონდეთ გაკვეთილების მართვის მკაფიოდ გაწერილი გეგმა, რომელიც ბავშვებს ჯგუფურად მუშაობის სტრუქტურას შესთავაზებს. ამას გარდა, მზად უნდა გქონდეთ “ლუზის ჩაშვების” აქტივობები მათთვის, ვინც დავალებაზე მუშაობას ნაადრევად დაასრულებს ან მუშაობა უჭირს და თქვენი დახმარების მოლოდინშია. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლის ადმინისტრაციას და მშობლებს წინასწარ გააფრთხილებთ, რომ კლასში ახალი სტრატეგიის დანერგვას გეგმავთ და ამასთან დაკავშირებით მათ კითხვებსაც უპასუხებთ.

2016-17 სასწავლო წლის ოქტომბერ-ივნისში ჩემს მაგისტრანტთან ერთად ჩავატარეთ კვლევა ქ. ქუთაისის ავთანდილ დეკანოიძის სახელობის 32-ე საჯარო სკოლის მე-3, მე-4 და მე-6 კლასებში.

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო: მათემატიკის გაკვეთილებზე დიფერენცირებული სწავლების დანერგვით სასწავლო კომპეტენციებში მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება. მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო დაგვედგინა მათემატიკაში მოსწავლის სწავლის დონე წლის დასაწყისში, პრობლემის გამოსწორებისათვის გაგვეხორციელებინა დიფერენცირებული სწავლება და დაგვედგინა, თუ როგორ შეიცვლება მოსწავლეთა ცოდნის დონე სასწავლო წლის დასასრულს.

კვლევისათვის გამოვიყენეთ სპეციალურად გამზადებული სადიაგნოსტიკო ტესტები, რომელიც შემუშავებული არის საქართველოს დაწყებითი განათლების პროგრამის მიერ. ტესტები დალაგებული იყო სირთულის მიხედვით. იგი შეიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სრულ კურსს, რომლის საშუალებითაც შევძელით დაგვედგინა მოსწავლეთა მოზადების დონე.


კვლევის ანალიზით, ვფიქრობთ, კარგად ჩანს დიფერენცირებული გაკვეთილის წარმატება. წრიული დიაგრამის დაყოფა შემდეგნაირად მოხდა: **დაბალი** შედეგი (0-40 ქულა); **საშუალო** შედეგი (41-70 ქულა); **მაღალი** შედეგი (71- 100 ქულა)

კვლევის შედეგად გამოჩვენდა ვის რა კომპეტენციაში ჰქონდა პრობლემა. შესაბამისად დაგვეგმეთ დიფერენცირებული გაკვეთილები და შევეცადეთ პრობლემის გამოსწორება. დიფერენცირებული გაკვეთილი ჩავატარეთ 2-ჯერ, სხვა შემთხვევაში ვატარებდით კონსექტურულ-




ვისტულ გაკვეთილებს დიფერენცირების ელემენტებით. ივნისის დასაწყისში ისევ ჩავატარეთ დიაგნოსტიკური ტესტირება და შედეგი მივიღეთ ასეთი:


მე-4 კლასი ოქტომბერი




მე-4 კლასი ივნისი




მე-3 კლასი ოქტომბერი




მე-3 კლასი ივნისი



მე-6 კლასი ოქტომბერი



მე-6 კლასი ივნისი



კვლევამ დაგვანახა, რომ დიაგნოსტიკური ტესტები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ეროვნული სასწავლო გეგმის, რომელ კომპედენციაში აქვს ამა თუ იმ მოსწავლეს პრობლემა. შედეგების ანალიზით შეიძლება მომზადდეს სწორად დაგეგმილი დოფერენცირებული გაკვეთილი ან უმეტეს შემთხვევაში კონსტრუქტივისტული გაკვეთილი დიფერენცირების ელემენტებით. ივნისში ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა კი გვაძლევს იმის მტკიცებას, რომ ასეთი მიდგომა დიდად დაეხმარება მოსწავლეებს გამოასწორონ არსებული პრობლემები და უკეთ მომზადებული გადავიდნენ შემდეგ კლასში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**References:**

1. მათემატიკის განმავითარებელის სწავლება, თბილისი, 2014. Mathematics Development Teaching. Tbilisi, 2014. Matematikis ganmaviTareblis swavleba, Tbilisi, 2014
2. მათემატიკის დიფერენცირებული სწავლება, თბილისი, 2014. Mathematical Differentiated Teaching. Tbilisi, 2014. Matematikis diferencirebuli swavleba, Tbilisi, 2014

3. მათემატიკის სწავლების დიფერენცირებული მეთოდი I-IV კლასში, თბილისი, 2013. Differential method of mathematics teaching in I-IV classes, Tbilisi, 2013. Matematikis swavlebis diferencirebuli metodi I-IV klasSi, Tbilisi, 2013.
4. მათემატიკის სწავლების დიფერენცირებული მეთოდი V-VI კლასში, თბილისი, 2014. Differential method of mathematics teaching in classes, Tbilisi, 2014. Matematikis swavlebis diferencirebuli metodi V-VI klasSi, Tbilisi, 2014.
5. მეთოდური ინოვაციები დაწყებით I-IV კლასების მათემატიკის სწავლებაში: დიფერენცირებული მეთოდი, თბილისი, 2013. Methodological Innovations in Elementary I-IV Class Mathematics: Differentiated Method, Tbilisi, 2013. Metoduri inovaciebi dawyebiT I-IV klasebis maTematikis swavlebaSi: diferencirebuli metodi, Tbilisi, 2013
6. ნოზაძე, გ. განმავითარებელი შეფასების განხორციელების სტრატეგიები და მეთოდები//ჟურნალი „მასწავლებელი“, 2013, დეკემბერი. Nozadze, G. 2013. December. Strategies and Methods of Implementing Evaluation // Journal "Teacher". Nozadze, G. Ganmavitarebeli Sefasebis ganxorcielebis strategiebi da meTodebi// Jurnal „maswavlebeli“, 2013, Dekemberi.

0301

ნატო ყრუაშვილი

Nato Kruashvili

პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Academic Doctor of Pedagogy, Associate Professor

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Samtskhe – Javakheti State University

### ივანე როსტომაშვილის პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა Pedagogical – Educational Work of Ivane Rostomashvili

**რეზიუმე:** ივანე როსტომაშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს მრავალ კუთხეში. მან უდიდესი სამსახური გაუწია საინგილოს, კახეთის, ჯავახეთისა და საერთოდ ქართველ მოსახლეობას. თავისი პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის კულტურულ დაწინაურებასა და ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნებაში. ივანე როსტომაშვილმა დატოვა მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობა. ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა სკოლამდელი აღზრდის თეორიის საკითხები. გამოთქმული ჰქონდა საინტერესო მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მშობლიური და რუსული ენების სწავლება, შრომითი და ფიზიკური აღზრდა, ანბანის სწავლება, ბავშვის სწორმეტყველების განვითარება და ა.შ. იგი მოითხოვდა სახალხო განათლების გარდაქმნას, ტექნიკური განათლების დანერგვას.

**საკვანძო სიტყვები:** პედაგოგიური მოღვაწეობა, სახალხო განათლება, გიმნაზია, საქალაქო სასწავლებელი.

**Abstract:** Ivane Rostomashvili provided pedagogic activities on the eve of XIX-XX centuries in many parts of Georgia. He made a great contribution in education Saingilo, Kakheti, Javakheti and Georgian population. With his pedagogical and educational work he contributed to the cultural promotion and preservation of national consciousness of Georgian people. Ivane Rostomashvili left a rich pedagogical heritage. He was one of the first who developed the issues of theory of preschool upbringing. He had interesting opinions on topics such as teaching native and Russian languages, labor and physical education, teaching the Alphabet, proper speech development...He demanded the transformation of the public education and the implementation of technical education.

**Keywords:** pedagogical activities, public education, gymnasium, city teacher.

ივანე როსტომაშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო. ჩვენს მიერ მოძიებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ იგი აქტიურად მოღვაწეობდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში - საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მისი საქმიანობის ძირითადი სფერო იყო განათლება. პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი ასპარეზი იყო ჯერ კახის და შემდეგ ზაქათალის სასწავლებლები. „იგი არ კმაყოფილდებოდა მარტოოდენ ვიწრო სასკოლო მუშაობით და ხალხის ეწეოდა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ინგილოთა შორის“, (5, 62) - წერდა ილია მასისურაძე.

სკოლის მუშაობა ძვირფესიანად გარდაქმნა. სკოლის ეზოში გააშენა ხეხილის ბაღი და ვენახი. სკოლის გარეთ დარჩენილ მოზრდილთათვის შემოიღო საკვირაო სკოლა. კვირაობით უსასყიდლოდ ასწავლიდა ასევე საინგილოს მოზრდილ მოსახლეობას (3, 286). ქართული წერა-კითხვის ხალხში გავრცელება და მათი ქომაგობა მეფის ხელისუფლების მოხელეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ მოხსნეს სამსახურიდან, დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. 1880 წელს ციხეს თავი დააღწია ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის დახმარებით. ამის შემდეგ იგი დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში, დაინიშნა თელავის საქალაქო სასწავლებელში. იქაც ეწეოდა აქტიურ მოღვაწეობას: დაარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკვირაო სკოლა, სახალხო ბანკი, სავაჭრო კოოპერატივი „დეპო“. ენერგიულად ახორციელებდა მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. თავისი მოღვაწეობით იქაც ადგილობრივი მოხელეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და მოაშორეს თელავს.

ივანე როსტომაშვილი იმ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც წლების განმავლობაში მოუხდათ საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში. მან თავისი მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებასა და ეროვნული ცნობიერების დაცვაში. სამცხე-ჯავახეთში ორ სხვადასხვა პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა. პირველად 1889-1894 წლებში. იგი მივლინებულ იქნა ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორად. „ივანე როსტომაშვილმა ჯავახეთში ჩასვლისთანავე მიზნად დაისახა იქაური დაბეჩავებული ხალხის უმეცრებასა და სიდუხჭირეში ყოფნის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელი მოჰკიდა მოსახლეობაში სახალხო განათლების დანერგვას, ქართული ენის აღდგენა-დაცვა-შენარჩუნებას“ (4, 172). იგი ჭირისუფლად მოევლინა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. კერძოდ, მის სახელთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ძველი ისტორიული ძეგლების გადარჩენა. „მან ფოტოაპარატით მომარჯვებულმა შემოიარა საქართველოს ეს უძველესი ნაწილი, რომელიც იმ ხანებში, გარეშე და შინაური მტრებისაგან გამარცვული, უნუგემო მდგომარეობაში იყო. თვითმპყრობელობის მიერ ამ მხარეში ჩამოსახლებული უცხო ტომთაგან ნადგურდებოდა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. ფეხით თუ ცხენით შემოიარა მთელი კუთხე. გარდა იმისა, რომ იზრუნა მათ გადარჩენაზე, მოახერხა მათი ფოტოგრაფირება. აღწერა ნასოფლარები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, შეკრიბა მდიდარი ისტორიული და არქეოლოგიური მასალა. მთელი ეს მასალა 1898 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა კრებულში: „Материалы для описания местностей и племен Кавказа“. მის არქეოლოგიურ აღწერილობას იმთავითვე მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, მოსე ჯანაშვილმა და ილია ალხაზიშვილმა. იმავე წელს კრებული გამოიცა ქართულ ენაზეც (9, 12). თავისი მრავალმხირვი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის განათლებასა და ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაში.

1894 წელს ივანე როსტომაშვილმა, თავის ოჯახთან ერთად, იძულებით დატოვა ახალქალაქი, საცხოვრებლად გადავიდა თბილსში, სადაც განაგრძო პედაგოგიურ-კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წმინდა ნინოს სახელობის ქალთა და ვაჟთა კომერციულ სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა. თანამშრომლობდა პრესასთან, 1901 წელს დაარსა ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ჟურნალი „მოგზაური“, 1910 წელს კი დაარსა რევოლუციური გაზეთი „სინათლე“. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ივერიასა“ და „დროებაში“ სისტემატურად აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს, საბავშვო მოთხრობებს, მხატვრულ ნარკვევებს და ა.შ. მისი ერთ-ერთი დამსახურება იყო ქართული წიგნების გამოცემა და გავრცელება ხალხში: „1896 წელს მან ჩვეული ენთუზიაზმით წამოიწყო იაფფასიანი ბროშურების გამოცემა წლიური ხელმოწერით და მკითხველებს მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში თვრამეტი სახელწოდების წიგნაკი მიაწოდა, რომლებიც ეხებოდა პრაქტიკული ცხოვრებისათვის გამოსადეგ საკითხებს სოფლის მეურნეობიდან, ჰიგიენიდან, სწავლა-აღზრდის სფეროდან, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, ეთნოგრაფიიდან, გეოგრაფიიდან და სხვ.“ (6, 6). მოგვიანებით დააარსა სახალხო და საყოველთაო გამოცემათა სერია, „სახალხო წიგნები გამოსადეგ ცნობათა“, „ი. როსტომაშვილის იაფ-ფასიანი გამოცემა სტეფანე ზუბალაშვილის საფასით“.

ივანე როსტომაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის გვირგვინს მისი ქართულ-რუსული ენციკლოპედია წარმოადგენს, მას თვითონ უწოდა „სალარო ცოდნისა“. 1898-1900 წლებში გამოსცა ენციკლოპედიის ოთხი ნაწილი, სადაც სხვადასხვა სიტყვებთან და ტერმინებთან ერთად მრავლად შეიტანა ქვეყნის ისტორია, თანამედროვეობა, გეოგრაფიული პუნქტები, საზოგადო მოღვაწეთა, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ პიროვნებათა სახელები.

XX საუკუნის დასაწყისში ივანე როსტომაშვილს კვლავ მოუწია სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება. 1917 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ახალქალაქის საქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. ახალქალაქელებმა მის პირველ დირექტორად ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, ჯავახეთში მოღვაწე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მისი დიდი მეგობარი ილია ალხაზიშვილი. ჯავახეთის მოსახლეობა კი სიხარულით შეეგება ყოფილ მასწავლებელსა და მზრუნველს: სოფელ ხერთვისში ეტლითა და ცხენოსანი რაზმით დახვდნენ. ახალქალაქში კი მხრებზე შესმული შეიყვანეს (7, 56). იგი დიდი მონდობით შეუდგა ახალი გიმნაზიის ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში როსტომაშვილის მოღვაწეობა რთულ ვითარებას დაემთხვა. კერძოდ, მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. სომხეთის ნაციონალისტური პარტიის „დამნაკ-ციუტუნის“ წარმომადგენლებმა ცეცხლი წაუკიდეს გიმნაზიის შენობას. სწორედ იმ დროს განადგურდა როსტომაშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. იგი ერთი წელი მოღვაწეობდა ახალქალაქის გიმნაზიის ინსპექტორად.

საგანგებო შესწავლას იმსახურებს ივანე როსტომაშვილის მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობა. ამ მხრივ საინტერესოა მისი სასკოლო-მეთოდური შრომები, პოლემიკური სტატიები და სახელმძღვანელოები. იგი სისტემატურად აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, ფოლკლორულ მასალებს. მას ჰქონდა გამოთქმული საინტერესო მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მშობლიური და რუსული ენების სწავლება, შრომითი და ფიზიკური აღზრდა, ანბანის სწავლება, ბავშვის სწორმეტყველების განვითარება და ა.შ. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სკოლამდელი აღზრდის თეორიის საკითხები დაამუშავა. 1894 წელს გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“, სადაც მან გააკრიტიკა ფრებელის სკოლამდელი აღზრდის სისტემა და ის აზრი განავითარა, რომ საჭირო იყო ყოველდღიური სეირნობები და გასვლები და არა კარჩაკეტილი ცხოვრება ბავშვებისათვის. იგი მოითხოვდა სახალხო განათლების გარდაქმნას, ტექნიკური განათლების დანერგვას. ამასთან დაკავშირებით იგი ჟურნალ „მოგზაურში“ წერდა: „ჩვენი მომავლის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს როგორც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მოქმედება, ისე ჩვენი მოზარდი თაობის დღევანდელი ბურჟუაზიული სწავლა-აღზრდის საქმე იმ დამატებით, რომ ყოველ სასწავლებელში, დაწყებული სახალხო სკოლიდან, ვიდრე უნივერსიტეტამდე, სამეურნეო-სატექნიკო საგნები ისეთივე უფლებით და პატივით ისწავლებოდნენ, როგორც სხვა ყველა საგნები“ (8, 3). ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად იბრძოდა ქართულ ენაზე სწავლებისათვის, დემოკრატიული სახალხო განათლებისათვის. მიაჩნდა, რომ დაწყებითი განათლების უფლება ყველას უნდა ჰქონოდა. მისი აზრით ცხოვრების ელემენტარული საჭიროება იყო: „საჭიროა ცოდნა წიგნისა, საჭიროა ცოდნა წერა-კითხვისა“ (2, 2). ამასთანავე გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა სახალხო სკოლებს. მისი აზრით, უნდა მომხდარიყო მათი გარდაქმნა. კერძოდ, ასეთ სკოლებს უნდა ჰქონოდა ფართო ეზო და ბაღი. სახალხო სკოლები „ცხოვრების, სიბრძნის, შრომითი ჩვევების შეძენის“ სკოლად უნდა გარდაქმნილიყო. ამასთანავე მოითხოვდა შრომითი სწავლების: აგრონომისა და სახელოსნო პროფესიონალური დარგების შემოღებას. იგი ზოგადი განათლების შემცირების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მისი მოსაზრება თავის დროზე გააკრიტიკეს იაკობ გოგებაშვილმა და ლუარსაბ ბოცვამემ. მოგვიანებით დავით კოჭორიძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ „საჭირო ზოგადი ცოდნა-განათლების შემცირების გარეშე ბავშვთა ასეთი ნაადრევი სპეციალიზაციის მოთხოვნა არ იყო გამართლებული“ (4, 173).

ივანე როსტომაშვილის ასეთი შეხედულება იმას ემყარებოდა, რომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდთა შრომით აღზრდას, რადგან შრომა მიაჩნდა ცხოვრების აუცილებელ პირობად და ადამიანის პიროვნულ ღირსებად. ფიქრობდა, რომ შრომის უნარ-ჩვევა და მისადმი სწორი დამოკიდებულება ბავშვობის ასაკში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამასთან

დაკავშირებით იგი მიუთითებდა: „საზოგადოების ისტორია შრომისა და მუშის ისტორიაა” (1, 1). საერთოდ, მისთვის აღზრდის იდეალი იყო განათლებული, იდეური და მაღალზნეობრივი ახალგაზრდების მომზადება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე როსტომაშვილი იყო ავტორი სასკოლო სახელმძღვანელოების (ქართული ანბანი - ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი, არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობლებისათვის) და დამხმარე საკითხავი წიგნებისა. მას ეკუთვნის პირველი სახელმძღვანელოები პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რომლის შესავალი წერილის ავტორია შალვა ნუცუბიძე. თავის დროზე მის პედაგოგიურ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა იაკობ გოგებაშვილმა. გამოჩენილ პედაგოგთა შორის დაასახელა და „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი” უწოდა. ილია ჭავჭავაძემ კი მას „ჩვენი ფუტკარი” უწოდა. იგი წერდა: „ჩემის ფიქრით ცოდვაა ასე თუ ისე თვალი და ყური არ ათხოვოს კაცმა ამ ბატონ როსტომაშვილის მიერ გამოთქმულს დედა-აზრსა და თავის სასწორზე არ ასწონ-დასწონოს ან სააო-ჰოდ, ან საარაოდ, ამისთანა მარღვიანმა აზრმა განუკითხავად არ უნდა ჩაიაროს, თუ ჭკუა ჭკუობს და გული გულობს სადმე”.

ივანე როსტომაშვილი იყო მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწე: მწიგნობარი, ჟურნალისტი, რედაქტორ-გამომცემელი, პედაგოგი, განმანათლებელი, ენციკლოპედისტი და რედაქტორი. მისი მოღვაწეობა ეპოქის მოთხოვნებითა და პიროვნულობით იყო განპირობებული. იგი სწორად აფასებდა რეალურ გარემოს და როგორც ერის მოყვარული ადამიანი, უანგაროდ ემსახურებოდა თავის ქვეყანას. ის მოღვაწეობდა იქ, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა: კახში, ზაქათალაში, თელავსა და ახალქალაქში. თავისი პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნებაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. გაზეთი „სინათლე”, №5, გვ. 1, 1911, newspaper “Light”, № 5, p. 1, 1911.
2. გაზეთი „ივერია”, #68, გვ. 2, 1895, newspaper “Iveria”, # 68, p. 2, 1895.
3. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე, გვ. 286, 2004, History of Pedagogy, 2004. Edited by Vasadze N., Tbilisi.
4. კოჟორიძე, დ. განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1986, Kozhoridze, D. Education and culture in Samtskhe – Javakheti, 1986.
5. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.გ. მაისურაძე ი. ივანე როსტომაშვილი, საქაღალდე №17, საქმე 62 S.J. H. M. H. M. F. Maisuradze I. Ivane Rostomashvili, Folder №17, Case 62.
6. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.გ. მაისურაძე ი. ივანე როსტომაშვილი, საქაღალდე №17, ქართველი ენციკლოპედისტი, გვ. 6 S. J. H. M.H. M. F. Maisuradze I. Ivane Rostomashvili, Folder №17, Georgian Encyclopedist, p. 6.
7. ს.ჯ.ი.მ. ი.მ.გ. მაისურაძე ი. ივანე როსტომაშვილი, საქაღალდე №17, საქმე 56 S. J. H. M. H. M. F. Maisuradze I. Ivane Rostomashvili, Folder № 17, Case 56.
8. ჟურნალი „მოგზაური”, გვ. 3, 1903 Journal “Traveler”, 1903, P. 6.
9. ლოღობერიძე, ბ. ივანე როსტომაშვილი, განმანათლებლობა საქართველოში, თბილისი, 1953, გვ. 12, Ghoghoberidze, B. Ivane Rostomashvili, Enlightenment in Georgia, P.12.

0301

ნატო ყრუაშვილი

Nato Kruashvili

პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Academic Doctor of Pedagogy, Associate Professor

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Samtskhe – Javakheti State University

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება  
Akhaltshikhe Department Society for the Spreading of Literacy among Georgians

**რეზიუმე:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება ფუნქციონირებდა 1913-1927 წლებში. მისი უმთავრესი მიზანი იყო სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობისათვის სკოლების გახსნა. აღნიშნულმა საზოგადოებამ იმთავითვე საჭიროდ მიიჩნია ბიბლიოთეკების დაფუძნებაც. ახალციხის განყოფილება ყურადღებას ამახვილებდა მხარეში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და არსებულ პრობლემებზე. მიუხედავად ამისა, საზოგადოების საქმიანობა იმთავითვე დადებითად არ ყოფილა შეფასებული, რისი საფუძველიც იყო პოლიტიკური ვითარება და მძიმე ფინანსური მდგომარეობა.

**საკვანძო სიტყვები:** წერა-კითხვის საზოგადოება, სახალხო სკოლა, გამაჰმადიანებული ქართველები.

**Abstract:** Akhaltshikhe Department for the Spreading of Literacy among Georgians functioned in 1913 – 1927ss. Its main goal was to open schools for Muslim Georgian population living in Samtskhe – Javakheti. The society has considered the establishment of libraries as well. Akhaltshikhe Department paid attention to cultural-educational institutions and existing problems in the area.

Nevertheless, the activities of the Society have not been assessed positively because of the political situation and the difficult financial conditions.

**Keywords:** Literacy Society, public school, Muslim Georgians

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, სამი ათეული წლის განმავლობაში არსებობის შემდეგ, მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფილიალების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება. ცვლილების მიზანი იყო საზოგადოების საქმიანობის გაფართოება. 1907 წლის 21 მარტს მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი წესდების საფუძველზე 1913 წლის 13 ნოემბერს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება. მისი საქმიანობა დღემდე არ გამხდარა ცალკე კვლევის საგანი. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ახალციხის განყოფილების პირველი თავმჯდომარე იყო დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი. სათაო საზოგადოების გამგეობის (თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი, საქმის მწარმოებელი გიორგი ბურჭულაძე) მიერ 1913 წლის 23 ოქტომბერს დიმიტრი ხახუტაშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაში ვკითხულობთ: „გთხოვთ შეუდგეთ მოქმედებას და მიიღოთ მხედველობაში, რომ განყოფილების მოქმედება წარმოებდეს მხოლოდ საზოგადოების წესდების ფარგლებში და ყოველივე მუხლი ხსენებულის წესდებისა უნდა იქნეს დაცული” (1, 1810/2). მიუთითებდნენ, რომ განყოფილების გამგეობის წევრებად არჩეულნი იყვნენ: ვარლამ გარდავაძე და პავლე მეტრეველი. აცნობებდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ გამგეობის წევრთა გაზრდა ორი-სამი პირით, რაც იმთავითვე იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, გამგეობის შემადგენლობა ექვსი წევრით განისაზღვრა: ნინო ლაზი-აშვილისა, როზა ალელიშვილისა, ვასილ გარდავაძე, მოლა ასლან ჩომახიძე, პავლე მეტრეველი კონსტანტინე გვარამაძე (მდივნის მოადგილე) (10, 6) არჩეულ იქნა სამი კანდიდატი: ანა ბაიბურთელი, ლევან ფირალიშვილი, ზაქარია დიდიმამიშვილი. დასახელდა საზოგადოების კომისიის სამი წევრი: იაკობ ლაზარაშვილი, ნიკო და სამსონ ასათიანები. საზოგადოების ხაზინადრად დაინიშნა გამგეობის წევრი როზა ალელიშვილი. შეიძლება ითქვას, რომ ახალციხის განყოფილებაში გაერთიანდნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში თავიანთი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების დაფუძნებას ადგილობრივი მოსახლეობა და ინტელიგენცია დიდი მოწონებითა შეხვდა. მათი განწყობა გამოძღვანდა არჩევნების ჩატარების პროცესშიც და საზოგადოებაში გაწვევრიანების დროსაც. პირველივე წელს საზოგადოების წევრობის კანდიდატობის მსურველი იყო სამოცდაერთი ადამიანი. დამფუძნებელი - ოცდაათი პირი. ისინი იყვნენ ის პირები, რომლებმაც გაიღეს სამი მანეთი ახალციხეში განყოფილების დასაარსებლად.

ახალციხის განყოფილების პირველი კრება ჩატარდა 1913 წლის 15 დეკემბერს. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. განყოფილების ახალი წევრების მიღება, 2. განყოფილების მოქმედების გეგმის შემუშავება, 3. გამგეობის შეხვედრა კანდიდატებთან, 4. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ახალციხის განყოფილების გამგეობამ უპირველეს მიზნად დაისახა სკოლები გაეხსნა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობისათვის. კერძოდ, შემდეგ სოფლებში: ოშორაში, აგარაში, კლდეში და ტატანისში. შესაბამისად, საზოგადოების წევრები შეხვდნენ სოფლების მოსახლეობას, რათა გაერკვიათ რა ოდენობის სახსრის გაღება შეეძლოთ მათ. მას შემდგომ, რაც მდგომარეობა საფუძვლიანად შეისწავლეს, მთავარი გამგეობის წინაშე წარადგინეს სოფელ ოშორაში სკოლის გახსნის საკითხი (3, 1810/18). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა დიმიტრი ხახუტაშვილს მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობების მიწოდება სოფელ ოშორაში სკოლის გახსნის შესახებ. კერძოდ, თუ ვინ იკისრებდა სკოლის შესანახ ხარჯებს, რამდენი ქართველი მცხოვრები იყო სოფელში, რამდენი სასკოლო ასაკის ბავშვი. ე.ი. რამდენად იყო საჭირო სკოლის გახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის, სოფელ ოშორაში ცხოვრობდა ასორმოცდაათი კომლი და ორმოცდაათი სასკოლო ასაკის ბავშვი - ვაჟი. სკოლის გახსნის აუცილებლობას კი ის გარემოება განაპირობებდა, რომ მომავალმა თაობამ არ იცოდა ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფელში სკოლის დაარსების დიდი აუცილებლობა არსებობდა, უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა. მოგვიანებით საზოგადოების გამგეობის კრებაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების ყველაზე დიდ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ ვერ მოახერხა ასეთი სკოლების გახსნა. ამის უპირველესი მიზეზი იყო უსახსრობა და თვით გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობის მხრიდან გულცივი დამოკიდებულება. მოხსენებით ბარათში დიმიტრი ხახუტაშვილი აღნიშნავდა: „ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. უიმისოდაც დამფრთხალ ქართველ მაჰმადიანებს უფრო მეტად აფრთხობს და აშინებს სკოლის ხარჯი. ამიტომ, გამგეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სკოლის გახსნა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ყველა ხარჯს თვით საზოგადოება იკისრებს“ (4, 1810/21). იმ პერიოდისათვის, პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და უკიდურესად მძიმე იყო ეკონომიური მდგომარეობა, ადგილობრივ გამგეობას კი არ ჰქონდა სახარბიელო ფინანსური შესაძლებლობა. საწევრო გადასახადები და საქველმოქმედო წარმოდგენებიდან შემოსული თანხები არ იყო საკამარისი სკოლის შესანახად. გამგეობამ ამ საქმის მოსაგვარებლად მიმართა ზოგირთ ქველმოქმედს და დაწესებულებას. მაგრამ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველსავე წელს საზოგადოების წევრთა რაოდენობა 60-ს აღემატებოდა. თითოეული წევრისათვის წლიური საწევრო გადასახადი იმთავითვე სამი მანეთით განისაზღვრა. ამრიგად, ახალციხის განყოფილების ფინანსური მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იქნებოდა. როგორც წესი, შემოსავლის 20% მთავრ გამგეობას ეგზავნებოდა, ხოლო დანარჩენის ათვისება ადგილზე ხდებოდა.. ახალციხის განყოფილების უსახსრობის პრობლემა იმაშიც ჩანდა, რომ არ გააჩნდა საკუთარი შენობა, რის გამოც წევრები იკრიბებოდნენ დიმიტრი ხახუტაშვილის ბინაზე და იქ ატარებდნენ კრებებს. ეს ინფორმაცია ჩანს გამგეობის წევრებისადმი დასაგზავნ უწყებებში (5, 1810/2-24).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება სათაო საზოგადოების მემკვიდრე იყო და შესაბამისად ყველა იმ საქმის გამგრძელებელი, რასაც იგი სამი ათეული წლის განმავლობაში ახორციელებდა. ახალციხის განყოფილებამ კარგად შეისწავლა აღნიშნული დროისათვის სამცხე-ჯავახეთში განათლებისა და კულტურის სფეროში შექმნილი მდგომარეობა და კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელი. ამის შესაბამი-

სად განაგრძო თავისი მოღვაწეობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, უმთავრეს ამოცანად გამაჰმადიანებული ქართველებისათვის სკოლების გახსნა დაისახა. აგრონომი ე. კარბელაშვილი, რომელსაც თავისი პროფესიიდან გამომდინარე ურთიერთობა ჰქონდა სოფლების მოსახლეობასთან, 1915 წლის პირველ დეკემბერს ახალციხის განყოფილებას მიმართავდა: „ეს ორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს ნაკლები ძალით უფრო მჭიდრო კავშირი დავიჭიროთ ჩვენს გამაჰმადიანებულ მოძმეებთან. თუ რისიმე გაკეთება შეგვიძლიან ეხლა უნდა გავაკეთოთ, მერე გვიანდა იქნება“. სამწუხაროდ, ეს მისი საშინელი წინათგრძნობა აღმოჩნდა.

$V_{\text{გ}}$  - დასაშვები (არაგამრეცხი) სიჩქარე, რომელიც იანგარიშება არსებული კორექტირებული ან ჩვენს მიერ შემოთავაზებული დამოკიდებულებით.

არსებული რეკომენდაციებით ნიადაგ-გრუნტების ეროზიისაგან დაცვის მიზნით ზედაპირული ნაკადის სიჩქარის დანიშვნა (0,1-0,2)მ/წმ დიაპაზონში, მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას და ამიტომ საჭიროა მისი რაოდენობრივი განსაზღვრა იმ საანგარიშო დამოკიდებულებების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ ნიადაგ-გრუნტების არა მარტო ფიზიკურ-ქიმიურ, არამედ თვისებათა ფართო კომპლექსის ამსახველ მახასიათებლებს და ამასთანავე ეფუძნებიან წყლისმიერი ეროზიის ფიზიკური პროცესის ყველაზე მისაღებ, თეორიულად დასაბუთებულ საანგარიშო მოდელს.

კვლევაში მორწყვის წესის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად მიგვაჩნია შევავსოთ ჰიდროგეოლოგიური ფონი გრუნტის წყლის რეჟიმი, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს კვლებიდან ნაკადის კინემატიკური სურათი და აკუმულაციის არეალი ფილტრაციის სტადიების მიხედვით.

არხებიდან ფილტრაციის ზოგადი ჰიდრომექანიკური გადაწყვეტა როგორც თავისუფალი, ასევე შეტბორილი ჰიდროგეოლოგიური საანგარიშო სქემისათვის შემოთავაზებულ იქნა შრომაში (1). ყველა მათემატიკური მოდელი ფილტრაციული ხარჯის პროგნოზირებისათვის განიხილავს იზოტროპულ ფოროვან-კაპილარულ გარემოს, რომელშიც დინების გავრცელების არეალის კონტურები შეესაბამება პოტენციური ძრაობის საწყის და საბოლოო სასაზღვრო პირობებს.

სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში წარმოდგენილ იქნა ფილტრაციული პროცესი ცალკეული სტადიების მიხედვით, რომელთა კლასიფიკაციური კუთვნილება დაექვემდებარა ფილტრაციის ტანში წყალგაჯერების ხარისხის მაჩვენებელს და შესაბამისად პოტენციური ფუნქციის გრადიენტის ატმოსფერულ დაწნევისთან კავშირში (4,5).

ამის შესაბამისად, ფილტრაციული პროცესის (დინების) სტადიების შეფასებამ გარკვეული კონკრეტიზაცია შეიძინა ქვემოთ წარმოდგენილი ფორმალიზაციის მიხედვით. პირველი სტადია ხასიათდება წყალშთანთქმის არასტაციონალური რეჟიმით, მოქმედ გრავიტაციულ და ზედაპირულ ძალთა თანაფარდობის მაჩვენებლის ცვალებადობით დროში, ფილტრაციული სიჩქარის მკვეთრი გადახრით დარსის სწორხაზოვანი კანონისაგან. პირობითად ეს სტადია მოიცავს დროის პერიოდს, სანამ ქვემოთ მიმართული წყლის ნაკადის ფრონტი არ მიაღწევს კაპილარული ქობის ზედა ზღვარს. ინფილტრაციული პროცესის ამ სტადიის აღწერა ჰიდრომექანიკის კლასიკური კანონების გამოყენებით მოკლებულია გადაწყვეტის რაიმე კონკრეტულ შესაძლებლობებს.

მეორე სტადია - გრუნტის წყლის უწყვეტი ჰიდრავლიკური ნაკადის წარმოქმნა იწყება მაშინ, როცა ფილტრაციული ნაკადის ფრონტი გაივლის კაპილარული ქობის მთელ შრეს და მიეზღინება გრუნტის წყლის სააკუმულაციო აუზის დინამიკური წონასწორობა და ის გადადის არასტაციონალურ რეჟიმში.

შემდგომი სტადია, ჰიდროგეოლოგიური სქემის შესაბამისად ხასიათდება ჰიდრავლიკური რეჟიმის უწყვეტობით, მაგრამ არათანაბრობით, რომლის ხარისხიც დამოკიდებულია გრუნტის წყლის ბალანსის ძირითად კომპონენტებზე: გრუნტის წყლის დონის (დეპრესიის) ცვალებადობის, მიწისქვეშა გვერდითი გადინების და აორთქლების ინტენსივობაზე.

სხვადასხვა სტადიაზე მიმდინარე ფილტრაციული პროცესის კანონზომიერება განპირობებულია სხვადასხვა ბუნებისა და წარმოშობის ძალების ერთობლივი მოქმედების ჯამურ ეფექტზე და ამიტომაც პროცესის აღწერა ერთი რომელიმე უნივერსალური ფენომენოლოგიური განტოლებით შეუძლებელი ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპლექსური ცვალებადი ფუნქციის მისადაგება ფილტრაციის ამოცანების გადასაწყვეტად თეორიულად სავსებით გამართლებულია, მაგრამ პრაქტიკული მიზნებისათვის მიღებული შედეგების გამოყენება გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს, რაც აიხსნება აერაციისა და მომიჯნავე შრეების მკვეთრად განსხვავებული წყალ და აირგამტარი თვისებებით. ძირითადი ჰიდროგეოლოგიური საანგარიშო პარამეტრიც ფილტრაციის კოეფიციენტის სახით, მხოლოდ ნიუტონური სითხეებისათვის და ისიც მოცემულ ჰიდროდინამიკურ რეჟიმში წარმოადგენს ფიზიკურ კონსტანტას, რაც თავისთავად აქვეითებს ფილტრაციული დანაკარგების პროგნოზის საიმედოებას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნებრივ-გეოტექნიკურ კალაპოტში გამავალი არხებიდან ფილტრაციის საანგარიშო ჰიდრაულიკური მოდელი (2,3) ემყარება დაშვებას, რომლის მიხედვითაც ფილტრაციული ნაკადი უპირატესად მოძრაობს გრავიტაციული ძალის გავლენით და უგულვებელყოფილია სიჩქარის ჰორიზონტალური მდგენელი, რაც გულისხმობს რომ არხის ფსკერიდან გარკვეულ მანძილამდე ექვიპოტენციური ზედაპირი მკვეთრად ჰორიზონტალურია, ხოლო დინების წირები მისი ორთოგონალურია. ამასთან ერთად, ჩვენ მივიღეთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ჰიდრაულიკურად უხელსაყრელესი არხის განივკვეთი ხასიათდება ცოცხალი კვეთის ფართობის მაქსიმუმით, რომელსაც შეესაბამება სველი პერიმეტრის მინიმალური მნიშვნელობა, ამიტომაც ასეთი არხიდან ფილტრაციული ხარჯი სავარაუდოდ უნდა იყოს მინიმალური.

ქვემოთ მოყვანილი გაანგარიშებანი ძირითადად გამოხატავენ დამყარებული ფილტრაციის რეჟიმს, ნაკადის მოძრაობა ვერტიკალური მიმართულებისაა, სიჩქარის ჰორიზონტალური მდგენელი ნულის ტოლია, ხოლო დეპრესიის თავისუფალ ზედაპირზე „განლაგებული“ კაპილარული ქობი გავლენას არ ახდენს ფილტრაციული ხარჯის სიდიდეზე.

ტოლფერდა ტრაპეციული არხის განივკვეთის ფართობი, რომელიც მიიღება ცოცხალი კვეთის ფართობის ტოლად, გამოითვლება

$$\omega = h^2(b + m) \tag{2}$$

ხოლო სველი პერიმეტრი

$$\aleph = h(\beta + 2\sqrt{1 + m^2}) \tag{3}$$

(2) და (3) ფორმულებში მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

$\omega$  - ცოცხალი კვეთის ფართობი ( $m^2$ );

$h$  - წყლის სიღრმე, (მ);

$\beta$  - ფარდობითი სიგანე;

$b$  - არხის ფუძის სიგანე, (მ);

$m$  - ფერდის დახრის კოეფიციენტი;

$\aleph$  - სველი პერიმეტრი, (მ).

იმისათვის, რომ გამოვხატოთ ჰიდრაულიკურად უხელსაყრელესი კვეთი არხის მახასიათებელი პარამეტრებით, ცხადია უნდა ვიპოვოთ (3.18) და (3.19) ფუნქციების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები, რაც ნიშნავს, რომ უნდა შესრულდეს პირობები:

$$\frac{d\omega}{d\beta} = 0 \text{ და } \frac{df}{d\beta} = 0;$$

(2) და (3)-ის გაწარმოებით და მოყვანილი პირობის დაცვით მივიღებთ:

$$\frac{d\omega}{d\beta} = 2h\beta \frac{dh}{d\beta} + h^2 + 2mh \frac{dh}{d\beta} = 0 \tag{4}$$

$$\frac{df}{d\beta} = \beta \frac{dh}{d\beta} + h + 2\sqrt{1 + m^2} \frac{dh}{d\beta} = 0 \tag{5}$$

(4) და (5) განტოლებათა სისტემის ამოხსნით გვექნება, რომ ჰიდრაულიკურად უხელსაყრელესი კვეთისათვის

$$\beta = \frac{b}{h} = 2(\sqrt{1 + m^2} - m) \tag{6}$$

ანგარიშის შემდგომი ეტაპი მოიცავს ისეთი ვერტიკალური სწორკუთხა კვეთის გაბარიტების შერჩევას, რომელსაც ექნება ისეთივე გამტარუნარიანობა, რაც გააჩნია რეალურ ტრაპეციულ არხს, წყლის ნაკადის თანაბარი მოძრაობის შემთხვევაში. ხარჯი შეიძლება გამოვთვალოთ უწყვეტობის პირობიდან

$$Q = \omega V = h^2(b + mh)C\sqrt{RI} \tag{7}$$

სადაც  $C$  - სიჩქარის (წინაღობის) კოეფიციენტი;

$R$  - ჰიდრაულიკური რადიუსი;

$I$  - ჰიდრაულიკური ქანობი, რომელიც თანაბარი ძრავის შემთხვევაში აიღება არხის ფსკერის ქანობის ტოლად.

თუ მივიღებთ, რომ

$$C = \frac{1}{n} R^{1/6} \tag{8}$$

სადაც  $n$  - წყალგამტარის კალაპოტის ხორკლიანობის კოეფიციენტი, მაშინ შეიძლება დავწეროთ

$$Q = \frac{1}{n} h(b + mh) R^{2/3} \sqrt{I} \tag{9}$$

ვირტუალური სწორკუთხა კვეთისათვის, რომლის სიგანეა  $b_0$ , განსაზღვრული ჰიდროდინამიკური ზადის მიხედვით თავისუფალი ფილტრაციის ზონაში, ხოლო  $h_0$  წყლის სიღრმე არხში, გამტარუნარიანობა განისაზღვრება

$$Q_0 = \frac{1}{n} b_0 h_0 R_0^{2/3} \sqrt{I} \tag{10}$$

(6)-ის გათვალისწინებით, (9) და (10) გამოსახულებათა ურთიერთ გატოლებით და სათანადო გარდაქმნებით, რომელიც ასევე მოიცავს ჰიდრაულიკური რადიუსის ცხადი სახით წარმოდგენას, მივიღებთ

$$\frac{(b_0 h_0)^{5/3}}{(b_0 + 2h_0)^{2/3}} = ah^{8/3} \tag{11}$$

სადაც 
$$a = \frac{(2\sqrt{1+m^2}-m)^{5/3}}{(1+m^2+\sqrt{1+m^2}-m)^{2/3} \sqrt{4}}$$

(11) განტოლებიდან კონკრეტული მონაცემებისათვის, თანდათანობითი შერჩევის წესით ან კიდევ სათანადო გრაფიკების შედგენით კოეფიციენტის მიხედვით ადვილად განისაზღვრება სიდიდე.

ფილტრაციის პროცესის საწყის პერიოდში, ანუ გრუნტის ფორების წყალშევსებამდე, წყლის გადაადგილებაში ერთდროულად მონაწილეობს როგორც გრავიტაციული, ასევე კაპილარულ-ოსმური და სხვა კატეგორიის ძალები. ფილტრაციული ხარჯის განსაზღვრისათვის დაუმყარებელი რეჟიმის ამ სტადიაზე ფილტრაციის სიჩქარე შეიძლება გამოვხატოთ, როგორც გრადიენტის ფუნქცია, ან კიდევ სიჩქარე - ფუნქცია დროის. პირველ შემთხვევაში ფილტრაციის ხვედრითი ხარჯი განისაზღვრება

$$q = K_0 \frac{z+h_0+\sum h}{z} b_0 \tag{12}$$

მეორე შემთხვევაში

$$q = K_1 b_0 \tag{13}$$

განსაზღვრისათვის შეიძლება ვისარგებლოთ რომელიმე განტოლებით, ან კიდევ აპროქსიმირებული შემდეგი სახის დამოკიდებულებით

$$K_1 = K_0 + (K' - K_0) \exp(-at) \tag{14}$$

(12), (13) და (14) დამოკიდებულებებში გამოყენებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები:  $q$  - ფილტრაციის ხვედრითი ხარჯი არხის სიგრძის ერთეულზე;  $K_0$  - ფილტრაციის კოეფიციენტი;  $z$  - კოორდინატი, აღებული არხის ფსკერიდან განსხვავებულ კვეთამდე;  $h_0$  - წყლის სიღრმე არხში;  $\sum h$  - ყველა ზედაპირული ძალების დაწნევათა ჯამი;  $b_0$  - ვირტუალური სწორკუთხა არხის საანგარიშო სიგანე;  $K_1$  - ინფილტრაციის კოეფიციენტი;  $K'$  - ინფილტრაციის კოეფიციენტი დროის საწყისი მომენტი-სათვის;  $a$  - ექსპერიმენტული კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს მოცემულ გრუნტს;  $t$  - ფილტრაციის დაუმყარებელი პროცესის მიმდინარეობის დრო.

ხვედრითი ხარჯი (12)-ის მიხედვით  $z$ -ის ზრდასთან ერთად მცირდება, ანუ რაც უფრო დიდ სიღრმეზე გადაადგილდება ფილტრაციის ნაკადის ფრონტი, მით უფრო მცირდება გრადიენტი. (13) ფორმულის მიხედვით ხვედრითი ხარჯის ცვალებადობა აისახება (14) კანონით, რაც ნიშნავს, რომ  $t$ -ს ზრდასთან ერთად მცირდება  $K$  და ის უახლოვდება  $K_0$ -ს. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაუმყარებელი ფილტრაციული რეჟიმის პირობებში ხარჯის გრადიენტის, ან კიდევ დროის ფუნქციაა, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციით ადვილად მისახვედრია, რომ გრადიენტიც დროის ფუნქციაა და ის მუდმივი ხდება, როცა გრუნტის ფორების წყალგაჯერებასთან ერთად ფილტრაციული ნაკადის ფრონტი დაეყრდნობა გრუნტის წყლის სარკის ზედაპირს.

ფილტრაციის გაანგარიშების შემდგომი ეტაპი პირობითად ეფუძნება დამყარებული რეჟიმის საანგარიშო მოდელს, რომლის თანახმად  $\sum h$  პოტენციალი ნულის ტოლია და  $z$  გაუტოლდება არხის ფსკერიდან გრუნტის წყლის ზედაპირამდე მანძილს.

ფილტრაციის სიჩქარე ნებისმიერი დროის მომენტისათვის შეიძლება ვიანგარიშოთ

$$\frac{dz}{dh} = K_0 \frac{h_0 + z}{z} \quad (15)$$

ამ დიფერენციალური განტოლების ინტეგრირება სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით  $t = 0, z = 0$  გვაძლევს

$$t = \frac{1}{K_0} \left( z + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + z} \right) \quad (16)$$

ფილტრაციული ნაკადის გადაადგილების საშუალო სიჩქარე  $H$  სიმძლავრეზე (მანძილზე) ტოლი იქნება

$$\bar{V} = K_0 \frac{H}{H + \ln \frac{h_0}{h_0 + H}} \quad (17)$$

ამ გამოსახულებიდან ჩანს, რომ გრადიენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია, რადგან ერთზე ნაკლები რიცხვის ლოგარითმი უარყოფითი სიდიდეა და ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ თავისუფალი ფილტრაციის რეჟიმი შესაბამისი სასაზღვრო პირობებით არ ფიქსირდება. მიუხედავად ამისა, საინჟინრო პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით შეიძლება დროის გარკვეულ ინტერვალში გავიგოთ ფილტრაციული ხარჯი და შესაბამისი გრუნტის წყლის დონის ცვალებადობა. ცხადია, გრუნტის წყლის დონის თავისუფალი ზედაპირის მოხაზულობა და „ბორცვის” სიგრძის რადიუსი დამოკიდებული იქნება გრუნტის ფილტრაციულ თვისებებზე.

### დასკვნა

ამრიგად, კონკრეტული ტოპოგრაფიული გეგმისათვის აიგება ჰიდროიზოჰიფსების რუკა, რომლის შესაბამისად განისაზღვრება კაპილარული ქობის სიმძლავრე დამბის არეში. ნიადაგ-გრუნტის ფორების წყალშევსების ხარისხი გრუნტის წყლის დონის გაანგარიშებისა და პროგნოზის შემოთავაზებული მეთოდი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს სარწყავი მიწათმოქმედების პრაქტიკაში, რათა განსაზღვრულ იქნეს ფილტრაციის თავისუფალი სააკუმულაციო არეალის მოცულობა, რომელიც უშუალო კავშირშია ზედაპირული ჩამონადენის ჰიდრომექანიკური და მორფომეტრიული მახასიათებლების ფორმირებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი ცალსახად განაპირობებენ ნიადაგის ზედაპირულ შრეში ეროზიული პროცესების ინტენსივობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

#### References:

1. ლობჯანიძე, ზ. მებონია, ნ. კვარაცხელია, თ. გრუნტის ფერდოს მდგრადობის საანგარიშო მეთოდი და დაცურების პროცესის მექანიზმი. სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №65, 2010. გვ.175-179. Lobjanidze, Z. Mebonia, N. Kvaracxelia, T. The mechanism for measuring the stability of inclinations and the mechanism of protection. Collection of scientific works of LEPL water management institute. #65, 2010. 175-179 pp.
2. ლობჯანიძე, ზ. ზედაპირული მორწყვის დროს ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიის პროგნოზი. გამომცემლობა „დანი“. 2009. ISBN 978-9941-0-1015-6. Lobjanidze, Z. Prediction of water erosion from surface irrigation. Publishing "Dan". 2009. ISBN 978-9941-0-1015-6.
3. ყრუაშვილი, ი. ლობჯანიძე, ზ. მდგრადობის კრიტერიუმებით ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიის შეფასება. აგრარული მეცნიერების პრობლემები, სსაუ სამეცნიერო შრომათა კრებული 2000. გვ.320-328. Kruashvili, I. Lobjanidze, Z. 2000, Assessment of water erosion of soils with stability criteria. Problems of Agrarian Science, Proceedings 2000. 320-328pp.
4. lacey C. - Stable channels in alluvium. Proc. Inst. Givil Eng. p. 229.
5. Мирцхулава Ц.Е. М.1970, Инженерные метод расчёта и прогноза водной эрозии. Изд. Колос, М. с. 237. Ts.E. Mirzkhulava 1970, Engineering method for calculating and predicting water erosion. Ed. Kolos, Mp. 237.

0413

გოგა ჩახაია

Goga Chakhaia

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Doctor of Technical Sciences, Higher Education Institution "Education Academy"

ზურაბ ლობჯანიძე

Zurab Lobjanidze

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Doctor of Technical Sciences, Higher Education Institution "Education Academy"

რობერტ დიაკონიძე

Robert Diakonidze

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Doctor of Geographical Sciences, Higher Education Institution "Education Academy"

ჯუმბერ ფანჩულიძე

Jumber Fanchulidze

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც.მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

Doctor of Technical Sciences, Georgian Technical University Ts. Mirtskhulava Institute of Water Management Institute

ირინა ხუბულავა

Irina Khubulava

აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც.მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

Doctor of Agro Engineering, Georgian Technical University Ts. Mirtskhulava Institute of Water Management Institute

სოფიო გოგილავა

Sofio Gogilava

მკვლევარი, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Researcher, Higher Education Institution "Education Academy"

თამარ კვარაცხელია

Tamar Kvaratskhelia

ბიზნესის მართვის დოქტორი, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Doctor of Business Management, Higher Education Institute "Education Academy"

ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩების გამოყენებით მოწყვლად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის შესაძლებლობების ვალიდურობის შეფასება

Validity Assessment of the Restoration Possibility of a Biodiversity on a Vulnerable Slope with Use of Anti-erosive Geo-mats Soil

**რეზიუმე.** მდინარე გლდანისხევის ხეობაში საველე ინტეგრირებული პოლიგონის საცდელ უბნებზე დაფენილ გეოხალიჩებზე ამოსული ბალახოვან მცენარეებზე განხორციელებული გაზომვების შედეგად დადგენილია, რომ II საცდელ უბანზე დაფენილი გეოხალიჩა „Luffaeromat“-ზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის საშუალო დინამიკის საიმედოობა 51-52%-ს შეადგენს, რაც უკეთესი შედეგია ვიდრე I საცდელ უბანზე დაფენილი გეოხალიჩა Jute mat-ის შემთხვევაში. ეს მონიშნებს მოწყვლად ფერდობზე „Luffaeromat“-ის გამოყენების შემთხვევაში მწვანე საფარის აღდგენის შესაძლებლობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** გეოხალიჩა, საიმედოობა, მწვანე საფარი, ინტეგრირებული პოლიგონი, ეროზია, ბიომრავალფეროვნება.



**Abstract:** The measurements of the grassy plants growing on the anti-erosion geo-mats arranged on the experimental plots of the integrated field polygon in the river Gldaniskhevi valley have been Determined that the growing reliability of average dynamics of the grassy plants growing on anti-erosion geo-mat „Luffaeromat” put on the II experimental plot contains 51-52% which is a better result what is a better result than that I experimental plot fixed with anti-erosion geo-mat Jute mat. This indicates the possibility to restore the green cover by using „Luffaeromat” on a vulnerable slope.

**Keywords:** anti-erosion geo-mat, reliability, green cover, integrated polygon, erosion, biodiversity.


### შესავალი

ბოლო პერიოდში დედამიწაზე მიმდინარე კლიმატის ცვლილების გამო გახშირდა მაღალი ინტენსივობის ნალექების ფორმირება, რაც იწვევს ნიადაგის დეგრადაციას მთისა და მთისწინა უბნებში, სადაც ხდება ნიადაგ-გრუნტის ინტენსიური ეროზიული პროცესები, იგი ანადგურებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენას და პროვოცირებას უწევს მეწყერულ და ღვარცოფულ მოვლენებს. ნიადაგის ეროზიული პროცესები (წყლისმიერი, ქარისმიერი) ფართოდ არის გავრცელებული საქართველოშიც (1).

### ძირითადი ნაწილი

#### წყლისმიერი ეროზიის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

1. ხრამებს, ღარტაფებსა და სხვა ეროზიულ ფორმებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონის ტერიტორიის 20-25% უჭირავს.
2. კლიმატის ცვლილებისა და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, ლანდშაფტების შეცვლისა და დეგრადაციის პრობლემა ემუქრება საქართველოს ტერიტორიის თითქმის 3,5% ანუ 2 330 კმ<sup>2</sup>-ს. ამგვარი პროცესებისათვის აუცილებელი გახდება პრევენციული ქმედებების განხორციელება.
3. ეროზირებულ ნიადაგებს საქართველოში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულეობის 33 პროცენტი უკავია. ეროზირებული მილიონი ჰექტრიდან 330 ათასი სახნავ-სათესი ფართობია, რომელთაგან 221 ათასი წყლისმიერ ეროზიას განიცდის (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. წყლისმიერი ეროზია საქართველოში

4. წყლისმიერი ეროზია დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს და საშიშ მასშტაბებს იღებს საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული და მშრალი ზონების გორაკ-ბორცვიან და მთისწინა ნაწილში. დადგენილია, რომ 10 – 20<sup>0</sup> დაქანების ფერდობებიდან ზოგჯერ წელიწადში ჩამორეცხება ჰექტარზე 200 – 300 ტონამდე ნიადაგი, წყალნაღარების სიღრმე ხშირად 0,5-3 მეტრს და უფრო მეტსაც აღწევს. გარკვეული პირობების არსებობისას ასეთი წყალნაღარები თანდათან ხრამებად და ხევებად გადაიქცევა.

5. აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, მცენარეულობით დაუფარავ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზია უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რასაც განაპირობებს აქ გავრცელებული ნიადაგების ეროზიისადმი დაბალი მდგრადობა. ამ რეგიონში 6-12<sup>0</sup>ით დაქანებულ ფერდობებზე ინტენსიური წვიმების დროს ერთი ჰექტრიდან

ყოველწლიურად ჩამორეცხება 30-40 ტონა, ხოლო თავსხმა წვიმებისას 100-200 ტონამდე ნიადაგი (1).


### ქარისმიერი ეროზიის (დეფლაციის) თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

1. ქარისმიერი ეროზია გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ზოგჯერ მტვრიანი ქარიშხლები შეიმჩნევა ათასობით ჰექტარ ფართობზე.

2. საქართველოში ეროზიის ამ სახესთან დაკავშირებული ყოველწლიური ზარალი ათეულობით მილიონ ლარს ითვლის.

3. შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს ქარისმიერი ეროზია გარე კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში, სადაც ხშირ შემთხვევაში ქარის სიჩქარე 18-28 მ/წმ-ს და ზოგჯერ მეტსაც აღწევს.

4. საქართველოში არსებული 330 ათასი სახნავ-სათესი ფართობიდან 109 ათასი ჰექტარი ქარისმიერი ეროზიის გავლენის ქვეშ იმყოფება (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2. ქარისმიერი ეროზია საქართველოში

ისევე როგორც მთელ საქართველოში, თბილისის შემოგარენშიც, კერძოდ მდინარე გლდანისხევის ხეობაში ძალზე აქტიურად მიმდინარეობს ნიადაგის ეროზია, იგი ხელს უწყობს მეწყრული და ღვარცოფული მოვლენების ფორმირებას, რის გამოც აუცილებელია ეროზირებული ფერდობების დამცავი ეფექტური ღონისძიებების შექმნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მდინარე გლდანისხევის წყალშემკრებ აუზში, მამკოდას დასახლების მიმდებარედ არსებულ მოწყვლად ფერდობზე მოწყობილ იქნა ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობის დადგენის მიზნით, საველე ინტეგრირებული პოლიგონი (იხ. ფოტო 1), რომელიც შედგება I, II საცდელი და საკონტროლო უბნებისაგან. ამ პოლიგონის ფარგლებში ხორციელდებოდა 2 ერთმანეთისაგან განსხვავებული გეოხალიჩის (მსოფლიოში აპრობირებული გეოხალიჩა „Jute Mat“ და ქართული პროდუქტის „Luffaeromat“-ის) ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობის საველე კვლევა.



ფოტო 1. საველე პოლიგონის საერთო ხედი

საველე პოლიგონის საცდელ უბნებზე დაფენილ იქნა ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩები, კერძოდ, I საცდელ უბანზე გეოხალიჩა Jute Mat, ხოლო II საცდელ უბანზე (გეოხალიჩა ლუფაერომატი). საველე პოლიგონის საცდელ უბნებზე გეოხალიჩების დაფენამდე მოთავსებულ იქნა მცენარე კოინდარის თესვები და მოწყვლადი ფერდობის შემადგენელი ნიადაგ-გრუნტის მცირე ჰუმუსიანობის გამო (იხ. ცხრილი 1) გეოხალიჩებზე დასხმული იქნა ორგანული სასუქი „ორგანიკა“ არახელსაყრელ გარემოში მცენარეების ვეგეტაციის ხელშეწყობისათვის.

საველე კვლევები განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით: საწყის ეტაპზე საველე ინტეგრირებული პოლიგონიდან აღებულ იქნა ნიადაგ-გრუნტის სინჯები ქიმიური მახასიათებლების დადგენის მიზნით (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

**მოწყვლადი ფერდობის შემადგენელი ნიადაგ-გრუნტის ქიმიური მახასიათებლები**

ნიმუშის დასახელება	ნიმუშის აღების თარიღი	ნიმუშის აღების ადგილი	pH	HCO <sub>3</sub> <sup>-</sup> მგ/100 გ	Cl <sup>-</sup> მგ/100 გ	SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> მგ/100გ	Ca <sup>2+</sup> მგ/100გ	Mg <sup>2+</sup> მგ/100გ	Na <sup>+</sup> +K <sup>+</sup> მგ/100გ	ჰუმუსი %
ნიადაგი	19.03.2017	მამკოდას დასახლების მიმდებარე ფერდობი	7,46	61	195,25	95	100	30	20,7	0,4

შემდეგ ეტაპზე ხორციელდებოდა გეოხალიჩებზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის დადგენა უშუალო გაზომვებით (იხ. ფოტო 2, 3).




**ფოტო 2.** გეოხალიჩა “Jute Mat”-ზე ამოსული მცენარეების სიმაღლის გაზომვის პროცესი



ფოტო 3. გეოხალიჩა ლუფაერომატზე ამოსული მცენარეების სიმაღლის გაზომვის პროცესი

საველე პოლიგონის საცდელ უბნებზე დაფენილ გეოხალიჩებზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის შედეგები მოცემულია მე-3 ნახაზზე.



ნახ. 3. გეოხალიჩებზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკა

საველე ინტეგრირებულ პოლიგონზე კვლევები განხორციელდა 19.03.2017-19.03.2018 და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი მონაცემები საცდელ უბნებზე დამონტაჟებული გეოხალიჩების ეფექტურობისა და მათ მიერ მოწყვლად ფერდობზე ბიომრავალფეროვნების აღდგენის შესახებ (იხ. ფოტო 4).



ფოტო 4. საველევი პოლიგონის საერთო ხედი

მდინარე გლდანისხევის წყალშემკრებ აუზში არსებულ ეროზირებულ ფერდობზე მოწყობილ საველე ინტეგრირებულ პოლიგონის I და II უბნებზე დამონტაჟებულ გეოხალიჩებზე ამოსული მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მნიშვნელობების ვალიდურობისა და შესაბამისად გეოხალიჩების ეფექტურობის (ბიომრავალფეროვნების აღდგენის შესაძლებლობა) შესაფასებლად, საიმედოობის თეორიის (2, 3) გამოყენებით განხორციელდა შემდეგი კვლევები:

სტატისტიკურ რიგად გამოყენებულ იქნა ნახ. 1-ში ნაჩვენები მონაცემები. პოლიგონის I საცდელ უბანზე (გეოხალიჩა Jute mat-ით დაფარული) ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები და სიხშირეები მოცემულია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2.**

**I საცდელ უბანზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები და სიხშირეები**

გეოხალიჩა Jute Mat-ზე ამოსული მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები $h_{საშ.}$	0-5	5-10	10-15
სიხშირეები ( $m_i$ )	21	30	7
$f(h_{საშ.})$	0,362	0,517	0,121

მათემატიკური ლოდინი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$m = \sum_{i=1}^n f(h_{საშ.}) \cdot (h) = 2,5 \cdot 0,362 + 7,5 \cdot 0,517 + 12,5 \cdot 0,121 = 6,295 \quad (1)$$

ამონაყარის საშუალო მნიშვნელობა ტოლია:

$$\bar{h} = \frac{\sum_{i=1}^n h_i}{n} = 6,343 \quad (2)$$

საშუალო კვადრატული გადახრა ტოლია:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^n (h_i - \bar{h})^2}{n}} = 3,516 \quad (3)$$

გეოხალიჩა Jute Mat-ზე ამოსული მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ნორმალური განაწილების სიმკვრივის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$f(h_{საშ.}) = \frac{1}{\sigma_i \sqrt{2\pi}} e^{-\frac{(t-m_i)^2}{2\sigma_i^2}}, \quad (4)$$

აღნიშნული ფორმულიდან განისაზღვრება განაწილების ფუნქცია, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$F(t) = \int_{-\infty}^t f(t) dt = \frac{1}{\sigma_i \sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^t e^{-\frac{(t-m_i)^2}{2\sigma_i^2}} \quad (5)$$

გეოხალიჩა Jute Mat-ზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის გასაშუალოებული სიმაღლეების საიმედოობა ტოლია:

$$P(h_{საშ.}) = \Phi^* \left( \frac{6,343 - 6,295}{3,516,71} \right) = \Phi^* (0,014) = 0,506; \quad (6)$$

$$\text{ხოლო რისკი: } r(h_{\text{საშ.}}) = 1 - 0,506 = 0,494. \quad (7)$$

ანალოგიური თეორიული კვლევები განხორციელდა სავსე ინტეგრირებული პოლიგონის II საცდელი უბნისათვის (გეოხალიჩა ლუფაერომატით დაფარული), კერძოდ პოლიგონის II საცდელ უბანზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები და სიხშირეები მოცემულია მე-3 ცხრილში.

### ცხრილი 3.

II საცდელ უბანზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები და სიხშირეები

გეოხალიჩა ლუფაერომატზე ამოსული მცენარეების ზრდის დინამიკის გასაშუალოებული მონაცემების ინტერვალები $h_{\text{საშ.}}$	0-5	5-10	10-15	15-20	20-25
სიხშირეები ( $m_i$ )	8	10	11	18	11
$f(h_{\text{საშ.}})$	0,138	0,172	0,189	0,310	0,189

$$m = \sum_{i=1}^n f(h_{\text{საშ.}}) \cdot (h) = 2,5 \cdot 0,138 + 7,5 \cdot 0,172 + 12,5 \cdot 0,189 + 17,5 \cdot 0,310 + 22,5 \cdot 0,189 = 13,27 \quad (8)$$

ამონაყარის საშუალო მნიშვნელობა ტოლია:

$$\bar{h} = \frac{\sum_{i=1}^n h_i}{n} = 13,58 \quad (9)$$

საშუალო კვადრატული გადახრა ტოლია:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^n (h_i - \bar{h})^2}{n}} = 6,85 \quad (10)$$

ზემოაღნიშნული ანალოგიური გაანგარიშებების შემდეგ, გეოხალიჩა ლუფაერომატზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის გასაშუალოებული სიმაღლეების საიმედოობა ტოლია:

$$P(h_{\text{საშ.}}) = \Phi^* \left( \frac{13,58 - 13,27}{6,85} \right) = \Phi^* (0,045) = 0,518; \quad (13)$$

$$\text{ხოლო რისკი: } r(h_{\text{საშ.}}) = 1 - 0,518 = 0,482. \quad (14)$$

### დასკვნა

ჩატარებული გაანგარიშების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სავსე ინტეგრირებული პოლიგონის II საცდელ უბანზე ამოსული ბალახოვანი მცენარეების ზრდის საშუალო დინამიკის საიმედოობა 51-52%-ს შეადგენს, რაც დამაკმაყოფილებელი შედეგია, რადგან იგი მიაწვდის მოწყვლად ფერდობზე გეოხალიჩა „Luffaeromat“-ის გამოყენების შემთხვევაში მწვანე საფარის აღდგენის მაღალ ვალიდურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

#### References:

1. <http://science.org.ge/books/2017/urushadze.pdf>
2. **Мирицхулава, Ц. Е.** Вероятностная оценка нарушения экологического равновесия малых рек. Док. ВАСХНИЛ. 1991. №9. ст. 59-63.  
Mirtsxulava C. E. Veroiatnosnaia ocenka naruSenia ekologiCeskogo pabnovesia malix, rek. Dok. VASXNIL. 1991. №9. Str. 59-63.
3. **Мирицхулава, Ц. Е.** 1974. Надёжность гидромелиоративных сооружений. М. “Колос“. ст. 279.  
Mirtsxulava C. E. 1974. NadeJnost gidromliorativnix sooruJenii. N., „Kolos“, str. 279

## 06 სამართალი Law

0605

კატარინა შვეინოვა ჰოესოვა

Katarína Švejnová Hoesová

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

Prof.Ing.

პრადის ეკონომიკის უნივერსიტეტი (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა)

University of Economics in Prague, Faculty of Economics – (Prague, Czech Republic)

### Gender Inequality in the Slovak Republic Pension System

#### გენდერული უთანასწორობა სლოვაკეთის რესპუბლიკის საპენსიო სისტემაში

**Abstract:** The main objective of this paper is to analyse gender inequality in pension system. Gender inequality is the crucial question for presence in all aspect of working and social life across the countries around the world. Huge gap between genders creates tension and frustration on both sides of the barricades. Wrong set up of the first tier shows increase of the differences between women and men in retirement age. Part of the objective is analysis of current financial situation regards on increasing outcomes from pension system, demography and life expectancy. We will analyse outcomes for different group of retirees such widows or retirees with minimal pension outcomes. Based on this analysis we will propose our recommendations for increasing the equality with focus on the sustainability of the first tier in the Slovak pension system. The paper will focus on the main pension system indicators, such as gender inequality, population demography, retirement age and pension indexation regard to retirement – income adequacy.

**Keywords:** Pension system, gender inequality, life expectancy, retirement age,

**რეზიუმე:** ამ სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს საპენსიო სისტემაში გენდერული უთანასწორობის ანალიზი. გენდერული უთანასწორობა ძირითადი საკითხია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სუფევს სამსახურეობრივი და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. გენდერებს შორის უზარმაზარი უფსკრული ქმნის ბარიკადების ორივე მხარის დამაბულობას და იმედგაცრუებას. არასწორადაა აგებული პირველი რიგი, რომელიც ზრდის განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის საპენსიო ასაკში. ასევე ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რომელიც განიხილავს საპენსიო სისტემის, დემოგრაფიისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას. ჩვენ ვაანალიზებთ შედეგებს სხვადასხვა ჯგუფის პენსიონერებისათვის, როგორებიცაა ქვრივები ან სამსახურიდან გადამდგარი პირები მინიმალური პენსიით. მოცემული ანალიზის საფუძველზე ჩვენ ნაშრომში ვთავაზობთ რეკომენდაციებს თანასწორობის გაზრდის მიზნით სლოვაკეთის საპენსიო სისტემაში პირველი რიგის მდგრადობაზე. სტატიაში ყურადღება გამახვილდება ძირითადი საპენსიო სისტემის ინდიკატორებზე, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, მოსახლეობის დემოგრაფია, საპენსიო ასაკისა და საპენსიო ინდექსაციის მიმართება პენსიაზე – შემოსავლების შესაბამისობაზე.

**სკვანძო სიტყვები:** საპენსიო სისტემა, გენდერული უთანასწორობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, საპენსიო ასაკი.

### INTRODUCTION

Gender gap is a question that has become more resonant recent years in different kind of social life. The paper discusses how the European Union and Slovak Republic are accustomed to the gender gap in pension systems as well as the structure of pension systems.

#### Methods of research

The work will rely on both empirical and theoretical research methods. Basic analytical methods will be used to prepare a comparison of the demography by gender, retirement in European Union and Slovak republic. We will also use analysis of the European Union countries pension systems and Slovak pension system as well as analysis of the partial problem of the Slovak pension system with focus on gender gap.

#### Demography in European Union

Although women are successful in gaining qualifications, their subsequent careers are often more interrupted, they have lower pay and their careers are flatter. Therefore, they earn less than men over their

life cycle and their pensions are lower the gender pay gap across the EU: different magnitude, different trends, but similar causes.<sup>1</sup>

The overall size of the population is projected to be slightly larger by 2070 than in 2016, with a hump-shaped trajectory. The EU population is projected to increase from 510.9 million in 2016 to 528.5 million in 2040, remain stable until 2050 and decline thereafter to 520.3 million in 2070. Moreover, while the total EU population is set to increase by 1.8% over the 2016-70 projection horizon, there are wide differences in trends across Member States.

For males, in all age cohorts between 0-64, the projected population in 2070 is lower than the population in 2016 in the EU. Conversely, in all age cohorts of 65 years old and above, the projected population in 2070 is higher than in 2015.

For females in all age cohorts between 0-69 years old, the projected population in 2070 is lower than in 2016. Conversely, in the age cohorts above 69 years old, the projected population in 2070 will be higher than in 2016. Moreover, while in 2016 the largest cohort for both males and females is 45-49 years old, in 2070 the largest cohort will be 70-74 years old for women and 50-54 years old for men. Overall, the median age will rise from 41 years old in 2016 to 45 in 2070 for men and from 43 years old to 47 for women.<sup>2</sup>

### **Slovak Republic and gender gap**

#### **Equals criteria to women and men**

*Eligibility criteria for entitlement to old age pension*

To be entitled to an old age pension, an insured person, must

- 1) achieve at least 15 years of the pension insurance period and
- 2) reach a pensionable age.

If the insured person reaches the pensionable age during the period between January 1, 2004 and December 31, 2007, he/she is entitled to the old age pension after achieving at least 10 years of pension insurance period.<sup>3</sup>

*Pension earnings calculation*

#### **POMB x ODP x ADH**

POMB = average personal wage point

ODP = the sum of the pension insurance period earned on the date of entitlement to the old-age pension

ADH = actual retirement value on the date of entitlement to the payment of the pension<sup>4</sup>

By statistic data of Social Insurance Agency in Slovakia amount of pensioner increase from 1 212 658 on 31<sup>st</sup> May 2005 to 1 390 86 on 31<sup>st</sup> May 2018. Anyway, criteria for pension as well as earning calculation are same for women and men. In general women earn less than men, resulting in the pension earnings they receive.

#### **Gender gap in Pension system**

*Retirement age 2017*

Men 62 years and 76 days

Women – depends on the No. of children

0 – 1 child - 62 years a 76 day

2 children - 61 years

3 – 4 children 60 years

5 and more children 59 years

#### **Widow vs Widower**

Widow's / Widower's pension represents 60% of the insured deceased person's pension. Entitled to this kind of benefit is the widow/ widower whose husband/ wife was receiving the old age pension, the invalidity pension or was entitled to the early old age pension as of the day of his death, or satisfied conditions of the old - age pension entitlement as of the day of his death, or achieved the number of years of

<sup>1</sup> 2017 Report on equality between women and men in the EU

<sup>2</sup> The 2018 Ageing Report Economic & Budgetary Projections for the 28 EU Member States (2016-2070)

<sup>3</sup> Ministry of labour, social affairs and family of the Slovak Republic, Old age pension <https://www.socpoist.sk/old-age-pension-/51389s>

<sup>4</sup> Ministry of labour, social affairs and family of the Slovak Republic, Starobný dôchodok, Suma <https://www.socpoist.sk/suma-dochodku-/1286s#Suma>



the pension insurance necessary to qualify to the invalidity pension as of the day of his death, or died due to the working injury or the occupational disease. <sup>1</sup>

Widow’s pension in Slovak Republic

Eligibility criteria for a widow’s pension

An insured person is entitled to a widow’s pension if she is a widow surviving her husband who

- 1) was receiving an old age pension, a disability pension or was entitled to an early old age pension,
- 2) fulfilled the eligibility criteria for entitlement to an old age pension as of the day of his death or
- 3) as of the day of his death, achieved the required number of years of pension insurance for his entitlement to a disability pension or
- 4) died due to a work accident or occupational disease.

A divorced wife is not entitled to a widow’s pension.

Table 2 shows the difference in pension earnings between men and women.

Pension	31 <sup>st</sup> May 2015	31 <sup>st</sup> May 2016	31 <sup>st</sup> May 2017	31 <sup>st</sup> May 2018
Widow’s pension	246,06€	246,46€	250,38€	255,06€
Widower’s pension	189,16€	190,56€	194,94€	201,35€

**Tab.2 Comparison of widows and widower pension earnings from 2015 – 2018 Source: Mistry of labour, social affairs and family of the Slovak Republic**

No. of pensions	31 <sup>st</sup> May 2006	31 <sup>st</sup> May 2010	31 <sup>st</sup> May 2014	31 <sup>st</sup> May 2018
Old age pensions	914671	934845	1001751	1064259
Widow’s pension	303954	301058	293581	292342
Widower’s pension	9966	35864	39893	47118

**Tab.3 Comparison No. of old aged pension widows and widower pension from 2006 – 2018 Source: Mistry of labour, social affairs and family of the Slovak Republic**

	2009(in thousand € per year)	2010(in thousand € per year)	2014(in thousand € per year)	2017(in thousand € per year)
Old age pensions	3595383	3758182	4722099	5192470
Widow’s and widower’s pension	532374	546777	617171	645412

**Tab.4 Comparison of old aged pension widows and widower pension earnings from 2009 – 2017 Source: Mistry of labour, social affairs and family of the Slovak Republic**

**CONCLUSION**

Women in Slovak Republic are not only workers, but also have family responsibilities. To be a mother means huge impact on woman’s careers that could reduce activity on the Labor market. They accumulate smaller pension wealth meaning lower pension earnings.

On the other hand, women generally benefit more from the pension system. This can be seen mainly in the average life expectancy that is longer and, given the fact that men on average have higher pensions, their widow's pension is indeed higher.

<sup>1</sup> Internet source: <https://www.socpoist.sk/social-insurance-system-in-slovakia/24533s>

On the Tab.2 and Tab.3 we can see huge gap between men and women earnings. Increasing of retirement age reduces the number of newly recruited pensions and prolongs the duration of labor market participation. If we want to equal genders, solution should be the same earnings for both. Differences between women and men could be mitigated by access to widows and widowers' pensions, so that after the death of a partner, the retired person shares a shared household with someone else which means that if the retiree lives alone his earning will increase, on the other hand if retiree lives together with somebody in household (also if her/his partner pass away), could share the costs, indeed the income will go lower.

#### References:

1. People in the EU - statistics on an ageing society, ISSN 2443-8219, URL: [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=People\\_in\\_the\\_EU\\_%E2%80%93\\_statistics\\_on\\_an\\_ageing\\_society&oldid=375268](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=People_in_the_EU_%E2%80%93_statistics_on_an_ageing_society&oldid=375268)
2. 2017 Report on equality between women and men in the EU, European Union, 2017, ISBN 978-92-79-65778-8, doi:10.2838/5259, [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2017\\_report\\_equality\\_women\\_men\\_in\\_the\\_eu\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2017_report_equality_women_men_in_the_eu_en.pdf).  
Ministry of labour, social affairs and family of the Slovak Republic, Pension Scheme  
URL:<https://www.employment.gov.sk/en/social-insurance-pension-scheme/pension-scheme/>
3. Jakub Fodor, Tomáš Rizman, Lucia Šrámková, Šedivieme pomalšie, Správa Európskej komisie o starnutí populácie, Ministry of finance of the Slovak Republic URL: <http://www.finance.gov.sk/Default.aspx?CatID=11771>
4. The 2018 Ageing Report Economic & Budgetary Projections for the 28 EU Member States (2016-2070) ISBN 978-92-79-77460-7 Publications Office of the European Union, 2018, Luxembourg.  
[https://ec.europa.eu/info/publications/economic-and-financial-affairs-publications\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/economic-and-financial-affairs-publications_en)
5. OECD (2017), Pensions at a Glance 2017: OECD and G20 Indicators, OECD Publishing, Paris,  
[https://doi.org/10.1787/pension\\_glance-2017-en](https://doi.org/10.1787/pension_glance-2017-en).
6. The 2018 Ageing Report Economic & Budgetary Projections for the 28 EU Member States (2016-2070) ISBN 978-92-79-77460-7 Publications Office of the European Union, 2018, Luxembourg.  
[https://ec.europa.eu/info/publications/economic-and-financial-affairs-publications\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/economic-and-financial-affairs-publications_en)

The publication of this article was supported by the University of Economics in Prague research grant IGA no.F5/61/2018.

სტატიის გამოცემა განხორციელდა პრადის ეკონომიკის უნივერსიტეტის მკვლევარის გრანტის მხარდაჭერით

0602

ჯემალ გახოკიძე

Jemal Gakhokidze

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

Doctor of Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

დარეჯან ლეკიაშვილი

Darejan Lekiasvili

სამართლის დოქტორი,

Doctor of Law

ასოცირებული პროფესორი

Associate Professor

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

Higher Education Institution 'Education Academy'

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები

Legal Aspects on Fight against Terrorism

რეზიუმე: სამწუხარო რეალობად რჩება ფაქტი, რომ ტერორისტული დანაშაული ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და დღით-დღე სულ უფრო და უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. იზრდება ტერორისტული აქტების რიცხვი, საინფორმაციო წყაროებიდან

სულ უფრო ხშირად გვეხმის სიტყვები: „ტერორისტული აქტი“, „ტერორისტი“, „ტერორიზმის მსხვერპლი“... მიუხედავად აღნიშნულისა, დღესდღეობით საერთაშორისო თანამეგობრობაში ერთიანი მოსაზრება ტერორიზმის არსის, ფარგლებისა და დეფინიციის თაობაზე არ არსებობს. საკვლევი პროექტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს 21-ე საუკუნის გლობალური საფრთხის - ტერორიზმის პრობლემის კომპლექსური კვლევა საფრთხის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ტერორისტული აქტი, ტერორისტი, ტერორიზმის მსხვერპლი.

**Abstract:** The sad reality remains the fact that the terrorist crime belongs to one of the hardest crimes of our present, and the day-by-day is becoming more and more sensitive. The number of terrorist acts increases, and from the sources of information, "**Terrorist Act**", "**Terrorist**", "**Terrorism victim**" ... Despite this, there is no unanimous opinion of the international community today about the essence, scope and definition of terrorism. One of the main objectives of the research project is to carry out complex study of the problem of one of the global threats of the 21st Century – terrorism in order to elaborate ways of prevention and effective skills of fighting against terrorism.

**Keywords:** Terrorist Act, Terrorist, Terrorism victim.

პრობლემა, რომელზეც ამ სტატიაშია გამახვილებული ყურადღება, XXI საუკუნის ყველაზე საშიში გამოწვევის, ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური გზების ძიებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფუნდამენტური პრინციპების დაცვასა და მისი ნებისმიერი ფორმით შეზღუდვის დაუშვებლობას ეხება.

საქართველო, როგორც დემოკრატიული პრინციპების მატარებელი მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, ყოველთვის ცდილობდა, თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესში, მათ შორის ტერორიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დიდ ჯაჭვში, ჩვენი სახელმწიფო ერთ-ერთ საპატიო რგოლს წარმოადგენს, რასაც უდავოდ მოწმობს საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა როგორც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე,

ტერორისტულ დანაშაულს, რომელსაც მე-20 საუკუნის შავ ჭირსაც უწოდებენ, საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ სიტყვა „ტერორი“ (terrere) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს - შიშს, საშინელებას, დაშინებას. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ფორმითა და ხასიათით ვლინდებოდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ეპოქალური მახასიათებლებით. ამა თუ იმ იერარქიულ საფეხურზე მდგომი მოკვდავნი, ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან მიმართავდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად ტერორისტულ მეთოდებს. მაგ., საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში ტერორი იქცა ძალადობრივი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ სიმბოლოდ. მმართველი კლასების ძალაუფლებისაკენ სწრაფვის სურვილმა სისხლიანი ელფერი მიიღო და პარიზის ქუჩებში დატრიალებულმა იაკობინელთა ტერორმა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საუკუნეების განმავლობაში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ტერორისტული დანაშაულის შინაარსიც იცვლებოდა. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ იტალია, რუსეთი, ავსტრია, გერმანია. თვით პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზსაც, სწორედ ტერორისტული აქტი - ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობა წარმოადგენს. ალბათ ამის შედეგია, რომ მეცნიერ-მკვლევარებმა აღნიშნული პერიოდის ტერორისტული დანაშაულები „რევოლუციურ ტერორად“ შეაფასეს.

ჟამთა ცვალებასთან ერთად იცვლებოდა ტერორისტული დანაშაულის შინაარსი, ფორმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი და მეთოდები. ტერორისტული დანაშაული გაცდა შიდასახელმწიფოებრივ ჩარჩოებს. არაერთი სახელმწიფო, რომელთათვის სასურველი მიზნის მისაღწევად საყოველთაოდ აღიარებულ ბრძოლის მეთოდებს სათანადო შედეგი არ მოჰქონდა, ტერორისტულ მეთოდებს მიმართავდნენ სურვილის მისაღწევად. შედეგად, მე-20 საუკუნის ბოლოს, ჩნდება ტერორიზმის ახალი მიმდინარეობა, რომელიც „სახელმწიფო ტერორიზმად“ შეფასდა. თანდათან ჩნდება ტერორისტული დანაშაულის ახალი გამოვლინებები - „რელიგიური ტერორიზმი“, „კიბერტერორიზმი“.

21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე ტერორისტებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ ტერორიზმი ერთ-ერთი უმძიმესი და უსაშინლესი დანაშაულია, რომელსაც უამრავი უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვება. ამას ცხადყოფს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2004 წლის 11 მარტს მადრიდში და იმავე წლის 1 სექტემბერს რუსეთში, კერძოდ ბესლანში დატრიალებული ტრაგედია, რომელთაც მსხვერპლად უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

1993 წლის თებერვალში, ქალაქ ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომზე აფეთქდა 1200 ფუტი სიმძიმის ბომბი, რომელიც ყვითელი ფერის ნაქირავებ სატვირთო ავტომანქანაში იყო ჩამონტაჟებული. აფეთქებამ მსოფლიოში სიმაღლით მეორე შენობის სარდაფში მყისიერად წარმოშვა 20 ფუტის რადიუსის კრატერი. დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი, თუმცა მსხვერპლთა რიცხვი შედარებით მრავალრიცხოვანი არ იყო - მხოლოდ 7 ადამიანი. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობისა და აშშ-ს ეკონომიკური სიძლიერის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი ამერიკელებისათვის შოკის მომგვრელი იყო. ეს შოკი კიდევ უფრო მეტად შოკის მომგვრელი გახდა 8 წლის შემდეგ - 2001 წლის 11 სექტემბერს, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ახალი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. ამჯერად შენობებს კომერციული რეისის ადვილად აალებადი საწვავით დატვირთული ორი თვითმფრინავი შეეჯახა. ცათამბჯენები მცირე ხნის განმავლობაში იწვოდა, შემდეგ საოცარი სიძლიერით ჩამოინგრა, რამაც მანჰეტენის დიდი ნაწილი გაანადგურა, ხოლო შენობებში მყოფი ასობით ადამიანი იმსხვერპლა. ქუჩები აივსო ათასობით ტონა ცეცხლმოკიდებული ნანგრევებით და კვამლის, მტვრისა და ფერფლის უზარმაზარი ღრუბელი წარმოშვა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ჩამოწოლილი ქალაქის თავზე.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული უმნიშვნელოვანესი საფრთხე 21-ე საუკუნის მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ტერორისტული დანაშაული, უკვე თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, „საერთაშორისო ტერორიზმად“ ფასდება და საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილე მთელი რიგი ქვეყნები ერთიანდებიან ამ უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. გამონაკლისს რა თქმა უნდა არც საქართველო წარმოადგენს.

აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში. აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ აღნიშნულით არ შემოვიფარგლებით, საქართველო სამართლებრივ დონეზეც ცდილობს დაარეგულიროს ტერორიზმთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები. კერძოდ, მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში (დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ) შევიდა ცალკე თავი - ტერორიზმი, სადაც დღეისათვის 13 მუხლია, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა დეფინიციები. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რომელმაც ასე კონკრეტულად დააკვალიფიცირა ტერორისტული დანაშაულობების ცალკეული გამოვლინებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ უნდა იყოს საკმარისი, კერძოდ, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ათობით და ასობით უდანაშაულო მსხვერპლის გათვალისწინებით, ტერორიზმის დანაშაული უნდა განიხილებოდეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებთან ერთობლიობაში, მით უმეტეს, რომ შემადგენლობით და შინაარსით ტერორიზმის დანაშაული სწორედ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეს წარმოადგენს.

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღეს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არის დაცული ტერორიზმის საფრთხისაგან. უკანასკნელი წლების მანძილზე ტერორისტული აქტები გახშირდა და სულ უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იძენს.

ტერორიზმის, როგორც თანამედროვე დანაშაულის ტენდენცია, ვფიქრობთ, იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური, რელიგიური თუ ეროვნული (სეპარატისტული) ფანატიზმით შეპყრობილი ცალკეული პირები, რომელთაც ძირითადად ანგარებითი სულისკვეთება ამოძრავებთ, თავიანთი იდეოლოგიის ხორცმესხმას ძალადობით, ე.წ. კრიმინალური ხერხებით ახორ-

ციელებენ, რაც, რა თქმა უნდა, მიზნის მიღწევის დანაშაულებრივ, მაგრამ ეფექტურ საშუალებად გვევლინება.

ტერორისტული დანაშაულის მიზნისა და საშუალებების ერთმანეთთან დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა, საზოგადოებისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს, იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც დიდი ხანია აწუხებს კითხვები - თუ რატომ არ განსხვავდება დიდად ზოგიერთი პოლიტიკოსი დამნაშავისგან, ან ასე რატომ მიიღტვიან ცალკეული დამნაშავე ელემენტები პოლიტიკაში?

საკითხის აქტუალურობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად უპირველეს ყოვლისა ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მიგვაჩნია, რადგან დღესდღეობით ერთიანი მოსაზრება ტერორიზმის დეფინიციის თაობაზე საერთაშორისო თვალსაზრისით არ გვაქვს (ამის ნათელი დადასტურებაა ევროკავშირისა და თურქეთის მთავრობას შორის ამჟამად არსებული უთანხმოება ტერორიზმის დეფინიციასთან დაკავშირებით). აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის დეფინიციის წინ ყოველთვის შემდეგი საკითხები იყო წარმოჩენილი:

- ტერორიზმი არის პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სოციალური მოტივით განპირობებული, საჯარო ძალადობის უკიდურესი ფორმების გამოყენებით ჩადენილი ქმედება ან ქმედების მუქარა, მიმართული ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასევე საომარ მოქმედებათა პროვოცირებისკენ, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედების მიზნით;

- ტერორიზმი ხორციელდება ტერორისტებისათვის სასურველი პოლიტიკური, არამართლზომიერი ქონებრივი და სხვა მიზნების შესასრულებლად, რათა ზემოქმედება მოხდეს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან გამოწვეულ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა ან მოსახლეობის დაშინება;

- ტერორიზმი ხელყოფს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი მოღვაწის სიცოცხლეს მისი სახელმწიფო ან პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტის, ან ასეთ საქმიანობაზე ზემოქმედების მიზნით ან აღნიშნული საქმიანობის გამო შურისძიების მიზნით;

- ტერორიზმი აგრეთვე არის უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე თავდასხმა, თუ ასეთი მოქმედება ჩადენილია ომის პროვოცირების ან საერთაშორისო ურთიერთობების გაართულების მიზნით.

გვადღევს თუ არა ყოველივე ზემოხსენებული ტერორისტული დანაშაულის უფრო ფართო სპექტრში განხილვის საფუძველს, შეიძლება თუ არა ტერორიზმის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში მოაზრება, ეს საკითხები წარმოადგენს თემის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

ტერორიზმის საკითხის მკვლევართა და ასევე ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვეობის გლობალური საფრთხის - ტერორიზმის, პრობლემის კომპლექსური კვლევა საფრთხის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავების მიზნით, აგრეთვე სათანადო წინადადებების შემუშავება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების სრულყოფის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ ძირითად მიზანს ასევე წარმოადგენს სათანადო რეკომენდაციების წარმოდგენა, არის თუ არა შესაძლებელი ტერორიზმის დანაშაული გადატანილ იქნეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში, აღნიშნულის შედეგად ტერორიზმის დანაშაულზე აღარ იმოქმედებს ხანდაზმულობის ვადა, ტერორისტული დანაშაულის საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რაც თავისთავად საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტად შეკავშირებას გამოიწვევს ამ უსასტიკესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა უკანასკნელ პერიოდში ევროპაში განხორციელებული

ბული ტერორისტული აქტების სერიამ და გლობალურმა საფრთხემ, რომელიც დაკავშირებულია ისლამურ სახელმწიფოსთან.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ასევე სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხი ტერორიზმთან მიმართებით. როგორც წესი, მთელი რიგი სახელმწიფოები კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ტერორისტებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. რამდენად გამართლებულია ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, იქნებ ბევრად უფრო დადებითი შედეგის მომტანი იყოს მოლაპარაკების გზით გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, როგორ და რა ფარგლებში იქნება ეს შესაძლებელი. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, რათა ერთიანი პოლიტიკა იქნეს შემუშავებული ტერორისტებთან ბრძოლის ტაქტიკაში, მათ შორის სათანადო მოლაპარაკებების წარმოების თვალსაზრისით.

მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ განსახორციელებელი ამოცანები შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1. ტერორიზმის დანაშაულის ანატომია;
2. ტერორიზმი და მისი თანამდევნი საფრთხეები;
3. ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკა, მეთოდოლოგია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ასევე კოორდინაცია როგორც ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;
4. ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები და მისი სრულყოფის გზები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე;
5. ტერორიზმის რისკ-მენეჯმენტი.

ზემოხსენებული მიზნებისა და ამოცანების სათანადოდ განსახორციელებლად აუცილებლად მივიჩნევთ, წინ იქნეს წამოწეული ტერორიზმის დანაშაულის საფრთხის გამოვლენის, წარმოჩენისა და შესწავლა-გაანალიზების საკითხები, რომ ხელი შევუწყოთ მსოფლიო თანამეგობრობის შესაბამისი ორგანოების კიდევ უფრო მეტად შეკავშირებასა და გაერთიანებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ტერორისტული აქტის განხორციელების მიზეზების, მიზნისა და პირობების შესწავლა. ყოველივე ზემოხსენებული, სათანადო სამართლებრივი ბაზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელს გახდის, განისაზღვროს:

- ტერორიზმის საფრთხის გამოვლენა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;
- ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის ორგანიზაციის ფორმები, ასევე ანტიტერორისტული ძალების კოორდინაცია სამივე დონეზე და სისხლის სამართლებრივი საფუძვლები;
- საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) მონაწილეობის ორგანიზაციული საფუძვლები, მათი უფლებები, მოვალეობები და სამართლებრივი გარანტიები ტერორიზმთან ბრძოლაში; თანამდებობის პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა მონაწილეობის ორგანიზაციული საფუძვლები, მათი უფლებები, მოვალეობები და სამართლებრივი გარანტიები ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით;
- როგორც სპეციალიზებული, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მონაწილეობის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში;
- ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის თაობაზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და წარმოდგენა.

ტერორიზმის საკითხის სრულყოფილად კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმ ეფექტური მეთოდებისა და ხერხების შესწავლა და წარმოჩენა, რომლებიც საშუალებას მისცემს ტერორიზმის წინააღმდეგ მეტბოლო შესაბამის ორგანოებს, სრულად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები თანამედროვეობის უსასტიკესი დანაშაულის ტერორიზმის დასამარცხებლად.

დაბოლოს, წინამდებარე სტატიის ავტორთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაძლო კავშირების დამყარება როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის ორგანოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო შესაძლებელს გახდის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ორიენტირებული მაღალი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და სრულყოფას როგორც ფართო თეორიული ცოდნის, ასევე სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**References:**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1997. The Criminal Code of Georgia, Tbilisi, 1997
2. საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, თბილისი, 2007 Law of Georgia on Terrorism. Tbilisi, 2007.
3. ევროპის საბჭოს დოკუმენტთა კრებული ადამიანის უფლებების დაცვისა და დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, 1998. Council of Europe documents on human rights protection and crimes, 1998.

0602

**გოჩა ოჩიგავა**

**Gocha Ochigava**

**სამართლის დოქტორი, პროფესორი**

**Doctor of Law, Professor**

**უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“**

**Higher Education Institution "Education Academy"**

**საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლო ორგანოებში  
Georgia in International Judiciary against Russia**

**II ნაწილი**

**დასაწყისი იხილეთ „ერუდიტი“**

**2018, №1**

**Part II**

**რეზიუმე:** სტატიაში ყურადღება ეთმობა რუსეთ - საქართველოს მიმდინარე და დასრულებულ დავებს სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლო ორგანოში და მათ სამართლებრივ შედეგებს. ავტორის აზრით, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, გაამყარებს თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციას სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი ოკუპანტია და მეზობელ სახელმწიფოსთან მიმართებაში უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეასრულებს თუ არა რუსეთი, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და დაემორჩილება თუ არა სასამართლოთა გადაწყვეტილებებს ზემოაღნიშნულ დავებზე.

**საკვანძო სიტყვები:** სტრასბურგის სასამართლო, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ეთნიკური ნიშნით დევნა, სამხედრო დანაშაული, ოკუპაცია.

**Abstract:** The paper focuses on the ongoing and completed disputes between Russia and Georgia in various international judicial organs and their legal consequences. In author's opinion, it is very important for Georgia

whether the position of international organizations will strengthen the decision of various international judgments that Russia is an occupant and violates the principles and norms of international law in relation with the neighboring state. It is also important whether Russian, as a conflict party, will fulfill the obligations to the international community and comply with the decisions of the courts on the above-mentioned disputes.

**Key words:** Strasbourg Court, International Court of Justice, International Criminal Court, ethnic persecution, military crimes, occupation.

მოცემული სტატიის პირველ ნაწილში (სამეცნიერო ჟურნალი „ერუდიტი“ № 1, გვ. 112) ჩვენ მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს ინტერესების დაცვას. მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სასამართლოში, ბოლო პერიოდში, საქართველოს სახელით საჩივრების შეტანის დინამიკამ იკლო,<sup>1</sup> რაც დღევანდელი ხელისუფლების აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით პროგრესს განიცდის. ბოლო პერიოდში სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან გაცილებით ნაკლები საჩივარი შევიდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნიდან. ამასთან, ხელისუფლება არ უარყოფს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. 2017 წელს საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევა ცხრა საქმეზე დადგინდა და მათგან მოქმედი ხელისუფლების დროს დარღვევაზე მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საუბარი. შედარებისათვის, 2011 წელს საქართველოდან სტრასბურგში 395 საქმე იყო წარდგენილი, დღესდღეობით ეს დაახლოებით 89 საქმეა. ამ კუთხით თითქმის 5-ჯერ ნაკლები კლება გვაქვს. აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოდან შეტანილი საჩივრების უმრავლესობა ეხება სიცოცხლის უფლებას, წამებას, ღირსების შელახვასა და არაადამიანურ მოპყრობას, პოლიტიკური ნიშნით ჩადენილ დანაშაულს, მაშინ როცა სხვა ევროპული ქვეყნებიდან შესული საქმეები (მათი სიმრავლის მიუხედავად) ძირითადად საკუთრების უფლების, სიტყვის თავისუფლების, შრომითი უფლებების დაცვას უკავშირდება. თუ ამ მოცემულობას დავამატებთ იმ რეალობასაც, რომ საქართველოში ძალიან ბევრი გახმაურებული საქმე ჯერ კიდევ გამოუძიებელია ან მიზანმიმართულად ხდება მტკიცებულებათა გაყალბება და მოწმეთა დაშინება, გამოდის, რომ ზემოხსენებული სტატისტიკა არც ისე სახარბიელო ყოფილა. ვიდრე შევხებოდეთ რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში დაწყებულ დავას და ვისაუბრებდეთ მის სამართლებრივ შედეგებზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველო-რუსეთის სამართლებრივ დავაზე სტრასბურგის სასამართლოში (II საქმე). 2018 წლის 23 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე ბოლო ზეპირი მოსმენა დასრულდა. სახელმწიფოთაშორისი დავა სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა.<sup>2</sup> რომელიც 17 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოდან და რუსეთიდან არჩეული მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული.<sup>3</sup> დიდ პალატას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი გვიდო რაიმონდი (იტალია) თავმჯდომარეობდა. აგვისტოს ომის საქმეზე საქართველო რუსეთს ადანაშაულებს ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევაში, კერძოდ, საქართველო მიიჩნევს, რომ რუსეთმა ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს დაარღვია ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლები (2,7): სიცოცხლის უფლება,<sup>4</sup> წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრ-

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინფორმაციით, საქართველო სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი საჩივრების სიმცირით ევროსაბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან მე-12 ადგილზეა.

<sup>2</sup> სახელმწიფოთაშორისი საქმეს განიხილავს დიდი პალატა, თუ არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის. თუმცა, ბოლო დროს ხშირად დაისვა საკითხი მოპასუხე მხარის თანხმობის გარეშე საქმისწარმოების დაწყების შესაძლებლობის შესახებ. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (3, 17).

<sup>3</sup> საქართველოს წარმომადგენელი იყო ლადო ჭანტურია, ხოლო რუსეთის დიმიტრი დედოვი.

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მ.



ძალვა,<sup>1</sup> თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება,<sup>2</sup> პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,<sup>3</sup> სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების გამოყენების უფლება,<sup>4</sup> საკუთრების დაცვის უფლება<sup>5</sup> განათლების უფლება,<sup>6</sup> მიმოსვლის თავისუფლება.<sup>7</sup> რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოსა და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევების დასადგენად ევროპული სასამართლოს წინაშე ქართული მხარე უტყუარი მტკიცებულებებით გამყარებული პოზიციებით წარდგა. საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ბრიტანელი ადვოკატები იცავდნენ. საქართველო ამტკიცებდა და დღესაც ამ პოზიციას რჩება, რომ ომისა და ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადენილი მასობრივი დარღვევები რუსეთის იურიდიულ სფეროში ექცევა და ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს: რუსეთის მიერ დე-ფაქტო რეჟიმების სამხედრო პერსონალის მომზადება, მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნა, ფინანსური დახმარების გაწევა, იძულებითი „პასპორტიზაცია“ და უვიზო მიმოსვლის შემოღება, რუსული კანონმდებლობის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გავრცელება, რუსების სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა, რუსული წვრთნები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომლებიც აგვისტოს ომამდე დიდი ხნით ადრე სამხედრო მოქმედებების გეგმის ფარგლებში ჩატარდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და სხვ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წლის 6-17 ივნისს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მთლიანობაში 33 მოწმეს მოუსმინა (მოწმეები გამოძახებული იყვნენ როგორც საქართველოს და რუსეთის, ისე სასამართლოს ინიციატივით). საქმეზე არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ, შესწავლილ იქნა მრავალი მტკიცებულება, შეირჩა და სხვადასხვა დროს სტრასბურგის სასამართლოს საქართველოს მხრიდან წარედგინა 700-მდე მტკიცებულება (მათ შორის, ვიდეო და ფოტომასალები, რადარის მონაცემები, ექსპერტთა დასკვნები, სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები, სეისმური და გეოფიზიკური ქსელის სამსახურების მიერ აფეთქებების დამადასტურებელი ჩანაწერები, მოწმეთა ჩვენებები, სატელიტური სურათები, მედიის მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სატელეფონო მიყურადების ჩანაწერები, განადმვის ანგარიშები, გორში აფეთქებული „ისკანდერის“ ნაწილები და მათზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები და სხვ.) და არაერთი დოკუმენტი შესაბამისი ანალიზითა და არგუმენტებით. პროცესზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საქართველოს ინტერესების დამცველის, ბრიტანელი ადვოკატის განცხადებებმა. ბატონი ბენ ემერსონი მიიჩნევს, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს და მათი შეწყვეტის შემდეგაც, რუსეთის შეიარაღებული ძალები სეპარატისტებთან და რუსეთის მიერ კონტროლირებად სხვა არალეგალურ დაჯგუფებებთან ერთად შევიდნენ ქართულ სოფლებში. ამ დროს მოსახლეობის ნაწილი ან გაქცეული იყო ან ევაკუირებული, ხოლო ვინც დარჩა, ძირითადად ხანდაზმულები იყვნენ და მათ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. რუსეთის ძალებმა მოახდინეს სოფლების ბლოკირება, ანუ დააყენეს საკონტროლო გამშვები პუნქტები და ზოგიერთი ქართული სოფელი მოწყვიტეს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს ან მთლიანად გადაწვეს. სამოქალაქო პირებს ემუქრებოდნენ მოკვლით, თუ ისინი არ დატოვებდნენ საცხოვრებელ ადგილებს. უამრავი ადამიანი ეთნიკური ნიშნით გამოარჩიეს და მოკლეს. მკვლევარები სისტემატური იყო, რაც ეუთომ მკაცრად დაგმო. ზოგიერთი დანაშაული უშუალოდ რუსი სამხედროების მიერ იყო ორგანიზებული. დანარჩენი კი მათი თანდასწრებით და ხელშეწყობით ხდებოდა და დღესაც ხდება. ემერსონის თქმით, არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ქართველების ეთნიკური წმენდის შეჩერება შეეძლოთ, თუმცა რუსეთმა

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მ.

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მ.

<sup>3</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მ.

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მ.

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მ.

<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მ.

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მ.

სხვა გზა აირჩია და ხშირად ამ დანაშაულში თავად რუსი ჯარისკაცები ჩართო. რუსეთის მიერ საქართველოში მოწყობილი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ვერ დაიყოფა ცალკეულ ინციდენტებად და ფაზებად. ცხადია, რომ ყველა მტკიცებულებით ეს იყო სამხედრო კამპანია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მზადდებოდა და მიზნად ისახავდა საქართველოს რაც შეიძლება მეტი ტერორტორიის ოკუპაციას. კონკრეტულ საქმეში მტკიცებულებები მიუთითებს, რომ რუსეთმა ადამიანის უფლებების დარღვევის ადმინისტრაციულ (მრავალჯერ ნაცად) პრაქტიკას მიმართა, რათა სამუდამოდ გაედევნა ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები სეპარატისტული რეგიონებიდან. ადვოკატი არც იმის თქმას მორიდებია, რომ რუსეთის დანაშაულის ყველაზე უტყუარი მტკიცებულება თავად ვლადიმერ პუტინისაგან მოდის. შეგახსენებთ, რომ რუსეთის საქართველოში ინტერვენციის ოთხი წლის თავზე გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა: „საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სამხედრო გეგმა გენშტაბმა მოამზადა. მეტიც, ამ გეგმის მიხედვით ჩვენ სამხრეთ ოსეთის სამხედროებთან მოსამზადებელი სამუშაოებიც ჩავატარეთ, მათ თავიანთი როლი შეასრულეს“. ამდღევანელი იყო ემერსონის დასკვნითი სიტყვა, სადაც ის ამბობს: „რუსეთი მთელი მეოცე საუკუნე ცდილობდა ქართული დემოკრატიული სულისკვეთების ჩახშობას... 2008 წელს ეს დამოკიდებულება გაგრძელდა სეპარატისტული ძალების მობილიზებით, რომელთა მომზადებასა და შეიარაღებასაც რუსეთი ახდენდა. უშუალოდ რუსეთის ავიაციამ დაბომბა ბევრი ქართული სოფელი...“ რუსეთის პოზიცია იმაზე, რომ გორის ცენტრში გამოყენებული „ისკანდერი“ თავად ქართულმა მხარემ ამოიღო რაღაც ძველი საწყობიდან, დაშალა და გორის ცენტრში მიმოფანტა, ადვოკატმა არათუ ბოძვად, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დაცინვად შერაცხა. სრულიად ვიზირებთ საქართველოს ინტერესების დამცველის პოზიციასა და პათოსს და ვიმედოვნებთ, რომ სტრასბურგის სასამართლო საქართველოსათვის სასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანს. აქვე, არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო რუსეთის წარმომადგენლისა და ამავე დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილის რამდენიმე განცხადება, რომელიც, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული ფაქტების შეგნებულად დამახინჯება და სასამართლოს შეცდომაში შეყვანა. ყურადღება მიაქციეთ ბატონ მ. გალპერინის სიტყვებს: „სამხეთ ოსეთი სტალინის გადაწყვეტილებით შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში ისე, რომ ოსებისთვის არავის უკითხავს, სურდათ თუ არა მათ ეს“... საინტერესოა, თუ იცის ბატონმა მიხაილმა, რა ერქვა სტალინამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთს, როდის გაჩნდა ეს ტერმინი და თუ არსებობდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს მსგავსი რაიმე წარმონაქმნი, რომ ის ძალით სტალინის დროს, (ოსებისგან დამოუკიდებლად) ვინმეს საქართველოს საზღვრებში მოექცია?! სწორედ ბატონ გალპერინის მტკიცებით: საქართველომ განახორციელა დარტყმა „მძინარე ცხინვალზე“, მაშინ, როცა უამრავი უტყუარი მტკიცებულება არსებობს იმის შესახებ, თუ წინასწარ, აბსოლუტურად მშვიდ გარემოში (ავტობუსებით) როგორ ტოვებს მოსახლეობა ქალაქს და მიემგზავრება ჩრდ. ოსეთის მიმართულებით. გამოგნებელია რუსული მხარის ინტერესების დამცველის პოზიცია: „ისკანდერი“ ორი ტიპის არსებობს - „მ“, რომელსაც იყენებს რუსული შეიარაღება და „ე“, რომელსაც ვხვდებით სხვა ქვეყნების შეიარაღებაში” - აცხადებს ბრიტანელი ადვოკატი და უთითებს ქართული მხარის შეცდომაზე, რომელმაც თავის სარჩელში არ დააკონკრეტა ისკანდერის სახეობა. ბრიტანელ ადვოკატს შევახსენებ, რომ საერთაშორისო კანონმდებლობით ისკანდერის გამოყენება, მიუხედავად მისი კონკრეტული სახეობისა, აკრძალულია სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ და ადამიანებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.<sup>1</sup> უფრო მეტიც, 2008 წლის დეკემბერში 93 საელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ამ საბრძოლო მასალის ნებისმიერ შემთხვევაში გამოყენების აკრძალვის შესახებ. ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა: რუსეთი, აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, პაკისტანი, სამხ. კორეა და ისრაელი, ამ შეთანხმებას არ შეუერთდა. თუმცა, ისინი დათანხმდნენ, რომ არ გამოიყენებენ აღნიშნულ იარაღს ადამიანებით მჭიდროდ დასახლებულ

<sup>1</sup> გორის ცენტრში რუსი სამხედროების მიერ აღნიშნული იარაღის გამოყენებას 10 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყო ჰოლანდიელი ჟურნალისტიც.

ადგილებში.<sup>1</sup> სტატიის ამ ნაწილში მკითხველს ვთავაზობთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეტანილ იმ კონკრეტულ სარჩელთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მიმოხილვას, რომელიც ასევე ეხება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს. როგორც ცნობილია, აღნიშნულ სარჩელში საქართველომ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით, ეთნიკური ნიშნით ქართველების დისკრიმინაციაში დაადანაშაულა. აღნიშნული საქმე აერთიანებდა არა მარტო 2008 წელს მომხდარ ფაქტებს, არამედ 1990 წლიდან 2008 წლამდე განვითარებულ მოვლენებს. ვიდრე ამ საკითხზე სასამართლოს მიდგომებს შევხებოდეთ, გაგაცნობთ აღნიშნულ სასამართლოსთან დაკავშირებულ რამდენიმე დებულებას, რაც გაეროს წესდებაშია გაწერილი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო გახლავთ გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო,<sup>2</sup> რომელიც შეიქმნა 1945 წელს. ის წყვეტს სახელმწიფოთა შორის დავებს და მხარეთა წინასწარი თანხმობით იძლევა კონსულტაციებსა და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე. სასამართლო შედგება გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ, 9 წლის ვადით არჩეული 15 მოსამართლისაგან, ამასთან, სასამართლოს წევრთა 1/3 ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გადაირჩევა. სასამართლოს არ შეიძლება წარმოადგენდეს ორი მოქალაქე ერთი და იმავე ქვეყნიდან. სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ჰააგა (5,12). დავებზე დასაბუთებულ საჩივრებს შინაარსს. საქართველომ რუსეთი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით აღებული ვალდებულებების (2, II ნაწილი, 71) დარღვევაში დაადანაშაულა. აქცენტი კეთდებოდა პერიოდზე 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე. „რუსეთის ფედერაცია, სახელისუფლებო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების, ასევე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული ძალების, რუსეთის ფედერაციის კონტროლის ქვეშ მოქმედი კონკრეტული პირების ჩათვლით, პასუხისმგებელია CERD-ის ფუნდამენტური ვალდებულებების, მათ შორის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების უხეშ დარღვევაზე,“ - აცხადებდა ქართული მხარე. 2011 წლის 1 აპრილს საქართველომ უარი მიიღო სარჩელის არსებით განხილვაზე. 10 ხმით 6-ის წინააღმდეგ გაეროს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ სარჩელის არსებითი განხილვა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, რადგანაც სარჩელის სასამართლოში შეტანამდე საქართველოს რუსეთთან დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის ყველა რესურსი არ ჰქონდა ამოწურული. თუმცა, ქართულ მხარეს კვლავაც დარჩა ჰააგის სასამართლოში მიბრუნების პერსპექტივა იმ შემთხვევაში, თუკი ამ პრობლემის მოლაპარაკების გზით მოგვარების ყველა მცდელობა ამოიწურება. სწორედ ამგვარი მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობის საკითხი დააყენა ქართულმა მხარემ ნოტაში, რომელიც საქართველომ შუამავალი ქვეყნის - შვეიცარიის საშუალებით 2011 წლის 27 ივნისს გაუგზავნა რუსეთს. შექმნილ ვითარებაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა წარმოუდგენლად მიაჩნდა ბევრ ექსპერტს, რაც მოგვიანებით გამართლდა კიდევ. განვიხილოთ, თუ რა იყო სასამართლოს მხრიდან უარის თქმის მთავარი მიზეზი: 1. სასამართლომ მიიჩნია, რომ თუკი საქართველოს მტკიცებით აფხაზეთსა

<sup>1</sup> ცნობილია აკრძალული იარაღის ხუთი ყველაზე საშიში სახეობა: ექსპანსიური ტყვიები - 1899 წლიდან არის აკრძალული, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს, თანამედროვე თოფების საკმარისი რაოდენობის არქონის გამო, ისინი რუსეთმა გამოიყენა, მოძველებულ, ე.წ. ბერდანის თოფებში. ნაპალმი - 1980 წლიდან არის აკრძალული. იგი ფართოდ გამოიყენეს ამერიკელებმა ვიეტნამის ომის დროს. ნაპალმი გამოიყენებოდა საავაციო ბომბებში, ცეხლმტყორცნებში, ცეცხლგამჩენ ტყვიებში; ადვილად აალებადია, დიდხანს იწვის, ადვილად ეკრობა ყველა ზედაპირს და რთული ჩასაქრობია. კასეტური საბრძოლო მასალები - აკრძალულია 20018 წლის დეკემბრიდან. კასეტური იარაღი წარმოადგენს ერთ სივრცეში, ბომბში, მოთავსებულ რამდენიმე მცირე ზომის ბომბს (მათმა რიცხვმა, მაგალითად საავაციო ბომბში შეიძლება 100-საც მიაღწიოს). პირველი კასეტური ბომბი ნაცისტურ გერმანიაში შეიქმნა. თეთრი ფოსფორი - საბრძოლო მასალა, რომელიც შეიცავს თეთრ ფოსფორს, აკრძალულია 1977 წლიდან. ეს იარაღი გამოიყენებოდა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები - 1997 წლიდან აკრძალულია, თუმცა კანადაში მიღებულ დოკუმენტზე ბევრმა სახელმწიფომ ხელი არ მოაწერა, მათ შორის რუსეთმა, აშშ-მა და ჩინეთმა. ეს ნაღმები ყველა სახელმწიფოს შეიარაღებაშია. ის ტერორისტებისა და ექსტრემისტების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი იარაღია.

<sup>2</sup> გაეროს წესდების 92-ე მუხლი

და ცხინვალის რეგიონში გასული საუკუნის 90 - იან წლებში სწორედ რუსეთი ახორციელებდა ეთნიკურ წმენდას, მაშინ ამ საკითხზე დავა 2008 წლის აგვისტომდე უნდა წამოჭრილიყო. რაც არ მომხდარა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაწყებულ ეთნიკურ წმენდას ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, თუმცა, გადაწყვეტილებებში საუბარია ქართულ - აფხაზეთურ და ქართულ - ოსურ კონფლიქტებზე და რუსეთი მხარედ არსად არ არის წარმოდგენილი, ის მხოლოდ მომრიგებლის როლს თამაშობდა ამ კონფლიქტში; საქართველო-რუსეთის ომზე და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციები 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ალაპარაკდნენ. ამიტომ სასამართლომ ფაქტობრივად უარყო ფაქტი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რასობრივი დისკრიმინაცია და ეთნიკური წმენდა 2008 წლამდე სწორედ რუსეთის მიერ ხორციელდებოდა, როგორც ამაზე ქართული მხარე მიუთითებდა. 2. საქართველომ არ დაიცვა სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობები. სარჩელში მთავარი აქცენტი გაკეთდა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის<sup>1</sup> დარღვევის ფაქტებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქართულ მხარეს უნდა ეხელმძღვანელა ამავე კონვენციის 22-ე მუხლის დებულებით.<sup>2</sup> ანუ უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები, თუ ამ გზით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა საბოლოოდ ამოიწურებოდა, მაშინ საქმეში ჩაერთვებოდა რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი, სადაც საკითხის განხილვა 5 პუნქტიანი პროცედურის დაცვით წარიმართებოდა. სასამართლოს პოზიცია გაამყარა ქართული მხარის აღიარებამ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენციის ასამოქმედებლად საქართველოს ყველა ეტაპი და პროცედურა არ გაუვლია. აქვე, საქართველოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე უარის თქმას უსწრებდა დადგენილება, სადაც სასამართლომ რუსეთი კონფლიქტის მონაწილე მხარედ სცნო და როგორც ქართულ, ისე რუსულ მხარეს მოუწოდა, შეწყვიტოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე სახით ეთნიკურ წმენდასა და რასობრივ დისკრიმინაციასთან შეიძლება იყოს გაიგივებული. დადგენილებაშივე ჩაიწერა, რომ გადაწყვეტილება დროებითია და სასამართლო წინასწარ არ განსაზღვრავს, მიიღებს თუ არა ქართული მხარის სარჩელს არსებითი განხილვისათვის. ფაქტია, რომ სასამართლომ ეს საქმე თავის იურისდიქციას არ დაუქვემდებარა პროცედურული დარღვევების გამო და შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი დავა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ჩვენი ქვეყნისათვის უშედეგოდ დამთავრდა. იმ პერიოდში საერთაშორისო სამართლის არაერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ უმჯობესი იყო საქართველოს მაშინვე მიემართა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსადმი, რომელიც ასევე ჰააგაში მდებარეობს, ვინაიდან ეს უკანასკნელი სწორედ ომის დანაშაულთან, ეთნიკურ წმენდასა და გენოციდთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავს (1, 8). მაგალითად, პროფესორი ანტონიო კასეს<sup>3</sup> გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით: „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“ მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უხეშ და მასშტაბურ დარღვევას და ამასთან, აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ მიმართა საქართველომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს და არა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს? რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ამ სასამართლოსადმი მიმართვის წესებს არეგულირებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება,<sup>4</sup> რომლის თანახმად, სასამართლო ახორციელებს თავის იურისდიქციას, თუ კონკრეტული სახელმწიფო ამ წესდების მონაწილეა ან

<sup>1</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 16.04.1999 წლის N 1899 დადგენილებით.

<sup>2</sup> მუხლი 2. ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის გამოყენების ან განმარტების დროს წამოჭრილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ წყდება მოლაპარაკებების ან კონვენციაში სპეციალურად გათვალისწინებული პროცედურების გზით, რომელიმე ნებისმიერი მოდავე მხარის მოთხოვნით გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები არ შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებზე.

<sup>3</sup> თავმჯდომარეობდა რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოსა და ტრიბუნალს.

<sup>4</sup> ძალაშია 2002 წლიდან და იხილავს მხოლოდ იმ რამდენიმე საერთაშორისო დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებს, რასაც ადგილი ჰქონდა 2002 წლის შემდგომ (1,20).

ადიარა სასამართლოს იურისდიქცია.<sup>1</sup> რუსეთმა ამ უწყებისადმი ნდობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მას შემდეგ, რაც შეგახსენებთ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ყირიმის რუსეთთან მიერთება რუსეთ-უკრაინის ომსა და ამ უკანასკნელის ტერიტორიის ოკუპაციას გაუთანაბრა. უფრო მეტიც, 2016 წლის 16 ნოემბერს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. დოკუმენტი ძალაში ხელმოწერის მომენტიდან შევიდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, გაეროს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.<sup>2</sup> მაშასადამე, რუსეთს მოხსნილი აქვს ვალდებულება ითანამშრომლოს სასამართლოსათან და მით უმეტეს, იმსჯელოს საკუთარი მოქალაქეების გადაცემასან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს 2008 წლის აგვისტოს ომში ჩადენილ დანაშაულთა გამო რუსი მაღალჩინოსნების საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი. მკითხველს შევახსენებ, რომ 2018 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ანალიზი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებიდან მალევე დაიწყო.<sup>3</sup> წინასწარი მოკვლევის ფორმატში აღნიშნული უწყება არ იყო უფლებამოსილი ჩაეტარებინა სრულყოფილი გამოძიება და შესაბამისად, დაეყრდნო მხოლოდ იმ მასალებს, რაც საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მიიღო. გაჩნდა გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ჩაიდინეს ისეთი დანაშაულები, როგორც არის: მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, უკანონო დეპორტაცია, ეთნიკური ნიშნით დევნა, საკუთრების უფლების ხელყოფა, სხვისი ქონების განადგურება და სხვ. ამიტომ, პროკურორმა მოითხოვა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ და ომის დანაშაულში სავარაუდო ბრალდებების გამოძიება, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოდან 2008 წლის ოქტომბრამდე პერიოდში. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ არც საქართველოს და არც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომელიმე სხვა წევრ სახელმწიფოს 2008 წლის კონფლიქტის გამოძიების თხოვნით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის არ მიუმართავს. მოგვიანებით, ყველა დამადასტურებელი მასალის წარდგენის საფუძველზე, დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა სრულყოფილი გამოძიების ჩატარების შესახებ და წინასწარი წარმოების პალატის მიერ გაიცა სრულყოფილი გამოძიების დაწყების სანქცია.<sup>4</sup> პროკურორის ოფისს, ასევე მიეცა შესაძლებლობა ჩაატაროს გამოძიება 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე მომხდარ სავარაუდო სამართალდარღვევებზე, რაც შესაძლოა რელევანტური იყოს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულთა და ომის დანაშაულის დადგენისათვის. არ შეიძლება დაიმალოს ის ფაქტი, რომ პროკურორი ზემოხსენებულ შუამდგომლობაში სხვა სავარაუდო დანაშაულებზეც უთითებს, რომელთა შორისაა ქართული და რუსული სამხედრო შენაერთების მიერ არადამიზნებადი საარტილერიო თავდასხმებისა და არაპროპორციული ძალის გამოყენება, სამოქალაქო ობიექტების განადგურება რუსი სამხედროების მიერ და სხვ. პროკურორის ოფისი აღნიშნულ საქმეზე ეროვნული გამოძიების შემავრცელებელ ფაქტორებად ასახელებს სამხრეთ ოსეთში ჩასვლის შეუძლე-

<sup>1</sup> საქართველომ სასამართლოს იურისდიქცია ადიარა 2003 წელს, ხოლო რუსეთმა 2000 წელს მოაწერა ხელი, მაგრამ რატიფიცირება არ მოუხდენია.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ რიგი ქვეყნები (აშშ, ჩინეთი, ირანი, ისრაელი, ინდოეთი) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არსებობას და მისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას ეწინააღმდეგებიან, რამეთუ მიიჩნევენ რომ ეს ზღუდავს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს (1, 125).

<sup>3</sup> არსებობს სპეციალური მექანიზმი იმისათვის, რომ საქმით სასამართლო დაინტერესდეს: 1 კონკრეტული სიტუაციის (შემთხვევის) შესახებ სასამართლოს ეცნობება იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც აღიარებს მის იურისდიქციას; 2. სასამართლოს კონკრეტული წინადადებებით მიმართავს უშიშროების საბჭო, ეს ხდება მაშინ როცა დანაშაული არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი ან სავარაუდო დამნაშავე არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეა; 3 სასამართლოს პროკურორი გამოძიებას იწყებს საკუთარი ინიციატივით (1, 155).

<sup>4</sup> მ. 15 (პროკურორი) რომის სტატუტი.

ბლობას, რუსეთის მხრიდან ორმხრივი იურიდიული დახმარების არარსებობას და საქართველოს მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობაში ხშირ ცვლილებებს.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოში ქართული მხარე მტკიცედ იცავს საკუთარ პოზიციებს და რუსეთის წინააღმდეგ სამართლებრივ დავებში ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. დავის ძირითადი საგანი რუსეთის მხრიდან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის, ასევე, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის მოთხოვნათა უგულვებელყოფაა, რასაც ემატება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაული და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მასშტაბური დარღვევა. მიმდინარე პროცესების დროს აშკარად გამოიკვეთა როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. უარყოფითი: 1. რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულმა დავამ ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა; 2. ქართულმა მხარემ ზოგიერთ შემთხვევაში დაარღვია სასამართლოსადმი (გაეროს საერთაშორისო სასამართლო) მიმართვის პროცედურები და ამით გამოიკვეთა საკუთარი არაკომპეტენტურობა; 3. წინასწარი გამოძიების დროს (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო) დღის წესრიგში დადგა ქართველი სამხედროების მხრიდან ჩადენილი შესაძლო სამართალდარღვევების გამოაშკარავებისა და ქართველ მაღალჩინოსანთა მხრიდან კონკრეტული საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის გამორიცხვის აუცილებლობის საკითხიც; 4. მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რომის სტატუტიდან რუსეთის გასვლის შესახებ. დადებითი: 1. ყველა საერთაშორისო სასამართლოში რუსეთი კონფლიქტის მხარედ არის აღიარებული. 2. საქართველო რუსეთის წინააღმდეგ I საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევის ფაქტი და პასუხისმგებლობა ამ საკითხში მთლიანად დააკისრა რუსეთის ფედერაციას. 3. ამავე ორგანოში დასრულდა სასამართლო საქმისწარმოება საქართველო რუსეთის წინააღმდეგ II საქმეზე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება. 4. საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წინასწარი წარმოების პალატამ 2008 წლის აგვისტოს ომში ჩადენილ შესაძლო საერთაშორისო დანაშაულთა გამოსავლენად სრულყოფილი გამოძიების ნებართვა გასცა. შესაბამისად, უნდა ვიმედოვნოთ, რომ საქართველოს სუვერენიტეტთან, ტერიტორიულ მთლიანობასა და იურისდიქციასთან მიმართებაში (4, 119), საერთაშორისო სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებები უფრო მეტად გაამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციასა და მხარდაჭერას და ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლება უფრო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. Abadir M. Ibrahim, *The International Criminal Court in Light of Controlling Factors of the Effectiveness of International Human Rights Mechanisms*, 7 *Eyes on the International Criminal Court*. 2011.
2. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, I და II ნაწილი, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008. Section I and II of the International Legal Acts in the Human Rights Area, Public Defender's Library of Georgia, Tbilisi, 2008.
3. ბეიტსი, ე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ევოლუცია, Oxford University Press, 2010. Bates E. *The Evolution of the European Convention on Human Rights*, Oxford University Press, 2010.
4. ბრაუნლი, ი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები, თარგმანი გამოიცა „ოქსფორდ იურივერსაითი პრეს“ - თან შეთანხმებით, 2010. Brownlie Ian, *Principles of Public International Law*. This translation is published by arrangement with Oxford University Press, 2010.
5. Ogbodo, S. Gozie, *An Overview of the Challenges Facing the International Court of Justice in the 21st century*. *Annual Survey of International & Comparative Law*. 18 (1): 93–113. 2012.

#### ინტერნეტ-გვერდები:

<https://www.icc-cpi.int/> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო  
<http://www.icj-cij.org/> გაეროს საერთაშორისო სასამართლო

0605

ნანა ხარაძე

Nana Kharadze

სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

Doctor of Law, Assistant Professor

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

რეფერენდუმის განხორციელების ნაკლოვანებები საქართველოში  
Defects of Referendum Fulfilment in Georgia

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია რეფერენდუმი, როგორც ცნება და სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოჩენილია მისი არსი და მნიშვნელობა, გაანალიზებულია რეფერენდუმის პრაქტიკა საქართველოში. დასახული მიზნიდან გამომდინარე ნაშრომის ამოცანებია, დადგინდეს, თუ როგორ მოხდა რეფერენდუმის წარმოშობა და განვითარება, როგორია მისი როლი სახელმწიფოს მართვაში. ნაშრომში ასევე დეტალურად არის განხილული ის მუხლები, რომლებიც შეცვლას საჭიროებენ, ხოლო დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებით. ჩემი აზრით, შესაძლებელი გახდება უფრო დემოკრატიული და დახვეწილი რეფერენდუმის ინსტიტუტის შექმნა და, რომელიც ყველაზე მოქნილი იქნება ქართული რეალობისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** რეფერენდუმი, პრეზიდენტი, კონსტიტუცია, ორგანული კანონი.

**Abstract:** The paper discusses the referendum as the concept and as legal institution, represents its idea and significance and analyzes the practice of referendum in Georgia. Proceeding from the purpose, the tasks of paper are to determine how the referendum was established and developed, its role in management of the state. The paper discusses the articles in detail, which need to be amended and in the final part of the paper, there is a list of recommendation, by considering of which it is possible to create more democratic and refined referendum institution in our mind and which will be more flexible to Georgian reality.

**Keywords:** Referendum, President, Constitution, Organic Law.

რეფერენდუმი დემოკრატიულ ინსტიტუტთა რიცხვს განეკუთვნება, მისი დემოკრატიულობა განპირობებულია იმით, რომ ხალხი თავის მოსაზრებას მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრის გზით აცნობებს სახელმწიფოს. რეფერენდუმი (referendum) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „ის, რაც უნდა ეცნობოს“ (1, 197). იგი არის საერთო სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად. რეფერენდუმის გზით ჩატარებული არჩევნების დროს, ობიექტი არის არა კანდიდატი ან კანდიდატთა სია განსაზღვრულ თანამდებობებზე, არამედ კონკრეტული საკითხი, რომელიც ეხება კონკრეტული ქვეყნის გლობალურ შიდა და სახელმწიფოებრივ საკითხებს.

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, „რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ“ (2, მუხლი 3). რეფერენდუმის ინიცირების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობასა და არანაკლებ 200000 ამომრჩეველს (2, მუხლი 4). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხალხი აქტიურად არის ჩაბმული სარეფერენდუმო პროცესში და მათ ამის შესაძლებლობას კანონმდებლობის დონეზე განუმტკიცებს სახელმწიფო.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებზეც არ ტარდება რეფერენდუმი, ხოლო იმ საკითხების განსაზღვრას, თუ რაზე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, ავალებს ორგანულ კანონს. აქ, ჩემი აზრით, ვაწყდებით წინააღმდეგობას საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებს შორის (3). ეს კი შემდეგში მდგომარეობს: პირველი ნაწილი ამბობს, რომ რეფერენდუმი ინიშნება კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, ხოლო მე-3 ნაწილი ამბობს, რომ ორგანული კანონით უნდა განისაზღვროს ის საკითხები, რომლებზეც ჩატარდება რეფერენდუმი. როგორც ვიცით, ორგანული კანონი და კანონი სამართლებრივი აქტების იერარქიაში სხვადასხვა საფეხურზე იკავებენ ადგილს.

2013 წელს განხორციელებული ცვლილებით, „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლს დაემატა 1<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმადაც, „რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღების, გარდა აქციზისა, ან საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის მიხედვით არსებული განკვეთის ზედა ზღვრის გაზრდის მიზნით“ (2, მუხლი 3). საქართველოს ორგანული კანონი ასევე განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომელთა შესახებაც არ შეიძლება რეფერენდუმის გამართვა. ესენია: ა) კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად; ბ) ამნისტიისა და შეწყალების გამო; გ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ; დ) ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს (2).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არსად არ არის განსაზღვრული, თუ რაზე ტარდება რეფერენდუმი. კონსტიტუცია მხოლოდ ამკრძალავ ნორმებს იყენებს, ის არ გვაძლევს ნებადართველ ნორმებს. რეფერენდუმის სამართლებრივი რეგულირება ძირითადად ხორციელდება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს ორგანულ კანონი სამართლებრივი აქტების იერარქიაში კონსტიტუციაზე ქვემდგომი და კანონზე ზემდგომი იურიდიული ძალის მქონე აქტია.

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი უთითებს, რომ რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე. ის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხად ყველა შემთხვევაში შეიძლება მსჯელობისა და დავის საგანი გახდეს. ყოველივე ამის შემდეგ ვიღებთ ისეთ რეალობას, როდესაც არ გვაქვს ჩამონათვალი, რაზე შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება, ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ვისაც რაზე უნდა რეფერენდუმის ჩატარება, იმაზე მოითხოვოს და ჩაატარებს. აღნიშნული ჩანაწერი ხელსაყრელია მმართველი პოლიტიკური ძალისათვის, რადგან მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუ რა საკითხებზე ჩაატარებს რეფერენდუმს და რაზე იტყვის უარს.

მოთხოვნები რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საკმაოდ ბევრი იყო, თუმცა უმეტესობას არ ჰქონდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთ რეფერენდუმს. მაგალითად, 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი, რომლითაც პარლამენტის წევრთა შემადგენლობა შემცირდა 235 დან 150-მდე. ამ რეფერენდუმმა გამოიწვია კონსტიტუციაში და სხვა კანონებში ცვლილებების შეტანა, ანუ კონსტიტუციური კანონის მისაღებად ჩატარდა რეფერენდუმი. ასევე საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო, რაზეც რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი გამოიწვევდა საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირებას. ეს კი აკრძალულია „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით.

2016 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა უარი განაცხადა ქორწინების განმარტების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე და დაასახელა ორი მიზეზი: 1. რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს, რაც ოკუპირებული ტერიტორიების გათვალისწინებით, ვერ მოხერხდება და 2. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ფორმულირება რეფერენდუმს არ ექვემდებარება (4).

ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის მოწყობის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ სწორი იყო, რადგანაც „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი პირდაპირ ამბობს, რომ რეფერენდუმი ტარდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაუშვებელია მისი მოწყობა კანონის მისაღებად და გასაუქმებლად. სწორედ შემდეგი ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ კანონის გაგება ხდება ისე, როგორც ხელისუფლებას სურს. კერძოდ, 2016 წლის 9 აგვისტოს სარეფერენდუმო ინიციატივაზე უარის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია და ამიტომ ვერ მოხდა რეფერენდუმის ჩატარება, მაშინ როდესაც 2003 წლის 2 ნოემბერსაც არ ყოფილა ჩატარებული რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ამასთან დაკავშირებით წინააღმდეგობა არავის გამოუთქვამს. ეს მაგალითები საინტერესოა, რადგან რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე წამოყენებულ მოთხოვნაზე თანხმობა ერთ შემთხვევაში მიცემულია და მისი შედეგი სახეზეა, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში, შედეგი არ დადგა, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტმა უარი განაცხადა. ზემოაღნიშნული მაგალითები კი ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო ორგანომ მიიღო განსხვავებული ხასიათის გადაწყვეტილებები, რაც მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობის არასრულყოფილებაზე.



„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის არასრულყოფილება გამოხატულია ძირითადად ორი კუთხით: პირველი ის, რომ კანონი არ იძლევა გამჭვირვალე მექანიზმს რეფერენდუმის ჩატარებისათვის და უშუალო დემოკრატიის ამ ფორმის სრულყოფილი გამოყენებისათვის, ხოლო მეორე ის, რომ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ თავისი შეხედულებისამებრ განმარტონ და გამოიყენონ საკანონმდებლო რეგულაციები. მარეგულირებელი ნორმების სიმწირე და არასრულყოფილება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არაერთგვაროვნად იქნეს გაგებული მოცემული დებულებები. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში კონკრეტულად განისაზღვროს, თუ რა საკითხებზე არის აუცილებელი, შესაძლებელი რეფერენდუმის ჩატარება, სწორედ ამაზე საუბრობს მ.მ.კურიაჩაია. მისი მოსაზრებითაც აუცილებელია კარგად იქნეს გამოიხსნული ის საკითხები, რომელზეც შესაძლებელია ჩატარდეს რეფერენდუმი და რომელზე არა (5, 12).

აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ კონსტიტუციასთან ერთად მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი გადაამუშავება ესაჭიროება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. დემეტრაშვილი, ა. გოგიაშვილი, გ. კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016. Demetrashvili, A. Gogiashvili, G. Constitucional Law, Tbilisi, 2016.
2. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წელი, 15 მაისი. Organic law of Georgia about Referendum, 1996, 15 May [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
3. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წელი, 24 აგვისტო, Constitution of Georgia, 1995, 25 August [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
4. „რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 10 აგვისტოს № 198 ბრძანებულება. The President of Georgia, 2016, 10 August, edictss [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
5. Курячая, М.М. Проблемы реализации права граждан на референдуме, журнал „Право и политика“, №9(69), 2005. Kuriachaia M.M. Problemi pealizacii prava grajdan na referendum, Jurnal „Prava i Politika“ №9(69), 2005.
6. Kuriachaia, M.M. Problems of realization of the citizens' right to a referendum, Journal „Law and Politics“, No. 9 (69), 2005.

0605

Екатерина Ниная

ეკატერინე ნინუა

Ekaterina Ninua

Доктор права, ассоциированный профессор

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Doctor of Law, associate professor

Государственный университет Акакия Церетели

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

### Понятие и основные признаки брака ქორწინების ცნება და მისი ძირითადი თავისებურებები Concept of Marriage and its Basic Features

**Резюме:** Брак это добровольный союз мужчины и женщины с целью создания семьи, который для придания ей юридической силы должен быть зарегистрирован в установленном законом порядке. Грузинское законодательство признает только лишь моногамный брак, т.е. единобрачный союз мужчины и женщины. При этом 1106-ая ст-я особое внимание уделяет браку между лицами разного пола. В связи с изложенным в работе исследуются те сходства и различия, которые характерны для правовой системы зарубежных государств.

**Ключевые слова:** брак, регистрация, семья, сделка.

**რეზიუმე:** ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც კანონიერ ძალას იძენს მხოლოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ. საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია მხოლოდ მონოგამიური ქორწინება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ ქორწინებაში შეიძლება იმყოფებოდეს მხარე. ამასთან, სსკ-ის 1106-ე მუხლით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საპირისპირო სქესის წარმომადგენლების ქორწინებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული ის მსგავსებები და განსხვავებები, რაც დამახასიათებელია უცხო ქვეყნების სამართლებრივი სისტემისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ქორწინება, რეგისტრაცია, ოჯახი, გარიგება.

**Abstract:** Marriage is a voluntary union of woman and man for the purpose of creating a family that becomes legally effective only after its registration at the Territorial Office of the Public Service Development Agency. The Georgian legislation recognizes only monogamy marriage, which means that a party may be only in one marriage. Herewith, the article 1106 of the Civil Code of Georgia pays special attention to the marriage between the representatives of opposite sexes. The similarities and differences characterized for the legal system of foreign countries are made in this regard.

**Keywords:** marriage, registration, family, deal.

В юридической литературе были высказаны различные точки зрения о понятии брака, его сущности и признаках. Прежде всего обращает на себя внимание тот факт, что данное Г. Ф. Шершеневичем еще в начале XX в. определение брака с юридической точки зрения как союза мужчины и женщины с целью сожителства, основанного на взаимном соглашении и заключенного в установленной форме, в целом содержало совокупность основных условий, при наличии которых «сожителство лиц разного пола приобретает законный характер, то есть влечет за собой все последствия законного брака». Не случайно предложенное Г. Ф. Шершеневичем понятие брака «во многом явилось определяющим и для последующего обоснования точек зрения на брак именно как на добровольный союз мужчины и женщины, хотя и подвергалось критике в советском семейном праве» за претензии унифицированную пригодность для всех времен и народов и отсутствие специфических признаков брачного союза определенной исторической формации.

В теории современного семейного права на сегодня превосходят взгляды о том, что брак есть свободный союз между мужчиной и женщиной, добровольный и равноправный союз с целью создания семьи, который основан на чувстве взаимной любви и уважении, зарегистрирован в установленном законном порядке и порождает взаимные права-обязанности супругов. Подобные определения в науке семейного права и монографических литературах приведены в виде некоторых корректив. Например, О. Хазова под браком подразумевает «Моногамный, добровольный и равноправный союз между мужчиной и женщиной, который заключен согласно закону и порождает личные и имущественные права-обязанности между супругами».

Различные правовые теории о природе брака могут быть сведены к пониманию брака как договора, как таинства и как института особого рода (Sui generis). Как таинство брак понимается религией и в известной мере противопоставляется определению понятия брака. Религия включается в орбиту брачных отношений не только собственно правовые, но и отношения морально-этические, религиозные, духовные и в том числе физиологические, что не свойственно правовому понятию брака. Для правильного понимания серий данного термина следует иметь в виду, что законодатель, используя термин «брак» различает два его значения: в первом значении – это юридический факт, порождающий отношения супружества, во втором особый правовой статус лица, состоящих в браке. Из двузначного понимания брака законодателем и следуют (4,264) предположение о единстве этих двух значений и как следствие попытки дать единое определение, которое охватывало бы и регистрацию брака, и состояние в браке. Такая тенденция проявляется и в иных гражданских отношениях, когда, например, отождествляются и в обыденной речи, и в юридической литературе, и в судебных решениях понятие договора и порождаемого на его основе обязательства. Самостоятельность и договора и обязательства как правовых институтов не вызывает сомнения. При этом в большинстве научных работ неизменно подчеркивалось, что брак не может быть сделкой или договором, а является юридически оформленным свободным и добровольным союзом мужчины и женщины, направленным на создание семьи, порождающим взаимные права и обязанности

М. В. Антакольская, последовательно исследуя правовые теории брака как договора, как тайнства и как института особого рода приходит к выводу, что «соглашение о заключении брака по своей правовой природе не отличается от гражданского договора. В той части, в какой оно регулируется правом и порождает правовые последствия, оно является договором» (5, 103). При этом брак во внеправовой сфере может расцениваться вступающими в брак «как клятва перед Богом или как моральное обязательство или как чисто имущественная сделка». Однако сама же М. В. Антакольская отмечает, что большинство участных-правоведов в Российской Федерации не признают соглашение о заключении брака гражданским договором, так как будущие супруги не могут определять для себя содержание брачного правоотношения в силу того, что их права и обязанности установлены императивными нормами закона, что нехарактерно для договорных право-отношений (5,103). Кроме этого, цель заключения брака – не только возникновение брачного правоотношения, но и создание союза, основанного на любви, уважении, взаимопонимании, взаимной поддержке и т.д.

Таким образом, вышеуказанное делает возможным дать следующее понятие брака: брак – это важнейший юридический факт, вызывающий возникновение семейно-правовых связей и представляющий собой свободный и добровольный союз мужчины и женщины, заключенный в установленном порядке с соблюдением требований закона, направленной на создание семьи. В каждом случае брак является конкретным правоотношением, порождающим у супругов определенные субъективные права и обязанности личного и имущественного характера.

Согласно статье 1106-ой ГК Грузии, брак добровольный союз мужчины и женщины с целью создания семьи, который зарегистрирован в Территориальном управлении юридического лица публичного права - Агентстве по развитию государственных услуг (далее - Территориальное управление Министерства юстиции Грузии). Несмотря на существующие различия о понятии брака среди цивилистов, многие взгляды в основном совпадают.

На территории Грузии права-обязанности супруг порождает только брак зарегистрированный в установленном законном порядке. Это требование закона не имеет обратной силы в отношении тех браков, регистрация которых, по ранее действующему правилу, во время войны происходило в церкви – военных частях. Согласно декрету от 18 декабря 1917 г. гражданский брак был введен вместо религиозного с 20 декабря 1917 г. Следовательно, сохраняли силу браки, совершенные по религиозным обрядам до 20 декабря 1917 г., а в местностях, занятых неприятелем, до образования советских органов загса или восстановления. В таком случае суд может фактические брачные отношения, если существуют необходимые для его удостоверения документы, признать законным (6,57). Исходя отсюда, союз мужчины и женщины, если он не зарегистрирован в установленном законном порядке, с юридической точки зрения не считается браком и представляет совместное сожительство мужчины и женщины.

Брак является одной из главнейших основ создания семьи, хотя и не единственной. Семья может быть создана также женщиной, которая не находится в браке в связи с рождением ребенка, усыновлением и в других случаях установленных законом.

Так, как одним из распространенных оснований создания семьи является ее природное начало – брак, поэтому тем вопросом, которые определяют понятие брака, порядок брака, рассмотрение брака и их правовые результаты, закон придает важное значение.

Итак, из вышесказанного можно заключить, что законным брак будет признан только в том случае, если будут соблюдены все его четыре признака. Рассмотрим каждый из них в отдельности.

1. Брак – добровольный союз. Данный признак брака подразумевает согласие лиц вступающих в брак, который может быть признан договором, в виду обязательного условия для заключения брака. При наличии каких либо угроз, которые могут исходить от второй стороны, родителей будущего супруга или других заинтересованных лиц, брак будет признан недействительным. Наличие таких угроз должны быть подтверждены в судебном порядке. Гражданско-правовой договор, как разновидность двусторонней сделки позволяет определить брак, как гражданско-правовую сделку, порождающего между супругами относительные права и обязанности исходящие из брачных правоотношений.

Грузинское законодательство, как Россия, Германия и другие страны признает только моногамный брак, т.е.единобрачный союз мужчины и женщины. В связи с изложенным можно привести судебный прецедент, по которому истец требовала признание брака недействительным, регистрация которого основывалась на ложных документах (7,5). Исходя из компетенции органа регистрирующего брак не исключительны такие случаи, так, как при регистрации брака регистрирующий орган опирается только на информацию предъявленную им лицами вступающими

в брак. А насколько надежны предъявленные информации, закон не обязывает контролировать регистрирующего органа, результат которого может стать нарушением многих семей.

2. Брак – союз мужчины и женщины. Отсюда можно заключить, что законодательство Грузии признает законными только гетеросексуальные браки. В отличие от нашего законодательства в мире существуют страны, где и гомосексуальные браки считаются законными. Впервые закон о разрешении таких браков приняла Голландия, к сожалению его примеру последовали и другие страны: Дания, Норвегия, Франция, Швеция, Германия, США. За последние годы в этих странах под давлением движений сексуальных меньшинств были приняты специальные законы разрешающие гомосексуальные браки. Что касается возможности усыновления детей такими парами, то такое возможно на сегодняшний день только в Голландии. Что касается других стран, то пока они запрещают таким парам усыновлять детей, а также не допускают женщин на специальные медицинские процедуры по искусственному оплодотворению.
3. В статье 1106-ой ГК Грузии отмечено, что брак должен иметь определенную цель – создание семьи. В противном случае, если у брака отсутствует эта цель, то брак будет признан фиктивным. Фиктивный, это такой брак при котором лица вступающие в брак имеют целью не создание семьи, а преследуют совсем другие цели – получение гражданства, прописки в определенном городе и др. корыстные цели. Если, в суде будет доказано, что заключением брака лица пытались скрыть другую сделку, то брак будет признан недействительным.
4. Последним признаком брака является его обязательная регистрация в Территориальном управлении Министерства Юстиции Грузии. Если, брак будет совершен по религиозным обрядам без регистрации в государственном органе, то он не будет иметь никаких правовых последствий для супругов и отношения между ними будут рассматриваться, как фактические брачные отношения со всеми вытекающими отсюда последствиями. Касательно этого вопроса существует различный подход в разных странах, например: Франция, Бельгия, Швейцария, Германия, Голландия признает законным брак зарегистрированный только в государственном органе. А такие страны например, как Англия, Австралия, Норвегия, Швеция, Финляндия, некоторые Штаты США придают одно и тоже правовое значение, как религиозным бракам, так и бракам зарегистрированным в государственном органе. Некоторые же страны разрешают религиозные браки, только после государственной регистрации, например, в Словении, если будет установлено, что религиозный брак имел место до государственной регистрации заключения брака, то супруги будут подвергнуты уголовному наказанию. Исходя из вышесказанного можно сделать вывод о том, что законным будет считаться только лишь тот брак, который удовлетворяет всем требованиям статьи 1106-ой ГК Грузии.

#### Список литературы:

##### References:

1. Конституция Грузии 24 августа 1995.  
Constitution of Georgia August 24, 1995.
2. Гражданский кодекс Грузии 1997.  
Civil Code of Georgia, 1997.
3. Семейный кодекс Российской Федерации, ст.12-ая, от 29.12.1995 N 223-ФЗ (ред. от 01.05.2017).  
Family Code of the Russian Federation ", Article 12, dated 29.12.1995 N 223-FZ (as amended on 01.05.2017).
4. Сергеева, А. П. Толстого, Ю. К. Гражданское право, Москва, 2000.  
Sergeev, A. P. Yu.K. Tolstoy, Civil Law, Moscow, 2000.
5. Антокольская, М. В. Семейное право, Москва, 2002.  
Antokolskaya, M. V. Family Law, Moscow, 2002.
6. Рясенцев, В. А. Семейное право, Москва, 1989.  
Ryasantsev, V.A. Family Law, Moscow, 1989.
7. #as-824-790-2016. Палата по гражданским делам Верховного Суда Гр. 23 декабря, 2016, Тбилиси.  
as-824-790-2016. Chamber of Civil Cases of the Supreme Court December 23, 2016, Tbilisi.
8. Чиквашвили, Ш. Семейное право, Тбилиси, 2000.  
Chikvashvili, Sh. Family Law, Tbilisi, 2000.
9. Шенгелия, Р. Шенгелия, Э. Семейное и Наследственное право, 2-ое издание, Тбилиси, 2017.  
Shengelia, R. Shengelia, E. Family and Inheritance law. 2nd ed. Ani. Izd., Meridiani, Tbilisi, 2017.

0602

შალვა ყიფშიძე

Shalva Kipshidze

დოქტორანტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

PhD Student Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ასოცირებული მკვლევარი (C) - დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

Associate Research (C Category) - Prince David Institute for Law

სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

Leading Specialist of Privatization Department - National Agency of State Property - LEPL of Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები საქართველოსა და  
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში  
Forms of Direct and Representative Democracy in Constitutions of Georgia and  
Other Foreign Countries

**რეზიუმე:** საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ერთ-ერთ ფუძემდებლურ საწყის წარმოდგენს სახალხო ხელისუფლება. საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულია სახალხო ხელისუფლების ნიშნები, მისი რეალიზაციის მექანიზმი და ზოგად ფარგლებში ჩამოყალიბებულია ხალხის ხელისუფლების ლეგიტიმურობის კონსტიტუციური გარანტიები. წინამდებარე ნაშრომი შეეხება დემოკრატიის ისეთ ფუნდამენტურ ფორმებს, როგორცაა უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატია. ასევე, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია სახალხო სუვერენიტეტის სამართლებრივი რეგლამენტაცია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში.

**საკვანძო სიტყვები:** უშუალო დემოკრატია, წარმომადგენლობითი დემოკრატია, არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი.

**Abstract:** One of the fundamental initials of the constitutional order of Georgia is the public authority. The signs of the public authority has been emphasized in the Constitution of Georgia, along with its realization mechanism and in general frames, the constitutional guarantees of the legitimacy of the people's government. This paper deals with the fundamental forms of democracy, such as direct and representative democracy. Also, using the comparative method of legal research there is shown the legal regulation of public sovereignty in the Constitutions of Georgia and in other foreign countries.

**Key words:** Direct democracy, representative democracy, elections, referendum, plebiscite.

## 1. რა არის დემოკრატია?

ნამდვილ დემოკრატიას პარლამენტი საერთოდ არ სჭირდება. რისი მაქნისია ლიბერალიზმი თუ ის სახელმწიფოს და სარწმუნოებას ვნებს, რისი მაქნისია დემოკრატია თუ ჩემს ქვეყანაში სხვა ერები ჩემს ხმას გადააჭარბებენ. დემოკრატია ეს არის მმართველობის ფორმა, როცა ორი იმბეცილის ხმა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ერთი ჭკვიანი კაცისა.

### ადოლფ ჰიტლერი

*დემოკრატია ყველაზე საშინელი ფორმა მმართველობის, მაგრამ უკეთესი არ არსებობს.*

### უინსტონ ჩერჩილი

დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას ნიშნავს. („დემოს“ – ხალხი, „კრატოს“ – მმართველობა, ძალაუფლება). დემოკრატიის სამშობლოდ საბერძნეთი ითვლება, კერძოდ ათენის სახელმწიფო. მასში საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და პოლიტიკური რეჟიმის ისეთი ფორმა იგულისხ-

მება, სადაც გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელების ერთადერთი წყარო ხალხის ნება-სურვილია, იმის გამო, რომ ხალხი თითქმის არასდროს არ არის ერთი იდეის გამომხატველი, დემოკრატია, ფაქტობრივად, უმრავლესობის მმართველობაა. თითოეული მხარის დასაკმაყოფილებლად იდეალური საშუალებაა კონსენსუსამდე მისვლა.

საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობით დემოკრატიის ცნებაში გამოყოფენ პლურალისტურ და ლიბერალურ დემოკრატიას. მიიჩნევენ რა ხელისუფლების წყაროდ ხალხს, დემოკრატიის ცდილობს უპირატესობა მიანიჭოს უმრავლესობის ნებას. შესაბამისად, პლურალისტური დემოკრატია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) „ინდივიდუალური ავტონომიის“ პრინციპი: რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს წესებს, რომლებიც სხვათა მიერაა დაწესებული, პირიქით ყოველთვის უნდა იყოს კრიტიკული მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება, ბ) „თანასწორობის“ პრინციპი: რომ ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ადამიანებს საზოგადოებაში. ლიბერალიზმი განუყოფელია პლურალიზმისაგან და ზემოთთქმული მის მიმართაც მართებულია. ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელია კანონის უზენაესობა, ძალაუფლების გაყოფა, ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა დაცვა (9, 125-127).

განასხვავებენ უშუალო დემოკრატია (ხალხის მიერ ხელისუფლების ორგანოების უშუალოდ არჩევა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება რეფერენდუმის მეშვეობით ა.შ) და წარმომადგენლობით იგივე შუალობით დემოკრატია (გადაწყვეტილების მიღება, თანამდებობის პირების დანიშვნა ხალხის მიერ არჩეული ორგანოების მიერ და ა.შ).

დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლებები საერთო ფასეულობების სისტემას წარმოადგენს. შესაბამისად, დემოკრატიისთვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა ყველა ჯგუფისათვის და საზოგადოების შემადგენელი ყველა ინდივიდისათვის.

## 2. უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში

ხალხის ხელისუფლების საფუძვლებში დევს მისი ნება, როგორც მოახდინოს საკუთარი ნების რეალიზაცია. ამიტომ შემთხვევითი არ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულება: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. კონსტიტუციების უმრავლესობაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს შესახებ ერთობ მარტივი ფორმულით კმაყოფილდებიან: შვედეთში „მთელი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“, ფინეთში „სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“, ესპანეთის კონსტიტუციით „ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი არის ესპანელი ხალხი - სახელმწიფო ხელისუფლების წყარო“, პოლონეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ „უმაღლესი ხელისუფლება პოლონეთის რესპუბლიკაში ეკუთვნის ერს“ (8, 74-75).

სწორედ ხალხის ნება ანიჭებს ლეგიტიმურობის ხარისხს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას, იმიტომ, რომ ხალხია სუვერენული და არავის და არც ერთ ინსტიტუტს არ შეუძლია სუვერენული ხელისუფლების პრეტენზია განაცხადოს. მთელი ის ძალაუფლება, რომელიც კონსტიტუციურ ინსტიტუტებს აქვთ, ხალხმა მიანიჭა მათ. მეორე მხრივ, ხალხის სუვერენიტეტი, სულაც არ ნიშნავს, რომ მათ, ვინ ამ სუვერენიტეტს ახორციელებს, შეუძლიათ სუვერენულად განაგონ ყოველი ადამიანის ბედი და მოქმედება (10, 68).

ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს დემოკრატიის ორი ფორმის მეშვეობით: უშუალო (პირდაპირი) და წარმომადგენლობითი ფორმით. უშუალო დემოკრატიის დროს ხალხი პირდაპირ ახორციელებს ხელისუფლებას ისეთი ფორმების საშუალებით როგორცაა: არჩევნები, რეფერენდუმი, პლემბისციტი, შეკრებები და მანიფესტაციები, პეტიციები და ა.შ. მათი გარკვეული ნაწილი ატარებს იმპერატიულ ხასიათს და არ საჭიროებენ სანქციონირებას სახელმწიფო ხე-

ლისუფლების ორგანოების მხრიდან, ნაწილს კი აქვს საკონსტიტუციო ხასიათი, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მათი ზეგავლენა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმზე ყოველთვის დიდია, ვინაიდან ვლინდება ხალხის ნება. წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს ხელისუფლების განხორციელება ეკისრებათ საყოველთაოდ არჩეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც გადაწყვეტილებები მთელი ერის ანუ ხალხის სახელით უნდა მიიღონ. წარმომადგენლობითი ფორმა ხალხისაგან პირდაპირი დემოკრატიის გზით იღებს იურიდიულ უფლებამოსილებას, რათა მან ხალხის სახელით განახორციელოს სახელმწიფო ხელისუფლება, ანუ ის ლეგიტიმური და კონსტიტუციური ხდება მხოლოდ ამ უფლებამოსილებათა დელეგირების შემდეგ (1, 164).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. მაგრამ პასიური საარჩევნო უფლება სხვადასხვა ასაკთან არის დაკავშირებული. საარჩევნო კოდექსის მიხედვით: „პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება”.

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის თანახმად რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივის უფლება აქვს: „საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას ან არანაკლებ 200000 ამომრჩეველს. რეფერენდუმს ნიშნავს პრეზიდენტი მისი ჩატარების მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში.

„რეფერენდუმის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული საკითხებისა და პრინციპების შესახებ. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რეფერენდუმი მზადდება და იმართება საჯაროდ. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი, თუმცა კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომლის თანახმადაც რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ მათ, ვინც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან მსჯავრდებულია და რეფერენდუმის გამართვის დღისათვის იმყოფება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს რეფერენდუმსა და პლებისციტს. პლებისციტი<sup>1</sup> არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაგებად. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საქართველოს კონსტიტუცია ასევე იცნობს უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ისეთ ფუნდამენტურ ინსტიტუტებს, როგორცაა საკანონმდებლო წინადადება, საკანონმდებლო ინიციატივა და პეტიცია.

პოლონეთის კონსტიტუციის მე-60-ე მუხლის თანახმად პოლონეთის მოქალაქე სრულად სარგებლობს საჯარო უფლებამოსილებებით და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე გააჩნია საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება. აქტიური საარჩევნო უფლება პოლონეთის მოქალაქეს აქვს 18 წლის ასაკიდან. მოქალაქეთა უშუალო დემოკრატიის გამოვლინების ფართო სპექტრი იმლება პოლონეთის კონსტიტუციაში, კერძოდ მოქალაქეებს უფლება აქვთ საზოგადო,

<sup>1</sup> პლებისციტი – (ლათ. – plebiscitum, plebs – ხალხი და scitum – გადაწყვეტილება) პლებების კრების მიერ მიღებული დადგენილება; პლებისციტი წარმოიშვა ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში პატრიციებსა და პლებებს შორის წოდებრივი ბრძოლის შედეგად. პლებისციტს არ ამტკიცებდა სენატი და თავიდან მისი სავალდებულო შესრულება მხოლოდ პლებებს ევალებოდათ. ეტაპობრივად მოხდა პლებისციტის გარდაქმნა მთელი საზოგადოებისათვის სავალდებულო დადგენილებად. საბოლოოდ (ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნიდან) ცნება “პლებისციტი” შეცვალა ცნებამ “კანონი”.

საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებიდან გამომდინარე მიმართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს პეტიციებით, წინადადებებითა და საჩივრებით. არანაკლებ 100 000 კაციან ჯგუფს უფლება აქვს სეიმს მიმართოს საკანონმდებლო ინიციატივით. პოლონეთის კონსტიტუცია აკეთებს დათქმას რეფერენდუმთან დაკავშირებით, სრულიად პოლონეთის რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს იმ საკითხებზე, რომლებსაც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, თუ რეფერენდუმზე მონაწილეობას მიიღებს ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა არა უმეტეს ნახევარი, რეფერენდუმის შედეგი სავალდებულოა (2, 639-351). შესაბამისად, თუ ნახევარზე ნაკლები ამომრჩეველი მივიდა რეფერენდუმზე იგი სავალდებულო ძალის მატარებელი არ არის.

**საფრანგეთში** აქტიური საარჩევნო უფლება იწყება 18 წლის ასაკიდან, ამავდროულად მოქმედებს ბინადრობისა და მოქალაქეობის ცენზები (ოლქის ტერიტორიაზე არანაკლებ 6 თვე). არჩევნებზე არ დაიშვებიან სულიერად ავადმყოფები და ის პირები, ვინც სასჯელს იხდის. ეროვნული კრების წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საფრანგეთის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდა 23 წელი (6, 25). კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელიც მას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების ან რეფერენდუმის საშუალებით. აღსანიშნავია საფრანგეთის კონსტიტუციის 40-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრთა მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადებები და შესწორებები არ შეიძლება მიღებულ იქნეს თუ მათმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო სახსრების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების წარმოქმნა ან გაზრდა (3, 577-586).

**იტალიის** კონსტიტუციის მიხედვით სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს. ხალხი პოლიტიკურ ხელისუფლებას ახორციელებს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პერიოდული კენჭისყრით, რეფერენდუმითა და კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა ფორმებით. იტალიის მოქალაქეთა 50 000 საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს პარლამენტს. კონსტიტუცია ორი სახის სავალდებულო რეფერენდუმს უშვებს. **საკანონმდებლო** რეფერენდუმი, რომელიც ნაწილობრივ ან სრულად აუქმებს კანონს, 500 000 მოქალაქის ან ხუთი რეგიონალური საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე იმართება და ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას ამომრჩეველთა ნახევარი მიიღებს. რეფერენდუმის მოწვევა აკრძალულია ფინანსებთან დაკავშირებული კანონების ან საერთაშორისო ხელშეკრულებების გაუქმება/რათიფიკაციის მიზნით. **საკონსტიტუციო რეფერენდუმი** შეიძლება ჩატარდეს საკონსტიტუციო კანონის ან შესწორების მიღების შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის რომელიმე (ან ორივე) პალატის საერთო უმრავლესობის არანაკლებ ორი მესამედისა, ხუთი რეგიონული საბჭო ან 500 000 ამომრჩეველი (5, 340-341, 622).

აღსანიშნავია **პორტუგალიის** კონსტიტუცია, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული საარჩევნო სამართლის ძირითადი პრინციპები, ასევე რეფერენდუმის შესახებ 115-ე მუხლი. პორტუგალიაში პარლამენტის წევრად (რესპუბლიკის ასამბლეა) შეიძლება აირჩეს პირი 18 წლის ასაკიდან (7, 168). რესპუბლიკის პრეზიდენტი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ წარდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით სავალდებულო წესით წამოჭრის მათი კონსტიტუციურობისა და კანონიერების წინასწარი შემოწმების საკითხს. პორტუგალიაში რეფერენდუმში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ საზღვარგარეთ მცხოვრებმა პორტუგალიის მოქალაქეებმა, როდესაც რეფერენდუმზე დაისმის კითხვა, რომელიც სპეციალურად მათაც ეხებათ (4, 666-669).

**რაც უფრო შერწყმულია უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეს ორივე ფორმა და რაც უფრო სრულყოფილია მათი ურთიერთქმედების მექანიზმი, მით უფრო ეფექტანია სახალხო ხელისუფლების განხორციელება, რაც საბოლოოდ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს რეგლამენტაციას ემსახურება.**

გამოყენებული ლიტერატურა:

References:

1. გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, თბილისი 2008.



- Gonashvili, V. Constitutions of Foreign Countries, Part I, Tbilisi 2008.
2. გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006. Gonashvili, V. Constitutions of Foreign Countries, Part III, Tbilisi 2006.
3. გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V, თბილისი 2007. Gonashvili, V. Constitutions of Foreign Countries, Part V, Tbilisi 2007.
4. გონაშვილი, ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V, თბილისი 2007. Gonashvili, V. Constitutions of Foreign Countries, Part III, Tbilisi 2006.
5. მელქაძე, ო. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული II, თბილისი, 2002. Melkadze, O. Constitutional Law of Foreign Countries, Collection II, Tbilisi, 2002.
6. მელქაძე, ო. კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008. Melkadze, O. Constitutionalism, Tbilisi, 2008.
7. პაკტე, პ. მელენ-სკრამანიანი, ფ. კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2009. Packette, P. Melen-Scramanian, Constitutional Law, Tbilisi, 2009.
8. ცნობილაძე, პ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I, თბილისი, 2004. Tsnobiladze, P. Constitutional Law of Georgia, Vol. I, Tbilisi, 2004.
9. შაიო, ა. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, თბილისი, 2003. Shaio, A. self-restraint of the government, Tbilisi, 2003.
10. Jean-Luis Penformis, Le France du droit, en France par Pollina, 1998.

0605

თინა ქაჩიბაია

Tina Kachibaia

სამართლის მაგისტრი

Master of Law

**ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის უფლების დაცვის პრობლემატიკა**  
**Problems Related to the Rights of Inheritance of Children Born to Unmarried Parents**

**რეზიუმე:** სტატიაში გაშუქებულია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის უფლების დაცვის პრობლემა, რომელიც არსებითად არის დაკავშირებული მამობის დადგენასთან. მამობის დადგენაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია, რადგან მემკვიდრეობის მიღების პრობლემა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში დგება მაშინ, როდესაც მას მამა არ აღიარებს და მისი დადგენა აუცილებელი ხდება სასამართლოს წესით. სტატიაში ასევე მიმოხილულია მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლები.

**საკვანძო სიტყვები:** დაუქორწინებელი მშობლები, ბავშვი, მემკვიდრეობა, მამობის დადგენა.

**Abstract:** This paper considers problems related to the right of inheritance of children born to unmarried parents, which is an important and contemporary concern as it is related to the establishment of paternity. Particular attention is paid to the establishment of paternity, since the concerns related to the right of inheritance of children born to unmarried parents emerge when father does not recognize a child and paternity shall be established though judicial procedures before the courts. The paper also discusses the ground of deprivation of inheritance.

**Keywords :** Unmarried parents, Child, Inheritance, Establishment of paternity.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ითვალისწინებს ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის უფლებას. ჩვეულებრივ, მშობლების მემკვიდრე არის კანონიერ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ ასხვავებს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებს. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქორწინებაში დაბადებული ბავშვისგან განსხვავებით, ქორწინების გარეშე დაბადებულმა ბავშვმა რომ მიიღოს მამის მემკვიდრეობა, საჭიროა, ბავშვის მამობა იყოს აღიარებული კანონით დადგენილი წესით. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია ქორწინების გარეშე დაბადებულმა ბავშვმა მიიღოს მამის მემკვიდრეობა.

საზოგადოება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს უწოდებდა უკანონოს. სამართლის ძეგლებში უკანონოდ შობილნი მოხსენიებულნი არიან „ბუმის“, „ბიჭის“, „ნაბიჭვარის“ სახელწოდებით (2,214). უკანონოდ შობილთა უფლებები საქართველოში პირველად განისაზღვრა ბექას სამართალში, თუმცა ასეთ ბავშვს მამის ხაზით არ ჰქონდა კანონიერი შვილების ტოლფასი უფლებები.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობის უფლების განსაზღვრისათვის აუცილებელია შევეხოთ მამობის დადგენის პრობლემას.

ბავშვის დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ორივე მშობელს კანონით ეკისრება ვალდებულება, სათანადოდ არჩინოს და აღზარდოს ყველა შვილი, მიუხედავად იმისა, ქორწინებაში შეეძინება იგი, თუ არა. ვალდებულებისგან თავის არიდება ქმნის პრობლემათა კასკადს, თუმცა მათი გადაჭრისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს ბავშვის წარმოშობა. „სწორედ ბავშვის წარმოშობის დადგენა ქმნის ობიექტურ წანამძღვრებს ბავშვის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვასა და მის აღზრდასთან დაკავშირებული მშობლების მოვალეობების შესრულებისათვის“ (7,269). იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების წარმოშობა არ იქნება დადგენილი კანონის შესაბამისად, მაშინ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა არ იქნება წარმოშობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ ბავშვს არც მემკვიდრეობის უფლება ექნება.

დედისაგან შვილის წარმოშობა დგინდება ბავშვის დაბადების აქტით, ანუ როცა შვილი დედას შეეძინება მშობიარობის შედეგად, კანონი მას ავტომატურად ბავშვის დედად აღიარებს. აქედან გამომდინარე, ბავშვის დედისაგან წარმოშობის დადგენა არ წარმოადგენს სიძნელეს და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ბავშვი რეგისტრირებულ ქორწინებაში დაიბადა თუ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე. რაც შეეხება მამობის დადგენას, აქ სიტუაცია რთულდება იმდენად, რამდენადაც კანონი ორ სიტუაციას განასხვავებს: პირველი, ეს არის შვილების წარმოშობის დადგენა დაქორწინებული მშობლებისაგან, ხოლო მეორე - შვილების წარმოშობის დადგენა დაუქორწინებელი მშობლებისაგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1189-ე მუხლით, „შვილების წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით“ (4,282). შესაბამისად, რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების მიმართ არსებობს პრეზუმფცია, ანუ ვარაუდი იმისა, რომ მამა მხოლოდ რეგისტრირებული მეუღლეა. სხვაგვარად დგას მამობის დადგენის საკითხი არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით“ (4,282). იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მშობლების ერთობლივი განცხადება ან მისი წარდგენა შეუძლებელია, მაშინ ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის, მზრუნველის ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე, თვით ბავშვის განცხადებით, მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის მეტად გავრცელებული სახეა მამობის დადგენა სასამართლო წესით, რომელიც აუცილებელი ელემენტია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ინტერესების დასაცავად.

კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. მამობის დადგენასთან დაკავშირებით სასამართლოში წლების განმავლობაში მრავალი სარჩელია განხილული. თუმცა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საგრძნობლად გამარტივდა 2011 წლის 9 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ სამოქალაქო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება, მამობის დადგენისათვის გადაწყვეტი მტკიცებულების ძალა მიენიჭა გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც ადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, „ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს“ (4,282).

ცვლილებების განხორციელებამდე კანონმდებელი უარს აცხადებდა შემთხვევითი კავშირის შედეგად დაბადებული და არასასურველი ბავშვების მიმართ ბიოლოგიური მამობის დადგენაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ბავშვთა უფლებების ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებების კონვენციასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციას. ამ კონვენციების მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს იცოდეს, ვინ არის მისი მამა და მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში დაშვებულ უნდა იქნეს მეცნიერული მტკიცებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მამობის დადგენას ან უარყოფას.

გენეტიკური ექსპერტიზა ძირითად მტკიცებულებად მიიჩნის მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად მიიღო ოყროშიძეების საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ. 2011 წლის 15 თებერვალს, სასამართლომ გაუგზავნა შეტყობინება საქართველოს მთავრობას კონვენციის მერვე მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე განმცხადებელთა მიერ საჩივრის შემოტანის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა ეროვნული სასამართლოს უარს, დაედგინათ მამობა მხოლოდ დნმ-ის კვლევის საფუძველზე. მთავრობამ აღიარა სამოქალაქო კოდექსში არსებული ხარვეზი და აღნიშნულ კოდექსში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები. მამობის დადგენის საკითხში პრიორიტეტი მიენიჭა დნმ-ის კვლევის შედეგს და მომჩივნებს მიეცათ უფლება, მოეთხოვათ საქმის წარმოების განახლება სსსკ-ს 423-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რათა დაედგინათ მამობა დნმ-ის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (3,19). ამასთან, 2011 წლის 9 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, კანონმდებელმა სამოქალაქო აქტების ორგანოს მიანიჭა უფლება, რომ მას შეუძლია ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენა კანონით განსაზღვრული წესით, პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედისაგან შვილის წარმოშობის დადგენა, როგორც წესი, არ წარმოშობს პრობლემებს. დედისაგან შვილის წარმოშობას ადგენს ადმინისტრაციული წესით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით განსაზღვრულია დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება. ეს ვალდებულება აკისრიათ „სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, თუ ბავშვი ამ დაწესებულებაში დაიბადა“, „პირს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არც ერთ სამედიცინო დაწესებულებასთან, თუ მან ბავშვის დედას სამედიცინო დაწესებულების გარეთ მშობიარობისას გაუწია დახმარება“ (9) და ა.შ. „ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ბავშვი რეგისტრირებული ქორწინებისგან გაჩნდა თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისაგან. რეგისტრაცია აუცილებლად უნდა მოხდეს როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ რეგისტრაციის წესებშია“ (6,156).

ბავშვის დაბადების აღიარება მამაკაცისგან შეიძლება დადგინდეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით.

საზოგადოებაში მუდმივად არსებობდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამის ვინაობის დადგენის პრობლემა. მამის ვინაობის დადგენის მიზეზი შეიძლება უამრავი იყოს. მაგალითად, ბიოლოგიური მშობლის პოვნა ან სამემკვიდრეო უფლების მოპოვება და ა.შ. დღესდღეობით კი-ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამის ვინაობის დადგენა გაადვილებულია.

რადგან ბავშვის დაბადება მამას აკისრებს პასუხისმგებლობას, რომელიც კანონით განსაზღვრულია, იგი ხშირად ნებაყოფლობით არ აღიარებს მამობას. აი, ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. „სასამართლოს წესით მამობის დადგე-

ნის კანონით განსაზღვრულ აუცილებელ პირობებს განეკუთვნება შემდეგი გარემოებები: ა) ბავშვის მშობლებს შორის რეგისტრირებული ქორწინების არარსებობა; ბ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მამობის დადგენის შესახებ ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადების ან მხოლოდ ბავშვის მამის განცხადების არარსებობა” (3,23).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე ხანდაზმულობის ვადა კანონით დადგენილი არ არის. შესაბამისად, პირის მამობა შეიძლება დადგენილ იქნეს ბავშვის დაბადებიდან ნებისმიერ დროს.

„ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ” ევროპული კონვენციის 4-ე მუხლით, მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვქვეშ დაყენებული, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიაროს ან უკვე აღიარა ბავშვი, არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა” (8). აქედან გამომდინარე, ეს მუხლი იცავს ბავშვის სამოქალაქო უფლებას, იცოდეს თავისი წარმომავლობის, მშობლების შესახებ. ბავშვის წარმოშობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ პირის დადგენასაც, ვინც პირდაპირ ბიოლოგიურ კავშირშია ბავშვთან.

თუ მამა უარს იტყვის გენეტიკური ანალიზის - ექსპერტიზის ჩატარებაზე, მაშინ ის ავტომატურად ცხადდება ბიოლოგიურ მამად, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

მამობის დადგენის შემდეგ მამას დაეკისრება სხვადასხვა ვალდებულება. მაგალითად, ალიმენტის გადახდა. ასევე ბავშვს ექნება მემკვიდრეობის მიღების უფლებაც.

მამობის დადგენის დროს უმთავრესი მხოლოდ ბავშვის ინტერესია. ბავშვს უფლება აქვს იცოდეს, ვინ არის მისი მამა, თუმცა ზოგჯერ მამობის დადგენამ შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს მასზე. შესაბამისად, მოქმედება ბავშვის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკი და ფსიქოლოგიურ-ემოციური განწყობა.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სამედიცინო - ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, მაშინ სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას (რჩენას), ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მამაკაცი გარდაცვლილია და ცხედარი არ იძებნება, ამასთან, არ არსებობენ პირდაპირი ნათესავები, რომლებზეც შეიძლება ექსპერტიზის ჩატარება.

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” მე-8 მუხლი, კერძოდ, „ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა” (10). ეს მუხლი უფლებას ანიჭებს პირს, იქნეს ინდენტიფიცირებული, მიიღოს ინფორმაცია თავისი პიროვნებისა და ბიოლოგიური მშობლების შესახებ.

სასამართლოს წარმოებაში არსებული საოჯახო-სამართლებრივი დავების დიდი ნაწილი მოდის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მამობის დადგენაზე.

ცნობილია, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში 2005-2006 წლამდე სასამართლო უარს ამბობდა გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებაზე. მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაუშვა მამობის დადგენა დნმ-ის ანალიზის მიხედვით, მოიმატა ამ კატეგორიის დავებმა. თუ მამა უარს იტყვის გენეტიკური ანალიზის ჩატარებაზე, მაშინ გასათვალისწინებელია ბავშვის უფლებები და ინტერესები და, შესაბამისად, იგი ავტომატურად გამოცხადდება ბიოლოგიურ მამად.

აღსანიშნავია, რომ მართლაც დედათა უმრავლესობა ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს დნმ-ის მვირადღირებული კვლევისათვის თანხის მოძიებას, რაც მამობის დადგენას ხელს უშლის და საკითხს პრობლემურს ხდის.

საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როდესაც სასამართლო მამობას დაადგენს და, მიუხედავად ამისა, მამას არ სურს იგი. მართალია, ამ შემთხვევაში მამას მოუწევს მშობლის უფლება-მოვალეობების შესრულება, თუმცა მას შეუძლია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ჩამოართვას მემკვიდრეობა. ასეთ შემთხვევაში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მემკვიდრე-

ობა პრობლემად დარჩება. მართალია, სასამართლო, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვის მამას დაადგენს, მაგრამ მას არ შეუძლია მამა აიძულოს, ასეთ ბავშვს მემკვიდრეობა დაუტოვოს.

არსებობს მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლები. ერთ-ერთი ასეთი საფუძველია მამკვიდრებლის ნება. კერძოდ, „მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი საშუალებით: 1) ანდერძში პირდაპირი მითითებით, რომ გარკვეულ პირს, (პირებს) ერთმევა მემკვიდრეობა. 2) ანდერძით ქონების განაწილებისას გარკვეული პირისათვის (კანონით მემკვიდრისათვის) გვერდის ავლით” (1,81).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე”, ხოლო 2-ე ნაწილით, „პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთმევა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე-მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე”(4,327). აქედან გამომდინარე, პირს, რომლის მამობა დადასტურებული იქნება იძულებით, სასამართლოს წესით, იმ ბავშვზე, რომელიც ქორწინების გარეშე შეეძინა, შეუძლია, ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება ბავშვს, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, თუმცა ანდერძის თავისუფლება საქართველოში იზღუდება სავალდებულო წილით, და შესაბამისად, ბავშვი მიიღებს სავალდებულო წილს სასამართლოს წესით აღიარებული მამის ქონებიდან.

მემკვიდრეობის მიღების პრობლემა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში დგება მაშინ, როდესაც მას მამა არ აღიარებს. 2007 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-36-390-07, ეხება მამობის დადგენას და ალიმენტის დაკისრებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის შემადგენლობა არ არის საკმარისი საფუძველი მამობის დადგენისათვის. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის მამისა და დედის ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. ამასთან, არ არის აუცილებელი, მოცემული მუხლის დისპოზიციით ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობის არსებობა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც უნდა არსებობდეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თუ მამობის დადგენისათვის მითითებული ნორმით განსაზღვრული ერთ-ერთი პირობის არსებობის დასადასტურებლად არ არის საკმარისი მტკიცებულება, სასამართლომ შეიძლება დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა და დანიშნოს კონკრეტულ შემთხვევაში, გენეტიკური ექსპერტიზა, რაც სასამართლოს მისცემს სრული და ობიექტური წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას (5,109).

მნიშვნელოვანია განიმარტოს შემდეგი: ბავშვის დედისა და მამის ერთად ცხოვრება - ითვლება, რომ ისინი ერთ სახლში ცხოვრობენ, ან მათ უნდა ჰქონდეთ რეგულარული საოჯახო სახის ურთიერთობები; საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე - გულისხმობს ბავშვის მშობლების ერთად კვებას, მათ საერთო საოჯახო მეურნეობას, ასევე ერთმანეთზე ზრუნვა; ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა - გულისხმობს აქედან ერთ-ერთი კომპონენტის არსებობას; რაც შეეხება დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, ეს საკითხი პირდაპირ მიეკუთვნება სასამართლო კომპეტენციას, რადგან არ არსებობს კონკრეტული ჩამონათვალის დამამტკიცებელი საბუთი. აღნიშნული საბუთი სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგალითად, წერილი, მოპასუხის განცხადება ან მოპასუხის ანდერძი და ა.შ.

ამრიგად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის უფლება დაკავშირებულია მამობის დადგენასთან. როდესაც მამა ნებაყოფლობით არ აღიარებს ბავშვის მამობას, აუცილებელი ხდება მისი დადგენა სასამართლოს წესით. სანამ არ დადგინდება მამობის ფაქტი, ბავშვი ვერ გახდება მემკვიდრე. თანამედროვე კვლევის ე.წ. დნმ-ის მეთოდი მამობის

დადგენის აპრობირებული ხერხია, თუმცა საკმაოდ ძვირი და ხშირად მხარისთვის ხელმიუწვდენელი.

თუ მამობა იძულებით დადგინდება, მამას შეუძლია, სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებით - ანდერძის შედგენით, ჩამოართვას არასასურველ ბავშვს მემკვიდრეობის უფლება ისე, რომ არ მიუთითოს მოტივზე. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი ზღუდავს მოანდერძის თავისუფალ ნებას სავალდებულო წილით. ამ შემთხვევაში ბავშვის ინტერესი - მემკვიდრეობა დაკმაყოფილდება, მაგრამ იზღუდება მამის, როგორც მოანდერძის თავისუფალი ნება, რაც ნიშნავს უფლებათა გამოუყენებლობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. ახვლედიანი, ზ. ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 1998. Akhvlediani, z. Georgian low review 1998, Tbilisi.
2. ზოიძე, ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 2000. Soidze, B. 2000. Old Georgian heritage low (juridical examination), Tbilisi.
3. კობხეიძე, ლ. მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1 (40), თბილისი, 2014. Kokhreidze, l. Reculiarities of disposes related to filiation, justice and low N1(40)14, Tbilisi.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2018. Civil Code of Georgia, 2018, Tbilisi.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე №3, ვალდებულებითი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2008. Decisions of the supreme court of Georgia in civil cases. 2008.N3. Tbilisi.
6. შენგელია, რ. შენგელია, ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2015. Shengelia R., Shengelia E. 2015, Family and inheritance Law, Tbilisi.
7. ჩიკვაშვილი, შ. საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004. Chikvashvili , sh.2004. Family Law, Tbilisi.
8. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi22.pdf>
9. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247>
10. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5.pdf>

## 07 სოციალური მეცნიერებანი - Social Sciences

0702

Inga Tsintskiladze

ინგა ცინცილაძე

PhD in Political Science, Assistant Professor

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

Grigol Robakidze University

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### Security Challenges of Eastern Partnership States

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთხოების გამოწვევები

#### Abstract

სახელმძღვანელოს შედგენას ვახტანგი ძალზე რაციონალურად მიუდგა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის მართლაც კვალიფიცირებული ქიმიკოსი იყო. ალქიმიკოსების მასალამ (რომელიც მან უდავოდ წინასწარ ჩაიწერა) „ქიმიაში“ გარკვეული ცვლილებები განიცადა როგორც მათი გადმოცემის თანმიმდევრობის, ისე რეცეპტების დაჯგუფების თვალსაზრისით. თვითეულ ციკლში მან ერთმანეთისაგან გამოჰყო ტექნოქიმიური და ალქიმიური რეცეპტები და ისინი ახალ დაჯგუფებებში განათავსა.

ტექნოქიმიური რეცეპტების ეს ახალი დაჯგუფებები ვახტანგმა თემატურ ქარგას დაუმორჩილა და თვითეულ ქვეჯგუფში გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული ნაერთებისადმი მიძღვნილი რეცეპტები გააერთიანა. თვითეული ეს ქვეჯგუფი შედგება „ძირითადი“ და „წარმოებული“ ნაერთების გაერთიანებისაგან. „ძირითად“ ნაერთებად ვახტანგს შერჩეული აქვს იმდროინდელ პრაქტიკულ ქიმიაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ისეთი პრეპარატები, როგორცაა გოგირდი, გვარჯილა, ნიშადური, სუფრის მარილი და ა.შ. რაც შეეხება, „წარმოებული“ ნაერთებს, ისინი ამ „ძირითადი“ ნაერთების გადამუშავების შედეგად მიღებულ პრეპარატებს წარმოადგენენ დისტილატების (ე.ი. „არყების“ და „ზეთების“), წყალში ხსნადი თუ უხსნადი „მარილების“ და „მიწების“ სახით. თითოეული ქვეჯგუფის საწყისი პარაგრაფი „ძირითადი“ ნაერთის დახასიათებას ეძღვნება. თითოეულ ამ აღწერითი სახის პარაგრაფს მოსდევს პარაგრაფები, რომლებშიც შესაბამისი „წარმოებული“ ნაერთების მიღების წესებია აღწერილი. მასალების ასეთი დაჯგუფება ერთგვარ ანალოგიას იჩენს თანამედროვე ქიმიის სახელმძღვანელოსთან, სადაც ძირითად ნაერთად ქიმიური ელემენტები, ხოლო მათ წარმოებულებად ამ ელემენტებისგან მიღებული ნივთიერებები (მჟავები, მარილები, ოქსიდები და ა.შ.) არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ დაჯგუფების ასეთ სქემამდე ვახტანგი დამოუკიდებლად, რაიმე პროტოტიპის გამოყენების გარეშე მივიდა. როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში ხელშემწყობი როლი ვახტანგის განმანათლებლობისაკენ სწრაფვამ შეასრულა, რომ ქართველი მკითხველისათვის ძნელად ასათვისებელი მასალა, ადვილად გასაგები და სისტემატიზირებული სახით მოეწოდებინა.

სისტემატიზირებული სახე მისცა ვახტანგმა ალქიმიურ მასალასაც. თითქმის ყველა პარაგრაფი თუ არ ჩავთვლით „ქიმიის“ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში შემთხვევით გაბნეულ რამდენიმე პარაგრაფს, მან თხზულებაში ცალკე რამდენიმე ჯგუფად გააერთიანა იხ(.\$82-93; 103-109; 112-128; 270-275). თითოეულ რეცეპტს ვახტანგმა დაურთო მოკლე შენიშვნა, რომელშიც სისტემატურად გამოყენებული სიტყვით „იტყვიან“, ის თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას გამოხატავს ტექსტში დანაპირები ალქიმიური გარდაქმნების მიმართ. ხოლო მიზეზად, თუ რად დასჭირდა მას ასეთი უსარგებლო მასალის წიგნში შეტანა, სწავლული მეფე შემდეგ გარემოებას ასახელებს: „ესეები ამისთვის დავწერე, ეგება სხვას კაცს შევხვდე ან იმასვე, ამაებზედ მეორედ სწავლის ხარჯი არა მქონდეს“. აქედან ჩანს, რომ ალქიმიური რეცეპტები ავტორს „ქიმიაში“ ერთგვარი ინდიკატორის და სამახსოვროს დანიშნულებით შეუტანია, რათა მათი საშუალებით და ექსპერიმენტის გარეშე, მომავალში მოპოვებულ მასალებში მას შესძლებოდა ალქიმიური შინაარსის რეცეპტების გამოვლენა (ციტირებული ფრაგმენტიდან ისიც ჩანს, რომ ვახტანგი იმდენად საფუძვლიანად იყო ჩაბმული ექსპერიმენტულ საქმიანობაში, რომ ამ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მისთვისაც (ე.ი. მეფისთვისაც კი!) საგრნობი ყოფილა).

„ირანული ნაწილისაგან“ განსხვავებით „ქართული ნაწილი“ მხოლოდ ტექნოქიმიური რეცეპტებით არის წარმოდგენილი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში დაბრუნებისას, ვახტანგს ალქიმიასთან უკვე ყოველგვარი კავშირები გაწყვეტილი ჰქონდა და შემოქმედებითი

საქმიანობის სამომავლო ობიექტად პრაქტიკული ქიმია ესახებოდა. აღნიშნული რეცეპტების უმრავლესობა ე.წ. სამონასტრო ქიმიის სფეროს განეკუთვნება და ეს არც არის მოულოდნელი, ვინაიდან ვახტანგს ისინი თბილისში მოღვაწე იტალიელი მისიონერებისაგან აქვს ჩაწერილი. სამისიონერო მოღვაწეობასთან ერთად ეს მონაზვნები ინტენსიურ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ სურნელოვანი და სამკურნალო ზეთების და წყლების დასამზადებლად, რაც ფაქტობრივად სამონასტრო ქიმიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. ყველა ეს რეცეპტი ვახტანგს მისიონერებთან ერთად ან დამოუკიდებლად აპრობირებული უნდა ჰქონდეს ლაბორატორიაში, რომელიც მას ირანიდან უნდა გადმოეტანა. არ არის გამორიცხული რომ ზოგიერთი ამ რეცეპტებიდან ვახტანგს მის მიერვე ორგანიზებულ სადისტილაციო საწარმოში (ე.წ. „არაყ-ხანაში“) ჩაენერგა.

ქიმიის მეორე ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი საბოლოო რედაქტირება ავტორს არ დასცალდა, სისტემატიზაციის გარკვეულ ნიშნებს მაინც ატარებს. ეს კი განპირობებული უნდა იყოს ვახტანგის მიერ ირანში შეძენილი ცოდნით და გამოცდილებით და აგრეთვე მასალის თემატური ერთგვაროვნებით. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში, იტალიურ მასალებთან ერთად ადგილობრივი ქიმიური პრაქტიკის რეცეპტებიც არის მოყვანილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს კოსმეტიკური და სამკურნალო დანიშნულების რეცეპტები და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ ამოკრეფილი მონაცემები 12 ბიბლიური ქვის შესახებ.

თხზულების მესამე, „რუსულ ნაწილში“ კიდევ უფრო წინ არის წამოწეული ქიმიის გამოყენებითი მიმართულება. ფაქტობრივად აქ წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი ქიმიური წესი, რომელიც იმდროინდელ საყოფაცხოვრებო და ხელოსნურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა. შესაბამისი რეცეპტები თემატიკის მიხედვით, ისეთ ქვეჯგუფებში არის გაერთიანებული, რომლებიც ეძღვნება: საოქრომჭედლო საქმეს, ლიქიორების წარმოებას, წიგნების მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებას, სამკურნალო საშუალებათა დამზადებას, ფერადი მინების და სტრაზების წარმოებას. ვახტანგს ეს მასალა ამოკრეფილი აქვს სხვადასხვა რუსული წყაროებიდან. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამ ქვეჯგუფებში ჩართული ცალკეული რეცეპტები, რომლებიც ახალი ევროპული ლიტერატურიდან უნდა იყოს გადმოღებული (ამ საქმეში ვახტანგს, როგორც ეტყობა, ეხმარებოდნენ კვალიფიციური კონსულტანტები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დოქტორი გოტლიბ შობერი (1710-1758) ქართველი მეფის პირადი ექიმი და პეტრე-I-ის ყოფილი ლეიბ-მედიკოსი, რომლის ხელმძღვანელობითაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები რუსეთის მინერალური რესურსების შესწავლისა და ათვისებისათვის).

მთლიანობაში ვახტანგის „ქიმია“ ძალზე მაღალ შეფასებას იმსახურებს და წარმოდგენილი მასალების მიხედვით ის უდავოდ უნიკალურ ნაშრომს წარმოადგენს. ქართული კულტურის და მეცნიერების საგანძურში ამ თხზულებას ერთმნიშვნელოვნად გამორჩეული ადგილი უნდა მიეჩინოს. ეროვნული ქიმიური ლიტერატურის არარსებობის თუ ჩვენამდე არმოდღევის პირობებში, სწავლულმა მეფემ პირველგამკვლევის უძნელესი მისია იკისრა და „ქიმიის“ შექმნით წარმატებითაც დაავგირგვინა მეტად საპასუხისმგებლო წამოწყება.

ვახტანგ VI-ის „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ მნიშვნელობა მხოლოდ ქართული სინამდვილით არ შემოიფარგლება, ვინაიდან ის მთელი რიგი ქვეყნების ქიმიური შინაარსის საყურადღებო მასალებსაც შეიცავს.

ფაქტობრივად, მხოლოდ „ქიმიაში“ არის წარმოდგენილი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის აღმოსავლური პრაქტიკული ალქიმიის რეცეპტები, რომლებმაც სათანადო ასახვა იმდროინდელ არაბულ-სპარსულ ალქიმიურ ლიტერატურაში ვერ ჰპოვეს. ვახტანგმა ალქიმიკოს-მასწავლებლებისაგან ჩაიწერა ეს გამოუქვეყნებელი, მხოლოდ ზეპირსიტყვაობაში გავრცელებული მასალები და ამით აღმოსავლურ ალქიმიურ ლიტერატურაში არსებული ხარვეზი შეავსო. ვახტანგის შენიშვნებზე დაყრდნობით, რომელსაც ის ალქიმიურ რეცეპტებთან დაკავშირებით აკეთებს, ძნელი არ არის მათი თავდაპირველი შედგენილობის და წყობის რეკონსტრუირება. ასე რომ, „ქიმიაში“ შემორჩენილი ამ რეცეპტების მნიშვნელობაზე არაბულ-სპარსული ალქიმიის ისტორიასთან მიმართებაში, არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

ვახტანგის „ქიმია“ საინტერესოა აგრეთვე ევროპული სამონასტრო ქიმიის შესწავლის თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მიერ აღწერილი ეს რეცეპტები ევროპულ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, მათ ერთი განმასხვავებელი ნიშანი მაინც მოეპოვებათ. სამკურნალო-კოსმეტიკური წყლების და ზეთების დასამზადებლად მისიონერები ხშირად იძულებული იყვნენ იტალიაში არსებული მცენარეული ნედლეული საქართველოში არ არსებობის გამო ადგილობრივი ჯიშის მცენარეებით შეეცვალათ. ვინაიდან მისიონერები თავის საქ-

მიანობაში ადგილობრივი ქიმიურ-ხელოსნური პრაქტიკის გამოვდილებასაც ითვალისწინებდნენ, მათ არა მარტო მოდიფიცირებული, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში სამონასტრო ქიმიისათვის ფაქტობრივად უცნობი, სრულიად ახალი რეცეპტები უნდა შემუშავებინათ. ცხადია, რომ ეს რეცეპტებიც სამონასტრო ქიმიის შემოქმედებით არსენალში უნდა იქნეს მოაზრებული. ასე რომ, ვახტანგის დამსახურება ამ შემთხვევაში ის არის, რომ მისმა თხზულებამ ქიმიის ამ მიმართულებას ეს რეცეპტები შემოუნახა მისიონერებიდან გადმოღებული ჩანაწერების სახით.

მეორე ნაწილში ქართული მასალები თუმცა მოკრძალებით არის წარმოდგენილი, მაგრამ მთლიანობაში პირველი „ქიმიის“ ქართული სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის განუზომელია. ქართულ თემატიკასთან დაკავშირებით, ის არა მარტო რამდენიმე ქართული რეცეპტით იქცევს ყურადღებას, არამედ იმითაც (და ამ მხრივ გაცილებით უფრო მეტად), რომ მასში პირველად არის გამოყენებული ვახტანგის მიერ შემუშავებული ქართული ქიმიური ტერმინოლოგია. ამ ტერმინოლოგიამ შემდგომში უდავოდ დიდი როლი ითამაშა თანამედროვე ქიმიის ტერმინოლოგიის სრულყოფაში (თანამედროვე ტერმინოლოგია დიდად არის დავალებული დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონისაგან, მასში ავტორს ვახტანგის „ქიმიდან“ 170-ზე მეტი(!) ტერმინი აქვს შეტანილი).

„წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ მეტად საინტერესოა რუსული ქიმიური ლიტერატურის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ ის ყურადღებას იქცევს როგორც ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული წმინდა ქიმიური შინაარსის კრებული, რომელშიც სხვადასხვა სახის რუსული კრებულებიდან (სამკურნალო და სამხედრო საქმის, ხატწერის, წიგნების მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების და ა.შ.). ამოკრეფილი და გაერთიანებულია ქიმიური შინაარსის რეცეპტები (აღსანიშნავია, რომ მსგავსი წმინდა ქიმიური კრებული რუსეთში მხოლოდ 1763წ. გამოიცა მ. აგენტოვის მიერ და ის ჰოლანდიურიდან იყო თარგმნილი).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით არ იქნება გადამეტებული, თუ ვახტანგ VI-ის ნაშრომს „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ XVIII-ის. პირველი ნახევრის ტექნო-ქიმიური ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად მივიჩნევთ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. S -3721 ხელნაწერი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.  
S -3721 Manuscript, National Center of Manuscripts of Georgia  
E-121 ხელნაწერი, რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი. E-121 Manuscript, Georgian Manuscripts Foundation of St. Petersburg Department of the Institute of Oriental Studies of Russia.
2. ვახტანგ-VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბილისი, 1981. Vakhtang VI. Book oil mixing and chemistry The book was prepared for publishing T. Enuqidzem da V. Kokochashvilma, Tbilisi, 1981
3. ჩხენკელი, ა. ქიმიური შინაარსის ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ, საქართველოს სსრ სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოების შრომები, ტ. 1, 1961, თბილისი, გვ. 285-305  
Chxenkeli A. One of the old Georgian manuscripts of chemical content, works of scientific medical society of the Georgian SSR, v. 1, 1961, Tbilisi, pp.. 285-305
4. შენგელია, მ. ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1963. Shengelia M. From the history of Georgian medicine,, Tbilisi, 1963
5. ენუქიძე, თ. კოკოჩაშვილი, ვ. მეფე ვახტანგ VI-ის ქიმია. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, #8, გვ. 3-8. Enuqidze T. Kokochashvili V. King Vakhtang VI's chemistry. Journal „Metsniereba da Teqnika“, 1969, #8, gv. 3-8
6. Чагунава, Р.В. Vakhtang Bagrationi and his chemistry work. Тбилиси, 1984. Chagunava R. V. Vakhtang Bagrationi i ego trud po ximii. , Tbilisi, 1984.
7. ჩაგუნავა, რ. ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა), თბილისი, 1990. Chagunava R. V. Natural Sciences of Vakhtang Bagrationi (Natural Sciences and Technology), Tbilisi, 1990.

## 10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი- Humanitarian Sciences

1005

მაია თევზაძე

Maya Tevzadze

ფილოლოგიის დოქტორი

Doctor of Philology

პროფესორი

Professor

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Iliia State University

კულტურული დისტანციის გავლენა ემოციურ დაძაბულობაზე ინტერკულტურული  
ენობრივი კომუნიკაციის ფარგლებში

**The Effect of Cultural Distance on Emotional Distress within Intercultural Language Communication**

**რეზიუმე:** კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ სპეციფიურ ასპექტს წარმოადგენს სხვა კულტურების ამა თუ იმ ფაქტზე კომუნიკანტთა აფექტური რეაქციები. უცხო კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებას თითქმის ყოველთვის თან ახლავს ფსიქოლოგიური დაძაბულობა, შიში, თუმცა განსხვავებულ კულტურებში სხვა ჯგუფის წევრებს სხვადასხვაგვარად ეპყრობიან, რისი მიზეზების გათვალისწინება წარმოადგენს ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაციის საწინდარს.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ენობრივი კომუნიკაცია, კულტურული ურთიერთქმედება, კულტურული დისტანცია.

**Abstract:** One of the specific aspects of intercultural communication is affective reaction of communicators towards different cultures. In most cases, communication with individuals from different cultures is followed by psychological pressure and fear. However in different cultures the members of other group are treated differently, considering the reasons for this is the prerequisite of effective intercultural communication.

**Keywords:** intercultural communication, langual communication, communicators towards, cultural distance

უცხო ადამიანებთან ურთიერთობას, განსაკუთრებით კი ისინი თუ არიან ეგრეთ წოდებული გარე ჯგუფების წარმომადგენლები, თან ახლავს ხოლმე მეტი ფსიქოლოგიური დაძაბულობა, განცდა და შიში, ვიდრე ურთიერთობას ნაცნობებთან, ეგრეთ წოდებული შიდა ჯგუფის წევრებთან. თუმცა განსხვავებულ კულტურებში შიდა ჯგუფის წევრები სხვადასხვაგვარად ეპყრობიან უცხოებს. აქედან გამომდინარე, ინტერკულტურული კომუნიკაციის ეფექტურობა, გარდა სხვა ფაქტორებისა, ასევე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხსენებულ განწყობებზე.

უცხო კულტურათა წარმომადგენლები გაცილებით უფრო იოლად ამყარებენ ურთიერთობებს შიდა ჯგუფებთან ინდივიდუალისტურ კულტურებში, ვიდრე კოლექტივისტურში. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ კოლექტივისტური კულტურები თავისი წევრებისაგან ჯგუფთან შერწყმის იმ დონეს მოითხოვენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთ მთლიანად აღიქმებოდეს. რაც შეეხება ინდივიდუალისტურ კულტურებს, მათში ადამიანებს ევალუბათ მოიქცნენ ყოველთვის ისე, როგორც თავად მიაჩნიათ საჭიროდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი პოზიცია სრულიად არ ემთხვევა მათი ჯგუფის პოზიციას.

კოლექტივისტური კულტურებისთვის დამახასიათებელია სწრაფვა შიდა ჯგუფთან მიერთებისაკენ, ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურებში ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთობათა ელფერზე. ცხადია, რომ როდესაც ადამიანები ერთმანეთს უახლოვდებიან, პარტნიორის ამა თუ იმ ჯგუფთან მიერთების საკითხი მნიშვნელობას და სიმძაფრეს კარგავს.

იმისათვის, რათა განისაზღვროს, თუ რამდენად რთულად წარმოებს კონტაქტი ორ კულტურას შორის, შემოღებულ იქნა კულტურული დისტანციის ცნება, როგორც კულტურების ერთმანეთთან სიახლოვისა თუ შეთავსებადობის დონის. იმდაგვარი კულტურების წარმომადგე-

ნელთათვის, რომელთა შორის დისტანცია ნაკლებია, ბევრად უფრო ადვილია ახალ კულტურასთან ადაპტირება. ცნება "კულტურული დისტანცია" აფიქსირებს განსხვავებებს ისეთ ერთგვაროვან ელემენტებს შორის სხვადასხვა კულტურებში, როგორებიცაა მაგალითად: კლიმატი, საკვები, ტანსაცმელი და სხვ.

კულტურული დისტანციის სუბიექტურ აღქმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოცემულ კულტურებს შორის ომების ან კონფლიქტების არსებობა როგორც თანამედროვე ეტაპზე, ასევე ისტორიულ წარსულში, ადამიანის კომპეტენტურობის ხარისხი უცხო ენასა და კულტურაში, პარტნიორების სტატუსების თანასწორობა/უთანასწორობა და მათი საერთო მიზნის არსებობა ინტერკულტურული კომუნიკაციის შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, კულტურული დისტანცია სუბიექტურად შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც უფრო დიდი, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. სხვა შემთხვევაა, როდესაც კულტურა აღიქმება როგორც უფრო ახლობელი, ვიდრე იგი არის რეალურად.

ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას წინ უსწრებს კოდირებისა და დეკოდირების მომენტები, რომელთა დროს გარდაუვალია ხარვეზებისა და დანაკარგების არსებობა, ვინაიდან შეუძლებელია სრული უნიფიცირება ინფორმაციის პროცესებისა, რომლებიც მრავალ მხრივ ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს. ამიტომ იშვიათი არ არის სიტუაციები, როდესაც გზავნილის (მესიჯის) მიმღები კომუნიკაციაში გამოყენებულ სიმბოლოებსა და ნიშნებს მიაწერს მესიჯის ავტორისაგან სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას და შესაბამისად თავად გზავნილის ინტერპრეტაციაც ხდება ადრესანტის მიერ ჩადებული მნიშვნელობისაგან სრულიად განსხვავებულად. აქედან გამომდინარე, ადრესატის საპასუხო მესიჯი ან ქმედებაც შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად არაადეკვატური იმისა, რასაც ელოდება ადრესანტი. გაცრუებულ მოლოდინებს კი მივყავართ კომუნიკანტებს შორის გაუგებრობებამდე, იწვევს რა დაურწმუნებლობის, შფოთვისა და უკმაყოფილების შეგრძნებებს, რომელთა გამოხატვის დონე მცირდება თუკი კომუნიკანტები მიეკუთვნებიან ერთ კულტურას. ამ შემთხვევაში მათ აქვთ საერთო ნორმები და ღირებულებები, ქცევის ერთგვაროვანი წესები, ადეკვატური წარმოდგენა კომუნიკაციის კონტექსტის შესახებ.

აქედან გამომდინარე, კულტურული დისტანცია სუბიექტურად შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც უფრო დიდი, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. სხვა შემთხვევაა, როდესაც კულტურა აღიქმება როგორც უფრო ახლობელი, ვიდრე იგი არის რეალურად.

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა კომუნიკაციის დროს ადგილი აქვს შფოთვას, დაურწმუნებლობას, ვინაიდან რთულია კომუნიკაციის პროცესის შემდგომი ეტაპის თუ მისი შედეგების გამოცნობა. ამ შემთხვევაში ადამიანის მდგომარეობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სტრესი.

უცხო კულტურასთან პირველი კონტაქტის დროს ადამიანი ფლობს ძალიან მწირ ინფორმაციას ახალ კულტურულ გარემოზე, არა აქვს ზუსტი წარმოდგენა მოცემულ კულტურაში მიღებული ქცევის წესების შესახებ და ამის შედეგად იგი ან საკმარისად არ აფასებს, ან ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარშემომყოფთა გარკვეულ ქცევებს. ამდაგვარ შემთხვევებში წამოიჭრება ხოლმე სამი ძირითადი ტიპის გაურკვეველობა:

- კოგნიტური გაურკვეველობა, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანს არ შეუძლია ჰქონდეს ზუსტი ცოდნა პარტნიორის წარმოდგენებისა და განწყობების შესახებ;

- ქცევითი გაურკვეველობა, როდესაც ადამიანს არ შეუძლია წინასწარ გამოიცნოს თავისი პარტნიორის მოსალოდნელი ქცევა;

- ემოციური გაურკვეველობა - ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი განიცდის შფოთვას იმის გამო, რომ მას შეიძლება სწორად ვერ გაუგონ, ნეგატიურად შეაფასონ, მიაყენონ გარკვეული სახის ზიანი მის "მე"-ს.

იმ შემთხვევაში, თუკი გაურკვეველობა იქნება ძალიან დიდი, ადამიანები ან თავს აარიდებენ ურთიერთობას, ან, უპირველეს ყოვლისა, იზრუნებენ იმაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენენ ისინი კომუნიკანტზე და ამ შემთხვევაში ნაკლებად ზრუნავენ თავად კომუნიკაციის აქტზე. მეორე მხრივ, თუ შფოთვასა და ღელვას საერთოდ არა აქვს ადგილი, აქაც ადამიანები

დიდად აღარ ზრუნავენ კომუნიკაციის პროცესზე. ეფექტური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს გაურკვევლობის გარკვეულწილად ოპტიმალური დონე.

შესაბამისად, მნიშვნელობას იძენს აღნიშნული გაურკვევლობის რედუცირების საჭიროება. კ. ბერგერი თვლიდა, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის პარტნიორების ურთიერთობის სპეციალური მეთოდების დახმარებით აღნიშნული კომუნიკაცია შეიძლება შეიცვალოს უკეთესობისაკენ. ეს მეთოდები გულისხმობს ახაკლ კულტურასთან დაკავშირებით ყოველი კონკრეტული ადამიანის მოლოდინების ცვლილებას, კოგნიტური გაურკვევლობისა და შფოთვის დონის შემცირებას (1).

ინდივიდებს ყოველთვის ურჩევნიათ ზუსტად იცოდნენ, თუ რას შეიძლება ელოდნენ ისინი სხვა ადამიანებთან ურთიერთობისაგან - წახალისებას თუ სასჯელს, ნორმალურ თუ განრიდებით ქცევას, ან შეეძლოთ სწორად განსაზღვრონ კომუნიკაციური აქტის დასაწყისი და დასრულება. ამ შემთხვევაში გაურკვევლობის რედუცირება მდგომარეობს სამეტყველო ქმედების დაწყებამდე კომუნიკანტის მიერ წინასწარი ვარაუდის აგებასა და სამეტყველო აქტის დასრულების შემდეგ ქმედების ინტერპრეტაციაში. გაურკვევლობის რედუცირება წარმოადგენს ორმაგ პროცესს, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობს კოგნიტურ და ემოციურ დონეებზე. გაურკვევლობის შემცირება - ეს არის კოგნიტური პროცესი, ხოლო გაურკვევლობისა და შფოთვის კონტროლი - ემოციური. აღნიშნული განწყობები კომუნიკაციის ყველა მონაწილისთვის არის დამახასიათებელი, ისინი ქმნიან მოტივაციას ერთმანეთთან ურთიერთობისათვის, კომუნიკაციის დაწყების მზადყოფნის არავერბალური გამოხატულებისათვის კომუნიკაციის პროცესში. ითვლება, რომ ეს ფაქტორები ხელს უწყობს გაურკვევლობის დონის შემცირებას. ურთიერთობის ხანგრძლივობაც ასევე ხელს უწყობს აღნიშნული დონის შემცირებას. გამოიყოფა გაურკვევლობის შემცირების სამი სტრატეგია:

- პასიური - სხვებზე დაკვირვება კომუნიკაციის პროცესში ჩარევის გარეშე (შედარება, რიგ სტიმულებზე რეაქციის გამოვლენა და ა. შ.);
- აქტიური - ადამიანი უსვამს კითხვებს სხვა ადამიანებს თავისი ინტერესის ობიექტის შესახებ, იღებს რა ამგვარად ურთიერთობისათვის აუცილებელ ინფორმაციას;
- ინტერაქტიური - კომუნიკაციის პარტნიორთან უშუალო ურთიერთქმედება, რომლის პროცესში ისმება კითხვები, ადგილი აქვს "გულის გადაშლის" მცდელობებს და ა. შ. უეჭველია, რომ ეს არის ქცევის ყველაზე ოპტიმალური სტრატეგია (1).

ფაქტორებს, რომლებიც ამცირებენ გაურკვევლობას უცხო კულტურის წარმომადგენლებთან კონტაქტის დროს, მიეკუთვნება:

- პოზიტიური მოლოდინები გარე ჯგუფების წარმომადგენლებთან კონტაქტის დროს;
- კონტაქტში მყოფ ჯგუფებს შორის მსგავსება;
- სხვა ჯგუფის წევრების მხრიდან რჩევები და შენიშვნები;
- უფრო მჭიდრო, პირადი ურთიერთობები სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან;
- იმ ჯგუფის ენის უკეთესი ცოდნა, რომელთანაც ადგილი აქვს კონტაქტს;
- თვითდაკვირვების უნარი;
- უცხო კულტურის შესახებ უფრო ღრმა ცოდნა;
- გაურკვევლობისადმი მომთმენი დამოკიდებულება;
- პოზიტიური ატრიბუციები (მოლოდინები) ინტერკულტურულ კომუნიკაციაში, განწყობა ურთიერთობის ეფექტურობისა და უცხო კულტურასთან ადაპტაციისადმი;
- კოლექტივისტური კულტურისადმი მიკუთვნებულობა.

ფაქტორებს, რომლებიც ამცირებენ გაურკვევლობას უცხო კულტურის წარმომადგენლებთან კონტაქტის დროს, მიეკუთვნება:

- პოზიტიური მოლოდინები გარე ჯგუფების წარმომადგენლებთან კონტაქტის დროს.

ამრიგად, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ სპეციფიკურ ასპექტს წარმოადგენს სხვა კულტურების ამა თუ იმ ფაქტზე კომუნიკანტთა აფექტური რეაქციები. უცხო კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებას თითქმის ყოველთვის თან ახლავს ფსიქოლოგიური დაძაბულობა, შიში, თუმცა განსხვავებულ კულტურებში სხვა ჯგუფის წევრებს სხ-

ვადასხვაგვარად ეპყრობიან, რისი მიზეზების გათვალისწინება წარმოადგენს ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაციის საწინდარს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**Refernce:**

1. Berger, C. R. (1986). Uncertain Outcome Values in Predicted Relationships: Uncertainty Reduction Theory Then and Now *Human Communication Research* Turner, L.H. & West, R. (2010). "Introducing Communication Theory" (4th ed). NY: McGraw Hill.
2. Clyne, M. *Inter-Cultural Communication at Work: Cultural Values in Discourse*. Cambridge, 1994
3. Т. Г. Грушевицкая, В. Д. Попков, Ал. Садохин (2003) Основы межкультурной коммуникации, М. (Grushevitskaya, T., Popkov, V., Sadokhin, A. *Basics of Intercultural Communication*, 2003, Moscow.

1005

**Зоя Адамия**

**Доктор филологии, профессор**

**Университет им. Эквтиме Такашвили, Рустави**

**ზოია ადამია**

**ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი**

**ექვთიმე თაყაიშვილი სახელობის უნივერსიტეტი, რუსთავი**

**Zoia Adamia**

**Doctor of Philology, Professor**

**Ekvtime Takaishvili University, Rustavi**

**Сопоставительный анализ переводов библейских имен  
ბიბლიური სახელების თარგმანების შედარებითი ანალიზი  
Comparative Analysis of Biblical Names Translations**

**Резюме.** Эпоха принятия христианства тем или иным народом сильно повлияло на характер перевода. В частности, на лексику и на синтаксис перевода. Некоторые считают, что русские переводчики неправильно перевели библейские имена, т.е. исказили их. Это не так. Русские перевели имена так, как в ту эпоху произносили византийцы, т.е. греки. Грузия (по терминологии той эпохи) Иверия на 400 лет раньше стала христианской, чем Русь. Это сказалось на лексике и фонетике переводов. Так, в разных звучаниях заимствованы личные библейские имена – то есть так, как их произносили сами греки. *Марта – Марфа, Оидипос – Эдип, Григол – Григорий* и др. Что-то подобное видим и в одном из раннехристианских языков – армянском. Притом эти древнехристианские языки (грузинский и армянский) в эпоху принятия христианства находились под длительным влиянием восточной культуры и религий и к приходу христианства их языки не были готовы к приему новых идей и новой лексики. Этим следует объяснить то обстоятельство, что переводы библейских книг часто подправлялись, уточнялись и решительно заменялись новыми переводами.

**Ключевые слова:** христианство, библейские имена, перевод

**რეზიუმე.** საქართველო, იმ ეპოქის ტერმინოლოგიით - იბერია, რუსეთზე 400 წლით ადრე გაქრისტიანდა, რაც აისახა თარგმანის ლექსიკასა და სინტაქსზე. სხვადასხვა წარმოთქმაში, ბერძენთა მსგავსად, ამ გზით დამკვიდრდნენ ბიბლიური საკუთარი სახელები: *Марта–Марфа, Оидипос–Эдип, Григол–Григорий* (მარტა-მარფა, ოუდიპოს - ედიპი, გრიგოლი - გრიგორი და სხვ). აღნიშნული მსგავსებაც შეიმჩნევა სომხური ენის ადრექრისტიანულ პერიოდში, რომლის მიზეზი, მდგომარეობს იმაში, რომ ეს ადრექრისტიანული ენები (ქართული და სომხური), ქრისტიანობის მიღების პერიოდში იმყოფებოდნენ აღმოსავლური კულტურისა და რელიგიის გავლენის ქვეშ და ქრისტიანობის მიღების დროს, ისინი არ იყვნენ მზად ახალი იდეებისა და ლექსიკის მისაღებად. ამით შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ბიბლიურ წიგნთა თარგმანები ხშირად კორექტირდებოდა, ზუსტდებოდა და იცვლებოდა ახლით. ჩვენამდე მოსულია იმ საეკლესიო მოღვაწეთა სახელები, რომლებიც ისტორიას შემორჩნენ, როგორც ძველ თარგმანთა დამამუშავებლები.



საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა, ბიბლიური სახელები, თარგმნა

**Abstract.** The era of acceptance of Christianity of peoples strongly affected nature of translation. in particular, on vocabulary and on syntax of the translation. Some consider that the Russian translators incorrectly translated the Biblical names, i.e. distorted them. It is not so. The Russians translated names as the Byzantines pronounced them in that era, i.e. the Greeks did the same. Georgia (on terminology of that era) Iveria for 400 years formerly became Christian, than Russia. It affected lexicon and phonetics of translation. So, in different soundings personal biblical names were borrowed that is as they had been pronounced by the Greeks. *Марта–Марфа, Оидипос–Эдип, Григол–Григорий* (Martha–Marfa, Oidipos–Oedipus, Grigol–Grigory), etc. Something similar we see in one of the early Christian languages – Armenian. Besides these old Christian languages (Georgian and Armenian) during the era of acceptance of Christianity were under long influence of east culture and religions and with converting to Christianity their languages weren't ready to accept new ideas and new lexicon. Thus it should be explained the circumstance that the translations of biblical books have been often corrected, specified and replaced with new translations. .

**Keywords:** christianity biblical names translation.

Библия – текст исключительно ортодоксальный и канонизированный. Это обстоятельство должно было, кажется, гарантировать большое однообразие и сходство между собой, различных переводов. Однако это далеко не так. Например, русские и грузинские переводы библейских имен намного больше совпадают между собой, чем, скажем, грузинские и английские или русские и английские. Это, видимо, следует объяснить следующими обстоятельствами:

Грузины и русские придерживаются одного направления христианства – православия. Это продолжалось веками. Это наложило свой отпечаток на их понимание христианских догм, на понимание роли религии в повседневной жизни верующих.

Протоиерей Александр Владимирович Мень затрагивает следующие вопросы переводов Библии:

«**Ветхий Завет** был первой в истории книгой, переведенной на иностранный язык. Этим языком был греческий, который с IV века до Р.Х. стал международным. Для библеистики древние переводы играют немалую роль, так как помогают уточнению исходного текста (текстуальная критика).

**Таргумы.** До возникновения греческих синагогальных переводов существовали переложения Ветхого Завета на разговорный арамейский язык — таргумы. Первые такие устные переводы были предприняты еще в V веке до Р.Х. при Ездre (Неем 8:8), поскольку народ уже плохо понимал древнееврейский язык. Наиболее ранний из дошедших до нас таргумов на Пятикнижие создан иудеем Онк`елосом во II веке по Р.Х. Этот и другие таргумы являются не столько переводами, сколько свободным парафразом, вносящим комментарии. Таргумы создавались в Палестине и Вавилоне (таргум Ионатана бен Узиеля на Пророков, Иерусалимский таргум на Пятикнижие и др.) вплоть до VII века по Р.Х.

**Септуагинта.** Самый ранний и единственный дохристианский перевод Ветхого Завета на греческий был сделан в Александрии. Он именуется Септуагинтой или переводом 70-ти (LXX). Это название связано с легендой, которая сохранилась в назидательно-апологетической книге «Послание Аристея» (русс. пер. ее дан в приложении к пер. «Иудейской войны» И. Флавия, 1787 г.).

Послание, написанное ок. 200 г. до Р.Х., рассказывает следующее: Греческий царь Египта Птолемей II Филадельф (285-247 гг. до Р.Х.) решил пополнить свою огромную библиотеку и по совету ее хранителя Димитрия велел включить в нее «законы евреев». Для того, чтобы осуществить этот замысел, он отправил посольство в Иерусалим, прося прислать переводчиков. Первосвященник Елеазар дал по 6 мужей от каждого из 12 колен. Эти 72 мудреца прибыли в Александрию и за 72 дня переложили на греческий все Пятикнижие. Работали они на острове Фаросе, не общаясь друг с другом, но перевод у всех получился тождественный.

Это предание повторяют Филон, Флавий, Талмуд, св. Иустин, Климент Александрийский и свт. Иринеи Лионский. Однако уже бл. Иероним (Против Руфина, II,25) считал подробно-

сти, сообщенные в Послании, легендарными. По-видимому, главной побудительной причиной перевода Ветхого Завета была потребность иудеев диаспоры в греческом Писании, так как многие из них плохо помнили родной язык. Таким образом, Септуагинта отвечала нуждам обширной иудейской колонии в Александрии. Аристей говорит лишь о переводе Закона. Позднее были переведены и остальные книги Ветхого Завета. Вся работа была закончена к середине II века (как это видно из предисловия к Сир).

Септуагинта сохранилась в нескольких версиях. Критическое ее издание осуществлено Альфредом Ралфсом (1935). Перевод имеет следующие особенности:

- Септуагинта написана на общеупотребительном в то время греческом диалекте — койн`е.
- Синтаксис ее отмечен гебраизмами (т.е. влиянием еврейского оригинала).
- В рукописях перевода св. Имя Божие обозначалось еврейскими буквами.
- Еврейские имена и названия переданы в греческой транскрипции, сильно отличающейся от еврейской (примеры: Моше — Моисей; Шмуэль — Самуил; Аталия — Гофолия; Омри — Амврий; Бет-лехем — Вифлеем; Беершева — Вирсавия).
- Перевод сделан с оригинала, отличающегося от масоретского текста. Исследование Кумранских рукописей показало, что в Ветхом Завете существовало несколько рукописных традиций, одной из них и воспользовались переводчики 70-ти. Это установил еще Ориген, который пользовался еврейским текстом, вполне совпадающим с масоретским.
- Некоторые места перевода носят следы интерпретации, вызванной условиями, в которых Септуагинта создавалась. Например: 1) он смягчает некоторые восточные антропоморфизмы Ветхого Завета; 2) фраза אֱלֹהִים לֹא תֵאֱמָר «Элохим ло текалель» («Бога не поноси», Исх 22:28), переданная как «богов не поноси», призывает тем самым к религиозной терпимости в отношении к окружающим язычникам \*.

Септуагинта отличалась по своему составу от палестинского собрания ветхозаветных книг. В нее входили и книги неканонические. Перевод 70-ти стал общепринятым в христианской Церкви. Его цитируют апостолы, евангелисты и Св. Отцы. В связи с этим иудеи предприняли собственные переводы (5, 1982).

Грузинские [переводы](#). Христианизация Грузии началась в 4 в. Некоторые исследователи полагают, что тогда же на грузинский язык были переведены книги Священного Писания (прежде всего [Евангелие](#)) Однако сохранившиеся [рукописи](#) относятся к более позднему времени (7-9 вв.). Из них можно сделать вывод, что переводчики имели в своем распоряжении арм. версию. Насчитывают 5 различных грузинских пер. [Евангелия](#) этого периода. В 10 в. появился [новый](#) перевод, сделанный афонским монахом Евфимием; в 11 в. он был переработан Георгием Агиоритом и послужил основой для всех последующих рукописных и печатных изд. НЗ. В печати [грузинский](#) перевод Библии появился в Москве (1723, 1843) и в Петербурге (в изд. Росс. библ. [общества](#), 1816, 1818). В наст. [время](#) Патриархат Грузинской Правосл. Церкви работает над подготовкой пер. Библии на совр. [грузинский](#) язык (6, 1982).

**Библейским именем** называются личные имена, которые упоминаются в Библии и потому в дальнейшем стали именами различных христианских и мусульманских народов. Обычно, но не всегда, это еврейские имена. Когда речь идет о Ветхом Завете, то все имена, которые там встречаются, — это еврейские имена. Когда же речь заходит о Новом Завете, то имена там встречаются, как правило, греческие. Иногда один и тот же человек имеет и еврейское, и греческое (или латинское) имя. Это обстоятельство ярко иллюстрируют имена апостолов (учеников Христа). С одной стороны, здесь имеются еврейские имена Иуда, Яков (Яковами звали двух апостолов — Яков Алфеев и Яков Старший (или Зеведеев), брат Иоанна Богослова), Симон. С другой стороны, здесь имеются и греческие имена — Петр (его еврейское имя Симон) и его брат Андрей, Фома (неверующий), Павел (его еврейское имя Саул), Фадей, Филипп (это греческое имя, так звали отца Александра Македонского), Варфоломей... Это объясняется следующими обстоятельствами. В описываемое в Новом Завете время (первые десятилетия новой эры) Иудея была римской провинцией (9).

[Иеромонах Иов \(Гумеров\)](#) полагает, что: «Принятое у нас произношение имен не только пророков, но и других библейских лиц, действительно, отличается от еврейского произношения. Однако речь идет не о переводе имени, а о неизбежном проявлении фонетических особенностей того или другого языка. Славянское и русское произношение соответствует греческому звучанию. Эта форма имен появилась вместе с переводом священных ветхозаветных текстов на греческий язык в 3-м веке до Р.Х. Разница порой существенна, но речь все же идет об одних и тех же именах: Моше – Моисей, Йехошуа – Иисус, Нун – Навин, Ахарон – Аарон, Аврахам – Авраам, Илийяху – Илия, Хабакук – Аввакум, Йосеф – Иосиф, Шеломо – Соломон, Иоханан – Иоанн, Хавва – Ева, Ханна – Анна, Рут – Руфь, Сарай – Сара, Шаул – Саул, Елиша – Елисей, Малкицедек – Мелхиседек, Ноах – Ной, Эстер – Есфирь, Шошана – Сусанна, Рахел – Рахиль, Леа – Лия и др.

Когда библейские имена были восприняты арабами, они неизбежно приобрели иное звучание в соответствии с характером их языка: Нух – Ной, Ибраг(х)им – Авраам, Якуб – Иаков, Гарун – Аарон, Даут – Давид, Сулейман – Соломон, Муса – Моисей, Ильяс – Илия, Аль-Яса – Елисей, Юнус – Иона, Яхья – Иоанн. Шамиль – арабское произношение еврейского имени Шемуэль (Самуил)» (10).

Матусевич противопоставляет транскрипцию и транслитерацию: «В противоположность транскрипции, предназначенной для максимально точной передачи звуков языка, транслитерация, как это показывает сам термин (лат. *litera* — буква), касается письменной формы языка: текст, написанный на том или ином алфавите, передается алфавитом другой какой-либо системы. При этом обычно принимается во внимание только соответствие букв двух алфавитов, а звуки, скрывающиеся за ними, не учитываются. Транслитерация применяется преимущественно по отношению к мёртвым языкам, как санскрит, древнеперсидский и др. Кроме того, часто транслитерируют тексты живых языков, пользующихся малоизвестным или трудным алфавитом, как, например, арабский и др. При транслитерации живых языков обычно идут по пути компромисса, так как в какой-то мере необходимо учитывать и звуковой момент, чтобы не чересчур отрывать слово от его живой звучащей формы; иначе говоря, транслитерируется не алфавит, а принятая в данном языке система графики. Так, например, французская фамилия *Daudet* транслитерируется по-русски Додэ (или Доде), то есть учитывается, что [сочетание] *au* по-французски обозначает *o*, а конечное *t* не произносится. В чистой транслитерации пришлось бы эту фамилию писать Даудэт (или Даудет), что едва ли было бы рационально, так как слишком оторвало бы ее в звуковом отношении от оригинала (4, 106).

В статье «Библейский перевод: имена и заимствования» Андрей Десницкий раскрывает новые нюансы практики библейского перевода. В данной статье внимание автора обращено к вопросам перевода имен собственных. Отдельно освещается проблема осуществления заимствований и применения правил транслитерации.

[Десницкий](#) придерживается точки зрения о том, что заимствование имен собственных или других слов предполагает необходимость транслитерации.

«Все языки различаются меж собой по звучанию, орфография во всех языках до некоторой степени условна и не передает всех тонкостей устной речи, да к тому же нередко разные носители языка прочитывают одно и то же сочетание букв неодинаково. Поэтому одно и то же слово оригинала обычно бывает возможно транслитерировать в ЯП по-разному.

В любом случае необходимо добиться некоторых четких и ясных принципов транслитерации. Общих рецептов нет и здесь, но можно перечислить некоторые типичные точки выбора (1).

Десницкий предлагает переводчикам принципы транслитерации и некоторые типичные точки выбора:

Во-первых, какой язык брать в качестве основы для транслитерации?

Во-вторых, в какой степени имена собственные адаптируются к фонетике ЯП?

В-третьих, будут ли при транслитерации сохраняться греческие окончания?

В-четвертых, будут ли, наоборот, добавлены морфемы?

Ермолович сравнивает и сопоставляет как преимущества, так и недостатки транслитерации: «О транслитерации говорят тогда, когда языки пользуются различными графическими системами (например, английский, русский, греческий, армянский, грузинский), но буквы (или графические единицы) этих языков можно поставить в какое-то соответствие друг другу, и согласно этим соответствиям происходит межъязыковая передача ИС. Поскольку, например, латиница, греческий алфавит и кириллица имеют общую основу, то большинство

букв этих двух алфавитов могут быть поставлены в соответствие друг другу с учётом тех звуков, которые они регулярно обозначают.

Транслитерация имеет как преимущества, так и недостатки. Преимущества очевидны - письменный вариант имени не искажается, его носитель имеет универсальную, независимую от языка идентификацию (2, 10). При транслитерации в ещё большей степени, чем при прямом переносе, заимствующий язык навязывает имени произношение по собственным правилам.

При передаче ИС на другом языке следует руководствоваться целым рядом принципов, но эти принципы не могут быть соблюдены все сразу и в равной мере. Поэтому переводчику следует в каждом конкретном случае выстраивать систему приоритетов. Д. И. Ермолович, примерно излагает стратегию передачи ИС при переводе с английского языка на русский. При переводе текстов, так или иначе связанных с древними, в том числе библейскими именами, недопустимо исказить сложившуюся традицию. Поэтому переводчику обязательно следует иметь тексты Священного Писания на тех языках, с которыми он работает, и передавать такие имена в точности по ним, то есть пользоваться методом транспозиции (2, 76).

Д. И. Ермолович приходит к выводу, что библейские имена собственные нужно переводить методом транспозиции.

Принцип транспозиции используется и в русско-английских соответствиях, однако уже в особых случаях, и касается он, прежде всего исторических и библейских имён, а также имён монархов (2, 24-25).

Кроме транскрипции и транслитерации, в практике заимствования и передачи имён наблюдается ещё один довольно слабо изученный принцип — принцип этимологического соответствия, или транспозиции. Транспозиция заключается в том, что ИС в разных языках, которые различаются по форме, но имеют общее лингвистическое происхождение, используются для передачи друг друга. В одних случаях транспозиция применяется регулярно, в других — эпизодически (2, 23).

Как отмечалось выше, эпоха принятия христианства тем или иным народом сильно повлияло на характер перевода. В частности, на лексику и на синтаксис перевода. Некоторые считают, что русские переводчики неправильно перевели библейские имена, т.е. исказили их. Это не так. Русские перевели имена так, как в ту эпоху произносили византийцы, т.е. греки. Грузия (по терминологии той эпохи) Иверия на 400 лет раньше стала христианской, чем Русь. Это сказалось на лексике и фонетике переводов. Так, в разных звучаниях заимствованы личные библейские имена – то есть так, как их произносили сами греки. *Марта – Марфа, Оидинос – Эдин, Григол – Григорий* и др. Что-то подобное видим и в одном из раннехристианских языков – армянском. Притом эти древнехристианские языки (грузинский и армянский) в эпоху принятия христианства находились под длительным влиянием восточной культуры и религий и к приходу христианства их языки не были готовы к приему новых идей и новой лексики. Этим следует объяснить то обстоятельство, что переводы библейских книг часто подправлялись, уточнялись и решительно заменялись новыми переводами.

#### Reference:

1. Desnickij A. S., Biblejskij perevod: imena i zaimstvovanija, M., 2012.
2. Ermolovich D. I., Imena sobstvennye na styke jazykov i kul'tur, M., 2001.
3. Zaimstvovanie i peredacha imjon sobstvennyh s točki zrenija lingvistiki i teorii perevoda, M., 2001.
4. Matusevich M. I., Vvedenie v obshhuju fonetiku. M., 1941. S. 106.
5. Men' A., Isagogika. TEKSTY, PEREVODY I IZDANIJA BIBLIJ, Zagorsk. 1982.
6. Men' A., Bibliologičeskij slovar' v treh tomah, M: Fond imeni prot. Aleksandra Menja, 2002.
8. Po materialam: <http://www.hristianstvo.ru/heritage/bible/>
9. Po materialam: <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/41398>
10. Po materialam: <http://www.pravoslavie.ru/answers/>

1005

Manana Shelia

მანანა შელია

Doctor of Education, Associate Professor,

განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Sokhumi State University

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### Homonymous Suffixes in Modern English

#### ომონიმური სუფიქსები თანამედროვე ინგლისურ ენაში

**რეზიუმე:** ენა ასახავს ცხოვრების რეალიებს, საგნებსა და მოვლენებს, მათ აღსანიშნად აწარმოებს შესატყვის ენობრივ ფორმებს. სიტყვა როგორც დაკვირვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, ენის მრავალმხრივი ერთეულია. სიტყვის პრობლემა ენათმეცნიერებაში გადიოდა განვითარების სხვადასხვა სტადიას, ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი დაკავშირებულია არა მარტო ენათმეცნიერების საერთო პრობლემებთან, არამედ, ისეთ მეცნიერებებთან, როგორცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია და ისტორია. ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ინგლისური დერივაციული სიტყვების განხილვა, კერძოდ, როგორც პროდუქტიული, ასევე არაპროდუქტიული მრავალფუნქციური ომონიმური სუფიქსების და მათი თავისებურებების აღწერა, ანალიზი ინგლისური ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში, რომელიც აქტიურად ავსებდა და ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს ახალი ლექსიკური ერთეულებით.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სიტყვათწარმოებელი მოდელები, კერძოდ კი აფიქსები, როგორც ინგლისური, ასევე ნასესხები, გამოირჩევიან გარკვეული ფორმითა და სემანტიკური თვისებებით და აქტიურად მონაწილეობენ ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოშობის პროცესში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ინგლისურ ომონიმურ სუფიქსებზე შედგენილი სავარჯიშოები. მოცემული პრობლემა ძალზე აქტუალური და საინტერესოა თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვათწარმოებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ლინგვისტიკა, სიტყვათწარმოება, ომონიმური სუფიქსები, წარმოებული სიტყვები.

**Abstract.** English vocabulary is complex related to form, meaning and use of words. The words in each language have specific properties. All formation of words is a process of composition. A study of word formation is a subject of constant interest of linguists. One of the peculiarities of word formation is the problem of English homonymous suffixes. The present paper deals with some features of English homonymous suffixes. The given research makes an attempt to investigate origin, change, function, productivity of English homonymous suffixes with use of testing exercises. The derived words with homonymous suffixes in most cases belong to the different parts of speech determined by a context. The given problem is one of the important and actual in Modern English word formation system.

**Key words:** linguistics, word-formation, homonymous suffixes, derived words.

### Homonymous Suffixes in Modern English

The human perception of the world is recorded and shown in language. Language reflects our reality and interprets it, creating the reality in which we live.

Language is an immensely democratizing institution. To have learned a language is immediately to have rights in it. You may add to it, modify it, play with it, create in it, and ignore bits of it, as you will. (Crystal, 2003:17)

The well-known Georgian linguist Arnold Chikobava states that language is a social phenomenon, it is a way of communicating sharing thoughts and mutual understanding in a collective of people. The fate of the language is related to society's fate. (ჩიქობავა, 2008: 10)

English, as the global language, is an important phenomenon. As is known the knowledge of English today is absolutely necessary for every educated man, for every good specialist. It is finally accepted as the universal language of the world and stands today as the common means of communication among members of different countries, cultures and communities.

The words in each language have specific properties. A study and analysis of words cannot be done without the consideration of various features and linguistic theories.

The word is one of the basic units of language. Each word exhibits different forms, nature, elements and meanings. As is known the word is a unit of speech which serves the purposes of human communication. According to L. Lyons the word is ambiguous, both everyday usage and also as it is employed technically by linguists. Words may be considered purely as forms, whether spoken or written, or, alternatively, as composite expressions, which combine form and meanings. (J. Lyons, 1995:46)

The vocabulary of language is enriched by word-formation being a system of derivative types of words and the process of creating structural and semantic formulas and patterns on which the English language builds new words. It should be noted that derivation of any language is characterized by certain peculiarities and the English language derived words are not exception.

While studying word-formation, privately derived words of the English language we are faced with a number of peculiarities. A study of derivative words is a subject of constant interest of linguists.

Affixation has been one of the most productive ways of word-building throughout the history of English. The whole lexical fund of the language is conveyed with several hundreds of sounds; new words are formed by a combination of several hundred stems and affixes. The meanings of active affixes develop lexical fund of the language.

It should be noted that in Modern English there are affixes descending from various languages. They originally came from Latin, Greek, Old English, French and Greek. An affix is any element in the morphological structure of a word other than root. (Oxford Concise Dictionary of Linguistics, 2011: 11)

ნამყო დროის მიმღეობა სუფიქსიანის გარდა არის ასევე ნა- პრეფიქსიანიც. უზმნისწინო ფორმებისათვის უმეტესად ამგვარი წარმოება დამახასიათებელი: ნაბეჭდი, ნაწერი, ნაკეთები... ზმნისწინიანისთვის კი როგორც ოდენპრეფიქსული, ისე ოდენსუფიქსური: დანაბეჭდი – დაბეჭდილი, განაკეთები – გაკეთებული... ამასთანავე დაკავშირებული, რომ ის ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ იხმარება, ვნებითი გვარის მიმღეობას უმეტესად თავსართით აწარმოებენ: იყიდა – ნაყიდი, იკისრა – ნაკისრი...

მიუხედავად წარსულდროიანი მიმღეობის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების დისტრიბუციისა, მონაცვლეობა მათ შორის მაინც ხდება და შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. კერძოდ, ნა- პრეფიქსიანი და -ილ სუფიქსიანი წარმოება ენაცვლება ერთმანეთს, თუ მიმღეობა ნაწარმოებია ფუძედრეკავდი, ასევე -ი, -ობ, -ოფ თემისნიშნიანი ზმნებისაგან: დანაგრები – დაგრებილი, განაწმენდი – გაწმენდილი, მონაცვეთი – მოცვეთილი, განაპობი – გაპობილი, განაყოფი – გაყოფილი და ა.შ. ხოლო ნა- პრეფიქსისა და -ულ სუფიქსის მონაცვლეობა ხდება მაშინ, როცა მიმღეობა ნაწარმოებია -ავ, -ებ, -ამ, -ევ თემისნიშნიან ზმნათაგან: მონაკლავი – მოკლული, განაკეთები – გაკეთებული, ჩანაცვამი – ჩაცმული, განათევი – გათეული...

მიმღეობის მაწარმოებელ საშუალებათა სიმრავლე და მათი მონაცვლეობა გარკვეულწილად ამოსავალი ფუძეების სხვადასხვაობასთანაც არის კავშირში. გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით განსხვავება -ილ/-ულ სუფიქსითა და ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობების უმეტეს ნაწილში არ არსებობს, თუმცა, ზოგჯერ მნიშვნელობები იდენტური არაა და მონაცვლეობაც ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგ.: დაკარგული – რაც დაკარგეს ან დაიკარგა, ვინც დაიკარგა (1, ტ. III, 449);

დანაკარგი – 1. რაც ან ვინც დაკარგეს ან დაიკარგა, 2. უყარათობის შედეგად გაჩენილი უსარგებლო ნარჩენები, (იქვე). მეორე მნიშვნელობით ვერ გამოვიყენებთ სუფიქსიან ფორმას. ითქმის: მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა და არა - დაკარგული განიცადა.

ასევე: ჩაწერილი – ვინც ან რაც ჩაწერეს ან ჩაეწერა რაიმეში, ჩარიცხული (1. ტ. VIII, 454);

ჩანაწერი – 1.რაც ჩაწერეს, ჩაიწერა. 2.ჩაწერილი რამ. მეცნიერული ჩანაწერი (იქვე, 317).

ზოგ შემთხვევაში ნა- პრეფიქსიანი უზმნისწინო მიმღეობები სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს, შესაძლოა იმიტომ, რომ პრევერბის დაურთველობის გამო სუბსტანტივდებიან: ჩაცმული – ნაცვამი, გატეხილი – ნატეხი...

მყოფადი დროის მიმღეობა აღნიშნავს ობიექტს, რომელიც უშუალოდ მოქმედების საგანს წარმოადგენს, ასევე იარაღს, რითაც მოქმედება წარმოებს, ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მითითება ხდებოდეს მოქმედების ადგილზეც. ამგვარ მიმღეობათა მაწარმოებელია სა-, სა-ელ აფიქსები: გასაყოფი – გასაყოფელი, სათარგმნი – სათარგმნელი, გასაყიდი – გასაყიდელი... ამგვარი ფორმობრივი პარალელიზმი სემანტიკურ სხვაობას არ იძლევა. ზოგ მყოფადი დროის მიმღეობას ახასიათებს მხოლოდ ერთი სახის წარმოება: მისატანი, მოსაგლეჯი, მოსაცემი... შდრ.: მისანიჭებელი, გადასამუშავებელი, დასამოწმებელი...

ამრიგად, მეტი წილი პარალელური მიმღეობებისა წარმოშობილია მონაცვლეობით: სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებელ მ-ელ//მა-ელ, მ-//მ-ელ აფიქსთა შორის; საობიექტო მიმღეობის ოდენპრეფიქსულსა და ოდენსუფიქსურ წარმოებას შორის; მყოფადი დროის მიმღეობათა პრეფიქსულსა და პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას შორის; ერთმანეთს ენაცვლება -ილ და -ულ სუფიქსიანი ფორმები. მიმღეობათა პარალელური ფორმების არსებობას სხვა მიზეზებიც

განაპირობებს, იქნება ეს როგორც უზმნისწინო და ზმნისწინიან, ისე განსხვავებულ ზმნისწინიან ფორმათა მიმართება, ამოსავალი ფუძეების სხვადასხვაობა (I და II სერია), ფონეტიკური ფაქტორი, ქრონოლოგიური მიმართება ამ ფორმებს შორის, ან როცა მიმღეობებიდან ერთ-ერთი დიალექტური ფორმაა. განსაკუთრებით უწყობს ხელს პარალელური მიმღეობების წარმოშობას პოეზია, რადგან ლექსი თავისებურ ბგერითსა და აზრობრივ თანმიმდევრობას მოითხოვს, მარცვალთა რაოდენობა მასში ყოველთვის გარკვეული ზომითაა განსაზღვრული. პოეტები იყენებენ ენის შესაძლებლობას და გვთავაზობენ პარალელურ ფორმათა შემოკლებულ თუ ვრცელ ვარიანტებს. ამგვარი დაპირისპირება მოხსნილია, როცა ეს ფორმები მარცვალთა რაოდენობით ერთგვაროვანია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

##### References:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას რედაქციით), ტ. I, 1950. ტ.VIII, 1964, თბილისი. Explanatory Dictionary of Georgian Language (by Arn. Chikobava), T.1, 1950 - T.VIII, 1964, Tbilisi.
2. შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973. Shanidze, A. The Grammar of Georgian Language, TSU Publishing, Tbilisi, 1973.
3. Арабули, А. И. К истории образования объектного причастия прошедшего времени в грузинском языке, Икес Цели Цдеули, XIV, Тбилиси, 1987. Arabuly, A. To the history of education of the object participle of the past tense in the Georgian language, Ike's Tselicdeuli, XIV, 1987, Tbilisi. Arabuli A.I. K istorii obrazovania prichastia proshedshego vremeni v gruzinskoy yazike. Tbilisi, 1987
4. Джорбенадзе, Б. К вопросу о дистрибуции суффиксов -il и -ul в объектных причастиях прошедшего времени в грузинском языке, XIV, Икес Цели Цдеули, Тбилиси, 1985. Jorbenadze, B. 1985, Jorbenadze B. K. On the distribution of the suffixes -il and -ul in the objective past participles in the Georgian language, Ike's Tselicdeuli, XII, Tbilisi.

1005

დალი ბეთხოშვილი

Dali Betkhashvili

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Doctor of Philology, Associated Professor

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Samtskhe-Javakheti State University

#### მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის „ანბანთ-ქება“

“Alphabet of Praise” by King-poet Teimuraz I

**რეზიუმე:** წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის ლექსი „ანბანთ-ქება“, რომელიც საინტერესოა თავისი ღრმა სათქმელით. მასში ავტორი საუბრობს ადამიანის ხვედრის შესახებ წუთისოფელში, წუთისოფლის თანამდევ ცოდვით დაცემის პრობლემაზე და ეს მტკივნეული საკითხები სულიერ სამოსელშია გახვეული, მისით გადაწყვეტილი, რაშიც მას თანაშეეწევა სამების, წმინდანთა, მთელი რიგი ბიბლიურ პერსონაჟთა მოხსენიება. დასახელებულ ლექსში ჩანს მეფე-პოეტის საღვთო სიბრძნით განსწავლულობა, შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რაც განსხვავებული მხატვრული შეფერადებითაა გამორჩეული, განსხვავებულ შინაარსსა და ფორმაში განსახოვნებული. ლექსით „ანბანთ-ქება“ თეიმურაზ პირველმა ადამიანს კიდევ ერთხელ შეახსენა და დაანახა სულიერისა და მიწიერის გაუთიშავი ერთიანობა, რადგან ადამიანის ამქვეყნიური არსებობა ღვთაებისაგან დაშორებით შეუძლებელია, ამიტომ მისი ცხოვრების მიზანი კვლავ ღმერთისაკენ სწრაფვა უნდა იყოს და ეს მისია შეასრულა თეიმურაზ პირველის სულიერებით ნაზავმა მხატვრულმა სიტყვამ.

**საკვანძო სიტყვები:** თეიმურაზ პირველი, ანბანთ-ქება, საღვთო სიბრძნე, წუთისოფელი, ცოდვა.

**Abstract:** The present paper analyzes King-poet Teimuraz I's "Alphabet of Praise" which is interesting with its deep content. The author speaks about the fate of humanity on earth, the problem of falling into sin. These painful issues are wrapped in a spiritual garment and they will be helped and encouraged by the Trinity, Saints and the Biblical characters. The poem reveals the king-poet's education full of holy spiritual wisdom, his creative individuality that is distinguished by the artistic style and shape embodiment. In poetry "Alphabet of Praise" Teimuraz I reminded once more spiritual and earthly uninterrupted unity, as separation of existence a human being with the deity is impossible. Therefore, the purpose of his life still should be the desire to be God and this is the mission of the Teimuraz I's Spirit. The thinks that human's main goal should be aspiration to God, This mission carried out Teimuraz I's artistic word mixed with spirituality.

**Key words:** Teimuraz I, Alphabet of Praise, holy spiritual wisdom, the world, Sin.

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის შემოქმედება საერო მწერლობის ჟანრის კუთვნილებად არის მიჩნეული, მაგრამ კარგად გააზრებისას დავინახავთ, რომ მისი პოეზიის ნიმუშები ამქვეყნიური ცხოვრების თანამდევ საკითხებთან ერთად სასულიერო შინაარსს ითავსებს, ყოველ მიწიერ პრობლემას სულიერ ჭრილში განიხილავს შემოქმედი, საღვთისმეტყველო არსს, სიბრძნეს მოიცავს, ის ამქვეყნიური საკითხები, რომლებიც მის შემოქმედებაში არის წამოჭრილი; ყოველ ამქვეყნიურ მტკივნეულ საკითხს მეფე-პოეტი სულიერ ჭრილში განიხილავს და მხოლოდ ასე ესახება წუთისოფლის პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა. საანალიზო ლექსის ყოველ სტრიქონშიც საკითხი ამდაგვარად არის გაშლილი, ამქვეყნიურ სატანჯველს სულიერებით მოსავს და ასე განიხილავს შემოქმედი; ამ ლექსში ავტორს წინა პლანზე მოხსენიებული ჰყავს სულიერი დოგმატები: მამა ღმერთი, ძე-ღმერთი, სულიწმინდა, ღვთისმშობელი და სხვ. უამრავი ბიბლიური სახე არის წარმოდგენილი, შემდეგ ადგილ-ადგილ იმ მტკივნეულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ახლავს ადამიანის ცხოვრებას ამ წუთისოფელში და ცოდვითმოსილი ადამიანი როგორ ეძებს შემსუბუქების გზებს; ეს განცდა კვებავს მთელ მის შემოქმედებას, რომელშიც მეფე-პოეტმა ჩადო არა მარტო პირადი მწუხარება, არამედ მთელი ქვეყნის, მთელი ერის მტკივნეული პრობლემებით გამოწვეული განცდები, რასაც ვერ გაექცევა ადამიანი ამქვეყნად ცხოვრების სივრცეში, საიდანაც თავის დაღწევის გზა ისახება ცოდვის განრიდების და ღმერთის რწმენის დამკვიდრებით, რომელიც არის ერთი მთავარი ღირებულება ამქვეყნიურ სივრცეში არსებობისას.

თეიმურაზ პირველის შემოქმედება სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელ აგების პრინციპს ემყარება და ნაწარმოების ექსპოზიციამში, ტექსტის ძირითად ნაწილშიც და დასასრულს სამებას მოიხსენიებს. მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის საღვთისმეტყველო სიბრძნით განსწავლულობაზე, ბიბლიის, ქრისტიანული რწმენის სიღრმესა და ბიბლიურ პერსონაჟთა ცოდნაზე მეტყველებს მისი ლირიკული ლექსი „ანბანთ-ქება“, რომელიც არანაკლებად მნიშვნელოვანია თავისი სათქმელით, სადაც ჩანს მეფე-პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რაც განსხვავებული მხატვრული შეფერადებითაა გამორჩეული, განსხვავებულ შინაარსსა და ფორმაში განსახილველი.

აკადემიკოს ალ. ბარამიძის თვალსაზრისით, „ღორძინების პერიოდიდან თეიმურაზი პირველად სარგებლობს აგრეთვე წვრილი ლექსების ჟანრით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თეიმურაზმა საკმაოდ გაამდიდრა ქართული ფეოდალური მწერლობის არე და მოცულობა. მან პირველმა შექმნა ნაირი ლიტერატურული ჟანრის კულტი, პირველმა შეარყია ტრადიციული თემატიკა და მწერლობის შემდგომ განვითარებას ფართო ასპარეზი გადაუშალა“ (1, 218). აქვე მკვლევარი შენიშვნაში აღნიშნავს: „...“ანბანთ-ქება“ ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია და რომლითაც გატაცებული იყო თეიმურაზი და მათთან ერთად მთელი მომდევნო ფეოდალური ქართული მწერლობა“ (1, 218). ჩემი მხრიდან შევნიშნავ, რომ ნაკლებ მხატვრულობა სრულიად არ უშლის ხელს მეფე-პოეტს თავისი სატკივარი გადმოსცეს და ასე მიაწოდოს მკითხველს; ზედმეტი შეფერადების მიღმა უფრო ჩანს შემოქმედის მიზანდასახულობა, ადამიანის ხვედრის პრობლემა, მისი მისია ამქვეყნად რითი უნდა უნდა იყოს გაჯერებული და რომელი გზაა უკეთესი ამქვეყნადაც და სამომავლო არსებობის დასამკვიდრებლადაც.

დასახელებულ ლექსში მრავალი პრობლემაა ერთად მოაზრებული: ავტორი იხსენიებს ბიბლიურ პერსონაჟებს, წმინდანებს, საუბრობს ცოდვით დაცემის პრობლემაზე, რომელთანაც დაკავშირებულია და აქ განხილულია მარადიული პრობლემა – წუთისოფლის საკითხი, ღვთისმშობლის მხატვრული სახის განსაკუთრებულობა და სხვ. ამავე დროს, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლექსის სტრუქტურა: აღნაგობა – ფორმა, ლექსის საზომი და ა. შ. ეს განსხვავებულობა და სხვადასხვა საკითხები მეფე-პოეტის მიერ თავებად არის დაყოფილი, მაგრამ ერთ ხაზზე, გაუთიშავად ერთიან ჭრილშია გააზრებული და გადაწყვეტილი; ამ მრავალფეროვნებით ლექსს არც ერთიანი შინაარსი ერღვევა და არც ფორმა ღარიბი, პირიქით, ავტორი ამგვარად ახერხებს უკეთ შეარწყას ერთმანეთს და სათქმელს მეტი მიმზიდველობა და ღრმა შინაარსი მიანიჭოს.

ზემოთ აღნიშნულ მრავალ საკითხთაგან, რომელიც ამ ლექსში დასტურდება, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ წუთისოფლის პრობლემაზე, რითაც გაჟღერებულია მთელი მისი შემოქმედება, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ნიმუშები.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, თეიმურაზ პირველის მწარე განცდა, წუთისოფლის მძიმე ხვედრით მოწვევული, შვებას პოულობს ბიბლიურ პერსონაჟთა და წმინდანთა მოხსენიებაში, ფაქტობრივად, მთელი საღვთო სიბრძნე აქვს გაცოცხლებული, რითაც იმსუბუქებს მდგომარეობას, იხანგრძლივებს და იძლიერებს წუთისოფლის მძიმე ხვედრს. საღვთო სწავლების გაცოცხლებით იპოვება გზა ამქვეყნადვე სულიერი წიაღისაკენ მისასვლელი; თეიმურაზ პირველი ღრმად სწვდება თითოეული ბიბლიური პერსონაჟის, წმინდანის სულიერ მისიას, რასაც წუთისოფლის გასაძლელად იყენებს გვერდით და უნელდება მძიმე გასაჭირი ამსოფლიური; სულიერ „სიკეთეს“ ამქვეყნიურ გარემოში ათავსებს, რათა სულიერი სისასვე მოჭვინოს ტანჯვით აღსასვე და წარმავალ წუთისოფელს, რომელშიც არეკლილია საკუთარი და მისი დროის მძიმე გულისტკივილი.

მ. გუგუშვილის თქმით, „თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი თემაა სოფლის სიმუხთლის, წუთისოფლის მდურვის თემა. თეიმურაზი ერთი პირველთაგანია აღორძინების ხანის პოეზიაში, რომელმაც თამამად გამოთქვა, როგორც წუთისოფლის სიმუხთლისა და გაუტანლობის სამდურავი, ისე პირადი მწუხარება ბედისწერის ცვალებადობისა და სისასტიკის გამო. აღორძინების ხანაში სოფლის მდურვის გამოხატვას ჰქონდა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები“ (4, 203).

სოფლის მდურვის გამოხატვა იყო „სულიერი მიდრეკილება მთელი ეპოქისა, რომელსაც ვერ უპოვია სინათლისა და ოპტიმიზმის ნათელი სარკმელი“, – წერს ს. ცაიშვილი (3, 1966).

საღვთო სიბრძნის დაუფლებით მეფე-პოეტი უფრო უღრმავდება საკუთარ სულიერ სამყაროს და ამით მეტად ცდილობს წუთისოფლის სიავეარგეში გარკვევას, წუთისოფელი, რომელსაც მწარე ძირები ჰქონდა და თავის დაღს ასვამდა პოეტის სულიერ წიაღს:

„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე,

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე:

დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?!“ (1,81, 1-4), –

გულისტკივილით აცხადებს მეფე-პოეტი თავის პოემაში „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, და ეს ტანჯვა, სატკივარის მწარე განცდა განფენილია „ანბანთ-ქებაშიც“, სადაც ცოდვების შესამსუბუქებლად ბიბლიურ პერსონაჟებს, წმინდანებს მიმართავს:

„ბევრნი არიან წმინდანი, ყველას ხსენება მწადიან“ (1, 145).

ბევრი წმინდანის ჩამოთვლის შემდეგ თეიმურაზ პირველი წერს:

„უხორცოთ ძალთა მთავარი გაბრიელ, მერმე მიქია,

უსხეულოთა კრებული ყველანი ერთად მიქია,

ურიელ მწედ მყავს მათთანა, სატანა გამიქიქია,

და, ურჯელად სულნი წამგვარონ, ოდეს მიჰყვანდე იქია“ (1, 147).

ცოდვით მოსილ მეფე-პოეტს („ოდიდგან ცოდვით მოსილი...“, აცხადებს თეიმურაზ პირველი თავის უკვდავ პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“) წმინდანები თანაშეწევნიან ცოდვების შემსუბუქებაში, ეს სურვილი, ვედრება, უმეტეს შემთხვევაში, ყოველი სტროფის მე-4 სტრიქონშია გაცხადებული; დავიმოწმებ მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს:

და „ამათსა მეოხებასა, სულო, მე ვიცი რომ ელი“ (1, 141);  
და „გუნდი მარტვილთა მეწევის, ვედრივარ წმინდას სტაქოსა“ (1, 145);  
და „მაკარი მიხსნის უთუოდ, საწადელს აღმისრულებსა“ (1, 146)“  
და „ონოფრე მათთან მეშველ მყავს, მე ცოდვა დამეფარაო“ (1, 146);  
და „სასოება გაქვს თუ მათი, სულო, არ დაიწვიო და“ (1, 147);  
და „ჩემნი ცოდვანი შემინდონ, დამწყვიტონ ცრემლთა დენი მე“ (1, 148);

...  
„ცათაგან დაუტევნელი სვიმონ მკლავითა იტია,  
ცხრა დასმან ანგელოზთ გუნდმან ეშმაკი არ მომიტია,  
ცრემლნი შემაშრონ, სამოთხეს მეც მაქნევიონ ჯიტია,  
და, ცხოვარმან მარჯვნით ალაგსა კრებულმან მეცა მიტია“ (1, 148);

...  
„ჭურსა რჩეულსა ნათელ ეც \_ რქვა მხსნელმან ანანიაო,  
ჭემმარიტება ასწავა, მას ცოდვა ანანიაო,  
ჭირთაგან მიხსნა ევსტრატიმ, მოყვსითურთ ჩემი მწეაო,  
და, ჭმუნვა მით დამხსნან, მიჩვენონ სამოთხის კარი ღიაო“ (1, 148);  
და „ხემან სვეტმან კვართისამან განმინათლოს გული ბნელი“ (1, 149).

მეფე-პოეტი ცოდვებისაგან გათავისუფლებას, წუთისოფლის მიმე ხვედრის შემსუბუქებაში დახმარებისათვის მარად ევედრება ღმერთს, რომელიც არის უპირველესი სახიერება და მხოლოდ მას შესწევს ადამიანთა ხსნა; არსებით ერთი ღმერთისადმი მიმართვა ხშირია, შემოქმედი აღნიშნავს ღმერთის განგებას, მის ძალას და შესთხოვს ხსნას:

„ალახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,  
აერსა ზედან საყდართა დიდებით დამკვიდრებულო,  
არსებით ერთო, ბუნებით, პირებით \_ სამ რიცხვებულო,  
და ადამიანთა ხსნისათვის განგებით მოვლინებულო“ (1, 149).

ღვთისმოსავი მეფე-პოეტი მიიჩნევს, რომ ადამიანს არ ძალუცს ღვთაებრივი განგების შეცნობა, კაცობრივი გონება ვერ შეიცნობს იმას, რაც ღვთაებრივი ნებით ხდება და არის განსაზღვრული:

„ვით ძალუც კაცსა მტკავლითა ცისა გაზომა სრულებით?  
ვირემდის იქნას პეშვითა ზღვის ანგარიში წყულებით?  
ვინძი ასწონოს სასწორით მთა, ბორცვი დაჭრას ცულებით?  
და ვინ ცნა გონება უფლისა? ვინ თან ეზრახა თქმულებით?“ (1, 150).

მეფე-პოეტს ცოდვითმოსილება არასოდეს ავიწყდება, წუთისოფელში ყველა ცოდვის მატარებელია, მაგრამ პოეტს მიაჩნია, რომ მეფე მეტად აღსავსეა ცოდვებით, რაშიც იგულისხმება არა მარტო პირადი, არამედ მთელი ერის ჭირ-ვარამი, რომელსაც მეფე-პოეტი ტვირთულობს; ამ მიმე ჯვრის მატარებლად იქცევა შემოქმედი, რომელიც თავისი ქმედებით, ღვთაებრივი ძალით აღვსებული და გაშინაარსებული მხატვრული სიტყვით მიემართება ღმერთთან მისაახლებლად სავალ გზაზე, რასაც აღწევს ღვთაების არდავიწყებით, ღმერთის მცნებების აღსრულებით, სინანულით, მარად ლოცვით, მარტო მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ იკმარება ამის დამადასტურებლად, ვედრებით უფლისადმი, რომელსაც შესთხოვს ცოდვებისაგან თავდახსნას, ისევ სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად:

„ზედან მკლავთა სიტყვა ღვთისა ძველმან კაცმან მიგირქო და,  
ზრუნვა გქონდა კაცთა ხსნისა, თვარ განწმენდა ვით გინდოდა?  
ზეცას ძრწიან უხორცონი, კეცის ჭურმან ვით გიძლო და,  
და ზღვევა მომხდეს, თუ ცოდვათა, ვა, თუ მადლი ცოტა მქონდა“ (1, 150).

ცოდვით დაცემამდე ადამიანი ღვთის სიტყვით იყო მოსილი, სახიერებით იყო აღვსილი, მაგრამ ცოდვით დაცემის შემდეგ ძველი კაციც შეიცვალა, სიკეთემ იკლო, რისთვისაც უფალი შეეცადა კაცთა ხსნისათვის, მათი განწმენდისათვის მსხვერპლი გაეღო - ჯვარს ეცვა; ეს ფაქტი მოასწავებდა ახალ ადამიანს, რომელმაც ცხოვრების მანძილზე ის გზა უნდა განვლოს, რო-

მელიც იესო ქრისტემ გაიარა, ადამიანმა ამ გზის გავლით უნდა განახორციელოს ის ცვლილება, რაც იესომ, მე-ღვთისამ დაუდო საფუძვლად მთელ კაცობრიობას; ამ დიდ პრობლემას მეფე-პოეტი ურთავს საკუთარ განსაცდელს და ღმერთს გაბედულად მიმართავს, რომ, თუ მადლს იყო მოკლებული მოჭარბებული ცოდვების გამო, ღმერთმა ისე მიუზღოს და შესაფერის გზაზე დააყენოს შემოქმედი, რომელიც ცოდვებს ვერ განრიდებია; ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფე-პოეტის მარტო პირადული ცოდვები კი არა, არამედ თავისი ერის ზოგადკაცობრიული ტკივილებიც იგულისხმება (გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, სადაც მეფე მთელი ერის, ქვეყნის ცოდვებს ტვირთულობს და ინანიებს...). თეიმურაზ პირველისთვის, როგორც პიროვნებისთვის, ეს ყოველივე სინანულია, მძიმე ჯვარია, მძიმე ტვირთია, მაგრამ უნდა ატაროს როგორც მეფემ, როგორც ერის ამქვეყნიურმა მოძღვარმა... სწორედ ამაშია ის უდიდესი მისია, რომელიც მეფეს ევალება, ღმერთისაგან დაკისრებული ვალი და მისია მიწიერ სივრცეში შესასრულებელი და, მით უმეტეს, შემოქმედს, რადგან ის არის შუამავალი ღმერთსა და ადამიანს, ზეციურსა და ამქვეყნიურს შორის, მან უნდა შეძლოს ამ მძიმე ჯვრის გოლგოთაზე ატანაც და ღვთაებამდე ამაღლებაც, საიდანაც ნათლის სხივი უნდა მოჰფინოს ცოდვით აღვსებული ადამიანის მიწიერ ჭურჭელს, ისევე უკვდავების რწმენით რომ გაამაღლოს და აცხოვნოს.

ამ მადლით არის აღსავსე თეიმურაზ პირველის მთელი შემოქმედება, რასაც ადასტურებს ლექსიც „ანბანთ-ქება“, სადაც კიდევ ვკითხულობთ: და „კარს ვერ შევვლი სამოთხისას, თუ ცოდვასა დამითვლიდეს“ (1, 151).

ამ შემთხვევაში ნათლად იკვეთება სინანულის განცდის მქონე ადამიანის სულიერი მდგომარეობა, სურვილი მონანიებისა, რომელიც არის მნიშვნელოვანი გზა ადამიანის ფერისცვალებისა, საღვთო წიაღისაკენ რომ აპყრობს თვალს... მისი შემოქმედება სავსეა სინანულის განცდით. „მეფე-პოეტი თავს სიცოცხლეშივე დამარხულად მიიჩნევს, ამისთვის იგი მონანული გახდება; მისი სინანული იმდენად ღრმაა, რომ ცრემლის გუბეც კი უდგას. ღრმადმორწმუნე ადამიანი აღნიშნავს, რომ, თუ კაცთა ცოდვები არსებობს, მისი შენდობა ცრემლით=სინანულით შეიძლება“ (2, 130), ცრემლით აღვსებული სინანული, ზედაპირულად თუ ღრმად, თვალსაჩინოდ თუ დაფარულად მის ყველა ნაწარმოებში ჩანს.

მეფე-პოეტი კაცთა ცოდვების გასაცნობიერებლად ისევე იესოს ჯვარცმის ეპიზოდს მიმართავს, რათა არ იქნეს დავიწყებული მთავარი - იესოს მიერ სისხლის დაღვრა, მომასწავებელი მსხვერპლის შეწირვისა, მათი ცოდვების დასახსნელად გაღებული მსხვერპლისა, ადამიანთა ხსნად მოვლენილი; ეს მსხვერპლი გასაცნობიერებლად იმისა, ვინ არის ადამიანი, რომელი გზით უნდა წარმართოს მიწიერი არსებობა, რომელიც მოიცავს სიკეთეს, ღოგვას, სინანულს... იესოს ჯვარცმის ეპიზოდში მეფე-პოეტი ხაზს უსვამს მის მოთმინებას წამების დროს, დათმენით იგი განერიდა ჯოჯოხეთს, ძელზედ ამაღლებით ბოროტი სძლია და, რაც მთავარია: და „რუ სისხლისა და წყალისა ჩვენდა ხსნად გარდამოეცა“ (1, 151), - წერს პოეტი.

იესო ქრისტე თავისი ჯვარცმით მიწიერებაზე ამაღლდა, ამავე დროს, ცოდვილ კაცობრიობას მისცა შესაძლებლობა ცხოვრების მანძილზე თანდათანობითი ღვაწლის აღსრულებით, ღმერთისადმი მსახურებით, ხსოვნებით, მისი მცნებების მიხედვით არსებობა და საერო ცხოვრების წინაშე მისი კეთილად აღსრულებით ღვთაების წიაღს მიუახლოვდეს, საკუთარი მიწიერი სხეულის სიწმინდეს მიაპყროს ყურადღება და შინაგანი ხედვა, მიწიერი ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი ნაბიჯი თუკი სისხლის დათხევას მოასწავებს, რაც მსხვერპლის გაღების ტოლფასია და სიწმინდისკენ წარიმართება...

ადამიანის ცოდვები აურაცხელია, ამა თუ იმ სიმძიმის, რომელთა შემცირება და შემსუბუქებაა საჭირო, სამოთხის კარს რომ მიუახლოვდე, რათა შეაღწიო უფრო უკეთეს სამყაროში, უფლის მიერ დაწესებულ სასუფეველში, სადაც ნეტარნი წარსდგებიან მხოლოდ.

მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველის ლექსი „ანბანთ-ქება“, როგორც დასაწყისში შევნიშნეთ, მხოლოდ ერთი-ორი საკითხით არ ამოიწურება, იგი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ჟანრი, აღნაგობა, ლექსის საზომი, სათქმელი, მაგალითად, ღვთისმშობლის განსაკუთრებულობის წინ წამოწევა და ა. შ.... რაც შემდეგ შრომებში აისახება შემოქმედის სხვა ნიმუშებში გადმოცემულ საკითხებთან ერთად, ამჯერად დავამატებთ, რომ მეფე-პოეტის ბევრის ტევადი პოეზიის ნი-



მუშები ქართული მწერლობის უკვდავი ძეგლებია, რომელთაც მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენა და დაანახა საღვთისმეტყველო სიბრძნის აუცილებლობა, გადმოტანილი მიწიერ სამყაროში, რადგან ადამიანის ამქვეყნიური არსებობა ღვთაებისაგან დაშორებით შეუძლებელია, ამიტომ მისი ცხოვრების მიზანი კვლავ ღმერთისაკენ სწრაფვა უნდა იყოს და ეს მისია შეასრულა თეიმურაზ პირველის სულიერებით ნაზავმა მხატვრულმა სიტყვამ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**Reference:**

1. ბარამიძე, ალ. თეიმურაზ პირველი, წიგნში: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934. Baramidze, Al. (1934), Teimuraz I, in book: Teimuraz I, Full collection of writings, text, research, dictionary, Tbilisi.
2. ბეთხოშვილი, დ. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ცურტაველის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), თბილისი, 2012. Betkhashvili, D. 2012, The Problem of Life and Death in Old Georgian Literature (Martyrdom of the Holy Queen Shushanik by Iakob Tsurtaveli, Martyrdom of Queen Ketevan by Teimuraz I), Tbilisi.
3. ცაიშვილი, ს. ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966. Tsaishvili, S. 1966, Letters on Literature, Tbilisi.
4. გუგუშვილი, მ. წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი, 1990. Gugushvili, M. 1990, Letters on Literature, Tbilisi.

1005

**Irine Arjevanidze**

ირინე არჯევანიძე

Academic Doctor of Philology

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

Tbilisi Teaching University

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

### Preparation of Epistolary Heritage for Publishing ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადება

**რეზიუმე:** დიდია საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესი ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი. ამ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეს პირადი წერილები არა მარტო მწერლის თხზულებათა სრული კრებულების, არამედ რჩეულების განუყრელ შემადგენელ ნაწილადაც კი იქცა.

ეპისტოლარული მემკვიდრეობის გამოცემა წინ უსწრებს მასალის შეგროვებისა და ძიების რთული პროცესი. ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ისევე როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, აისახება მწერლის იდეური ზრდა, მისი თვალსაზრისის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი. მწერლის მხატვრული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის სრულყოფილი მეცნიერული გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ დიდი წინდახედულობისა და საქმის ცოდნით, ყველა არსებული მასალის ღრმა და დაკვირვებულ შესწავლით.

**საკვანძო სიტყვები:** ეპისტოლარული, წყარო, აკადემიური, ტექტოლოგი, მხატვრული.

**Abstract:** The interest of society and science is important for epistolary heritage. This interest also is demonstrated by the fact that today's personal letters have become not only a complete collection of writer's writings but also an integral part of the selected ones. A complex process of collecting and searching material precedes the epistolary heritage publishing. The ideal growth of the writer is reflected in the epistolary heritage, as well as in the fiction, also the development process of his viewpoints. The complete scientific publishing of the writer's fiction and epistolary heritage can be done only with a profound understanding of the work and thorough study of all existing material.

**Keywords:** epistolary, source, academic, textologist, fiction.

The study and publication of the epistolary heritage of the writer and public figure is of great importance to the scientists. Personal letters help us not only to specify the details of the biographical

details of the author through many of the facts that cannot be verified by other documents. It allows us to clearly see what is whole or partially unknown to scientists, or otherwise known in official documents or memoirs.

The epistolary heritage is one of the most accurate narrators of the majority of the author's stories - we say the majority, because sometimes, personal letters can have a conscious or ignorant distortion of the fact. However, in most cases, epistolary heritage is one of the most important sources of study of the author's life and the spiritual world.

In personal letters, the author's view of literature, policy, history of creation of public works and many other interesting issues can be expressed. It is therefore obvious that the issue of the epistolary heritage has the great importance of science. Nevertheless, the question whether the publisher has the right to put on the sunlight and make the subject of the discussion and evaluation of the public his creation, in which all his spiritual world and often the most remarkable feelings are expressed - that caused disputes and diverged for years.

There is a great interest of reader society and science towards epistolary heritage. This interest also is demonstrated by the fact that today's personal letters have become not only a complete collection of writer's writings but also an integral part of the selected ones. Frequently, full writings and selected ones of writers and public figures are published as an independent book.

Now there is no question of issuing personal letters of outstanding people. There is no longer a violation of legal and ethical norms in the epistolary heritage. However, of course, this does not mean that all personal letters, without exception, provide to a massive reader and publish them on a multi-issue magazine and newspaper paper.

The material should be strictly selected for the massive editions. As for the highest type of publication - academic, it is indisputable that every word out of the writer's pen is to be included. That is why the circulation of academic editions is usually strictly restricted.

A complicated process of collecting and searching material precedes the publishing of the epistolary heritage that is related to difficulties than obtaining the texts of the fiction work. Epistolary heritage is largely dispersed in archives and families of different persons. The letter of the same person may be protected in different cities, even in different countries.

The collection of personal letters is the first and the most difficult step in the publishing of epistolary heritage. After collection of epistolary heritage the publisher is obliged to find the identity of the addressees of the letters. After collecting material and clarifying the addressee, the publisher will have new issues - putting the dates on letters.

The textologist is also obliged to verify and supplement the author's short date. To this end, it requires knowledge and consideration of different materials. Dating letters is one of the most important study issue for the publisher. It is not enough to give a thorough analysis of facts for accurately dating the letters but it is necessary to analyze the works of the writing and the whole of his archive, the memoirs around it, the periodic publications of that period and the public, political and cultural situation. In addition, all the work done for dating the letter by the publisher should be shown in the comments of letter.

The next step working on epistolary materials is the arrangement. There is no doubt that the epistolary heritage, as well as fiction creations, reflects the writer's ideal growth, the development of its viewpoints. Therefore, it is correct to locate the epistolary material chronologically.

The principle of chronological order of epistolary material allows the reader to consistently visualize the variability of the author's opinions and get acquainted with his interest in different periods of time. The chronological principle of epistolary material deployment is a recognized principle in modern textology. However, this principle is repeatedly violated even in scientific publications. Textuals who reject the epistolary heritage arrangement of the common chronology, group the letters by addressees.

Such arrangement of epistolary heritage has its advantages. It easily simplifies the reader to see the author's attitude towards a certain person. However, the arrangement of epistolary heritage by the addressees prevents the researcher to observe the author's ideological-political beliefs and artistic views. Thus, the epistolary material gives us the conclusions of the author's viewpoint, and therefore the correct understanding of the author's creativity, its study and publication should be chronologically published.

When preparing the epistolary material for publishing, as well as publishing all other material, one of the most important issues is to select the main source and determine the text. Following the origin of the letter, the copy in the author's archive is the most reliable source for the main text. However, if the draft is not kept in the writer's archive, the textologist uses the printed text of the author or copies copied by others. A thorough study of all existing materials is required to find among the sources the most closest and reliable source of the text of the author.

In academic editions of personal letters, as in fiction writings, it is not desirable to make couplings. Couplings can be made in selected and massive editions. What's awkward and unwelcome in massive editions remains largely in scientific publications.

In the text of the personal letters, you may find stylistic incompatibilities and grammatical errors. The scientific edition should not correct these kinds of errors, since it is also important for the researcher how a public servant or even a writer used a language. In the scientific edition should be corrected only the erroneous errors of the author, which is due to negligence or speed.

In the text of the personal letters, the publisher must fill the short words used by the author. In addition, if the author loses any word not because of lack of a place, it usually writes so and it will not be difficult for the reader to read it, it may remain in the text in short form. For example: Geo or Georgia, St-ies for Stories, etc. If we write these words entirely, then in the notes it is sufficient to indicate that this word is used in short form by the author. This is series of corrections that do not make any harm to the text and on the contrary, making it easier for readers to understand.

Thus, the complete scientific edition of the fiction and epistolary heritage of a certain author is possible only through the profound and obscure study of all the available material knowledge.

#### References:

##### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fundamentals of Textology (I), Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, "Science", 1970, Tbilisi.
2. Textographic Issues (I), Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, "Science", 1983, Tbilisi.
3. Javakhishvili, I. Georgian Writer - Expert, or Paleography, 1949, Tbilisi.

1005

ეკატერინე გოგიაშვილი

Ekaterine Gogiashvili

ფილოლოგიის დოქტორი

Doctor of Philology

ევროპული უნივერსიტეტი

European University

#### სიყვარულის საკითხის ინტერპრეტაციისათვის „ვეფხისტყაოსანში“ Interpretation of the Love Issue in „The Knight in the Panther's Skin“

**რეზიუმე:** „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს, ადამიანის სიცოცხლის საფუძველი სიყვარულია. სიყვარულია ყოველგვარი წონასწორობისა და ჰარმონიის საფუძველი პოემაში. რუსთაველი ყველაზე ფართო გაგებით მოიაზრებს ამ ფენომენს და მასში მიჯნურობას, მეგობრობას და მოყვასის სიყვარულს გულისხმობს. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის მიჯნურობა, ანუ ხორციელი სიყვარული, სულიერი და ხორციელი გრძნობის თანაზიარობით გამოირჩევა. თავისი არსითა და „ამაღლების“ უნარით, „ხანიერებითა“ და სიდიადით იგი საზეო სიყვარულს მიეახლება და ამასთანავე, ხორციელი გამოხატულებაც გააჩნია. სიყვარულის კანონით ცხოვრება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს ყველა ბინადარის აუცილებელი მოვალეობაა.

**საკვანძო სიტყვები:** ქალ-ვაჟის სიყვარული, საღმრთო სიყვარული, მეგობრობა, მოყვასის სიყვარული.

**Abstract:** The basis of human life is love in „The Man in the Panther's Skin“. Love is the basis for harmony in the poem. Rustaveli understands this phenomenon in the broadest sense implies love, friendship. It should be noted, that Rustaveli's love is marked by the sharing of spiritual and fleshly feelings. With its essence and raising ability, on the basis of eternity and in the darkness, it rises up to the height of divine love and in addition Rustavelian love has a fleshly expression. Life with law of Love is the necessary duty of all the inhabitants of the artistic world of this great masterpiece.

**Keywords:** Love, Spiritual love, Friendship, Human love.

„ვეფხისტყაოსანში“ არსებობს, ადამიანის სიცოცხლის ყოველგვარი წონასწორობისა და ჰარმონიის საფუძველია სიყვარული. ყოველგვარი ურთიერთობა თუ პერსონაჟთა ქცევა „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულით არის განსაზღვრული. სიყვარული პოემის ღერძია, რომლის ირგვლივ ბრუნავს „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო, ისევე, როგორც მზის ირგვლივ მისი გალაქტიკა.

რუსთაველი ყველაზე ფართო გაგებით მოიაზრებს ამ ფენომენს, რომელიც შემდგომ კონკრეტდება იმისდა მიხედვით, თუ ვის მიემართება.

გრძნობის უმაღლესი გამოხატულებაა სიყვარული უზენაესისადმი. ყველას არ ძალუძს იტვირთოს ამგვარი გრძნობა, რადგან მისი ტრფობის საგანი ყოველივეს დასაბამი უფალია. ეს არის ტანჯვანარევი სიამოვნება, რომელიც ყოველივეს სწირავს ღვთაებისათვის და მისივე სიყვარულით უმთავრესს – სრულყოფილებით აღვსებას. ენა ვერ გადმოსცემს ამ ნეტარების სიდიადეს და არც არსებობს ამისი საჭიროება, რადგან მისი შეცნობა, გააზრება შეუძლებელია, იგი მარტოოდენ შეიგრძნობა.

„ვთქვა მიჯნურობა - პირველი და ტომი გვართა ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;  
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა!  
მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,  
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან” 2,(სტრ. 19-20).

რუსთაველი არაფერს ამბობს ამაზე მეტს, მაგრამ პოემის ჰარმონიული, ჰუმანურობით აღბეჭდილი სამყარო თავად წარმოადგენს ხოტბას და დიდებას მისი მიუწვდომელი ძალისას.

პოეტი ცალკე გამოჰყოფს სიყვარულის მეორე სახეობას, ქალ-ვაჟის სიყვარულს, რომელიც სულიერი და ხორციელი გრძნობის თანაზიარობით გამოირჩევა. თავისი არსითა და „ამაღლების” უნარით, „ხანიერებითა” და სიდიადით იგი საზეო სიყვარულს მიეახლება და ამასთანავე, ხორციელი გამოხატულებაც გააჩნია.

„ვთქვენე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან,  
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ შორით ბნდებიან” 2,(სტრ.21).

პოეტის ხოტბის საგნად სწორედ ამგვარი, ღვთიურ-კაცობრივი შარავანდედით მოსილი სიყვარული გამხდარა, რადგან „ვეფხისტყაოსნის” გმირები მისი საშუალებით ეზიარებიან მარადისობას. ამ გრძნობის კერძობითი სახეებია: მიჯნურობა, მეგობრობა, მოყვასის სიყვარული.

პოეტისათვის სიყვარული გარეგნული აღქმითვე, „თვალ-ახმით” იწყება, მაგრამ ადამიანის ხატის ვიზუალური ჭვრეტა „ვეფხისტყაოსანში” რამდენადმე პირობით ხასიათს ატარებს. მისი გმირები მზებერ ანათებენ, შუქით მას ეცილებიან, „წამის ყოფით” ძალუძთ დაიპყრონ მნახველთა გული, გონება და სული. ეს ნათელი, რომელიც მზის, მთვარისა და ყველა ციური სხეულის ციალს აცუდებს, მათი შინაგანი სამყაროდან მოდის და გარეგან მშვენიერებას ასხივოსნებს. ამდენად, „ვეფხისტყაოსნის” გმირის გარეგანი სახე და შინაგანი სამყარო მნახველთათვის თითქმის ერთდროულად საცნაურდება. აღქმის ამგვარი თანადროულობის გამო „ვეფხისტყაოსნის” ე.წ. იდეალური პერსონაჟები პირველივე ნახვისთანავე უმიჯნურდებიან ერთმანეთს და იბადება „მუნ თანა წასატანებელი”, მარადიული სიყვარული. ამავე კანონზომიერების დადასტურებაა ჭაშნაგირი – მოხდენილი, გარეგნულად მშვენიერი ყმაწვილი კაცი, რომელიც შინაგანი სიღარიბის გამო მოკლებულია რუსთაველისეული ფართო გაგების მშვენიერებას და მოკლებულია ჭეშმარიტი ტრფიალების განცდის უნარსაც.

სახეობა სიყვარულისა „მარადისობას ადამიანურ ურთიერთობაში მოიაზრებს” (3, 174). ამგვარ სიყვარულს სამი ძირითადი თვისება ახასიათებს – მსხვერპლშეწირვა, ხანიერება და გმირის სულიერი ამაღლება.

რუსთაველისეული მიჯნურობა სატრფოს ერთადერთობას გულისხმობს. მისი სახით გმირი თავის უკეთეს მეს პოულობს, იმ ნახევარს აღმოაჩენს რომელიც მისი სულის ნაწილია და ურომლისოდაც მთელი არ შეიქმნება. მიჯნურის ერთადერთობა გამორიცხავს ჭეშმარიტი გრძნობის გამეორების შესაძლებლობას: „სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!” 2,(სტრ.534). ამით რუსთაველი ამკვიდრებს იდეას უკვდავებასთან წილნაყარი მარადიული სიყვარულისა, რომელიც გმირის გამაკეთილშობილებელი ძალაა. ამაღლებული სული მზადაა თავისი ნებით, სიამოვნებით შეწიროს ყოველივე სატრფოს და ამ მსხვერპლშეწირვით თვითონვე მოიპოვებს საკუთარ თავს. რუსთაველი აღწერს ამის რადიკალურად საპირისპირო ხორცი-

ელ სიყვარულსაც, რომელიც მხოლოდ ვნებაა და არა სულისმიერი ტრფობა. იგი მას სიძვას უწოდებს და კატეგორიულად გამიჯნავს იმ სიყვარულისაგან, რომელიც მისი ხოტბის საგანია.

„ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობა მიჯნურობის სადარი, მისი მსგავსი გრძნობაა, მას იგივე სათავე – სიყვარული ასაზრდოებს და ისიც ადამიანს მიემართება. „სიყვარული დაბადებს მეგობრობას, მეგობრობა გადაარჩენს და უკვდავყოფს სიყვარულს“ ( 1, 92).

„ვეფხისტყაოსანში“ მიჯნურობისა და მეგობრობის გარდა, წარმოდგენილია ყოვლისმომცველი სიყვარული მოყვასისა, როგორც პოემის ჰუმანურობის საფუძველი. მოყვასის „ვეფხისტყაოსნისეული“ გაგება ამ ცნების ქრისტიანული გააზრების ანალოგიურია. იგი გულისხმობს ყველა ადამიანს, განურჩევლად სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, სოციალური და ეროვნული ნიშნისა.

მოყვასის სიყვარული რუსთაველს სამყაროში ზნეობრივი კოდექსის სახეს ატარებს. ამის გამოხატულებაა ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაცემული, თითქოსდა, „ზეცით ნაბუქალ“ წყალობა, რომელსაც „საბოძვარ-ხშირი გმირები განურჩევლად მიაგებენ „დიდსა“ და „მცირეს“. პოემაში წარმავალი სიმდიდრის გაცემა წარუვალს საუნჯის შეკრებად მოიაზრება, რაც გმირს მარადიულ სამკვიდრებელს განუმზადებს. მორალი: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“, გვევლინება აქსიომად, რომელიც ნაწარმოებში ასახული ყველა ქვეყნისათვის ბუნებრივია და უცილობლად აღესრულება. უფრო მეტიც, იგი მეფეთა ეთიკური მრწამსი და პოლიტიკური კონცეფციის საფუძველია: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა – დაკარგულია!“

ძნელია წარმოიდგინო სამყარო, სადაც ადამიანის სიყვარული იმ რანგში იქნება აყვანილი, რომ ერთი უცნობი მოყმის ტირილი ხელმწიფეთა ჭმუნვის მიზეზი ხდება. გაჭირვებული კაცის ხილვა „ვეფხისტყაოსანში“ დახმარების განუზომელ სურვილს აღძრავს. შოთა რუსთაველის გმირები თვით ჭირში ყოფნის დროსაც კი არ იხევენ უკან და ვალდებულებად მიიჩნევენ მოყვასის წინაშე ყოველთვის ადასრულონ სიყვარულის საღმრთო ვალი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

#### References:

1. ბარამიძე, ალ. შოთა რუსთაველი, თბილისი, 1975. Baramidze, A. 1975, Shota Rustaveli, Tbilisi.
2. რუსთაველი, შოთა. „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1966. Rustaveli, Shota. 1966. „The Knight in the Tiger's Skin“, Tbilisi.
3. ხინთიბიძე, ე. შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1993. Khintibidze, E. 1993, Medieval and Renaissance Trends in Rustaveli's „The Man in the Panther's Skin“, Tbilisi.

## სამეცნიერო ჟურნალ „ერუდიტი“ სტატიის გამოქვეყნების პირობები

“ერუდიტი” არის საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
- ავტორის სახელი და გვარი, სამეცნიერო ხარისხი და აკადემიური თანამდებობა, ასევე სამუშაო ადგილი ქართულ და ინგლისურ ენაზე მითითებულ იქნეს სათაურის წინ, მარცხნივ;
- სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს ცენტრში ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს წინ უნდა უძღოდეს რეზიუმე (ინგლისურად –Abstract, 8-10 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) და ასევე საკვანძო სიტყვები (3-5) ორივე ენაზე;
- ნაშრომიც და რეზიუმეებიც აწყობილი უნდა იყოს Sylfaen –შრიფტში. შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვისაც, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. მინდორი: მარცხნივ-3 სმ. და მარჯვნივ 2,5 სმ., ზევიდან 2 სმ. და ქვევიდან 2,5 სმ.;
- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 8 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურისა (არაუმეტეს 12 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა მოსდევდეს ტექსტს, დაინომროს და დაიწყოს ლათინურ ანბანზე მიუხედავად ენისა და ითარგმნოს ინგლისურ ენაზე (დასავლეთევროპულ ავტორებს თარგმანი არ სჭირდება);
- ტექსტში ციტირება უნდა შესრულდეს მრგვალი ფრჩხილების საშუალებით და ფრჩხილებს შიგნით მოთავსდეს გამოყენებული ლიტერატურის რიგითი ნომერი, რომელსაც მძიმე მოსდევს, ხოლო მძიმეს უნდა მოსდევდეს გვერდის მითითება - (2,15);
- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი A4 ზომის ქაღალდზე ერთ ეგზემპლარად, მას თავფურცელზე აუცილებელია დაერთოს ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია: სახელი, გვარი; სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი). ამობეჭდილ სტატიასთან ერთად ავტორმა უნდა წარმოადგინოს დადებითი რეცენზია;
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში;
- ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქ. #35

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: 255 33 33,

მაგთიფიქსი: 7 90 333353

WEB-page: [www.acad.edu.ge](http://www.acad.edu.ge)

E-mail: [contact@acad.edu.ge](mailto:contact@acad.edu.ge)



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნიგობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

